

აღმოხდების მზე
ერნესტ ჰემინგუეი
თარგმანი რუსულიდან - ვახტანგ ჭელიძე

წიგნი პირველი

თავი I

რობერტ კონი ოდესღაც კრივის ჩემპიონი იყო პრინსტონის¹ კოლეჯში. არ იფიქროთ, მე დიდ რადმე მიმაჩნდეს ეს წოდება, მაგრამ კონისათვის მართლაც დიდი რამე იყო. გატაცებული თავის დღეში არ ყოფილა კრივით, სინამდვილეში, ეჯავრებოდა კიდეც, მაგრამ დიდის გულმოდგინებითა და გამწარებით სწავლობდა, რომ ამით გაექარწყლებინა თანდაყოლილი სიჯაბნე და საკუთარი ღირსების სიმდაბლე, რასაც მას – როგორც ებრაელს – მუდამ აგრძნობინებდნენ ხოლმე კოლეჯში. უფრო გულდამწვდებული გახდა, როცა შეიგრძნო, რომ შეურაცხყოფელს ადვილად დაანარცხებდა ძირს, თუმცა მეტისმეტად ჯაბანსა და ბუნებით მშვიდს სასპორტო დარბაზს გარეთ ერთხელაც არ უჩხუბია. იგი სპაიდერ კელის ყველაზე სანაქებო მოწაფე იყო. სპაიდერ კელი თავის ახალგაზრდა მოწაფეებს – განურჩევლად ყველას – უმჩატესი წონის ილეთებს ასწავლიდა. არც კი დაგიდევდათ ეს მოწაფე ას ხუთ გირვანქას იწონიდა თუ ორას ხუთს. კონისთვის კი, ეტყობოდა, ზედგამოჭრილი გამოდგა. მართლაც ძალიან მარდი იყო. ისეთი სიყოჩაღე გამოამჟღავნა, რომ სპაიდერი თვითონვე შეეჯიბრა და სამუდამოდ გაუბრტყელა კიდეც ცხვირი. ამან კიდეც უფრო შეაძულა კონს კრივი, მაგრამ თან რაღაც უცნაური კმაყოფილებაც მიაჩნდა და ცხვირიც უდავოდ გაუკოხტავა. კოლეჯში სწავლის უკანასკნელ წელს ძალიან ბევრს კითხულობდა და სათვალე წამოიცვა. ვისაც არ შევხვდი, ვერც ერთმა მისმა კლასელმა ვერ მოიგონა იგი, არც ის ახსოვდათ, რომ ოდესღაც საშუალო წონის ჩემპიონი იყო კრივში.

გულღია და გულწრფელი ხალხისა არაფერი მჯერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათი ნაამბობი ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ რობერტ კონის ჩემპიონობაში მუდამ ეჭვი მეპარებოდა, – ალბათ ცხენმა დაარტყა ტორი სახეზე, ან იქნებ დედამისი დაფეთდა, ან არა და ბავშვობაში რამეს დაჰკრა-მეთქი ცხვირი, – მაგრამ საბოლოოდ თვით სპაიდერ კელიმ დამარწმუნა. სპაიდერ კელის არათუ ახსოვდა კონი, ხშირად ფიქრობდა კიდეც თურმე მასზე, ნეტავ რა მოუვიდაო.

მამის მხრით რობერტ კონი შთამომავალი იყო ნიუიორკელ ებრაელთა ყველაზე უმდიდრესი გვარისა, ხოლო დედის მხრით – ყველაზე უძველესისა. სამხედრო სასწავლებელში – სადაც იგი პრინსტონის კოლეჯში შესასვლელად ემზადებოდა და ფეხბურთის გუნდშიაც კარგი სახელი ჰქონდა მოპოვებული – არავისგან არ განუცდია რასობრივი დამცირება. მანამ კოლეჯში გადავიდოდა, არავის უგრძნობინებია, ებრაელი ხარო, და საერთოდ, არავითარი განსხვავება არ ყოფილა მოწაფეთა შორის. მშვენიერი ბიჭი იყო, კარგი სამეგობრო და ძალიან მორცხვი, მაგრამ შემდეგ ასეთმა დამოკიდებულებამ გაამწარა. გულის მოსაოხებლად კრივი შეისწავლა და პრინსტონის კოლეჯიდან გამოვიდა ავადმყოფური თავმოყვარეობით შეპყრობილი, ცხვირგაბრტყელებული და პირველივე ქალმა, რომელიც მას ალერსიანად მოექცა, შეირთო კიდეც ქმრად. ხუთ წელიწადს ჰყავდა ცოლი, სამი შვილი შეეძინა, მამის დანატოვარი ორმოცდაათი ათასი დოლარი თითქმის სულ გაფლანგა (დანარჩენი ქონება დედას ერგო) და მდიდარ ცოლთან გატარებულმა უსიხარულო ცხოვრებამ

საკმაოდ პირქუშ და მიუკარებელ არსებად აქცია. მერე ის იყო, გადაწყვიტა, ცოლს გავეშორებო, მაგრამ ქალმა დაასწრო, მიატოვა და მინიატიურების მხატვარს გაჰყვა. მთელი თვეები ეპირებოდა ცოლის გაშვებას, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა.

ეცოდებოდა _ გულქვაობა იქნება, ჩემი თავი რომ დავუკარგო, ახლა კი ცოლის გაქცევა ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი გამოდგა.

გაყრას რომ მორჩნენ, რობერტ კონი დასავლეთ სანაპიროებისაკენ გაემგზავრა.

კალიფორნიაში იგი ლიტერატორთა წრეში მოხვდა და მალე ორმოცდაათი ათასი დოლარიდან შემორჩენილი თანხით მხატვრული ჟურნალის გამოცემას შეუდგა.

ჟურნალმა კარმელში იწყო გამოსვლა, კალიფორნიაში, და პროვინსტაუნში კი, მასაჩუსეტსის შტატში, დაიხურა. ამასობაში კონი, რომელიც წმინდა ანგელოზად იყო მიჩნეული და თავის გვარს თავმდაბლურად კოლეგიის სხვა წევრთა შორის აწერდა სატიტულო ფურცელზე, ჟურნალის ერთადერთი რედაქტორი გახდა. ბოლოს და ბოლოს, მისი ფულით გამოდიოდა ჟურნალი და რედაქტორის სახელი მოსწონდა! გული დასწყდა, როცა ჟურნალის გამოცემა მეტისმეტად გაძვირდა და იძულებული გახდა, თავი გაენებებინა.

თუმცა ამასობაში სხვა საქმეც გაუჩნდა. იგი ხელში ჩაიგდო ვიღაც ქალმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ჟურნალთან ერთად მისი სახელიც განდიდდებოდა. ეს იყო ძალიან ყოჩაღი ქალი, კონის ხელში ჩაგდებას კი ბევრი არაფერი უნდოდა. თანაც გული დააჯერა, ქალი მიყვარსო. ქალმა რომ ნახა, ჟურნალის საქმეს კარგი პირი არ უჩანდა, ცოტა არ იყოს, შეიძულა კონი და გადაწყვიტა, მანამ კიდევ რამე გამოდნებოდეს, ბარემ ბოლომდე ვისარგებლებო. ასე რომ, ჩიჩინი დაუწყო _ ევროპაში წავიდეთ და იქ მწერლობას მოჰკიდებ ხელსო. ჩავიდნენ ევროპაში, სადაც ქალს აღზრდა-განათლება მიეღო, და მთელი სამი წელიწადი იქ დაჰყვეს. ამ სამი წლიდან პირველი წელიწადი მოგზაურობას მოჰყვამდეს, ხოლო ორი კი პარიზში გაატარეს. რობერტ კონმა ორი მეგობარი შეიძინა _ ბრედოკსი და მე. ბრედოკსი მისი ლიტერატურული მეგობარი იყო, მე კი _ ჩოგბურთის მეგობარი.

მეორე წლის ბოლოს კონის ხელში ჩამგდები ქალი, რომელსაც ფრენსისი ერქვა, მიხვდა, სილამაზეს ვკარგავო, და ის უდარდელობა, რითაც აქამდე კაცსა ყვლეფდა, ერთბაშად შეეცვალა მტკიცე გადაწყვეტილებით _ ბარემ ცოლად გაჰყოლოდა. იმხანად დედამისმა ყოველთვიურად სამას-სამასი დოლარი დაუნიშნა კონს.

ვერასდიდებით ვერ დავიჯერებ, რომ ამ ორწლიანხევრის განმავლობაში კონს სხვა ქალისთვის შეეხედოს. თავს სავსებით ბედნიერად გრძნობდა, გარდა იმისა, რომ ევროპაში მცხოვრებ ბევრ ამერიკელთა მსგავსად, მასაც ამერიკაში ყოფნა ერჩივნა. მწერალიც გახდა. დაწერა რომანი და არცთუ ისე ცუდი, როგორც კრიტიკამ შეაფასა ბოლოს, თუმცა ძალიან უბადრუკი რომანი კი იყო. კითხულობდა და კითხულობდა წიგნებს, თამაშობდა ბრიჯს, თამაშობდა ჩოგბურთს და ერთ-ერთ სასპორტო დარბაზში კრივშიაც ვარჯიშობდა.

თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ქალს კონთან, ეს მე პირველად იმ საღამოს გავიგე, როცა მათთან ერთად ვსადილობდი. ლავენიუში ვისადილე და ყავის დასალევად იქიდან კაფე დე ვერსალში გავწიეთ. ყავის შემდეგ ცოტაოდენი კონიაკი დავლიეთ და უნდა წავიდე-მეთქი, განვაცხადე. ცოტა უფრო ადრე კონმა მითხრა, კვირას მე და შენ სადმე გავისეირნოთო. ქალაქიდან გასვლა და ერთი ლაზათიანი გასეირნება მონატრებოდა. სტრასბურგში გავფრინდეთ და იქიდან კი ფეხით სენტ-ოდილში ჩავიდეთ, ან სადმე სხვაგან, ელზასის მიდამოებში-მეთქი, ვუთხარი.

_ ერთი ნაცნობი ქალი მყავს სტრასბურგში და ქალაქს დაგვათვალიერებინებს, _ ვთქვი მე.

ვიღაცამ მაგიდის ქვეშ ფეხი გამკრა. ვიფიქრე, ან ცოლს, ან ქმარს შემთხვევით მოუხვდა ფეხი-მეთქი და განვაგრძე:

_ მთელი ორი წელიწადია იქა ცხოვრობს და რაც კი რამ ღირს ნახვად, სულყველაფერი იცის. მშვენიერი გოგოა.

კიდევ მომხვდა ფეხი მაგიდის ქვეშ და თავი რომ ავწიე, დავინახე, ფრენსისს, რობერტის ქალბატონს, დრანჭი მოქცეოდა და სახე გაშეშებოდა.

_ თუმცა, რაღა სტრასბურგში? _ ვთქვი მე, _ არა სჯობია, ბრიუგეში ან არდენში² წავიდეთ!

კონს გულზე მოეფონა. აღარავის უკრავს ფეხი. მე გამოვემშვიდობე და გამოვედი. კონმა თქვა, გაზეთს ვიყიდი და მოსახვევამდე გამოგყვებიო.

_ ეს სტრასბურგელი ქალი რაღად გინდოდა, თუ ღმერთი გწამს, _ მითხრა კონმა, _ ვერა ნახე, ფრენსისს რა მოუვიდა.

_ რა უნდა მენახა?! ან რა ესაქმებოდა ფრენსისს, თუკი მართლაც მყავს სტრასბურგში ამერიკელი ნაცნობი ქალი?

_ სულერთია. რა ქალიც უნდა ყოფილიყო, ვერ წამოვიდოდი და მორჩა.

_ ნეტა რას სულელობ!

_ შენ ფრენსისს არ იცნობ. როგორი ქალიც უნდა ყოფილიყო! სახეზე მაინც ვერ შეხედე?

_ კარგი, სენლისში წავიდეთ.

_ კი ნუ გაბრაზდები.

_ სულაც არ ვბრაზობ. სენლისი მართლაც მშვენიერი ადგილია. გრანდ სერფში ჩამოვხტებით, ტყეში ვიხეტივალეთ და უკანვე დავბრუნდებით.

_ ძალიან კარგი, მშვენიერი იქნება.

_ მაშ ხვალ კორტზე გნახავ.

_ ნახვამდის, ჯეიკ, _ თქვა მან და უკანვე გაბრუნდა.

_ გაზეთი დაგავიწყდა, _ მივაძახე მე.

_ ჰო, მართლა, _ მოსახვევამდე გამომყვა, _ ხომ არ ბრაზობ, ჯეიკ? _ თქვა და შეჩერდა.

_ რას ამბობ, რამ უნდა გამაბრაზოს?!

_ ჩოგბურთზე გნახავ, _ თქვა მან. მე თვალი გავაყოლე. ხელში გაზეთი ეჭირა და კაფესკენ მიეშურებოდა. მომწონდა ეს კაცი, მაგრამ ეტყობოდა, დალაგებული ცხოვრება ვერ ექნებოდა იმ ქალთან.

თავი II

იმ ზამთარს რობერტ კონი ამერიკაში გაემგზავრა და თავისი რომანი საკმაოდ დიდ გამომცემლობას ჩააბარა. როგორც გავიგე, ამ გამგზავრებამ თურმე საშინელი ჩხუბი გამოიწვია ოჯახში და ფრენსისმა, მგონი, სწორედ მაშინ დაკარგა იგი, რადგან ნიუ-იორკში რამდენიმე ქალი ძალიან ალერსიანად მოქცეოდა კონს და პარიზში სულ სხვა კაცი დაბრუნდა. ამერიკით ახლა კიდევ უფრო აღფრთოვანებულიყო და აღარც ისეთი გულალალი და მომხიბვლელი ჩანდა. გამომცემლებს ისე შეექოთ მისი რომანი, რომ თავში ავარდნოდა. ამას გარდა, რამდენიმე ქალი ლამის ზედ გადაეგო და კონის ჰორიზონტიც გაცილებით უფრო გაიზარდა. მთელი ოთხი წელი მხოლოდ და მხოლოდ ცოლით იყო შემოზღუდული მისი ჰორიზონტი, მერე სამი წელი ისე გავიდა, რომ ფრენსისს გარდა არავისთვის შეუხედავს. დარწმუნებული ვარ, სიყვარული ერთხელაც არ განუცდია სიცოცხლეში.

კოლეჯში გამოვლილი ტანჯვის შემდეგ დაქორწინება ერთგვარი შვება გამოდგა; მერე, როცა დარწმუნდა, პირველ ცოლს ჩემზე მზე არ ამოსდიოდაო, ფრენსისმა მიაჩნა შვება. შეეყვარებული არც ახლა ყოფილა, მაგრამ უკვე მიხვდა _ ალბათ, მაქვს რაღაც მომხიბლაობა, ქალები ასე რომ მეხვევიანო. თვით ის ფაქტიც, რომ ქალები გულგრილნი არ ყოფილან მის მიმართ და მასთან ცხოვრებას ესწრაფოდნენ, სულაც არ ეჩვენებოდა სასწაულებრივ მოვლენად. ისე შეცვალა ამ ფიქრმა, რომ მასთან ახლოს ყოფნა უკვე აღარ იყო სასიამოვნო. გარდა ამისა, თავის ამერიკელ ნაცნობებთან ბრიჯს თამაშობდა და იმაზე დიდ თანხას ჩამოდიოდა, ვიდრე ამის საშუალებას საკუთარი ჯიბე აძლევდა _ მოიგო კიდევ რამდენიმე ასეული დოლარი და ისე გაყოყოჩდა, რომ ამბობდა, ოდესმე ცუდად რომ წამივიდეს საქმე, ბრიჯის თამაში მაცხოვრებსო. ამას სხვა ამბავიც დაერთო. კონი უ. ჰ. ჰადზონსაჰ კითხულობდა. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერიო, მაგრამ რამდენიმეჯერ გადაიკითხა «მეწამული ქვეყანა». «მეწამული ქვეყანა» საბედისწერო წიგნია, მოგვიანებით თუ წაიკითხავ. აქ მოთხრობილია უნაკლო ინგლისელი ჯენტლმენის ბრწყინვალე სატრფიალო თავგადასავალი საოცრად რომანტიკულ ქვეყანაში, რომლის ბუნებაც დიდებულად არის აღწერილი. ოცდაათოთხმეტი წლის კაცმა სახელმძღვანელოდაც რომ გაიხადოს ეს წიგნი ცხოვრებაში, ამით არაფერი დაუშავდება. ეს ისეთივე უხიფათო საქმე იქნება, თუნდაც ამავე ხნის კაცი ფრანგული მონასტრიდან გამოსულიყოს და ალჟერის წიგნთა სერიით⁴ შეიარაღებული პირდაპირ უოლ სტრიტზე გამოცხადებულიყოს. კონმა ისე სერიოზულად მიიღო ყოველი სიტყვა, თითქოს «საფინანსო ბიულეტენი» ყოფილიყოს. ზოგი რამ, რაღა თქმა უნდა, თავისებურად ახსნა, მაგრამ მთელი წიგნი საერთოდ სერიოზულად მიიღო. კიდევ ეს ეჭირვებოდა?! ვერც კი წარმომედგინა, რა ზომამდე იყო მისული, მანამ ერთ დღეს რედაქციაში არ გამომეცხადა.

_ ჰელო, რობერტ, _ მივმართე მე, _ ჩემს გასამხიარულებლად მოხვედი?

_ სამხრეთ ამერიკაში არ წამოხვალ, ჯეიკ?

_ არა.

_ რატომ?

_ რა ვიცი. ჩემს დღეში არ მიფიქრია. ძალიან ძვირი ჯდება. პარიზში რამ გამოლია სამხრეთამერიკელები!

_ ეგენი ხომ ნამდვილი სამხრეთამერიკელები არ არიან.

_ მე კი მგონია, მეტისმეტად ნამდვილები არიან.

შეთანხმებული ვიყავი, მატარებელს უნდა დავხვედროდი და მთელი კვირის კორესპონდენციები გამეტანებინა. ჯერ ნახევარიც არ მქონდა დაწერილი.

_ ჭორები არაფერი იცი? _ ვკითხე მე.

_ არა.

_ შენს ნაცნობთაგან ცოლს არავინ ეყრება, ვინმე დიდი კაცი?

_ არა. იცი, რა, ჯეიკ, _ შენი ხარჯებიც რომ ვიკისრო, მაინც არ გამომეყვები სამხრეთ ამერიკაში?

_ მე რა უნდა გავაკეთო?

_ შენ ესპანური იცი, და ისედაც, ერთად რომ ვიქნებით, არ მოგვწყინდება.

_ არა, _ ვუთხარი მე, _ აქ მირჩევნია, ზაფხულში კი ესპანეთისკენ გავწევ.

_ მთელი დღე და მოსწრება ამისთანა მოგზაურობას ვნატრობ, _ თქვა კონმა. სკამზე ჩამოჯდა, _ ალბათ სულ დავჩაჩანაკდები, მანამ მოვახერხებდე.

_ რამ გაგასულელა, _ ვუთხარი მე, _ საითაც მოგეპრიანება, იქით წახვალ, ფული ჩეჩქივითა გაქვს.

_ ჰო, მაგრამ ადგილიდან დამკრა არ მოხერხდა.

- _ გამხიარულდი, _ მივმართე მე, _ საცა უნდა წახვიდე, ყველა ქვეყანა კინოსურათს ჰგავს.
- მაგრამ შემეცოდა. მართლაც ძალიან გაფუჭებოდა გუნება.
- _ გული მიკვდება _ სიცოცხლე მიქრის, მე კი ნამდვილი ცხოვრება რას ჰქვია, არ ვიცი.
- _ მატადორების მეტი არც არავინ ცხოვრობს რიგიანად.
- _ მატადორები სულაც არ მაინტერესებს. ეს ხომ არანორმალური ცხოვრებაა. მე მინდა, სამხრეთ ამერიკა მოვიარო. დიდებული მოგზაურობა გვექნებოდა.
- _ ბრიტანეთის აფრიკაში ნადირობას არ ისურვებდი?
- _ არა, გული არ მიმიწევს.
- _ იქ კი ნამდვილად წამოგყვებოდი.
- _ არა, სულაც არ მაინტერესებს.
- _ იმიტომ, რომ არაფერი წაგიკითხავს აფრიკაზე. აბა, ერთი წადი და მშვენიერი შავი პრინცესების სასიყვარულო ამბები წაიკითხე.
- _ მე სამხრეთ ამერიკაში მინდა წასვლა.
- გაუტეხელი ებრაული სიჯიუტე ჰქონდა.
- _ დაბლა ჩავიდეთ და რამე დავლიოთ.
- _ გცალია?
- _ კი, _ ვუთხარი მე. პირველი სართულის კაფეში შევედით. იმ დასკვნამდე მივედი, რომ მეგობრებისაგან თავდასაღწევად ყველაზე კარგი საშუალება ეგ არის. დალევ ერთ ჭიქას და იტყვი: «ახლა კი უნდა წავიდე, დეპეშები მაქვს გასაგზავნი»... და მორჩა. საგაზეთო მუშაობაში, სადაც ეთიკა მოითხოვს, არავის ეჩვენო მუშაობის დროს, ამისთანა აღმოჩენები ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი სიტყვით, დაბლა ჩავედით და სოდიანი ვისკი დავლიეთ. კონმა კედლებთან ჩამწკრივებულ ბოთლიან ყუთებს გადახედა.
- _ მშვენიერი კაფე ყოფილა, _ თქვა მან.
- _ ბევრი სასმელი აქვთ, _ დავეთანხმე მეც.
- _ მომისმინე, ჯეიკ, _ დახლს გადააწვა, _ ნუთუ არასოდეს გიფიქრია, რომ ცხოვრება მიდის და შენ კი ჯერ არაფერი მოგისწრია? წარმოგიდგენია, თითქმის ნახევარი ცხოვრება წავიდა!
- _ ხანდახან ვფიქრობ ხოლმე.
- _ წარმოგიდგენია, კიდევ რაღაც ოცდათხუთმეტი წელი და უნდა მოვკვდეთ.
- _ რა ჯანდაბა მოგივიდა, რობერტ, რა ამბავია!
- _ სერიოზულად გეუბნები.
- _ მადლობა ღმერთს, ეს ერთი რამე მაინც არ მაწუხებს.
- _ უნდა გაწუხებდეს.
- _ შესაწუხებელი ჯერაც არ მომკლებია. მეტი რა ვიცი!
- _ ერთი სიტყვით, სამხრეთ ამერიკაში წასვლა მინდა.
- _ იცი, რას გეტყვი, რობერტ, სხვა ქვეყანაში წასვლა არაფერს არა შველის! ეგეც მიცდია. რამდენიც უნდა იხეტიאלო, შენს თავს მაინც ვერ გაექცევი. მაგისი საშველი არ არის.
- _ ჰო, მაგრამ ერთხელაც ხომ არ ყოფილხარ სამხრეთ ამერიკაში?
- _ რას ჩააცივდი ამ სამხრეთ ამერიკას! ასე ცხვირჩამოშვებული გინდა წასულხარ, გინდა არა! პარიზი მშვენიერი ქალაქია. რატომ არ გინდა, აქ იცხოვრო და ნამდვილი ცხოვრებით დატკბე?
- _ პარიზი უკვე გულს მირევს. ლათინური კვარტალი გულს მირევს.
- _ შენც ნუ გაეკარები მაგ კვარტალს. იხეტიალე მარტოდმარტო და ნახე, რა მოგივა.

– არაფერიც არ მომივა. მთელი ღამე ვიარე ერთხელ და არაფერი მომსვლია. ეგ იყო, რომ ველოსიპედიანმა პოლიციელმა გამაჩერა და საბუთები მომთხოვა.

– მერე კარგი არ იყო ქალაქი ღამით?

– არ მიყვარს პარიზი.

ეგეც თქვენ! ძალიან კი მეცოდებოდა, მაგრამ რას ვუშველიდი! რაც უნდა გემეცადინა, ორ აკვიატებულ აზრს ვერ შეაცვლევეინებდი! სამხრეთ ამერიკა თუდა იხსნიდა მას, და პარიზი ეჯავრებოდა. პირველი აზრი წიგნებში ამოიკითხა და მეორეც წიგნებში ჰქონდა ამოკითხული.

– წავედი, – ვთქვი მე, – მაღლა უნდა ავიდე და დეპეშები გავგზავნო.

– მართლა უნდა წახვიდე?

– ჰო, დეპეშები უნდა გავგზავნო.

– მეც რომ ამოგყვე სამსახურში და ცოტა ხანს დავჯდე, ხელს ხომ არ შეგიშლი?

– არა, წამოდი.

წინა ოთახში დაჯდა და გაზეთებისა და ჟურნალ «რედაქტორისა და გამომცემლის»

კითხვა დაიწყო, მე კი მთელი ორი საათი თავი არ ამიღია. მერე დაბეჭდილი

ეგზემპლარები ცალ-ცალკე დავალაგე, შენიშვნები გავუკეთე, დიდ კონვერტებში

ჩავაწყვე და შიკრიკი გამოვიძახე, რომ სენ-ლაზარის სადგურში წაეღო. მეორე ოთახში გავედი. რობერტ კონს სავარძელში ეძინა. თავი მკლავებზე ჰქონდა დადებული.

მეძინელებოდა გაღვიძება, მაგრამ რედაქცია უნდა დამეკეტა და წავსულიყავი. ბეჭებზე დავადე ხელი. თავი გააქნია.

– მაგას ვერ ვიზამ, – თქვა მან და უფრო ღრმად ჩარგო მკლავებში თავი, – არა.

არასდიდებით არ ვიზამ.

– რობერტ, – ვთქვი მე და შევანჯღრიე. ამომხედა, გამიღიმა და თვალი ჩამიკრა.

– ხმამაღლა ვლაპარაკობდი?

– ჰო, მაგრამ ვერ გავარჩიე, რას ამბობდი.

– ღმერთო, რა საძაგელი სიზმარი ვნახე!

– ჩემი საბეჭდი მანქანის ხმაზე ჩაგეძინა?

– ალბათ. წუხელის თვალიც არ მომიხუჭავს.

– რატომ?

– ვლაპარაკობდით, – თქვა მან.

ჩემთვის ადვილი წარმოსადგენი იყო მათი საუბარი. საძაგელი ჩვეულება მაქვს –

მეგობრები საწოლ ოთახში წარმომიდგებიან ხოლმე. კაფე «ნაპოლიტენისკენ»

გავწიეთ აპერიტივის დასალევად და ბულვარში მოსეირნე ხალხის საყურებლად.

თავი III

გაზაფხულის თბილი საღამო იყო. რობერტი წავიდა, მე კი კაფე «ნაპოლიტენის»

ტერასაზე ვიჯექი, მაგიდასთან, და შევეყურებდი სიბნელის ჩამოწოლას,

ელექტრორეკლამების ანთებას, შუქნიშნების მწვანე და წითელ სინათლეებს,

მოსეირნე ხალხს, ტაქსების გრძელი მწკრივის გასწვრივ ჩაქჩაქით მიმავალ ეტლებს

და ვახშმის საშოვნელად გამოსულ «ვარიკებს», რომლებიც ხან ცალ-ცალკე და ხანაც

წყვილ-წყვილად დაწრიალებდნენ. ერთმა მშვენიერმა გოგომ ჩაუარა ჩემს მაგიდას,

თვალი გავაყოლე – ქუჩას შეჰყვა და გაუჩინარდა. ახლა მეორეს გავაყოლე თვალი,

მაგრამ ვნახე, რომ პირველი უკანვე ბრუნდებოდა. ერთხელ კიდევ ჩამიარა, თვალი რომ გავუყარე, მოვიდა და ჩემს მაგიდას მოუჯდა. ოფიციალტიც მოვარდა.

– რას დალევ? – ვკითხე მე.

– პერნოდ.

– პატარა გოგონებისათვის პერნო როგორ შეიძლება?!

– შენ თვითონა ხარ პატარა გოგო. Diტეს, გარცონ, უნ პერნოდ.5

– მეც მომიტანე ერთი პერნო.

– რაო? – მკითხა მან, – გინდა, დრო გაატარო?

– რა თქმა უნდა. შენ?

– რა ვიცი. ამ ქალაქში რამეს გაიგებს კაცი!

– არ გიყვარს პარიზი?

– არა.

– რატომ სხვაგან არ წახვალ?

– არა მაქვს წასასვლელი.

– სულერთია, აქაც ბედნიერი ხარ.

– როგორც ჯოჯოხეთში!

პერნო აბსენტის მომწვანო სუროგატია. ცოტა წყალი თუ გაურიე, რძის ფერს მიიღებს. მირტკბილას გემო დაჰკრავს და პირველად აღგაგზნებს ხოლმე, მაგრამ მერე ერთბაშად მოგშლის. ვისხედით და ვსვამდით. გოგოს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

– ჰა, – მივმართე მე, – იქნებ ვახშამზე დამპატიჟო!

გაიჭყანა და მაშინვე მივხვდი, რატომ ერიდებოდა გაცივნებას. პირმოკუმული მშვენიერი გოგო ჩანდა. ფული გადავიხადე და ქუჩაში გავედით. ეტლს გავძახე და მეეტლემ ზედ ტროტუარზე მოაყენა. გადავწექით ნელსა და რბილად მიმავალ ფიაკრში და დე ლ,ოპერას ავენიუსკენ გავწიეთ. მაღაზიების ვიტრინები განათებული იყო, კარები – დაკეტილი, გაჩახჩახებულ ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ეტლმა ჩაუარა «ნიუ-იორკ ჰერალდის» რედაქციას, სადაც ყველა ფანჯარაში საათი იყო ჩასმული.

– რის მაქნისია ამდენი საათი? – მკითხა გოგომ.

– ამერიკის სხვადასხვა კუთხის დროს აჩვენებენ.

– რას მაბითურებ!

რიუ დე პირამიდის ავენიუსკენ შევუხვით, გავიარეთ ხალხით გაჭედილი რიუ დე რივოლი და ბნელი ჭიშკრით ტიუილრიში გავედით. მკერდზე მომეხუტა და ხელი მოვხვიე. თავი ასწია და ტუჩები საკოცნელად მომიშვირა. ხელი მომკიდა, მაგრამ მოვიშორე მისი ხელი.

– ტყუილა იწუხებ თავს.

– რა მოგივიდა? ავად ხომ არ ხარ?

– ჰო.

– ვინლა არ არის ავად! მეც ავად ვარ.

ტიუილრიდან სინათლეზე გავედით, სენა გადავჭერით და რიუ დე სენტ-პერისკენ შევუხვით.

– ავად თუ იყავი, პერნო არ უნდა დაგელია.

– არც შენ.

– ჩემთვის სულერთია. ქალისთვის სულერთია.

– რა გქვია?

– ჟორჟეტ. შენ რა გქვია?

– ჯეკობ.

_ ფლამანდიური სახელია.
 _ ამერიკულიც.
 _ ფლამანდიელი არა ხარ?
 _ არა, ამერიკელი.
 _ კიდე კარგი. ფლამანდიელები მძულს.
 ამასობაში რესტორანსაც მივადექით. გააჩერე-მეთქი, მეეტლეს გავძახე. ჩამოვხტით.
 ჟორჟეტს არაფრად ეპიტნავა რესტორანი.
 _ ეს რა რესტორანია!
 _ რას ამბობ, _ ვუთხარი მე, _ იქნებ ფოაიო გირჩევნია. რატომ არ დააცდევინე ეტლს _
 ბარემ ჩაჯდებოდი და გასწევდი!
 იმიტომ წამოვიყვანე, რომ რაღაც ბუნდოვანი სენტიმენტალური აზრი გამიჩნდა,
 ვინმესთან ერთად უფრო გემრიელად ვივახშმებ-მეთქი. დიდი ხანი იყო
 «ვარი-კასთან» აღარ მევახშმა და დავიწყებული მქონდა, რა მოსაწყენიც არის.
 შევედით რესტორანში, ჩავუარეთ მაღამ ლავინს, რომელიც საანგარიშო მაგიდასთან
 იჯდა, და პატარა ოთახში გავედით. საჭმელმა ცოტათი გაახალისა ჟორჟეტი.
 _ არც ისე ცუდი ყოფილა, _ თქვა მან, _ თვითონ რესტორანი ვერაფერიშვილია, მაგრამ
 კარგი საჭმელები ჰქონიათ.
 _ ერთი ლიეჟში გაჭმევინ ასე გემრიელად!
 _ ბრიუსელი უნდა გეთქვა.
 მეორე ბოთლი ღვინოც დავლიეთ და ჟორჟეტმა ხუმრობა დაიწყო. გაიღიმა, გამოაჩინა
 თავისი უხეირო კბილები, და ჩვენ ჭიქები მივაჭახუნეთ.
 _ კაი ბიჭი ყოფილხარ, _ თქვა მან, _ აფსუსია, ავად რომ ხარ. კარგად შევეწყობოდი
 ერთმანეთს. მაინც რა მოგივიდა?
 _ ომში დავიჭერი.
 _ ოჰ, ეს ბინძური ომი!
 ალბათ, შეეყვებოდი ომზე მსჯელობას და იმ დასკვნამდე მივიდოდი, რომ ომი
 ცივილიზაციის დამღუპველია და უმჯობესია თავიდან ავიცილოთ. მე ხომ ყელში
 ამომივიდა! უცებ მეორე ოთახიდან გაისმა:
 _ ბერნს! ჰეი, ბერნს! ჯეკობ ბერნს!
 _ მეგობარი მეძახის, _ ვთქვი და გამოვედი.
 დიდ მაგიდას ბრედოკსი და მთელი კომპანია შემოსხდომოდა: კონი, ფრენსის
 კლაინი, მისის ბრედოკსი და კიდეც ვილაცები.
 _ საცეკვაოდ არ წამოხვალ? _ მკითხა ბრედოკსმა.
 _ სადა?
 _ დანსინგში, რა თქმა უნდა. ჩვენ ისევ განვაახლეთ ცეკვა, არ გაგიგიათ? _ ჩაურთო
 მისის ბრედოკსმა.
 _ წამოდით, ჯეიკ, ყველანი მივდივართ, _ გამომძახა ფრენსისმა სუფრის ბოლოდან.
 წელში გამართულიყო და ილიმებოდა.
 _ წამოვა, აბა, რას იზამს, _ თქვა ბრედოკსმა, _ შემოგვიერთდი, ყავაზე დაგვეწვიე.
 _ კარგი.
 _ თქვენი მეგობარიც მოიყვანეთ, _ სიცილით მითხრა მისის ბრედოკსმა. კანადელი
 იყო და კანადური სილალე და უშუალობა ჰქონდა.
 _ გმადლობთ, ახლავე გადმოვალთ, _ ვთქვი მე და ჩვენს პატარა ოთახში შევბრუნდი.
 _ ვინ არიან ეს შენი მეგობრები? _ მკითხა ჟორჟეტმა.
 _ მწერლები და მხატვრები.
 _ მთელი გამოღმა მხარე სულ მაგათია.

_ ძალიან ბევრნი არიან.
 _ ძალიან. თუმცა ზოგ-ზოგი მაინც კარგად აკეთებს ფულს.
 _ ო, იცოცხლე!
 მოვრჩით ვახშამს, ღვინოც გამოვცალეთ.
 _ წავიდეთ, _ ვთქვი მე, _ ყავა იმათთან ერთად დავლიოთ.
 ჟორჟეტმა ჩანთა გახსნა, სარკეში ჩაიხედა და პუდრი წაისვა, მერე ტუჩებზე პომადა წაიცხო და ქუდი წამოსწია.
 _ წავიდეთ.
 ხალხით გაჭედილ ოთახში შევედი, ბრედოკსი და სხვა მამაკაცები წამოდგნენ.
 _ ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი Fიანცეე.7 მადმუაზელ ჟორჟეტ ლებლანი, _ ვთქვი მე. ჟორჟეტმა თავისი მომხიბლავი ღიმილით გაიღიმა. ყველას ჩამოვართვით ხელი.
 _ მომდერალ ჟორჟეტ ლებლანისა ხომ არაფერი ხართ? _ ჰკითხა მისის ბრედოკსმა.
 _ ჩონჩაის პას,8 _ უპასუხა ჟორჟეტმა.
 _ ერთნაირი რომ გაქვთ სახელიცა და გვარიც! _ გულწრფელი დაინტერესებით ჩაეკითხა მისის ბრედოკსი.
 _ არაფერიც, _ მიუგო ჟორჟეტმა, _ სულაც არა. ჩემი გვარი ჰობენია.
 _ მისტერ ბერნსმა რომ მადმუაზელ ჟორჟეტ ლებლანად გაგვაცნო თქვენი თავი? ასე არა თქვა? _ არ ეშვებოდა მისის ბრედოკსი და ფრანგულის ლაპარაკით ისე აღგზნებულიყო, რომ აღარც კი ესმოდა თავისივე წარმოთქმული სიტყვების Dშინაარსი.
 _ ეს სულელია, _ თქვა ჟორჟეტმა.
 _ აჰ, იხუმრა? _ იკითხა მისის ბრედოკსმა.
 _ დიახ, გასაცინებლად, _ მიუგო ჟორჟეტმა.
 _ არ გესმის, ჰენრი! _ სუფრის ბოლოში გასმახა მისის ბრედოკსმა ქმარს, _ მისტერ ბერნსმა თავისი Fიანცეე მადმუაზელ ლებლანად გაგვაცნო, ნამდვილად კი ჰობენი ყოფილა.
 _ რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, მადმუაზელ ჰობენია, რამდენი ხანია ვიცნობ.
 _ ო, მადმუაზელ ჰობენ, _ მიმართა ფრენსის კლაინმა, რომელიც ფრანგულს სხაპასხუპით ლაპარაკობდა, მაგრამ მისის ბრედოკსისაგან განსხვავებით, არც უკვირდა ეს და არც დიდად ამყობდა, _ დიდი ხანია პარიზში ხართ? მოგწონთ აქურობა? ხომ გიყვართ პარიზი? ჰა?
 _ ვინ არის ეს ქალი? _ მომიბრუნდა ჟორჟეტი, _ უსათუოდ უნდა ვუპასუხო? მერე ფრენსისისკენ მიბრუნდა, რომელიც გულხელდაკრეფილი იჯდა, იღიმებოდა, თავი მომაღლოდ დაეჭირა მაღალ კისერზე და ტუჩები ისე მოეპრუწა, რომ ეტყობოდა, კვლავ სალაპარაკოდ იყო გამზადებული.
 _ არა, არ მიყვარს პარიზი. ძვირია და ჭუჭყიანი.
 _ მართლა? მე კიდევ ძალიან სუფთა მეჩვენება _ მთელ ევროპაში ყველაზე უსუფთავესი ქალაქია.
 _ მე კი მგონია, რომ ჭუჭყიანია.
 _ რა უცნაურია! ალბათ, დიდი ხნის ჩამოსული არა ხართ.
 _ კარგა ხნის ჩამოსული ვარ.
 _ მაგრამ კარგი ხალხი კია, ეს უნდა ვადიაროთ.
 ჟორჟეტი მე მომიბრუნდა.
 _ მშვენიერი მეგობრები გყოლია.

ფრენსისი შემთვრალი იყო და ლაპარაკი ეხალისებოდა, მაგრამ ყავა შემოიტანეს, მერე ლავინმა ლიქიორი მოგვართვა, რის შემდეგაც ბრედოკს ხათრი აღარ გავუტეხეთ და საცეკვაო კლუბისკენ გავემართეთ.

ეს საცეკვაო კლუბი Bალ მუსეტტე⁹ იყო რიუ დე ლა მონტენ სენ-ჟენვიზე. პანთეონის უბანში მცხოვრები მუშა ხალხი კვირაში ხუთ დღეს იქა ცეკვავდა, ერთი საღამო დანსინგ-კლუბად იყო გადაქცეული, ხოლო ორშაბათობით კეტავდნენ. ჩვენ რომ მივედით, კლუბში კაცის ჭაჭანება არ იყო, მარტო პოლიციელი ჩამომჯდარიყო კარებთან, კლუბის პატრონი და მისი მეუღლე დახლში იდგნენ. შევედით თუ არა, ზემოდან პატრონის ქალიშვილი დაეშვა. ოთახში გრძელი სკამები და მაგიდები იდგა, ბოლოში კი საცეკვაო მოედანი ჰქონდათ მოწყობილი.

_ ნეტა უფრო ადრე იკრიბებოდეს ხალხი, _ თქვა ბრედოკსმა. ქალიშვილი მოგვიახლოვდა და გვკითხა, დასაღევი რა მოგართვათო. კლუბის პატრონი მოედნის ახლოს, ტაბურეტზე წამოჯდა და აკორდეონი გაწელა. კანაფზე ასხმული ეჟენები ცალ კოჭზე შემოეკრა და მუსიკის ტაქტს ფეხსაც აყოლებდა. ყველა ცეკვავდა. ცხელოდა და მოედნიდან გაოფლიანებულები გამოვედით.

_ ღმერთო ჩემო, _ თქვა ჟორჟეტმა, _ ეს რა კოლოფია, სულ ოფლად გავიღვარე.

_ ცხელა.

_ ჯოჯოხეთური სიცხეა!

_ ქუდი მოიხადე.

_ კარგი გამახსენე.

ჟორჟეტი ვიღაცამ საცეკვაოდ გაიწვია, მე დახლს მივადექი. მართლაც ძალიან ცხელოდა და აკორდეონი სასიამოვნოდ ჟღერდა ამ ცხელ ღამეში. ღია კარში ვიდექი, ლუდი დავლიე და შუბლი ქუჩიდან მონაბერ გრილ ნიავს მივუშვირე. დაღმართზე ორი ტაქსი დაეშვა. კლუბის წინ გაჩერდა ორივე. ყმაწვილი კაცები ჩამოხტნენ. ზოგს ჯემპრი ეცვა და ზოგს _ მოკლესახელოებიანი პერანგი. კარიდან გაჭრილ სინათლეზე კარგად ვხედავდი მათ ხელებსა და ახალდაბანილ, დახვეულ თმებს. კართან მდგომმა პოლიციელმა შემომხედა და გამიღიმა. ყმაწვილები დარბაზში შემოვიდნენ მანჭვა-გრეხითა და ყბედობით, სანთლის შუქზე კარგად გავარჩიე თეთრი ხელები, დახვეული თმები და თეთრი სახეები. ბრეტიც მათ ახლდა. ძალიან ლამაზი ჩანდა და, ეტყობოდა, კარგად იყო შეწყობილი ამ ბიჭებთან.

ერთმა მათგანმა ჟორჟეტი დაინახა და მაშინვე წამოიძახა: «აჰა, ნამდვილი კახა. ლეტ, აბა, გვიყურე, უნდა ვაცეკვო».

მაღალმა, შავგვრემანმა ბიჭმა, რომელსაც ლეტი ერქვა, უთხრა: «კარგი ერთი, აყალმაყალი არ ატეხო».

თმდახვეულმა ქერა ბიჭმა უპასუხა: «შენ ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო კარგო». და ბრეტიც ამათთან იყო.

გული ყელში მომეხვინა. თავს ვერ ვიკავებდი, მუდამ საშინლად მაბრაზებდა მათი მანჭვა-გრეხა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ სასაცილოდ მიაჩნიათ ხოლმე და უნდა მოუთმინოო, ამბობენ. მინდოდა, ერთი მაგრად ჩამეფარებინა რომელიმესთვის, სულერთია, ვინ იქნებოდა, და ეს უტიფრული მანჭვა დამევიწყებინა. ამის ნაცვლად, გარეთ გავედი, ქუჩას დავუყევი და მეზობელ საცეკვაო დარბაზში ლუდი დავლიე. ცუდი ლუდი შემხვდა და გემოს გამოსასწორებლად კონიაკი დავაყოლე, მაგრამ ის კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა. უკან რომ დავბრუნდი, მოედანზე გახურებული ცეკვა ჰქონდათ. ჟორჟეტი ცეკვავდა იმ მაღალ, ქერა ბიჭთან, რომელსაც თავი გვერდზე გადაეღრიცა, თვალები მაღლა ჰქონდა აბრეცილი და თეძოებს აქეთ-იქით

გრეხდა. შეწყდა თუ არა მუსიკა, ახლა მეორემ გაიწვია საცეკვაოდ. სულ წამართვეს. ვიცოდი, რომ სათითაოდ ყველა იცეკვებდა მასთან. ასეთი ადათი აქვთ.

მაგიდას მივუჯექი. კონიცი იმ მაგიდასთან იჯდა. ფრენსისი ცეკვავდა. მისის ბრედოკსმა ვიღაც მოიყვანა და გაგვაცნო _ რობერტ პრენტისი არისო. ნიუიორკელი იყო, ჩიკაგოში დაბადებული და მწერლობაში კარგი პირი უჩანდა. რაღაც უცნაური ინგლისური აქცენტით ლაპარაკობდა. ღვინოზე მოვიწვიე.

_ გმადლობთ, _ მიპასუხა მან, _ ეს არის, დავლიე.

_ კიდევ დალიეთ.

_ გმადლობთ, დავლევ.

კლუბის პატრონის ქალიშვილს მოვუხმეთ და თითო ჭიქა წყლიანი კონიაკი დავუკვეთეთ.

_ როგორც მითხრეს, თქვენ კანზას-სიტიდან უნდა იყოთ, _ თქვა მან.

_ დიახ.

_ პარიზი მოგწონთ?

_ დიახ.

_ მართლა?

შემთვრალი ვიყავი; ძალიან კი არა, მაგრამ ისე ვიყავი, რომ დიდი წილადობილას თავი არა მქონდა.

_ დიახ, ღმერთმანი, _ ვუთხარი მე, _ თქვენ?

_ რა მომხიბლავი გაბრაზება გცოდნიათ! _ თქვა მან, _ ნეტა მეც შემეძლოს.

ავდექი და საცეკვაო მოედნისაკენ გავემართე. მისის ბრედოკსიც გამომყვა.

_ რობერტზე ნუ გაბრაზდებით, _ მითხრა მან, _ ხომ ხედავთ, ჯერ კიდევ ბავშვია.

_ არც გაგბრაზებულვარ. ისე გავიფიქრე, გული არ ამერიოს-მეთქი.

_ თქვენს საცოლეს დიდი წარმატება ხვდა, _ თქვა მისის ბრედოკსმა და საცეკვაო მოედნისაკენ გაიხედა, სადაც ჟორჟეტი მაღალ, შავგვრემან ბიჭს ჰყავდა ჩაბლუჯული. ცეკვავდნენ.

_ მართლა?

_ ნამდვილად, _ მიპასუხა მისის ბრედოკსმა.

კონი შემოგვიერთდა.

_ წამოდი, ჯეიკ, _ თქვა მან, _ დავლიოთ, _ დახლთან მივედით, _ რა მოგივიდა? თითქოს რაღაცას შეუწუხებიხარო.

_ არა. ეს კიკილბაზობა მირევს გულს, მეტი არაფერი.

ბრეტის მოვიდა დახლთან.

_ გამარჯობათ, ბიჭებო.

_ გამარჯობა, ბრეტ, _ ვუთხარი მე, _ რატომ მთვრალი არა ხარ?

_ მორჩა, აღარც დავთვრები. სოდიან კონიაკს არ დააღვინებთ კაცს?

იდგა, ხელში ჭიქა ეჭირა და მე ვხედავდი, რომ რობერტ კონი მას მიშტერებოდა.

ოდესღაც, ალბათ, ასევე იყურებოდა მისი წინაპარი, როცა აღთქმული ქვეყანა დაინახა. კონი, რაღა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო, მაგრამ ისეთივე გაფაციცებული თვალებით შეჰყურებდა.

_ ძალიან ბრწყინვალე ხალხი კი გახლავს, ბრეტ! _ ვთქვი მე.

_ მართლა კარგები არიან, არა? შენ, ჩემო ძვირფასო, შენ სადღა გადაეყარე?

_ «ნაპოლიტენში».

_ კარგი სადამო გაატარეთ?

_ ო, დიდებული, _ ვუთხარი მე.

ბრეტმა გაიცინა.

_ ასე როგორ იქნება, ჯეიკ! ეს ყველას შეურაცხყოფაა. ხედავ, ფრენსისიც აქ არის, ჯოუც.

ეს კონის გასაგონად იყო ნათქვამი.

_ გაჭირვებისაა, _ თქვა ბრეტმა და კიდევ გაიცინა.

_ სულ არ გეტყობა სიმთვრალე, _ ვუთხარი მე.

_ მაშა!@ ხომ მართლა არ მეტყობა? ამისთანა ხალხში რომ მოხვდები, შეგიძლია გულდამშვიდებით სვა.

მუსიკა დაუკრეს და რობერტ კონმა ბრეტს მიმართა:

_ ჩემთან არ იცეკვებთ, ქალბატონო ბრეტ?

ბრეტმა გაუღიმა.

_ ჯეკობს შევპირდი, _ გაიცინა, _ ნამდვილი ბიბლიური სახელი გაქვს, ჯეიკ.

_ ამის შემდეგ?

_ უნდა წავიდეთ, _ უპასუხა ბრეტმა, _ მონმარტრზე მივდივართ.

ცეკვის დროს ბრეტის მხრებიდან გავხედე და ვნახე, რომ კონი ისევ დახლთან იდგა და კვლავ ბრეტს შეჰყურებდა.

_ ერთი კიდევ წამოეგო, _ ვუთხარი ბრეტს.

_ კარგი, თუ ღმერთი გწამს. საწყალი ბიჭი. აქამდე არც შემინიშნავს.

_ დიახ, რა თქმა უნდა, _ ვთქვი მე, _ ვითომ სულაც არ გიყვარს მაგისტანების შეგროვება.

_ ნეტა რას ჩმახავ!

_ თორემ არ გიყვარს!

_ ვთქვათ, მიყვარს! მერე რა?

_ არაფერი, _ ვუთხარი მე. ჩვენ აკორდეონის ხმაზე ვცეკვავდით. ვილაცამ ბანჯოსაც ჩამოჰკრა. ცხელოდა, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ჟორჟეტს ჩავუარეთ. ახლა ვილაც სხვასთან ცეკვავდა, იმავე ყმაწვილთაგან.

_ ნეტა რამ წამოგაყვანინა!

_ მე თვითონ არ ვიცი. ავდექი და წამოვიყვანე.

_ რომანტიკამ წამოგიარა?

_ არა, მოწყენილობამ.

_ ახლაც?

_ არა, ახლა არა.

_ წავიდეთ აქედან. არ მოგიწყენენ, ნუ გეშინია.

_ მართლა გინდა წასვლა?

_ რომ არ მინდოდეს, რატომ გეტყოდი.

მოედანს მოვშორდით. მე პალტო ჩამოვხსენი კედლიდან და ჩავიცვი. ბრეტი დახლთან იდგა. კონი ელაპარაკებოდა. მეც დახლთან შევდექი და კონვერტი მოვითხოვე. ჯიბიდან ორმოცდაათფრანკიანი ამოვიღე, კონვერტში ჩავდე, დავბეჭდე და დიასახლისს გადავეცი.

_ იმ გოგომ თუ მიკითხოს, ვისთან ერთადაც მოვედი, ეს გადაეცით, _ ვუთხარი მე, _ იმ ახალგაზრდა ყმაწვილებს თუ გაჰყვეს, მაშინ ისევ მე შემინახეთ, კარგი?

_ ჩ'ესტ ენტენდუ, მონსიეურ,10 _ მითხრა დიასახლისმა, _ უკვე მიდიხართ? ასე ადრე?

_ დიახ, _ მივუგე მე.

კარისაკენ გავემართეთ. კონი კვლავ რაღაცას ეჩიჩინებოდა ბრეტს. ბრეტი გამოემშვიდობა და ხელი გამომდო.

_ ნახვამდის, კონ, _ ვთქვი მე.

გარეთ რომ გამოვედით, ტაქსის დავუწყეთ ძებნა.

_ შენმა ორმოცდაათფრანკიანმა ჭირი მოგჭამა, _ მითხრა ბრეტმა.

_ რა თქმა უნდა!

_ ტაქსის ჭაჭანებაც არ არის.

_ პანთეონისკენ ავინაცვლოთ და იქ ვიშოვით.

_ აქვე, ბარში შევიდეთ სადმე და მანამ დავლევდეთ, ტაქსისაც გამოვუძახოთ.

_ ქუჩაზე გადასვლასაც კი ერიდები!

_ რატომაც არა, თუკი შეიძლება არ გადავიდე.

მეზობელ ბარში შევედით და ოფიციანტი ტაქსისთვის გავგზავნე.

_ აჰა, _ ვთქვი მე, _ ძლივს დავაღწიეთ თავი.

თუთიაგადაკრულ მაღალ დახლთან ვიდექით უხმოდ და ერთმანეთს შევყურებდით.

ოფიციანტი მოვიდა და ტაქსი გელოდებათო, გვითხრა. ბრეტმა ხელი მომიჭირა.

ოფიციანტს ფრანკიანი ვაჩუქე და გარეთ გამოვედით.

_ საით წავიდეთ? _ კვითხე მე.

_ სადმე გავისეირნოთ.

შოფერს ვუთხარი, მონსურის ბაღისაკენ წავიდეთ-მეთქი და კარი მოვიჯახუნე. ბრეტი კუთხეში მიიყუჟა და თვალები დახუჭა. მეც შევედი და გვერდში მოვუჯექი. მანქანა აძიგმიგდა და დაიძრა.

_ ო, რა უბედური ვარ, ჩემო კარგო! _ თქვა ბრეტმა.

თავი IV

ტაქსიმ გორაკი აიარა, განათებული მოედანი გადაჭრა, მერე ისევ სიბნელეში შეუყვია აღმართს, სიბნელეშივე აივაკა, სენტ ეტიენ დიუ მონს შემოუარა და ასფალტზე გასრიალდა, გასცდა ხეივანსა და ავტობუსის გაჩერებას კონტრესკარპის მოედანზე და რიუ მუფტარის ქვაფენილზე გავიდა. ქუჩის აქეთ-იქით გაჩახჩახებული ბარები და ჯერ კიდევ ღია დუქნები მოჩანდა. ერთმანეთის მოშორებით ვისხედით, მაგრამ ძველ ოღროჩოღრო ქუჩაზე რომ გავედით, მანქანამ შეგვანჯღრია და ერთმანეთს მიგვახალა. ბრეტმა ქუდი მოიხადა, თავი უკან გადასწია. ვიტრინიდან გამოჭრილ შუქზე მისი სახე გამოჩნდა, მერე ისევ დაბნელდა. ავნიუ დე გობელენზე რომ გავედით, უფრო გარკვევით დავინახე მისი სახე. ქუჩა სულ დათხრილი იყო და აცეტილენის შუქზე მუშებს ტრამვაის ხაზი გაჰყავდათ. ამ ელვარე შუქზე ბრეტის სახე და მაღალი კისერი ქათქათა თეთრი მოჩანდა. ისევ ჩაბნელდა და მე ვაკოცე. ჩვენი ტუჩები ერთმანეთს მიეწება, მერე ბრეტი მომშორდა და რამდენადაც კი შეიძლებოდა, კუთხეში მიიყუჟა. თავი ჩაქინდრა.

_ ნუღარ მომეკარები, _ თქვა მან, _ თუ ღმერთი გწამს, ნუღარ მომეკარები.

_ რა მოგივიდა?

_ აღარ შემიძლია.

_ ბრეტ!

_ ნუ! ხომ იცი, რომ არ შემიძლია. არ შემიძლია და რა ვქნა! ნუ, ჩემო კარგო, დამიჯერე.

_ არ გიყვარვარ?

_ გიყვარვარო? ხელს რომ მახლებ, ლამის ფაფად ვიქცე.

_ ვერაფერს ვიღონებთ?

ისევ გასწორდა. მე ხელი მოვხვით, იგი ზურგით მომეყრდნო და ასე წყნარად ვისხედით. თვალებში ჩამაშტერდა სწორედ ისე, როგორც მან იცოდა ხოლმე: დიდხანს რომ გაუსწორებდი თვალს, ეჭვი შეგეპარებოდა, ხედავს რამეს თუ არაო. ქვეყნად ვერავისი თვალები ვერ გაუძლებდა ამდენ ხანს ცქერას, ისინი კი მოგშტერებოდნენ და მოგშტერებოდნენ. ისე გიყურებდნენ, თითქოს ქვეყანაზე არაფერი იქნება ისეთი, ასევე არ გაუსწოროს თვალიო. სინამდვილეში კი ბევრი რამისა ეშინოდა.

_ მაშ, არაფერი შეგვიძლია ვიღონოთ, სულ არაფერი? _ ვთქვი მე.

_ არ ვიცი, აღარ მინდა კიდევ გავიარო ის ჯოჯოხეთი.

_ სჯობია, აღარც შევხვდეთ ერთმანეთს.

_ უშენოდაც რომ ვერ გავძლებ, ჩემო ძვირფასო! შენ რომ გგონია, მარტო იმაზე არ არის საქმე.

_ ჰო, მაგრამ საბოლოოდ მაინც იქამდე მიდის ყველაფერი.

_ ეგ ჩემი ბრალია. რასაც კი ვაკეთებთ ხოლმე, ყველაფრის სამაგიერო გადაგვხდება. ერთთავად მე მომშტერებოდა. მისი თვალები სულ სხვადასხვა სიღრმისა ჩანდა, ზოგჯერ სავსებით ბრტყელი გეჩვენებოდა. ახლა კი თითქმის ფსკერსაც ვხედავდი.

_ რომ გავიხსენებ, რა ჯოჯოხეთურად გამიწამებია ხოლმე ეს ყმაწვილები, იმის სამაგიეროს ახლა ვიხდი.

_ რა სულელივით ლაპარაკობ, _ ვუთხარი მე, _ ეგეც რომ არ იყოს, ხალხს ამისთანა საქმე, მე რომ მჭირს, სასაცილოდ აქვს გახდილი. მე სულაც არ ვფიქრობ ხოლმე ამაზე.

_ რაღა თქმა უნდა. ადვილი დასაჯერებელია.

_ მოდი, მოვეშვათ.

_ იყო დრო, მე თვითონვე ვიცინოდი ამაზე, _ მე აღარ მიყურებდა, _ ჩემი ძმის მეგობარი დაბრუნდა სწორედ ასე, მონსიდან. სასაცილოდაც არა ჰყოფნიდათ. ახალგაზრდებს, აბა, რა ესმით! არა, განა?

_ ასეა, _ ვუთხარი მე, _ არავისაც არ ესმის.

მე უკვე შევეგუე ამას. ჯერ ალბათ ათასწაირად ავწონ-დავწონე, ისიც გავითვალისწინე, რომ სხვისი ნაკლი და ხეიბრობა ხალხს სალაზღანდაროდ გაუხდია, მაშინ როდესაც თვითონ იმ კაცს სულაც არ აქვს სალაზღანდაროდ საქმე.

_ სასაცილოა, _ ვთქვი მე, _ ძალიან სასაცილოა. და კიდევ უფრო სასაცილო სიყვარულია.

_ ვითომ? _ თვალები ისევ გაუბრტყელდა.

_ სასაცილო სულ სხვა თვალსაზრისით, თორემ ისე, იცოცხლე, სასიამოვნო გრძნობაა.

_ მე კი მგონია, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთია, _ თქვა მან.

_ კარგია ერთმანეთის სიახლოვე.

_ არა, არა მგონია.

_ შენ არ გსიამოვნებს?

_ მე უშენოდ არ შემიძლია.

ახლა უკვე უცნობეზივით ვისხედით. მარჯვნივ მონსურის ბაღი გადაშლილიყო. რესტორანი, სადაც ცოცხალი კალმახები ჰყავდათ აუზში, და სადაც შეგეძლო მჯდარიყავი და ბაღისთვის გეცქირა, დაკეტილი და ჩაბნელებული იყო. შოფერმა თავი მოაბრუნა.

_ საით წავიდეთ? _ ვკითხე ბრეტს.

_ «სელექტში».

_ კაფე «სელექტი»? _ ვუთხარი შოფერს, _ მონპარნასის ბულვარზე, _ წავედით.

ჩავუარეთ ბელფორის ლომს, რომელიც მონრუჟის ტრამვაის ხაზს დარაჯობს. ბრეტი

პირდაპირ იყურებოდა. რასპაის ბულვარს რომ მივადექით, საიდანაც მონპარნასის ჩირაღდნები გამოჩნდა, ბრეტმა მითხრა:

_ ძალიან ხომ არ გამიბრაზდები, ერთი რამე რომ გთხოვო?

_ რას სულელობ!

_ მანამ ჩამოვიდოდეთ, ერთხელ კიდევ მაკოცე.

ტაქსი რომ გაჩერდა, ჩამოვედი და ფული გადავიხადე. ბრეტი ქუდის სწორებით ჩამოვიდა. ჩამოსვლისას ჩემს ხელს დაეყრდნო. ხელი უკანკალებდა.

_ ძალიან აჩაჩული ვარ, არა? _ მამაკაცის თექის ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და კაფეში შევიდა. დახლსა და მაგიდებს თითქმის იგივე ხალხი შემოხვეოდა, ვინც ცეკვაზე იყო.

_ ჰელო, ყმაწვილებო! _ შესძახა ბრეტმა, _ უნდა დავლიო.

_ ბრეტ! ბრეტ! _ მოირბინა პატარა ბერძენმა პორტრეტისტმა, რომელიც თავის თავს ჰერცოგს უწოდებდა, სხვები კი ზიზის ეძახდნენ, _ კარგი რამე უნდა გითხრა!

_ ჰელო, ზიზი.

_ მინდა მეგობარი გაგაცნო, _ უთხრა ზიზიმ. მსუქანი კაცი მოგვიახლოვდა.

_ გრაფი მიპიპოპულო _ ჩემი მეგობარი ლედი ეშლი.

_ გამარჯობათ, _ უთხრა ბრეტმა.

_ როგორ გიკითხოთ, ქალბატონო? კარგ დროს ატარებს თქვენი ბრწყინვალე პარიზში?

_ ჰკითხა გრაფმა მიპიპოპულომ, რომელსაც საათის მეწკვზე ირმის კბილი ჰქონდა გამოზმული.

_ არა უშავს რა, _ მიუგო ბრეტმა.

_ რაც უნდა იყოს, პარიზი მშვენიერი ქალაქია, _ თქვა გრაფმა, _ მაგრამ, როგორც ვატყობ, თქვენ ლონდონშიაც ბრწყინვალედ ატარებთ დროს.

_ რა თქმა უნდა, _ მიუგო ბრეტმა, _ დიდებულად.

ბრედოკსმა მაგიდასთან მიმიხმო.

_ დალიე, ბერნს, _ მითხრა მან, _ შენი გოგოს გამო საშინელი ჩხუბი ატყდა.

_ რანაირად?

_ დიასახლისის ქალმა უთხრა რაღაც. ჯოჯოხეთური ჩხუბი დატრიალდა. ყოჩაღი გოგო გამოდგა, იცი. მაშინვე ყვითელი ბილეთი ამოაძრო და დიასახლისის ქალსაც მოსთხოვა, შენიც გვაჩვენეო. საშინელი ჩხუბი ატყდა.

_ მერე?

_ ვიღაცამ წაიყვანა. არ არის ურიგო გოგო. ისე სხაპასხუპით მიაყარა პარიზული ჟარგონი! დაჯექი, დავლიოთ.

_ არა, უნდა წავიდე, _ ვუთხარი მე, _ კონი არ გინახავთ?

_ ფრენსისს გაჰყვა სახლში, _ მიპასუხა მისის ბრედოკსმა.

_ საწყალი ბიჭი, ცხვირ-პირი ჩამოსტირის, _ თქვა ბრედოკსმა.

ბრეტს დახლთან გამოვემშვიდობე. გრაფი შამპანურს ახსნევინებდა.

_ ერთ ჭიქას არ დაგვილევთ, სერ? _ მკითხა მან.

_ არა. დიდი მადლობელი ვარ. უნდა წავიდე.

_ მართლა მიდიხარ? _ მკითხა ბრეტმა.

_ ჰო, _ ვუთხარი მე, _ თავი მისკდება.

_ ხვალ ვერ გნახავ?

_ რედაქციაში შემოიარე.

_ ვაი თუ ვერ მოვახერხო.

_ მაშ, სად გნახო?

_ სადმე, ხუთი საათისთვის.

_ გალმა შევხვდეთ.

- _ კარგი, ხუთ საათზე კრიონთან ვიქნები.
- _ არ დაგავიწყდეს, _ ვუთხარი მე.
- _ ფიქრი ნუ გაქვს, _ მიპასუხა ბრეტმა, _ როდის მომიტყუებიხარ.
- _ მაიკისა რა იცი?
- _ წერილი მივიღე დღეს.
- _ ღამე მშვიდობისა, სერ, _ მითხრა გრაფმა.

ქუჩაში გამოვედი და სენ მიშელის ბულვარისაკენ გავწიე, ჩავუარე კაფე «როტონდის» მაგიდებს, სადაც ისევ ბლომად იყო ხალხი, ქუჩის გადაღმა კაფე დომს გავხედე. ზედ ტროტუარზე გამოედგათ მაგიდები. ვილცამ ხელი დამიქნია მაგიდიდან, მაგრამ ვერ გავარჩიე, ვინ იყო და გზა განვაგრძე. სახლში მიმეჩქარებოდა. მონპარნასის ბულვარი დაცარიელებული იყო. «ლავინი» უკვე დაეკეტათ, ხოლო კლოზერი დე ლილას წინ მაგიდებს ალაგებდნენ. ჩავუარე ნეის ქანდაკებას, ახალშეფოთილი წაბლების წინ რომ დგას და რკალ-ნათურები ანათებს. კვარცხლბეკზე შემეჭნარი წითელი გვირგვინი იყო მიყუდებული. შევჩერდი და წარწერა წავიკითხე: «ბონაპარტისტთა ჯგუფისაგან» და რაღაც თარიღი ეწერა, აღარ მახსოვს. დიდებული ჩანდა მარშალი ნეი, თავის ჩექმებში, ამოღებული ხმალი წაბლის ახალგაშლილ მწვანე ფოთლებამდე უწევდა. მე იქვე ვცხოვრობდი, ქუჩის გადაღმა, სენ მიშელის ბულვარის დასაწყისშივე.

კონსიერჟის ოთახში სინათლე ენთო. კარზე დავაკაკუნე და ჩემი ფოსტა გადმომცა. ღამე მშვიდობისა ვუსურვე და მაღლა ავედი. ორი წერილი და რამდენიმე გაზეთი იყო. გაზის სინათლეზე გადავათვალიერე სასადილო ოთახში. წერილები ამერიკიდან იყო. ერთში ბანკის ანგარიში იდო. ნაშთი 2.432,60 დოლარს უდრიდა. ჩემი ჩეკების წიგნაკი ამოვიღე, ამ თვის პირველი რიცხვიდან გამოწერილი ოთხი ჩეკის თანხა გამოვიანგარიშე და ვნახე, რომ ნაშთი 1.832,60 დოლარი იყო. ეს რიცხვი ბანკის ანგარიშს მივაწერე მეორე გვერდზე. მეორე წერილი ქორწინების ბარათი აღმოჩნდა. მისტერ და მისის ალოიზიუს კიბრი იუწყებოდნენ თავიანთი ქალის _ ქეთრინის ქორწინების ამბავს. არც იმ გოგოს ვიცნობდი, არც იმ კაცს, ვისაც იგი მისთხოვდა. ალბათ მთელ ქალაქს აუწყეს ეს ამბავი. სასაცილო გვარი კია. დარწმუნებული ვარ, მართლა რომ მცოდნოდა ვინმე ალოიზიუსი, არაფრისდიდებით არ დამავიწყდებოდა. ნამდვილი კათოლიკური გვარია. უწყებაზე გერბის გამოსახულებაც იყო. რაღა ეს და რაღა ზიზი _ ბერძენი ჰერცოგი. ან ის გრაფი. რა სასაცილო გრაფია! ტიტული ბრეტსაც აქვს. ლედი ეშლი. ჯანდაბას ბრეტის თავი! ჯანდაბამდის გზა გქონია, ლედი ეშლი!

სასთუმალთან ლამპა ავანთე, გაზი ჩავაქრე და ფართო ფანჯრები გავადე. საწოლი ფანჯრების მოშორებით მედგა. ლოგინთან ახლოს ჩამოვჯექი და გახდა დავიწყე. გარეთ, ტრამვაის ხაზზე, ღამის მატარებელმა გაიარა, რომელსაც ბოსტნეული მოჰქონდა ბაზრებისათვის. საშინლად გრუხუნებენ ეს მატარებლები ღამით, როცა არ გძინავს. გახდას რომ მოვრჩი, იქვე, საწოლთან მდგარი დიდი კარადის სარკეში ჩავიხედე. ნამდვილი ფრანგული სტილით იყო ოთახი მოწყობილი. თან მოხერხებულაც არის. საგანგებოდ უნდა შეეცადო კაცი, რომ ასე დაიჭრა! მართლაც რომ სასაცილოა. პიჟამა ჩავიცვი და ლოგინში ჩავწექი. ორი სასპორტო გაზეთი მქონდა და ბანდეროლები შემოვადგერე. ერთი ნარინჯისფერი იყო, მეორე _ ყვითელი. ორივეში ერთი და იგივე ამბები იქნებოდა, და რომელიც უნდა წამეკითხა პირველად, სულერთია, მეორეს გემოს დაუკარგავდა. «ლე ტიროლი» უფრო კარგი გაზეთი იყო და ის გავშალე. თავიდან ბოლომდე გადავიკითხე, პატარა კორესპონდენციები და ხუმრობა-გამოცანებიც არ გამომიტოვებია. ლამპა ჩავაქრე, იქნებ როგორმე დამეძინოს.

მაშინვე ამუშავდა ტვინი. ძველი ნაღველი ამეშალა. მართლაც რა სამაგლობაა გაქცევის დროს დაჭრა და ისიც იმნაირ სასაცილო ფრონტზე, როგორიც იტალიის ფრონტი იყო. იტალიის ჰოსპიტალში რაღაც საზოგადოების დაარსება დავაპირეთ. იტალიურად სასაცილო გამოდიოდა მისი სახელწოდება. ნეტა, სხვებს რა მოუვიდათ, იმ იტალიელებს. ეს იყო მილანის OOSპედალე მაგგიორე 11-ში, პონტეს კორპუსში. ჩვენ გვერდით ზონდას კორპუსიც იდგა. იქვე იყო პონტეს ქანდაკება. ანდა იქნებ ზონდასი იყო! სწორედ იქ მომინახულა მეკავშირე განაყოფის პოლკოვნიკმა. სასაცილო იყო. პირველად მაშინ გამეცინა. მე სულ სახვევებში ვიყავი. მაგრამ იქ უთხრეს ჩემი ამბავი და სწორედ მაშინ წარმოთქვა ის საოცარი სიტყვა: «თქვენ სიცოცხლეზე მეტი გაიღეთ, უცხოელო, ინგლისელო!» (ყველას ინგლისელს ემახდნენ, ვინც კი უცხოელი იყო). რა სიტყვა იყო! ნეტა ნათურის ასოებით ააწყონ და რედაქციაში ააელვარონ. განა სასაცილოდ თქვა! ალბათ ჩემს დღეში წარმოიდგინა თავი. ჩვე მალა ფორტუნა! ჩვე მალა ფორტუნა!12

ადრე ერთხელაც არ დავუფიქრებია არამას. ვცდილობდი, არაფრად ჩამეგდო და სხვები არ შემეწუხებინა. ალბათ, არც არასოდეს ვიგრძნობდი ჩემს სივარულს, შემთხვევით ბრეტს რომ არ გადავყროდი, როცა ინგლისში გამაგზავნეს. მე მგონი, იმან შეუძლებელი მოინდომა. ასე მოსდის ხოლმე ხალხს. ჯანდაბას ხალხის თავი! კათოლიკურ ეკლესიას ძალიან კარგი წესი აქვს ასეთ დროს. მართლაც რომ კარგი რჩევაა. არ უნდა იფიქრო. დიდებული რჩევაა. მაგრამ სცადე და მისდით მაგ წესს. აბა, სცადე.

ვიწექი და ვფიქრობდი. სად არ გადამახტუნა ფიქრებმა! ველარ დავთრგუნე და ისევ ბრეტი გავიხსენე. სხვა ყველაფერი ერთბაშად გაქრა. ბრეტზე ფიქრი დავიწყე და ფიქრიც უკვე აღარ მახტუნავდა აქეთ-იქით, თითქოს წყნარ დინებას მიჰყვა. მერე უცებ ტირილი წამსკდა. ცოტა ხნის შემდეგ გულს მომეფონა, ვიწექი ლოგინში და ქუჩიდან მესმოდა მძიმე ვაგონების გრუხუნის. მერე ჩამეძინა.

გამომეღვიძა. გარეთ ჩხუბი იყო. დავაყურადე და თითქოს ხმა მეცნაურა. ხალათი ჩავიცვი და კარს მივაღექი. ქვემოთ კონსიერჟი ქაქანებდა. ძალიან გაბრაზებული ჩანდა. ჩემი სახელი მომეყურა და ჩავძახე.

_ თქვენ ხართ, მუსიე ბერნს? _ ამომძახა კონსიერჟმა.

_ დიახ, მე ვარ.

_ აქ ვიღაც ქალია, მთელი ქუჩა ფეხზე დააყენა. ამ შუალამისას ასეთი თავის აგდება გაგონილა? თქვენი ნახვა უნდა. სძინავს-მეთქი, მე ვუთხარი.

მერე ბრეტის ხმა გავიგონე. ნამძინარევს, პირველად ჟორჟეტი მეგონა. არ ვიცი, რატომ. ჩემს მისამართს საიდან გაიგებდა!

_ გამოუშვით ჩემთან.

ბრეტი კიბეზე ამოვიდა. გამობრუებული იყო.

_ რა სისულელეა, _ თქვა მან, _ საჩხუბარი რა იყო. არა სძინავს-მეთქი, ვეუბნები. ხომ არ გეძინა?

_ შენ როგორ გგონია, რას ვაკეთებდი?

_ რა ვიცი. რა დროა?

კედლის საათს ავხედე. ხუთის ნახევარი იყო.

_ აზრზე არ ვიყავი, რომელი საათი იქნებოდა, _ თქვა ბრეტმა, _ არ შეიძლება კაცი დაჯდეს? ნუ გამიბრაზდები, ჩემო ძვირფასო. ეს არის, გრაფს დავშორდი. იმან მომიყვანა აქ.

_ რა კაცია? _ კონიაკი და სოდა გამოვიტანე და ჭიქები მოვამზადე.

_ ერთი ყლუპი, _ თქვა ბრეტმა, _ რატომ გინდა დამათრო! გრაფზე მეკითხები? ისე რა. ჩვენი კაცია.

_ მართლა გრაფია?

_ შენ გაგიმარჯოს. მე მგონი, ჰო. ყოველ შემთხვევაში, გრაფობის ღირსია. ხალხის ასავალ-დასავალი სულ ზეპირად იცის. საიდან, არ იკითხავ? ტკბილეულის დუქნების ქსელი აქვს ამერიკაში.

კონიაკი მოსვა.

_ მგონი, ქსელიო, ასე თქვა. თუ ამისმაგვარი რაღაცა. გადაბმული აქვს ერთმანეთზე _ ცოტ-ცოტა რაღაცები მიაძბო. ძალიან საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენი კაცია. სულ ჩვენია. ეჭვიც არ შეგეპაროს. ზედვე ეტყობა.

კიდევ მოსვა.

_ თუმცა მე რაში მეკითხება! ხომ არ მიბრაზდები? ზიზისაც მაგრად ეხმარება, იცი!

_ ზიზიც ნამდვილი ჰერცოგია?

_ რა გასაკვირია. ბერძენი არ არის? ბითური მხატვარია. გრაფი უფრო მომწონს.

_ სად წახვედით?

_ სად არ ვიყავით! ბოლოს აქ მომიყვანა. ათი ათასი დოლარი შემომადგლია, ბიარიცში გამომყევით. ეს რამდენი გირვანქა გამოდის?

_ ორი ათას გირვანქამდე.

_ დიდძალი ფულია. ვერ გამოგყვები-მეთქი, ვუთხარი. ბიარიცში ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი.

ბრეტმა გაიცინა.

_ რა მძიმე-მძიმედა სვამ! _ მითხრა მან. მე ჯერ მხოლოდ პირი გავისველე კონიაკით. ახლა კარგა ბლომად მოვსვი.

_ ასე არა სჯობია! ძალიან სასაცილო კი იყო, _ განაგრძო ბრეტმა, _ მაშინ კანში გამომყევით. კანშიაც ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი. მონტე კარლოშიო? მონტე კარლოშიაც ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი. ყველგან ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი. მართლაც ასე არ არის? და მერე აქ მოყვანა ვთხოვე.

მე შემომყურებდა. ხელები მაგიდაზე დაეყრდნო. ჭიქა ასწია.

_ ასე ნუ მიცქერი, _ თქვა მან, _ შენზე ვუთხარი, მიყვარს-მეთქი. ეგეც მართალი არ არის? ასე ნუ მიცქერი. არც ეს სწყენია. ხვალ სადღაც ვახშმად გვეპატიჟება. არ წამოხვალ?

_ რატომაც არა!

_ ახლა კი სჯობია, წავიდე.

_ რატომ?

_ შენი ნახვა მინდოდა. სულელურმა აზრმა გამკრა. არ გინდა, ჩაიცვა და წამოხვიდე? აგერ, მანქანით გველოდება ქუჩაში.

_ გრაფი?

_ გრაფი და ლივრეიანი შოფერი. ჩემთან გასეირნება სურს. მერე კი ბულონის ტყეში ვისაუზმებთ. სავსე კალათი მოაქვს. ზელისგან წამოიღო მთელი დუჟინი მუმის ბოთლები. სულმა არ წაგძლია?

_ დილით სამუშაო მაქვს, _ ვთქვი მე, _ ეგეც არ იყოს, ძალიან ჩამოგრჩით და ვეღარ დაგეწევით. მხარს ვერ აგიბამთ.

_ ნეტა რას ტუტუცობ!

_ მართლა არ შემიდლია.

_ კარგი. შენგან ნაზი მოკითხვა არ გადავცე?

_ უნაზესი.

_ ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო.

_ ძალიან ნუ გამინაზღებია.

_ ო, როგორ მომშალე.

გამოსამშვიდობებლად ერთმანეთს ვაკოცეთ და ბრეტს გააჟრჟოლა.

_ სჯობია, წავიდე, _ თქვა მან, _ ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო.

_ სულაც არ იყო საჭირო შენი წასვლა.

_ უნდა წავიდე.

კიბეზე კიდევ ვაკოცეთ ერთმანეთს და კონსიერჟს რომ გავძახე, ზონარი გამოსწიე-მეთქი, თავისი კარის უკან რაღაც ჩაიდუღდუნა. მაღლა ავბრუნდი და ღია ფანჯრიდან გადავხედე, როგორ გაჰყვა ბრეტი ქუჩას და დიდ ლიმუზინთან მივიდა, რომელიც ტროტუართან უცდიდა, რკალ-ფანრის ქვეშ. შევიდა და მანქანაც დაიძრა. მე ფანჯარას მოვშორდი. მაგიდაზე ერთი ცარიელი და მეორე ნახევრად სავსე ჭიქა იდგა. სამზარეულოში გავიტანე და კონიაკიანი ჭიქა ბაკანში მოვაპირქვავე. სასადილო ოთახში გაზი ჩავაქრე, ლოგინზე ჩამომჯდარმა ფაჩუჩები წავიდვრე და დავწექი. ესეც შენი ბრეტი _ მაგის გულისთვის ვტიროდი! მერე წარმომიდგა, როგორ გაიარა ქუჩა და როგორ ჩაჯდა მანქანაში. რაღა თქმა უნდა, ისევ ძაღლის გუნებაზე დავდექი. დღისით ძალიან ადვილია გულგრილად უყურო ყველაფერს, ღამით კი სულ სხვა საქმეა.

თავი V

მეორე დილას ბრიოშის შესაჭმელად და ყავის დასალევად ბულვარი გადავჭერი და სუფლოს ქუჩაზე გავედი. მშვენიერი დილა იდგა. ლუქსემბურგის ბაღში წაბლის ხეები ყვავდა. იგრძნობოდა ცხელი დღის მომასწავებელი ადრიატიკის დილის საამური სიგრილე. ყავის სმამი გაზეთები გადავიკითხე და სიგარეტი გავაბოლე. მეყვავილე ქალებს ბაზრიდან ყვავილები მოჰქონდათ და მთელი დღის მარაგს ალაგებდნენ. სტუდენტებიც გამოშლილიყვნენ _ ზოგი იურიდიულ სასწავლებელში მიდიოდა, ზოგიც სორბონში. ტრამვაებს და სამსახურში მიმავალ ხალხს ბულვარზე გვერდს ვერ აუქცევდი.

ავტობუსში ჩავჯექი და მადლენის ეკლესიამდე მივედი, უკანა ბაქანზე ვიდექი.

მადლენის ეკლესიიდან ოპერამდე კაპუცინების ბულვარი გადავჭერი და იქიდან კი რედაქციისაკენ გავწიე. მხტუნავი ბაყაყებითა და სათამაშო მოკრივეებით მოვაჭრეებს ჩავუარე, ფრთხილად გავიარე ქუჩის კიდეზე, რომ ფეხი არ გამბლანდვოდა ძაფებში, რომლითაც ვაჭრის თანაშემწე გოგო მოკრივეებს ამოძრავებდა. ძაფის თავები გადაჯვარედინებულ ხელებში ეჭირა, თვითონ კი განზე იყურებოდა. სათამაშოებით მოვაჭრე ორ ტურისტს ეჩიჩინებოდა _ იყიდეთო. სამი სხვა ტურისტიც შეჩერებულყო და ათვალიერებდნენ. ჩემს წინ კაცი მიდიოდა და რაღაცნაირ საგორავს მიაგორებდა, რასაც ტროტუარზე სველი ასოებით გამოჰყავდა სიტყვა RINDANO ხალხი სამუშაოზე მიემუშავებდა. სასიამოვნო იყო სამსახურში წასვლა.

ავენიუ გადავჭერი და რედაქციაში შევედი.

ზემოთ რომ ავედი, ფრანგული გაზეთები გადავიკითხე, თამბაქო გავაბოლე, საბეჭდო მანქანას მივუჯექი და კარგა გვარიანად ვიმუშავე. თერთმეტ საათზე კე დ'ორსესკენ გავწიე ტაქსით, სამინისტროში შევედი და ბარე თორმეტამდე სხვა კორესპონდენტთან ერთად ახალგაზრდა დიპლომატს, საგარეო საქმეთა

სამინისტროს წარმომადგენელს ვუსმენდი, რომელსაც რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა: მთელი ნახევარი საათი ლაპარაკობდა და შეკითხვებზე უპასუხებდა. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ლიონში წასულიყო სიტყვის წარმოსათქმელად, უფრო სწორად, ახლა ალბათ უკანვე ბრუნდებოდა ლიონიდან. რამდენიმე კორესპონდენტმა თავისივე ხმის გასაგონად მისცა შეკითხვა, დეპუტატა სააგენტოს ორიოდ წარმომადგენელმა კი პასუხისათვის. ახალი არაფერი თქმულა. სამინისტროდან საზიარო ტაქსით დავბრუნდით უოლსი, კრამი და მე.

_ ღამლამობით რას აკეთებთ ხოლმე, ჯეიკ? _ მკითხა კრამმა, _ რაღაც არ ჩანხართ.

_ გაღმა გავდივარ, ლათინურ კვარტალში.

_ მეც უნდა წავიდე ერთ ღამეს. დინგოში. დიდებული ადგილია, ხომ?

_ კი. ან იმაში და ან ახალ რესტორანში _ სელექტში.

_ რამდენჯერ დავაპირე წასვლა, _ თქვა კრამმა, _ მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ცოლი, ბავშვები.

_ ჩოგბურთს არ თამაშობთ? _ ჰკითხა უოლსიმ.

_ არა, _ თქვა კრამმა, _ წელს თითქმის სულაც არ მითამაშია. ვერ იქნა და ვერ მოვაბი თავი, კვირაობით მუდამ წვიმს, კორტი კიდე ხალხითაა გაჭედული.

_ ინგლისელები შაბათობით ისვენებენ ხოლმე, _ თქვა უოლსიმ.

_ ბედნიერი ხალხია, _ თქვა კრამმა, _ არა უშავს რა. რედაქციას ხომ არ შევაბერდები: ერთხელაც იქნება, თავს დავანებებ და დრო ბევრი დამრჩება ქალაქგარეთ სასეირნოდ.

_ ყველაფერს ის აჯობებს, ქალაქგარეთ ცხოვრობდე და პატარა მანქანა გყავდეს.

_ საგაისოდ ვფიქრობ სწორედ მანქანის ყიდვას.

მინაზე დავაკაკუნე. შოფერმა გააჩერა მანქანა.

_ მოვედი, _ ვთქვი მე, _ ჩამოდით, თითო ჭიქა დავლიოთ.

_ გმადლობ, მეგობარო, _ მითხრა კრამმა, უოლსიმ თავი გააქნია, _ იმისი ამდილანდელი ნალაპარაკევი უნდა შევაკოწიწო.

კრამს ორფრანკიანი ჩავუდე ხელში.

_ გაგიჟდი, ჯეიკ? ფულს მე ვიხდი.

_ ეს ხომ რედაქციის ხარჯებია.

_ კარგი ერთი. მე უნდა გადავიხადო.

გამოსამშვიდობებლად ხელი დავუქნიე. კრამმა თავი გამოყო.

_ ოთხშაბათს საუზმეზე შევხვდებით.

_ უსათუოდ.

რედაქციაში ლიფტით ავედი. რობერტ კონი მელოდებოდა.

_ ჰელო, ჯეიკ, _ მითხრა მან, _ არ ვისაუზმობ?

_ ვისაუზმობ. ჯერ ვნახოთ, ახალი ხომ არაფერია.

_ სად ვისაუზმობ?

_ სადაც გინდა.

ჩემი მაგიდა გავსინჯე.

_ შენ თვითონ სად გინდა?

_ ვეიტცელზე რას იტყვი? კარგი საუზმე აქვთ ხოლმე.

რესტორანში საუზმე და ლუდი დავუკვეთეთ, ოფიციატმა თიხის მაღალი ტოლჩებით მოგვითანა ლუდი, ისეთი ცივი, რომ გარედან სულ მძივები დააყარა. ათასნაირი საუზმე მოგვართვეს.

_ წუხელ ბევრი იმხიარულეთ?

_ არა. არც ისე.

_ წერის საქმე როგორ არის?

- _ სადაგლად. მეორე წიგნს ვერა და ვერ მოვაბი თავი.
 - _ ყველას ასე მოსდის.
 - _ ვიცი, მაგრამ მოსვენება მაინც დაკარგული მაქვს.
 - _ სამხრეთ ამერიკაში წასვლაზე კიდევ ფიქრობ?
 - _ კიდევ ვფიქრობ.
 - _ რაღა გიშლის?
 - _ ფრენისი.
 - _ ისიც წაიყვანე.
 - _ არ წამოვა. ამისთანა რამეები არ უყვარს. ხალხში ტრიალი უყვარს.
 - _ აიღე და ჯანდაბაში გააგზავნე.
 - _ არ შემძლია. ერთგვარ ვალდებულებას ვგრძნობ მის წინაშე.
- დათლილი კიტრი იქით გასწია და დამარილებული ქაშაყი გადაიღო.
- _ ლედი ბრეტ ეშლისა რა იცი, ჯეიკ?
 - _ ლედი ეშლი _ გვარია მისი, ბრეტი _ სახელი. მშვენიერი გოგოა, _ ვუთხარი მე, _ ქმართან გაყრას აპირებს და მაიკ კემბელს უნდა მისთხოვდეს. ის კაცი ახლა შოტლანდიაშია. რას კითხულობ?
 - _ საოცრად მომხიბლავი ქალია.
 - _ მართლა?
 - _ რაღაცნაირი განსაკუთრებული სიფაქიზე აქვს. ძალიან გულისხმიერი და პირდაპირი ჩანს.
 - _ შესანიშნავი ქალია.
 - _ ვერც კი გამომიტყვამს, _ თქვა კონმა, _ კარგი ოჯახიშვილი უნდა იყოს.
 - _ შენ ისე ლაპარაკობ, ეტყობა, გულში ჩაგვარდნია.
 - _ ნამდვილად. ასე მგონია, მიყვარს-მეთქი.
 - _ ლოთია, _ ვუთხარი მე, _ მაიკ კემბელი უყვარს და ცოლად მიჰყვება. მალე დიდი ქონების პატრონი გახდება ის კემბელი.
 - _ არა მგონია, გაჰყვეს.
 - _ ვითომ რატომ?
 - _ არ ვიცი. რაღაც არ მჯერა. დიდი ხანია მაგ ქალს იცნობ?
 - _ ჰო, საცა მე ვიწექი, იმ ჰოსპიტალში მოწყალების დად მუშაობდა ომის დროს.
 - _ სულ პატარა გოგო იქნებოდა მაშინ.
 - _ ახლა ოცდათოთხმეტისაა.
 - _ ეშლის როდისღა გაჰყვა?
 - _ ომის დროს. მაგის შეყვარებულს ის იყო, დიზენტერიამ გააფშვკინა ფეხი.
 - _ რატომ ენამწარობ ასე?
 - _ მაპატიე. უნებურად გამომივიდა. მინდოდა ფაქტები მეთქვა.
 - _ ვერ დავიჯერებ, რომ ვინმეს უსიყვარულოდ გაჰყოლოდეს.
 - _ ორჯერ უკვე მოასწრო უსიყვარულოდ გათხოვება.
 - _ არა მჯერა.
 - _ თუ პასუხი არ მოგწონს, მაგისთანა სისულელეებს რაღას მეკითხები!
 - _ მე ეგ არ მიკითხავს.
 - _ აკი მკითხე, ბრეტ ეშლისა რა იციო.
 - _ შეურაცხევე-მეთქი, როდის გითხარი!
 - _ ჯანდაბამდის გზა გქონია!
- წამოდგა. ერთიანად გაფითრებულიყო და იდგა ასე გაფითრებულ-გაბრაზებული.
- _ დაჯექი, _ ვუთხარი მე, _ სისულელეს თავი დაანებე.

_ უკან წაიღე შენი სიტყვები.
 _ კარგი ერთი, ბაღლები ხომ არა ვართ.
 _ უკანვე წაიღე-მეთქი.
 _ სიამოვნებით. რასაც გინდა, გეტყვი. ბრეტ ეშლისა ჩემს დღეში არაფერი გამიგონია. ახლა?
 _ არა. ამას არ გეუბნები. მე რომ ჯანდაბაში გამგზავნე!
 _ ო, ნუ წახვალ ჯანდაბას, შენი ჭირიმე, _ ვუთხარი მე, _ აქვე დარჩი. ჯერ საუზმეზე პირი არ დაგვიკარებია.
 კონმა ისევ გაიღიმა და დაჯდა. ეტყობოდა, გაუხარდა, დაჯდომის საშუალება რომ მიეცა. მაინც რა ჯანდაბა უნდა ექნა, რომ არ დამჯდარიყო!
 _ საშინლად ილანძლები ხოლმე, ჯეიკ.
 _ მაპატიე. ასეთი ყიამყრალი ვარ. წამოვროშავ და კი არ ვუფიქრდები.
 _ ვიცი, _ თქვა კონმა, _ შენისთანა კარგი მეგობარი მგონი არცა მყავს.
 «დმერთმა ხელი მოგიმართოს», _ გავიფიქრე ჩემთვის.
 _ ნუღარ გაიხსენებ ჩემს ნათქვამს, _ ვუთხარი ხმამაღლა, _ მე თვითონვე მწყინს.
 _ არა უშავს რა. უკვე გამიარა. მხოლოდ ერთი წუთით მეწყინა.
 _ ძალიან კარგი. რამე კიდევ მოვატანიხოთ.
 საუზმეს რომ მოვრჩით, კაფე დე ლა პეში წავედით და ყავა დავლიეთ. შევატყვე, კონს ისევ უნდოდა ბრეტზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ საშუალება არ მივეცი. ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქითურზე. მერე გამოვეთხოვე და რედაქციაში წავედი.

თავი VI

ხუთ საათზე სასტუმრო კრიიონში ვიყავი და ბრეტს ველოდებოდი. რაკი შეაგვიანდა, დავჯექი და რამდენიმე წერილი დავწერე. ვერაფერიშვილი წერილები გამომივიდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ კრიიონის შტამში უშველიდა საქმეს. ბრეტი მაინც არ ჩანდა და ექვსს რომ თხუთმეტი დააკლდა, ბარში ჩავედი, ბარმენ ჟორჟთან ერთად «ჯეკ როზი» დავლიე. არც ბარში დამხვედრია ბრეტი. ამიტომ წამოსვლისას კიდევ ავედი ზევით. მერე ტაქსი დავიჭირე და კაფე «სელექტისაკენ» გავწიე. სენაზე რომ გავდიოდით, მდინარეში გამწკრივებული, ზედაპირზე ამოტივტივებული ცარიელი კარჭაპები დავინახე, რომელთაც ბუქსირით მიათრევდნენ. მდინარე ლამაზი ჩანდა. პარიზში ყოველთვის სასიამოვნოა ხიდეზზე გავლა.
 ტაქსი შუქნიშნის გამომგონებლის ქანდაკებას გასცდა და მერე რასპაის ბულვარს შემოუარა. მე სავარძელს გადავაწიე, რომ ეს ადგილები არ დამენახა. ამ ბულვარზე გავლა მუდამ მოსაწყენია ხოლმე. პარიზ-ლიონის ხაზზედაც შეხვდები ასეთივე მოსაწყენ და გულისგამაწყალებელ ადგილებს, ფონტენბლოსა და მონტეროს შორის. მანამ გაივლიდე, ერთი სული გაქვს. ალბათ რაღაც ასოციაციებთან არის ასეთი ადგილები დაკავშირებული. პარიზში რასპაის ბულვარისთანა მახინჯ ქუჩებს სხვასაც შეხვდებით, მაგრამ ამ ქუჩებში ფეხით გავლა სულაც არ მეზარება. ეტლით ან მანქანით გავლას კი ვერ ვიტან. ოდესმე იქნება რამე წამიკითხავს ამ ადგილებზე. რობერტ კონს მთელი პარიზი ასე ურევს გულს. საოცარია. საიდან გაუჩნდა პარიზის ასეთი სიძულვილი. იქნებ მენკენისაგან!¹³ მგონი, მენკენს უნდა ეჯავრებოდეს პარიზი. მაინც რამდენი ყმაწვილი კაცი ბაძავს მენკენს შეყვარება-შეძულებაში.

ტაქსი როტონდის წინ გაჩერდა. რომელი კაფეც უნდა უხსენო ტაქსის შოფერს მონპარნასზე, სულერთია, სენის მარჯვენა სანაპიროდან წამოგიყვანს და «როტონდასთან» ჩამოგსვამს. კიდეც ათი წელი და, ალბათ, დომის ადგილს დაიკავებს ეს «როტონდა». მე მაინც ბევრი აღარ მქონია გასავლელი. ჩავუარე «როტონდის» მოსაწყენ მაგიდებს და კაფე «სელექტში» მივედი. შიგნით, დახლთან, რამდენიმე კაცი იყო, გარეთ კი კენტად დამჯდარიყო ჰარვი სტოუნი. წინ თეფშები ჰქონდა დახვავებული, გაუპარსავი იყო.

_ დაჯექი, _ მითხრა ჰარვიმ, _ სწორედ შენ გეძებდი.

_ რა მოხდა?

_ არაფერი. ისე გეძებდი.

_ დოღზე იყავი?

_ არა. კვირას აქეთ აღარ ვყოფილვარ.

_ ამერიკიდან რა ისმის?

_ არაფერი. სრულებითაც არაფერი.

_ რა ამბავია?

_ არ ვიცი. იმათთან ყველაფერს მოვრჩი. სულ გავწყვეტე კავშირი.

გადმოიხარა და თვალებში ჩამაშტერდა.

_ გინდა რაღაც გითხრა, ჯეიკ?

_ რა იყო?

_ ხუთი დღეა პირში არაფერი ჩამიკარებია.

უცებ გამოვიანგარიშე ჩემთვის. სამი Dდღის წინ ნიუ-იორკის ბარში ორასი ფრანკი მომიგო ჰარვიმ პოკერის კამათლებით.

_ რა მოგივიდა?

_ უფულოდ ვარ. ფული ვერ მივიღე, _ ცოტა ხანს შეიცადა, _ უცნაური კია, ჯეიკ. ასეთ დღეში რომ ვარ, მინდა სულ მარტო ვიყო. ოთახიდან გამოსვლაც მეზარება.

კატასავით ვარ.

ჯიბე მოვიქექე.

_ ასი გიშველის რამეს?

_ როგორ არა.

_ წავიდეთ, ვისადილოთ.

_ რა გეჩქარება. ცოტა დავლიოთ.

_ სჯობია, რამე შეჭამო.

_ არა. ასეთ დღეში რომ ვარ, ფეხებზე მკიდია, ვჭამ თუ არა ვჭამ.

დავლიეთ. ჩემი თეფშიც თავის თეფშების ხროვას დაადო.

_ მენკენს თუ იცნობ, ჰარვი?

_ ვიცნობ. რა იყო?

_ რა კაცია?

_ არა უშავს რა. სასაცილო რამეების მოყოლა იცის. ამას წინათ ერთად ვსადილობდით და ჰოფენჰაიმერზე ჩამოვარდა სიტყვა. უბედურება ის არის, რომ ღვთისმოსავად მოაქვს თავიო, ხომ კარგად უთქვამს?

_ კარგად უთქვამს.

_ უკვე მოგჭამა ჭირი, _ განაგრძო ჰარვიმ, _ რაც იცოდა, ყველაფერი დაწერა, ახლა კი მოდგა და რაც არ იცის, იმას წერს.

_ მე მგონი, მართლაც არა უშავს რა, _ ვთქვი მე, _ ოღონდ გული ვერ დავუდე.

_ ნეტა ვინ უდებს გულს! _ მითხრა ჰარვიმ, _ მარტო იმისთანა ხალხი თუ წაიკითხავს, რომელსაც თავის დროზე ალექსანდრე ჰამილტონის ინსტიტუტის შრომები წაუკითხავს.

_ რას ერჩი, ეგეც კარგი საქმეა.

_ რა თქმა უნდა, _ დამეთანხმა ჰარვი. ერთხანს უხმოდ ვისხედით, ფიქრმა გაგვიტაცა.

_ კიდევ დავლიოთ პორტვეინი?

_ დავლიოთ, _ თქვა ჰარვიმ.

_ აჰა, კონიც მოდის, _ ვთქვი მე. რობერტ კონმა ქუჩა გადმოჰრა.

_ გამოთაყვანებული! _ თქვა ჰარვიმ. კონი ჩვენთან მოვიდა.

_ გამარჯობათ, უქნარებო.

_ გამარჯობა, რობერტ, _ მიუგო ჰარვიმ, _ ეს არის, ჯეიკს ვეუბნებოდი შენზე, გამოთაყვანებულია-მეთქი.

_ ვითომ რაო?

_ უცებ გვიპასუხე. ნუ დაფიქრდები. იმედი რომ გქონდეს, ახლავე ამისრულდებაო, რას ინატრებდი?

კონი ჩაფიქრდა.

_ ნუ ფიქრობ. ერთბაშად წამოაყრანტალე.

_ არ ვიცი, _ თქვა კონმა, _ რაში გაგახსენდათ?

_ მაინტერესებს, რას გააკეთებდი. პირველად რა მოგივა თავში, რაგინდ სისულელე იყოს.

_ რა ვიცი, _ მიუგო კონმა, _ მე მგონი, აჯობებს, ისევ ფეხბურთს დავუბრუნდე.

_ შევმცდარვარ, _ თქვა ჰარვიმ, _ გამოთაყვანებული არ ყოფილხარ. ამას ჰქვია ზრდა-განვითარების ერთ წერტილზე გაყინვა.

_ ძალიან ენაკვიმატობ, ჰარვი, _ უთხრა კონმა, _ ერთხელაც იქნება, მაგ სიფათს გაგიბრტყელებენ.

ჰარვი სტოუნს გაეცინა.

_ ასე გგონია? ვინ გამიბრტყელებს? ფეხებზე არა მკიდია? მე ხომ მოკრივე არა ვარ!

_ ფეხებზე თუ გკიდია, მაგასაც ნახავ.

_ ნამდვილად. შენი შეცდომა სწორედ ეგ არის. იმიტომ, რომ ჭკუა გაკლია.

_ გეყოფა, მომეშვი.

_ ფიქრი ნუ გაქვს, _ უთხრა ჰარვიმ, _ ფეხებზე არ მკიდია! სწორედ შენთვის მცხელა!

_ მოეშვი, ჰარვი, _ ვუთხარი მე, _ პორტვეინი დავლიოთ.

_ არა, _ თქვა მან, _ უნდა წავიდე და ვჭამო სადმე. მოგვიანებით გნახავ, ჯეიკ.

გამოვიდა და ქუჩას დაუყვა. დავინახე, როგორ გადაჭრა ქვაფენილი და ტაქსებს ჩაუარა _ პატარა, ჯმუხი, დინჯი და თვითდაჯერებული იყო.

_ მუდამ ასე უნდა გამაცეცხლოს, _ თქვა კონმა, _ ვერ ვიტან.

_ მე კი მიყვარს, მშვენიერი კაცია. არ უნდა გაცეცხლდე.

_ ვიცი, _ თქვა კონმა, _ მაგრამ ნერვებს მიშლის.

_ დღეს რამე გააკეთე?

_ არა. ვერა და ვერ დავძარი. პირველი წიგნის წერა არ გამჭირვებია ასე.

ვერასდიდებით ვერ ავაწყვე.

ის მხნეობა და გულდაჯერება, რაც ამერიკიდან ჩამოჰყვა ადრიან გაზაფხულზე, უკვე გაქრობოდა. მაშინ დიდი რწმენა ჰქონდა თავისი მწერლობისა და თავგადასავლების ჟინილა ტანჯავდა. ახლა კი ეს რწმენა გამქრალიყო. ვგრძნობ, რომ ხეირიანად ვერ დავახასიათე რობერტ კონი. ამის მიზეზი ის არის, რომ მანამ ბრეტი შეუყვარდებოდა, ერთხელაც არ დასცდენია ისეთი რამ, რაც მას სხვებისაგან განასხვავებდა.

ჩოგბურთის თამაში შვენოდა, ტანადი და მარჯვე იყო. ბრიჯს ყოჩაღად თამაშობდა და რაღაც უცნაურად ჰგავდა სტუდენტს. თავყრილობაზე უჩვეულოს არაფერს იტყოდა. «პოლოს» რომ ვეძახდით სტუდენტობაში (და, ალბათ, ახლაც ისე ეძახიან), იმ ყაიდაზე შეკერილი პერანგი ეცვა, მაგრამ სულაც არ ცდილობდა თავის ხნოვანებაზე უფრო ახალგაზრდა გამოჩენილიყო. მგონი, ჩაცმაზე არც ყოფილა გადაყოლილი. გარეგნულად პრინსტონში ჩამოყალიბდა. სულიერად კი ორმა ქალმა გაწვრთნა და ჩამოაყალიბა. რაღაც ბავშვური, მომხიბლავი სიხალისე ჰქონდა, რაც ვერც ერთმა ქალმა ვერ გამოუფიტა, და რაც, ალბათ, მე თქვენ ვერ გაჩვენეთ. ჩოგბურთის თამაშის დროს მოგება უყვარდა. ალბათ, ლენგლენზე არანაკლებ უყვარდა მოგება. მაგრამ არც წაგება გააბრაზებდა. ბრეტი რომ შეუყვარდა, მისმა ჩოგბურთმა ჭირი მოგჭამათ. ადრე ერთი ხელიც რომ არ გამოურევიათ, ისეთი ხალხი უგებდა. მაგრამ თითქოს არაფერიყო, შეეგუა. ერთი სიტყვით, ჩვენ კაფე «სელექტის» ტერასაზე ვისხედით. ჰარვი სტოუნმა ქუჩა გადაჭრა.

_ მოდი, «ლილაში» წავიდეთ, _ ვთქვი მე.

_ ფრენსისს უნდა შევხვდე.

_ რა დროს?

_ რვის თხუთმეტზე.

_ აჰა, აგერ მოდის.

ფრენსის კლაინმა ქუჩა გადმოჭრა და ჩვენკენ წამოვიდა. წერწეტა ქალი იყო და ჩქარი ნაბიჯითა და ფართიფურთით დადიოდა. ხელი დაგვიქნია და გაგვიღიმა.

ვუყურებდით, როგორ გადმოდიოდა ქუჩაზე.

_ ჰელო, _ თქვა მან, _ ძალიან გამიხარდა, რომ აქა გნახეთ, ჯეიკ, რაღაც უნდა მეთქვა.

_ ჰელო, ფრენსის, _ უთხრა კონმა და გაიღიმა.

_ აჰ, ჰელო, რობერტ, შენც აქა ხარ! _ და სხაპასხუპით განაგრძო ლაპარაკი, _ დღეს ჯოჯოხეთური დღე გამითენდა. ეს ვაჟბატონი, _ თავით მანიშნა კონზე, _ საუზმეზე არ მობრძანებულა.

_ არც უნდა მოვსულიყავი.

_ დიახ, ვიცი, მაგრამ მზარეულიც არ გაგიფრთხილებია. მერე პაულას უნდა შევხვედროდი და არც ის დამხვდა რედაქციაში. «რიტცში» წავედი და იქ ველოდე; არც იქ გამოჩნდა. რაღა თქმა უნდა, ფულიც არ მეყო, რომ მესაუზმა მაინც «რიტცში»...

_ აბა, რა ქენით?

_ რას ვიზამდი, წამოვედი, _ ნამალადევი სიხალისით ლაპარაკობდა, _ მე სიტყვის ქალი ვარ. სხვა კი აღარ იწუხებს თავს, სიტყვა არ გავტეხო. თქვენ როგორღა ხართ, ჯეიკ?

_ კარგად.

_ კარგი გოგონა მოიყვანეთ ამას წინათ საცეკვაო კლუბში, მერე კი ადექით და იმ ბრეტს გაჰყევით.

_ არ მოგწონს? _ ჰკითხა კონმა.

_ ჩემი აზრით, მომხიბლავია, შენ რას იტყვი?

კონს არაფერი უთქვამს.

_ ჰოდა, თქვენთან მაქვს-მეთქი რაღაც სათქმელი, ჯეიკ. იქნებ დომში წამოხვიდეთ!

შენ კი აქ დაიცდი, რობერტ, ხომ? წავიდეთ, ჯეიკ.

მონპარნასის ბულვარი გავიარეთ და მაგიდას მივუსხედით. მეგაზეთე ბიჭი მოგვადგა, მე «პარის თიმეს» ვიყიდე და გავშალე.

_ რა მოგივიდათ, ფრენსის?

_ ისეთი არაფერი, მიტოვებას მიპირებს.
 _ როგორ თუ მიტოვებას?
 _ მთელ ქვეყანას მოსდო, უნდა ვიქორწინოთო. მეც ავდექი და ვუთხარი დედაჩემს, ყველას... ახლა კი უარზეა.
 _ მაინც რა მოხდა?
 _ ეს რა ცხოვრებააო, დაუჟინია. ნიუ-იორკში წასვლა რომ დააპირა, მაშინვე მეუბნებოდა გული.
 ანთებული თვალებით შემომხედა. ცდილობდა, ისე ელაპარაკა, ვითომ არაფერიო.
 _ მას თუ არ უნდა, არც მე გავყვები. რატომ უნდა გავყვე? არაფრისდიდებით არ გავყვები. მაგრამ რაღა დროსია _ სამი წელიწადი ამის ლოდინში ვიყავი. ის იყო, გაყრის ქაღალდიც მივიღე.
 არაფერი მიპასუხია.
 _ დიდი ღრეობა უნდა გადაგვებადა... და სცენები არ მომიწყო?! ეს რა ბავშვობაა! საშინელი უსიამოვნება გვაქვს. ბალღივით ტირის და მეღიჭინება _ ჭკუით იყავი, ნუ ინერვიულებ, რა ვქნა, აღარ შემიძლიაო.
 _ უიღბლო ყოფილხართ.
 _ უიღბლო და რანაირი უიღბლო! ორწელიწადნახევარი მაგას შევწირე. ახლა ვინდა მოინდომებს ჩემს შერთვას. ორი წლის წინ, კანში რომ ვიყავი, ვისაც დავადებდი ხელს, ყველა შემირთავდა. ბერიკაცები _ კოხტა ქალებს ვინც ეძებდა და დაოჯახების მოსურნე იყო _ შეშლილებივით დამდევდნენ. ახლა არა მგონია, ვინმე ვიშოვო.
 _ რა ბრძანებაა, ახლაც გაჰყვებით, ვისაც მოისურვებთ.
 _ არა. არა მგონია. ეგეც არ იყოს, კონი შემიყვარდა. შვილები მინდა. სულ იმის იმედი მქონდა, შვილებს გავაჩენთ-მეთქი, _ თვალეზგაბრწყინებული მიყურებდა, _ ბავშვები მაინცდამაინც არასოდეს მყვარებია, მაგრამ არც უშვილოდ გადაგება მინდოდა. ვფიქრობდი, გავაჩენ და მერე შემიყვარდება-მეთქი.
 _ მაგას ჰყავს შვილები.
 _ ო, როგორ არა. შვილები მაგასა ჰყავს, ფული მაგასა აქვს, მდიდარი დედა მაგასა ჰყავს, წიგნი მაგან დაბეჭდა, ჩემს ნაწერს კი ზედაც არ უყურებენ, კაციშვილს არ უნდა. თუმცა არც ისე უხეიროდ ვწერ. ფულიც სულ აღარ მაბადია. ალიმენტის მიღებას მოვახერხებდი, მაგრამ გაყრა მეჩქარებოდა.
 ისევ შემომხედა ანთებული თვალებით.
 _ ეგ არის სამართალი? თუმცა ჩემი ბრალიცაა, და არცაა ჩემი ბრალი. თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი. რამეს რომ ვეტყვი, მაშინვე ბლავილს მორთავს, დაქორწინება არ შემიძლიაო. რატომ არ შეუძლია? მშვენიერი ცოლი ვიყავი. ადვილად შესაგუებელი ხასიათი მაქვს. სულ თავის ნებაზეა... მაგრამ შენც არ მომიკვდე.
 _ სამარცხვინოა.
 _ მართლაც რომ სამარცხვინოა. მაგრამ ლაპარაკი რას უშველის. უშველის რამეს? წამო, ისევ კაფეში დავბრუნდეთ.
 _ მეც რომ ვერაფერს გიშველით?
 _ არა, ნურც ეტყვი, რომ ამაზე გელაპარაკეთ. მე ვიცი, რასაც აპირებს, _ პირველად ახლა გატყდა, ის ნამალადევი სიხალისეც დაეკარგა და თვალებიც ჩაუქრა, _ უნდა, რომ მარტო წავიდეს ნიუ-იორკში და წიგნის გამოსვლის დროს იქ იყოს, თავი მოაწონოს პატარა ვარიკებს. ეს არის და ეს.
 _ იქნებ სულაც არ მოეწონოთ იმ ვარიკებს. არცა მგონია, ამის კაცი იყოს. ნამდვილად.

– თქვენ მაგას ჩემსავით ვერ იცნობთ, ჯეიკ. ეს უნდა-მეთქი, გეუბნებით. მე ვიცი, ვიცი. დაქორწინებასაც ამიტომ გაურბის. უნდა, რომ მთელი გამარჯვება მარტო თვითონ იგემოს ამ შემოდგომაზე,

– კაფეში დავბრუნდეთ?

– ჰო, წავიდეთ.

მაგიდიდან წამოვდექით – არც მოუტანიათ რამე სასმელი – ქუჩაში გამოვედით და «სელექტისაკენ» გავწიეთ. კონი იქვე იჯდა, მარმარილოს მაგიდასთან და გვილიმოდა.

– ნეტა რას იცინი? – მიმართა ფრენსისმა, – თავს ძალიან ბედნიერად გრძნობ, არა?

– თქვენს საიდუმლოზე მეცინებოდა.

– რაც მე ჯეიკს ვუთხარი, სულაც არ არის საიდუმლო. მალე მთელი ქვეყანა გაიგებს. ოღონდ მე მინდოდა, უფრო წესიერი ფორმით გაეგო ჯეიკს.

– მაინც რა? შენი ინგლისს გამგზავრების ამბავი?

– დიახ, ჩემი ინგლისს გამგზავრების ამბავი. ჰო, ჯეიკ, სულ გადამავიწყდა, ინგლისში მივდივარ.

– დიდებული საქმეა.

– აბა, რა გეგონათ: კარგ ოჯახებში მუდამ ასეა ხოლმე. რობერტი მგზავნის. ორას გირვანქა სტერლინგს მაძლევს და მეც ჩემს მეგობრებს მოვინახულებ. ხომ კარგი საქმეა? თუმცა მეგობრებმა ჯერ არ იციან ჩემი გამგზავრების ამბავი.

კონს მიუბრუნდა და გაუღიმა. კონი უკვე აღარ იღიმებოდა.

– ჯერ ასი გირვანქის მოცემას აპირებდა, ხომ, კონ? მაგრამ ორასზე დავიყოლიე. იცით, რა ხელგაშლილი კაცია! ხომ, რობერტ?

ვერც კი წარმოვიდგენდი, ამისთანა საშინელი რამეების თქმა თუ შეიძლებოდა რობერტ კონისათვის. არის ხალხი, რომელთაც შეურაცხყოფას ვერ გაუბედავ.

წინასწარ გაგრძნობინებენ – თუ რამე გამიბედე, იცოდე, ქვეყანა დაინგრევა, აქვე, შენ თვალწინ დაინგრევაო. მაგრამ კონმა ახლა ყველაფერი შეიტყაპუნა. ჩემ წინაშე მოხდა ყველაფერი და არც კი შემიჩერებია. მაგრამ იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა, ეს მეგობრული ოხუნჯობა იყო.

– რა გული გაძლევს, ამისთანა რამეებს რომ ლაპარაკობ, ფრენსის? – შეაჩერა კონმა.

– გესმით, რას ამბობს? მე ინგლისს წასვლას ვაპირებ. მეგობრები უნდა მოვინახულო.

ისეთ მეგობრებს თუ სწვევიხართ ოდესმე, ვისაც არაფრად ეპიტნავენა შენი

სტუმრობა? ო, სულერთია, უკან ხომ არ გამომაბრუნებენ. «როგორ გიკითხოთ,

გენაცვალე? რამდენი ხანია, აღარ გვინახავხარ. თქვენი ძვირფასი დედა როგორღა

ბრძანდება?» დიახ, დედაჩემი როგორ არის? მთელი ფული საფრანგეთის სამხედრო

სესხში დააბანდა. დიახ, დედაჩემმა დააბანდა. მის გარდა, ალბათ, ძეხორციელს არ

გაუკეთებია ასეთი საქმე. «რობერტი ხომ კარგადაა?» ან არა და, უფრო მიკიბულ-

მოკიბულად იკითხავენ რობერტის ამბავს. «ფრთხილად, შენი ჭირიმე, რობერტს ნუ

უხსენებ. საწყალმა ფრენსისმა ბევრი გადაიტანა». კარგი თავშესაქცევი არ იქნება,

რობერტ? თქვენ რას იტყვით, ჯეიკ, კაი თავშესაქცევი იქნება?

ახლა მე შემომხედა იმ საშინელი ღიმილით. დიდ კმაყოფილებას განიცდიდა, რომ მსმენელი იშოვა.

– შენ კი საით გასწევ, რობერტ? ასეა, ჩემი ბრალია. სულ ჩემი ბრალია. იმ პატარა

გოგოს რომ გაგაშორე, შენი ჟურნალის მდივანს, მაშინვე უნდა მცოდნოდა, რომ მეც

იმასვე მიზამდი. ჯეიკმა არ იცის ეს ამბავი. ვუთხრა?

– გაჩუმდი, ფრენსის, თუ ღმერთი გწამს.

– არა, უნდა ვუთხრა. რობერტს ერთი პატარა გოგო ჰყავდა ჟურნალში მდივნად.

უმშვენიერესი გოგო იყო და ამასაც მომხიბლავად ეჩვენებოდა მაშინ. მერე მე

გამოვჩნდი და მეც მომხიზლავად მოვეჩვენე. ავდექი და გავაშვებინე. ჟურნალი რომ აქეთ-იქით გადაჰქონდ-გადმოჰქონდა, მაშინდელი ჩამოყვანილი ჰყავდა ის გოგო პროვანსტაუნში კარმელიდან და უკან დასაბრუნებლად გზის ფულიც კი აღარ მისცა. სულ ჩემი ხატრით. მაშინ ლამაზი ვეჩვენებოდი. ხომ, რობერტ?

– სხვაგვარად კი არ გეგონოს, ჯეიკ. იმ მდივანთან პლატონური გრძნობა ჰქონდა და სხვა არაფერი. პლატონურიც არ ითქმის. საერთოდ, არაფერიც არა ყოფილა. ესაა, რომ ძალიან ლამაზი გოგონა იყო. თავიდან იმიტომ მოიცვილა, რომ მე მასიამოვნა. ასეა. რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითა წარსწყმდესო. სწორედ ამაზეა ნათქვამი, არა? დაიხსომე, რობერტ, შენს მეორე წიგნში გამოგადგება. რობერტი ამჟამად ახალი წიგნის მასალებს აგროვებს. ხომ, რობერტ? იმიტომაც მტოვებს. ნახა, რომ სურათში კარგი არ გამოვდივარ. რაც ერთად ვცხოვრობთ, ისეა ხოლმე გართული თავისი წიგნით, რომ არც თავი ახსოვს და აღარც მე ვახსოვარ. ახლა კი უნდა წავიდეს და ახალი მასალები შეაგროვოს. მაშ! ეჭვიც არ მეპარება, რომ საშინლად საინტერესო რამეებს წააწყდება.

– მომისმინე, რობერტ, ჩემო ძვირფასო. რაღაც უნდა გითხრა. შენ არ გეწყინება, ხომ? ახალგაზრდა სატრფოებს სცენები არ უნდა გაუძარტო. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ასეთ დროს ტირილი იცი და ტირილს რომ ამოუშვებ, ისე შეგებრალება ხოლმე შენი თავი, სხვისი ნათქვამი აღარც კი გესმის. ასე შენს დღეში ვერ დაიმახსოვრებ სხვის ნათქვამს. ეცადე წყნარად იყო. ვიცი, ძალიან გაგიძნელებდა, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მწერლობის ხატრით ყველაფერი უნდა აიტანო. მწერლობისათვის ყველამ უნდა გავიღოთ მსხვერპლი. აბა, შემომხედე. ენის შემოუბრუნებლად მივდივარ ინგლისში. მწერლობის ხატრით. ყველამ უნდა შეუწყოს ხელი ახალგაზრდა მწერალს. ხომ ასეა, ჯეიკ? მაგრამ შენ რომ ახალგაზრდა მწერალი არა ხარ? ახალგაზრდა მწერალი ხარ, რობერტ? უკვე ოცდაათობმეტს გადააბიჯე. მაგრამ დიდი მწერლისათვის, მე მგონი, მაინც ახალგაზრდა ითქმის. აბა, ჰარდი გაიხსენე. ანატოლ ფრანსი გაიხსენე. სწორედ ამ ცოტა ხნის წინ მოკვდა. თუმცა რობერტი ამბობს, რა მწერალიაო. ზოგ-ზოგმა ფრანგმა მეგობარმა უთხრა. თვითონ ისე კარგად ვერ კითხულობს ფრანგულად. შენისთანა კარგი მწერალი ვერ იყო, ხომ, რობერტ? როგორ გგონია, მასალების სამეზობლად ისიც დადიოდა სადმე? ან შეყვარებულებს რას ეუბნებოდა, შენი აზრით, როცა გადაწყვეტდა ცოლად არ შევირთავო? ნეტა ისიც თუ ტიროდა. უი, რა მომაგონდა, – თათმანიანი ხელი ტუჩებზე მიიღო, – ნამდვილი მიზეზი გინდათ, ჯეიკ, რატომ არ იწერს რობერტი ჩემზე ჯვარს? ახლა გამკრა უცებ. კაფე «სელექტში» მომივიდა ეს ზეშთაგონება. მისტიკური ამბავი არ არის? ერთ მშვენიერ დღეს აიღებენ და დაფასაც გამოაკრავენ. ლურდში 14 რომ არის, ისე. გითხრა, რობერტ? გეტყვი. სულ უბრალო ამბავია. მიკვირს, აქამდე რატომ არ მომაგონდა. რობერტს ხომ ძალიან თავი მოაქვს საყვარლებით, და თუ არ შემირთო, მეც საყვარელი გამოვდივარ. მთელ ორ წელიწადს საყვარლად ჰყავდაო, ასე იტყვიან. ხომ ხედავთ? ხოლო თუ შემირთო, – როგორც მუდამ მპირდებოდა ხოლმე – მაშინ რომანტიკასაც ბოლო მოეღება. რას იტყვით, ხომ დიდებული აზრი მომივიდა? თან სრული ჭეშმარიტებაც არის. შეხედეთ და თქვენ თვითონ ნახეთ, თუ არა. საით, ჯეიკ?

– ბარში უნდა შევიდე და ჰარვი სტოუნი ვნახო ერთი წუთით.

როცა გამოვდიოდი, კონმა თავი ასწია და შემომხედა. სახეზე სულ გადატეტკილი იყო. ნეტა რას უჯდა იქ? ასე გატრუნული როგორ უსმენდა!

დახლთან რომ ვიდექი, გავიხედე და ფანჯარაში დავინახე ისინი. ფრენსისი ისევ ელაპარაკებოდა. იმგვარადვე იღიმებოდა და რამდენს ჰკითხავდა: «(ხომ, რობერტ?)» – იმდენს თვალებში შეხედავდა. თუმცა იქნებ ამას აღარ ეკითხებოდა ახლა. იქნებ ახლა

სულ სხვა რამეს ელაპარაკებოდა. ბარმენს ვუთხარი, არაფერი არ მინდა-მეთქი და გვერდითა კარიდან გავედი. რომ გავდიოდი, კიდეც გავხედე ორმაგი ფანჯრის სქელ მინებში და ვნახე, იქვე ისხდნენ. ფრენსისი კვლავ ელაპარაკებოდა. მოსახვევიდან რასპაის მოედანზე გავედი. ამ დროს ტაქსიმაც ჩამოიარა. გავაჩერე და შოფერს ჩემი ბინის მისამართი მივეცი.

თავი VII

კიბეზე რომ შევდგი ფეხი, კონსიერჟმა თავისი ოთახის მინის კარზე დააკაკუნა. შევჩერდი. გამოვიდა და წერილები და დეპეშა გადმომცა.

_ ეს _ ფოსტა. ერთი ქალბატონიც იყო თქვენთან.

_ ბარათი არ დაუტოვებია?

_ არა. ჯენტლმენი ახლდა. ის ქალი იყო, წუხელ რომ მოგაკითხათ. მშვენიერი ქალი ყოფილა.

_ რომელიმე ჩემს მეგობარს ახლდა?

_ რა მოგახსენოთ. პირველად ვნახე ის კაცი აქ. იმოდენა კაცია! ძალიან, ძალიან დიდი. რა კარგი ქალი ყოფილა. ძალიან, ძალიან კარგი. წუხელ, ალბათ, ცოტათი... _ თავი ხელს დააყრდნო და კანტურს მოჰყვა, _ მე გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მუსიე ბერნს. წუხელ ისეთი გენტილლე* არ მომჩვენებია. წუხელ სულ სხვაგვარი მეგონა. მაგრამ, მერწმუნეთ _ თრეს, ტრეს გენტილლე* ყოფილა. კარგი ოჯახისშვილი ჩანს. ზედვე ეტყობა.

_ არც არაფერი დაუბარებიათ?

_ როგორ არა. ერთ საათში მოვბრუნდებითო.

_ როცა მოვლენ, გამოატარეთ.

_ კეთილი, მუსიე ბერნს. ეს ქალბატონი კი, ეს ქალბატონი სულ სხვა ვინმე ჩანს. ცოტა ექსცენტრიკული კი უნდა იყოს, მაგრამ Qუელქუ' უნე, ქუელქუ' უნე*.

ამ ქალს, მანამ კონსიერჟი გახდებოდა, სასმელების დუქანი ჰქონდა პარიზის იზოდრომზე. თავისი დღე და მოსწრება Pელოუს-ში ტრიალებდა, მაგრამ Pესაგე-ის საზოგადოებასაც ყურადღებით აკვირდებოდა და დიდი სიამაყით მეტყოდა ხოლმე, ჩემს სტუმართაგან ვინ იყო კარგად აღზრდილი, კარგი ოჯახიდან გამოსული, სპორტსმენი... ამ უკანასკნელ სიტყვას, როგორც ფრანგულს, ისე გამოთქვამდა და მახვილს ბოლოში უკეთებდა. მთელი უბედურება ის იყო, რომ ის ხალხი, ვინც ამ სამ კატეგორიაში ვერ მოხვდა, ვერასდიდებით ვერ ეღირსა ჩვეუ ბერნსის სახლში ნახვას. ერთმა ჩემმა მეგობარმა მხატვარმა, რომელიც სულ მშოიერსა ჰგავდა, და მადამ დიუზინელმაც, ეტყობოდა, არც კარგად აღზრდილად მიიჩნია, არც კაიოჯახისშვილად და არც სპორტსმენად, _ წერილი მომწერა: როგორმე საშვი მომიხერხე, რომ თქვენმა კონსიერჟმა გამომატაროს და სადამოობით ზოგჯერ მოგინახულო.

კიბეზე ავდიოდი და იმას ვფიქრობდი, ნეტა რითი მოინადირა ბრეტმა ჩვენი კონსიერჟის გული-მეთქი. დეპეშა ბილ გორდონისაგან იყო _ გემი «Fრანცე»-ით ჩამოვდივარო. წერილები და დეპეშა მაგიდაზე დავყარე, საწოლ ოთახში შევედი, გავიხადე და შხაპი მივიღე. ტანს რომ ვიმშრალე, კარზე ზარის ხმა გაისმა. ხალათი ჩავიცვი, ფეხები ფაჩუჩებში ჩავყავი და კარისკენ გავემართე. ბრეტი იყო. უკან გრაფი ედგა, რომელსაც ხელში ვარდების დიდი თაიგული ეჭირა.

_ ჰელო, ძვირფასო, _ თქვა ბრეტმა, _ არ მიგვიღებთ?

_ მობრძანდით. ეს არის ვიბანავე.

_ რა ბედნიერი კაცი ხარ! გიბანავია.

_ წყალი გადავივლე. დაბრძანდით, გრაფ მიპიპოპულო. რა დავლიოთ?
 _ არ ვიცი, ყვავილების მოტრფიალე თუ ხართ, სერ, _ თქვა გრაფმა, _ მაგრამ გავზედე და ეს თაიგული მოგართვით.
 _ აბა, აქ მომეცით, _ ბრეტმა გამოართვა, _ ჯეიკ, ამაში ცოტა წყალი ჩამისხი. სამზარეულოში გავედი, დიდ ქოთანში წყალი ჩავასხი, ბრეტმა ვარდები ჩააწყო და სასადილო მაგიდის შუაში დადგა.
 _ P კარგი დღე კი გავატარეთ!
 _ კრიიონში რომ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, აღარც გახსოვს?
 _ არა. მართლა გვქონდა დათქმული? გამობრუქული ვიქნებოდი.
 _ ისე მთვრალი იყავით, ჩემო კარგო! _ უთხრა გრაფმა.
 _ მართლა? გრაფმა კი იმდენი სიკეთე მიყო!
 _ ეს კონსიერჟი ძალიან მოგიტაფლავს და გადაგიბირებია.
 _ აბა, რა იქნებოდა. ორასი ფრანკი ვაჩუქე.
 _ რამ გაგასულელა!
 _ ამისი ფული, _ თქვა მან და გრაფზე მანიშნა.
 _ ვიფიქრე, წუხანდელი შეწუხებისათვის ცოტა რამე უნდა ვაჩუქოთ-მეთქი. ძალიან გვიან მოვედი.
 _ რა შესანიშნავი კაცია, _ თქვა ბრეტმა, _ არაფერი არ ავიწყდება.
 _ თქვენც მშვენიერი ხართ, ჩემო კარგო.
 _ გეჩვენებათ, _ მიუგო ბრეტმა, _ ნეტავ ვის რაში სჭირდება! გამიგონე, ჯეიკ, რამეს არ დაგვალევიან?
 _ მანამ ჩავიცვამდე, შენ თვითონ გამოიტანე. ხომ იცი, სადაც არის?
 _ მგონი, ვიცი.
 მე ვიცვამდი და მესმოდა, როგორ დააწყო ბრეტმა მაგიდაზე ჭიქები და სიფონი, მერე მათი ლაპარაკიც მომესმა. ლოგინზე ვიჯექი და ნელ-ნელა ვიცვამდი. დადლილობასაც ვგრძნობდი და საშინელ გუნებაზეც ვიყავი. ბრეტი ოთახში შემოვიდა და ლოგინზე ჩამომიჯდა, ხელში ჭიქა ეჭირა.
 _ რა მოგივიდა, ძვირფასო? უქეიფოდ ხარ?
 შუბლზე მაკოცა უხალისოდ.
 _ ო, ბრეტ, როგორ მიყვარხარ.
 _ ჩემო ძვირფასო, _ მითხრა მან. და შემდეგ, _ გინდა გავგზავნო?
 _ არა. მშვენიერი კაცია.
 _ გავგზავნი.
 _ არა, რას ამბობ.
 _ კი. გავგზავნი!
 _ ასე უხერხულია.
 _ უხერხულია? დამაცადე. ჭკუას კარგავს ჩემთვის, დამიჯერე.
 ისევ გავიდა. მე ლოგინზე დავემხე. საშინელ გუნებაზე დავდექი. ხმა კი მესმოდა მათი, მაგრამ ყური არ დამიგდია. ბრეტი შემობრუნდა და ლოგინზე ჩამოჯდა.
 _ ჩემო საბრალო მეგობარო, _ თავზე ხელი გადამისვა.
 _ რა მოიმინეზე? _ თავი იქით მქონდა მიბრუნებული და ისე ვიწექი. არ მინდოდა დამენახა.
 _ შამპანურზე გავგზავნე. უყვარს შამპანურის ყიდვა, _ და ცოტა ხნის შემდეგ, _ ახლა უკეთ ხარ, ძვირფასო? თავი უკეთ გაქვს?
 _ უკეთ მაქვს.
 _ წყნარად იწექი, ქალაქის ბოლოში უნდა გავიდეს.

- _ არ შეიძლება, ერთად ვიცხოვროთ, ბრეტ? ისე, უბრალოდ რომ ვიცხოვროთ ერთად?
- _ არა მგონია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა გიღალატო. შენ ამას ვერ აიტან.
- _ ახლა ხომ ვიტან.
- _ ეს სულ სხვაა. სულ ჩემი ბრალია, ჯეიკ. რა ვქნა, რომ ასეთი გავჩენილვარ!
- _ იქნებ ცოტა ხნით სოფელში გადავსახლდეთ!
- _ არც ეგ გვიშველის. თუ გინდა, წამოგყვები, მაგრამ სოფლის წყნარ ცხოვრებას ვერ ავიტან. საყვარელ ადამიანთანაც კი.
- _ ვიცი.
- _ ამაზე საშინელი რა უნდა იყოს? რაღა საჭიროა იმის მტკიცება, გაგიჟებით მიყვარხარ-მეთქი.
- _ შენც ხომ იცი, რომ მიყვარხარ.
- _ ნულარაფერს ვიტყვით. წყლის ნაყვა გამოდის და მეტი არაფერი. მე უნდა მოგშორდე და გადავიკარგო. აგერ მაიკლიც ბრუნდება.
- _ რატომ უნდა გადაიკარგო?
- _ ასე აჯობებს შენთვის. ჩემთვისაც.
- _ როდის მიდიხარ?
- _ როგორც კი მოვახერხებ.
- _ საით?
- _ სან-სებასტიანში.
- _ ერთად რომ წავიდეთ?
- _ არა. ეს სიგიჟე იქნება. ამ ლაპარაკის შემდეგ.
- _ ჩვენ ხომ არაფერზე შევთანხმებულვართ!
- _ შენც ხომ მშვენივრად იცი! ნუ ჯიუტობ, ჩემო კარგო.
- _ ვიცი, _ ვთქვი მე, _ ვიცი, რომ მართალი ხარ. მე ერთიანად მოვიშალე, და როცა მოვიშლები, სულელივით ვბოდავ ხოლმე.
- წამოვჯექი, დავიხარე, საწოლქვეშ ფეხსაცმელები მოვძებნე და ჩავიცვი. მერე ავდექი.
- _ ასე ნუ მიყურებ, ჩემო ძვირფასო.
- _ აბა, რა გინდა, როგორ გიყურო?
- _ რამ გაგასულელა?! ხვალვე მივდივარ.
- _ ხვალ?
- _ ჰო. არ გითხარი, განა? ხვალ მივდივარ.
- _ მაშ, დავლიოთ. გრაფიც დაბრუნდება.
- _ ჰო. ახლავე დაბრუნდება. ხომ იცი, რა სასოებით ყიდულობს ხოლმე შამპანურს. ეს მთელი ამბავია მისთვის.
- სასადილო ოთახში გავედით. კონიაკის ბოთლი ავიღე. ბრეტსაც დავუსხი და მეც დავისხი. დარეკეს. კართან მივედი და გავადე. გრაფი იყო. უკან შოფერი ედგა, რომელსაც კალათით შამპანურის ბოთლები მოჰქონდა.
- _ სად დავადგმევინო, სერ? _ მკითხა გრაფმა.
- _ სამზარეულოში, _ უპასუხა ბრეტმა.
- _ იქით წაიღე, ანრი, _ ხელით ანიშნა გრაფმა, _ ახლა ჩადი და ყინული ამოიტანე. სამზარეულოს კარში იდგა და უყურებდა, როგორ დადგეს კალათი, _ მგონი მოგეწონებათ, _ თქვა მან, _ ვიცი, რომ ამერიკაში ამჟამად იშვიათად შეხვდები ხეირიან ღვინოს და გემოც გადაგვავიწყდა. მაგრამ ეს ერთ მეგობარ მეღვინეს გამოვართვი.
- _ თქვენ ხომ მეგობრები არსად გამოგელევათ, _ უთხრა ბრეტმა.
- _ ამ კაცს საკუთარი ვენახი აქვს. მთელ ათას აკრზე.

_ რა გვარია? _ ჰკითხა ბრეტმა, _ Vეუვე ჩლიქუოტ?*_
 _ არა, _ უპასუხა გრაფმა, _ მუმი. ბარონია.
 _ რა დიდებულია, _ თქვა ბრეტმა, _ ყველას რაღაც ტიტული გვაქვს. შენ რატომ არა გაქვს ტიტული, ჯეიკ?
 _ მერწმუნეთ, სერ, _ თქვა გრაფმა და ხელი მკლავზე დამადო, _ არაფერი ხიერი მაგაში არა ყრია. პირიქით, უფრო მეტი ფული გიჯდება.
 _ არა მგონია. ზოგჯერ ძალიან სახეიროც არის, _ თქვა ბრეტმა.
 _ ჩემს დღეში არაფერი ხიერი არ მახსოვს.
 _ იმიტომ, რომ კარგად არ იყენებთ. ჩემი ტიტულის წყალობით უზარმაზარ კრედიტებს მიხსნიან ხოლმე.
 _ დაბრძანდით, გრაფო, _ მივმართე მე, _ ჯოხი აგერ მიბოძეთ.
 ოთახი გაზის ლამპით იყო განათებული. გრაფი მაგიდის მეორე მხარეს გასცქეროდა ბრეტს, რომელიც სიგარეტსა სწევდა და ფერფლს ნოხზე ბერტყავდა. როცა შეამჩნია, რომ შევნიშნე, მითხრა, _ ასე ხომ გაგიფუჭე ნოხები, ჯეიკ, საფერფლეს არ აღირსებ კაცს?
 რამდენიმე საფერფლე მოვძებნე და მაგიდაზე ჩამოვარიგე. შოფერმა მარილწაფრქვეული ყინული შემოიტანა ვედროთი.
 _ ორი ბოთლი ჩაგვიცივე, ანრი, _ უთხრა გრაფმა.
 _ სხვას არაფერს მიბრძანებთ, სერ?
 _ არა. დაბლა დაგვიცადე, მანქანაში, _ ჩვენ მოგვიბრუნდა, _ იქნებ ბულონის ტყეში ვისადილოთ!
 _ როგორც გნებავთ, _ უთხრა ბრეტმა, _ მე პირადად არაფრის ჭამა არ შემიძლია.
 _ მე კი კარგ სადილს არასოდეს არ დავიწუნებ, _ თქვა გრაფმა.
 _ შემოვიტანო ღვინო, სერ? _ იკითხა შოფერმა.
 _ ჰო, შემოიტანე, ანრი, _ უპასუხა გრაფმა. ღორის ტყავის მძიმე პორტსიგარი ამოიღო და მე გამომიწოდა, _ ნამდვილ ამერიკულ სიგარას არ ინებებთ?
 _ გმადლობთ, _ ვუთხარი მე, _ ჯერ ამ სიგარეტს მოვწევ.
 ოქროს საჭრელათი, რომელიც საათის მეწკვის ერთ ბოლოზე ჰქონდა დამაგრებული, სიგარას თავი მოაკვნია.
 _ მიყვარს, როცა კარგად იქაჩება სიგარა, _ თქვა გრაფმა, _ ნახევარზე მეტი ისეთი შეგხვდება, თითქმის სულაც ვერ მოქაჩავ.
 მოუკიდა, მოქაჩა და მაგიდის მეორე მხარეს ბრეტს გახედა.
 _ ოღონდ, ქმარს რომ გაეყრებით, მერე აღარ გექნებათ ტიტული, ლედი ეშლი.
 _ აბა! რა სამწუხაროა!
 _ ანკი რაში გჭირდებათ, _ თქვა გრაფმა, _ ზედვე გეტყობათ ოჯახიშვილობა და ჯიში.
 _ მადლობელი ვარ. დიდ პატივსა მდებთ.
 _ არ გეხუმრებით, _ გრაფმა კვამლი გამოუშვა, _ თქვენისთანა ჯიშიან ქალს ჯერაც არ შევხვედრივარ. ამას ვერავინ წაგართმევთ. მითქვამს და ვიტყვი კიდევ.
 _ ძალიან სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა, _ უთხრა ბრეტმა, _ დედაჩემსაც გაუხარდება. ვერ დამიწერთ? გავუზავნიდი.
 _ მასთანაც გავიმეორებ, _ მიუგო გრაფმა, _ კი არ გეხუმრებით. ჩემს დღეში არავინ არ გამიმასხარავებია. მტერი თუ მოგენატრა, ხალხი უნდა გაამასხარაო. სულ ეს მაკერია პირზე.
 _ მართალი ხართ, _ უთხრა ბრეტმა, _ საშინელი ჭეშმარიტებაა. მე, მაგალითად, სულ ხალხის დაცინვაში ვარ და ამიტომ ერთი მეგობარიც არ გამაჩნია ქვეყნად. აგერ, ჯეიკს გარდა.

_ ჯეიკს არ დასცინით?
 _ საქმეც ეგ არის.
 _ იქნებ დასცინით, ჰა?
 ბრეტმა შემომხედა და თვალთან ნაოჭები დააჯდა.
 _ არა, _ თქვა მან, _ ჯეიკს არასდიდებით არ დავცინებდი.
 _ ხომ ხედავთ, თურმე არ დასცინით!
 _ რა მოსაწყენი ლაპარაკია, _ თქვა ბრეტმა, _ იქნებ შამპანური დაგველია.
 გრაფი ბრჭყვიალა ვედროს მისწვდა და ბოთლები შეატრიალა.
 _ ჯერ არ გაცივებულა. სულ სვამთ და სვამთ, ჩემო კარგო. არ შეიძლება, ისე ვიყბედოთ?
 _ ისედაც ბევრი ვიყბედე. გულში თუ რამე მქონდა, ყველაფერი წამოვროშე ჯეიკთან.
 _ მინდა ერთი თქვენი გულიანი ლაპარაკი მოვისმინო. ჩემთან რომ ლაპარაკობთ, არასოდეს ამთავრებთ ხოლმე სათქმელს.
 _ თქვენ გიტოვებთ, რომ თქვენებურად დაამთავროთ. ვისაც როგორ უნდა, ისე დაამთავროს.
 _ ძალიან საინტერესო ჩვეულებაა, _ გრაფი ისევ გადასწვდა და ბოთლები შეატრიალა,
 _ მაგრამ მაინც მწადია თქვენი ლაპარაკის მოსმენა.
 _ სულელი არ არის? _ თქვა ბრეტმა.
 _ აჰა, _ გრაფმა ბოთლი ამოიღო, _ მგონი, გაცივდა.
 პირსახოცი გამოვიტანე, მან გაამშრალა ბოთლი და ხელში დაიჭირა.
 _ დიდი ბოთლებით მიყვარს შამპანური, უკეთესი ღვინოა, მაგრამ ძნელი ჩასაცივებელია, _ ბოთლი ასწია და გახედა. მე ჭიქები გამოვიტანე.
 _ გახსენი ბარემ, _ მითხრა ბრეტმა.
 _ ახლავე, ჩემი კარგო, ახლავე გავხსნი.
 განსაცვიფრებელი შამპანური იყო.
 _ ღვინოც ამას ჰქვია! _ ბრეტმა ჭიქა ასწია, _ რამე სადღეგრძელო უნდა შევსვათ. მეფეს გაუმარჯოს!
 _ ეს ღვინო ცოდვას სადღეგრძელოებისათვის, ჩემო კარგო. ამისთანა ღვინოს გრძნობები არ უნდა აურიო. გემოს ვერ ჩაატან.
 ბრეტის ჭიქა დაცარიელებული იყო.
 _ წიგნი უნდა დაწეროთ, გრაფო, ღვინოებზე, _ მივმართე მე.
 _ მისტერ ბერნს, _ მიპასუხა გრაფმა, _ ღვინისაგან სიამოვნების მეტს არაფერს მოვიტხოვ.
 _ მოდი, ცოტა კიდევ ვისიამოვნოთ, _ ბრეტმა წინ გამოსწია თავისი ჭიქა. გრაფმა ძალიან ფრთხილად დაუსხა, _ აჰა, ჩემო კარგო. ნელ-ნელა ისიამოვნეთ, მერე კი შეგიძლიათ დათვრეთ.
 _ დათვრეო? დავთვრე?
 _ ჩემო კარგო, სიმთვრალეში მომხიბვლელი ხართ.
 _ ერთი ამას უსმინე!
 _ მისტერ ბერნს, _ გრაფმა ჭიქა შემივსო, _ პირველად ვხედავ ქალს, სიმთვრალეშიაც ისეთივე მომხიბლავი იყოს, როგორც სიფხიზლეში.
 _ ეტყობა, ცოტა რამე გინახავთ ცხოვრებაში!
 _ არა, ჩემო კარგო. ძალიანაც ბევრი მინახავს. ძალიან ბევრი მივლია და ბევრი მინახავს.
 _ სჯობია, ღვინო დალიოთ, _ უთხრა ბრეტმა, _ ჩვენც ბევრი რამე გვინახავს. თქვენზე ნაკლები, მე მგონი, არც ჯეიკს ექნება ნანახი.

_ ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, მისტერ ბერნსს ძალიან ბევრი რამე უნახავს. არ იფიქროთ, ამაში ეჭვი მეპარებოდეს, სერ. მაგრამ მეც ბევრი მინახავს.
 _ რა თქმა უნდა, გინახავთ, ჩემო კარგო, მე ისე წავილაზღანდარე.
 _ შვიდი ომისა და ოთხი რევოლუციის მონაწილე ვარ, _ თქვა გრაფმა.
 _ თქვენ თვითონ იბრძოდით?
 _ ვიბრძოდი კიდეც, ჩემო ძვირფასო. ისრითაც დავჭრილვარ. ისრის ნაჭრილობები გაჩვენოთ?
 _ აბა, ერთი გვაჩვენე.
 გრაფი წამოდგა, ჟილეტი შეიხსნა და გულისპირიც გაიღელა, პერანგი აიწია და შავი მკერდი გამოიჩინა. მუცლის დიდი კუნთები სინათლეზე კიდეც უფრო გამოიკვეთა.
 _ ხედავთ?
 ნეკნებს ქვემოთ ორი თეთრი ნაჭრილობები აჩნდა.
 _ ახლა ზურგზეც შემხედეთ, საიდან მოდის! _ წელს ზემოთ ორი ასეთივე ნაიარევი აჩნდა, თითისსისხოზე ამოზურცული.
 _ აი, ეს კი მწამს!
 _ გაიარა და გამოვიდა.
 გრაფი პერანგს შარვალში იტნევდა.
 _ სად დაიჭერით? _ ვკითხე მე.
 _ აბისინიაში. ოცდაერთი წლისა ვიყავი.
 _ რას აკეთებდით? _ ჰკითხა ბრეტმა, _ ჯარში იყავით?
 _ საქმეზე ვიყავი, ჩემო ძვირფასო.
 _ აკი გითხარი, ესეც ჩვენია-მეთქი. ხომ გახსოვს? _ ბრეტი მე მომიბრუნდა, _ მე თქვენ მიყვარხართ, გრაფო. საყვარელი ადამიანი ხართ.
 _ ბედნიერი ვყოფილვარ, ჩემო კარგო, მაგრამ არა მჯერა.
 _ რას ტუტუცობთ?!
 _ ხომ ხედავთ, მისტერ ბერნს, ამდენი რამე რომ გადავიტანე ცხოვრებაში, იმიტომაც ყველაფერი მსიამოვნებს ახლა. ასე არ არის?
 _ დიახ, ნამდვილად.
 _ ასეა, _ თქვა გრაფმა, _ მთელი საიდუმლო ეგ არის. უნდა მიხვდე, განძი რაშია.
 _ თქვენს განძს არაფერი არ მოსდის ხოლმე? _ ჰკითხა ბრეტმა.
 _ არა. აღარა.
 _ შეყვარებული არასოდეს არ ყოფილხართ?
 _ მუდამ შეყვარებული არ ვარ? _ მიუგო გრაფმა, _ სულ მუდამ.
 _ მერე განძზე არ მოქმედებს ეგ?
 _ ამასაც თავისი ადგილი უჭირავს ჩემს განძეულობაში.
 _ არავითარი განძეულობა თქვენ არ გაგაჩნიათ. მკვდარი ხართ და მეტი არაფერი.
 _ არა, ჩემო ძვირფასო. არა ხართ მართალი. სულაც არა ვარ მკვდარი.
 სამი ბოთლი შამპანური გამოვცალეთ და გრაფმა კალათი ჩემს სამზარეულოში დატოვა. ბულონის ტყეში ვისადილე, ერთ-ერთ რესტორანში. დიდებული სადილი მოგვართვეს. საქმელსაც განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა გრაფის განძეულობაში. ღვინოსაც. მშვენიერ გუნებაზე დადგა გრაფი. ბრეტიც. საერთოდ კარგი დრო გავატარეთ.
 _ ახლა საით ისურვებდით გავლას? _ იკითხა გრაფმა ნასადილევის. ჩვენ მეტი აღარავინ იყო რესტორანში. ორი ოფიციანტი კართან იდგა. შინ წასვლა ეჩქარებოდათ.
 _ მონმარტრზე ავიდეთ. კარგი დრო არ გავატარეთ?
 გრაფს სახე უბრწყინავდა. ძალიან კმაყოფილი იყო.

_ დიდებული ხალხი ხართ, _ თქვა მან, ისევ სიგარას ქაჩავდა _ რატომ არ დაქორწინდებით?
 _ ჩვენს ნებაზე გვინდა ვიცხოვროთ, _ ვთქვი მე.
 _ ჩვენ-ჩვენი კარიერა გვაქვს, _ თქვა ბრეტმა, _ წამო, აქედან გავიდეთ.
 _ კიდეც დავლიოთ კონიაკი, _ თქვა გრაფმა.
 _ მთაზე დავლიოთ.
 _ არა. აქა სჯობია, სიწყნარეა.
 _ ერთი თქვენ და თქვენი სიწყნარეც! _ თქვა ბრეტმა, _ რა უბედურებაა, რომ კაცებს ენაზე სულ სიწყნარე გაკერიან?
 _ გვიყვარს სიწყნარე, _ უთხრა გრაფმა, _ ისევე გვიყვარს, როგორც თქვენ ხმაური, ჩემო ძვირფასო.
 _ კარგი, დავლიოთ თითო ჭიქა.
 _ შომმელიერ*! _ გასძახა გრაფმა.
 _ რას გვიბრძანებთ, სერ?
 _ ყველაზე ძველი კონიაკი რა ხნისა გაქვთ?
 _ ცხრაას თერთმეტისა, სერ.
 _ ერთი ბოთლი მოგვიტანე.
 _ ნეტა რას ბაქიბუქობთ! მოაბრუნე, ჯეიკ.
 _ ყური მიგდე, ჩემო ძვირფასო. ძველი კონიაკისთვის უფრო მემეტება ჩემი განძეული, ვიდრე სხვა რამე სიძველისათვის.
 _ ბევრი სიძველე გაქვთ?
 _ სახლი გამოტენილი მაქვს.
 როგორც იქნა, ავედით მონმარტრზე. ხალხით გაჭედილ რესტორანში თამბაქოს კვამლი იდგა და გუგუნნი იყო. ბრეტმა და მე ვიცეკვეთ. იმდენი ხალხი იყო, ძლივს დავჩოჩავდით. ზანგმა მედოლემ ბრეტს ხელი დაუქნია. გავიჭედეთ და ერთ ადგილზელა ვცეკვავდით, სწორედ ზანგის წინ.
 _ როგორაო?
 _ დიდებულად.
 _ კარგი საქმე.
 სულ კბილებად და ტუჩებად იქცა.
 _ ჩემი დიდი მეგობარია, _ თქვა ბრეტმა, _ შესანიშნავად უკრავს.
 მუსიკა შეწყდა და ჩვენ ჩვენი სუფრისკენ გავემართეთ, სადაც გრაფი იჯდა. მერე ისევ დაუკრეს და ჩვენც საცეკვაოდ გამოვედით. მე გრაფს შევეყურებდი. იჯდა სუფრასთან და სიგარას ქაჩავდა. ისევ შეწყდა მუსიკა.
 _ წავიდეთ.
 ბრეტი მაგიდისკენ გაემართა. მუსიკაც დაუკრეს და ისევ ცეკვა დავიწყეთ. ბრბოში ერთმანეთზე ვიყავით მიკრული.
 _ საძაგლად ცეკვავ, ჯეიკ. მაიკლზე კარგად ვერავინ ცეკვავს, ვისთანაც კი მიცეკვია.
 _ ბრწყინვალე მოცეკვავეა.
 _ საერთოდ ბევრი კარგი თვისება აქვს.
 _ მე მომწონს, ძალიან მომწონს.
 _ უნდა მივთხოვდე, _ თქვა ბრეტმა, _ საოცარია, მთელი კვირა არ მომგონებია.
 _ არც მიგიწერია?
 _ არა. წერილებს არ ვწერ.
 _ ის კი, რა თქმა უნდა, გწერს.
 _ მაშ არა და! თანაც რა წერილებს!

_ როდის უნდა იქორწინოთ?
 _ ვიცი? როგორც კი გაყრის ქაღალდს მივიღებ. მაიკლი დედამისს ეღრიჭება, ცოტა ფული გამოიმეტეო.
 _ მე ვერ დაგეხმარები?
 _ რას ტუტუცობ. მაიკლის სახლში ფული კეცა-კეცად უწყვიათ.
 მუსიკა შეწყდა. ჩვენ სუფრასთან მივედით. გრაფი ფეხზე წამოდგა.
 _ ძალიან კარგი იყო, _ თქვა მან, _ ძალიან გიხდებოდათ, ძალიან.
 _ თქვენ არ ცეკვავთ, გრაფო? _ ვკითხე მე.
 _ არა. რაღა დროს ჩემი ცეკვაა.
 _ ო, კარგი ერთი, _ უთხრა ბრეტმა.
 _ ჩემო ძვირფასო, რომ მსიამოვნებდეს, ვიცეკვებდი კიდეც. ის უფრო მსიამოვნებს, თქვენს ცეკვას რომ ვუცქერ.
 _ ბრწყინვალე საქმეა, _ თქვა ბრეტმა, _ მაშ, თქვენთვის კიდეც უნდა ვიცეკვო. თქვენი პატარა მეგობარი სადღა დაიკარგა, ზიზი?
 _ იცით, რა გითხრათ, ხელს კი ვუმართავ მაგ ბიჭს, მაგრამ არ მინდა სულ თვალწინ მყავდეს.
 _ მძიმე კაცი ჩანს.
 _ მე მგონი, კარგი მხატვარი დადგება, მაგრამ მე პირადად არ მინდა სულ თვალწინ მყავდეს.
 _ ჯეიკიც ასეა.
 _ გულს მირევს ხოლმე.
 _ იცით, რა, _ გრაფმა მხრები აიჩეჩა, _ რა გამოვა, მაგის თქმა ძნელია, მაგრამ მამამისი მამაჩემის დიდი მეგობარი იყო.
 _ წამო, ვიცეკვოთ, _ მითხრა ბრეტმა.
 ვიცეკვეთ. ჭედვა იყო და განძრევა არ შეიძლებოდა.
 _ ო, ჩემო კარგო, _ თქვა ბრეტმა, _ რა უბედური ვარ.
 ზოგჯერ რომ მოიცავს ხოლმე კაცს, ახლაც ისეთი გრძნობა დამეუფლა _ ეს ყველაფერი თითქოს ერთხელ უკვე გადამეტანოს.
 _ ერთი წუთის წინ რომ ბედნიერი იყავი?
 მედოლემ ხმამაღლა შემოსძახა.
 _ «ორჯერ ამაოდ ეპირები»...
 _ უკვე გაქრა.
 _ რა მოგივიდა?
 _ არ ვიცი, თავს საშინლად ვგრძნობ.
 _ « . . . » _ წაიმღერა მედოლემ და ისევ თავის ჯოხებს მიუბრუნდა.
 _ წავიდეთ?
 თითქოს ძილში მაჯლაჯუნა მაწვავო _ ყველაფერი ეს ერთხელ უკვე გამოვცადე თითქოს და ახლა ისევ ისე უნდა გამოვცადო.
 _ « . . . » _ ხმას დაუდაბლა მედოლემ.
 _ წავიდეთ, _ მითხრა ბრეტმა, _ შენ ხომ არ გინდა დარჩენა?
 _ « . . . » _ ისევ შემოსძახა მედოლემ და ბრეტს გაეჭყანა.
 _ არა, წავიდეთ, _ ვთქვი მე. ბრბოს თავი დავაღწიეთ და ბრეტი საგარდეროზოსკენ წავიდა.
 _ ბრეტს წასვლა უნდა, _ ვუთხარი გრაფს. თავი დამიქნია.
 _ აჰ, წასვლა უნდა? ძალიან კარგი. მანქანით წაბრძანდით. მე ერთხანს კიდეც დავრჩები, მისტერ ბერნს.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

– საუცხოო დრო გავატარეთ, – ვთქვი მე, – გთხოვთ, ამის ნება დამართოთ, – ჯიბიდან საფულე ამოვიღე.

– როგორ გეკადრებათ, მისტერ ბერნს, – მითხრა გრაფმა.

პლედმოსხმული ბრეტი მოვიდა. გრაფს აკოცა და მხარზე ხელი დაადო, ნუ ადგებიო. გარეთ რომ გამოვდიოდით, უკან მივიხედე და ვნახე, მის სუფრას სამი გოგო შემოჯდომოდა. დიდ მანქანაში ჩავსხედით. ბრეტმა თავისი სასტუმროს მისამართი უთხრა შოფერს.

– ნუ, ნუ ამოხვალ, – მითხრა მან სასტუმროსთან. დარეკა და კარი გააღეს.

– მართლა ნუ ამოვალ?

– ნუ, ჩემო კარგო.

– ღამე მშვიდობისა, ბრეტ, – ვუთხარი მე, – ვწუხვარ, რომ ასე საძაგელ გუნებაზე გხედავ.

– ღამე მშვიდობისა, ჯეიკ. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო. მეტად ვეღარ გნახავ, – კართან ვაკოცეთ ერთმანეთს. ხელი მკრა. ისევ ვაკოცეთ, – ო, არ გინდა! – თქვა ბრეტმა.

სწრაფად შეტრიალდა და სასტუმროში შევიდა. შოფერმა ჩემი სასტუმროსკენ წამიყვანა. ოცი ფრანკი ვაჩუქე, ხელი ქუდზე მიიღო და მითხრა: «ღამე მშვიდობისა, სერ» და მანქანა გააქროლა. ზარი დავრეკე. კარი გაიღო, მაღლა ავედი და ლოგინში ჩავწექი.

წიგნი მეორე

თავი VIII

სან-სებასტიანიდან მანამ არ დაბრუნდა, აღარც მინახავს ბრეტი. იქიდან ერთი ღია ბარათი გამომიგზავნა, რომელზედაც კონჩას ხედი იყო გამოსახული, და მწერდა: «ძვირფასო, აქ სიწყნარე და სიმყუდროვეა. ყმაწვილები სიყვარულით მომიკითხე. ბრეტი».

აღარც რობერტ კონი მინახავს მას შემდეგ. ფრენსისი ინგლისს წასულიყო, კონისაგან კი ბარათი მივიღე, ერთი-ორი კვირით ქალაქიდან გავდივარ, საით, მე თვითონ არ ვიცი, ოღონდ შარშან ზამთარში რომ დავთქვით ესპანეთს სათევზაოდ გამგზავრება, არასდიდებით არ გამომაპარო. ხმა მუდამ შეგიძლია მომაწვდინო ჩემი ბანკირის საშუალებითო.

ბრეტი წავიდა. კონი აღარ მიწყალებდა გულს წუწუნით და მიხაროდა კიდეც, რომ ჩოგბურთის თამაშს ვეღარ ვახერხებდი, რადგან ძალიან ბევრი საქმე გამიჩნდა.

დოღზე ხშირად დავდიოდი, ვსადილობდი მეგობრებთან ერთად და მეტწილად რედაქციაში ვიჯექი – მიწოდდა საქმე წინ წამეგდო, რათა შემდეგ შემძლებოდა, მდივნისათვის დამეტოვებინა ყველაფერი, როცა ბილი გორდონი და მე ივნისის ბოლოს ესპანეთისაკენ გავწევდით. ბილი გორდონი ჩამოვიდა, ერთი-ორი კვირა ჩემთან გაატარა ბინაზე და ვენაში გაემგზავრა. ძალიან კარგ გუნებაზე ჩამოვიდა და გაიძახოდა, ამერიკა დიდებულიაო. ნიუ-იორკიც დიდებული ყოფილიყო.

თეატრალურმა სეზონმაც ბრწყინვალედ ჩაიარა თურმე, ქვემძიმე წონაშიაც ბევრი ახალგაზრდა მოკრივე გამოჩენილა. ყოველი მათგანისაგან იყო მოსალოდნელი,

კარგად დახელოვნებულიყო, წონაში მოემატა და თვით დემპსი დაემარცხებინა. ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს ბილი. თავისი ბოლო წიგნით დიდძალი ფული მოეხვეტა და კიდევ უფრო მეტის მოხვეტას აპირებდა. პარიზში კარგი დრო გავატარეთ და მერე ვენაში გაემგზავრა. რამდენიმე კვირაში დაბრუნდებოდა და გავწევდით კიდევ ესპანეთისაკენ, სათევზაოდ და პამპლონაში ფიესტაზე დასასწრებად. ვენა დიდებულიაო, მწერდა. მერე ბუდაპეშტიდან მივიღე ბარათი: «ჯეიკ, ბუდაპეშტი დიდებულია». ბოლოს დეპეშა მივიღე: «ჩამოვდივარ ორშაბათს». ორშაბათ საღამოს სასტუმროში მომადგა. გავიგონე, როგორ გაჩერდა მისი ტაქსი, ფანჯარას მივაღექი და გადავძახე. ხელი დამიქნია და ჩემოდნებით კიბეს ამოუყვა. შევეგებე და ერთი ჩემოდანი გამოვართვი.

_ რასა იქმ, _ ვუთხარი მე, _ გავიგე, რომ დიდებულად გიმოგზავურია!

_ დიდებულად, _ თქვა მან, _ ბუდაპეშტი ნამდვილად დიდებულია!

_ ვენა?

_ არც ისე, ჯეიკ. არც ისე. რომ ველოდი, ისეთი ვერ გამოდგა.

_ მაინც? _ ჭიქებსა და სიფონს ვამზადებდი.

_ დავთვერი, ჯეიკ. მთვრალი ვიყავი.

_ საოცარია! აბა, დალიე.

ბილმა შუბლი მოისრისა.

_ საოცარი ამბავია, _ თქვა მან, _ არც კი მახსოვს, როგორ მოხდა. სავსებით მოულოდნელად მოხდა.

_ დიდი ხნით?

_ ოთხი დღე, ჯეიკ. მთელი ოთხი დღე.

_ მაინც სად იყავი?

_ არ მახსოვს. ბარათიც გამოგიგზავნე. ეს კარგად დამამახსოვრდა.

_ სხვა რამე გააკეთე?

_ რა ვიცი. შესაძლებელია.

_ მერე? მომიყევი.

_ ვერ გამიხსენებია. რაც მახსოვს, ყველაფერი გითხარი.

_ კარგი ერთი. გადაკარი და გაიხსენებ.

_ ცოტა რამე იქნება მართლაც გავიხსენო, _ თქვა ბილმა, _ კრივი მაგონდება. დიდი შეჯიბრება იყო ვენის პრიზზე. ვიღაც ზანგი მონაწილეობდა, ზანგი კარგად დამამახსოვრდა.

_ მერე?

_ დიდებული ზანგი იყო. ფლაურსს ჩამოჰგავს, ოღონდ ოთხჯერ იმაზე დიდია.

ერთბაშად დაუწყეს სროლა _ რაღეს არ ესროდნენ. მე არა. ის იყო, ზანგმა ვენელი ბიჭი დასცა. მერე თათმანიათ ხელი ასწია. სიტყვის თქმა უნდოდა. მერე ვენელმა თეთრმა ბიჭმა მოარტყა. იქვე გათხლარშა ის შენი თეთრი ვენელი და დაუშინეს კიდევ სკამები. ჩვენ ჩავისვით მანქანაში. ტანსაცმლის წამოღებაც კი ვერ მოასწრო. ჩემი პალტო წამოისხა. უკვე ყველაფერი გამახსენდა. დიდი სპორტული საღამო იყო.

_ მერე?

_ ვათხოვე იმ ზანგს ტანსაცმელი და ფულის მისაღებად გავყევი. აქეთ შემოგვედავენენ

_ დარბაზის დაზიანებისათვის ზანგმა უნდა გადაგვიხადოსო. როგორ გგონია, ვინ უთარგმნიდა? მე ვუთარგმნიდი?

_ ალბათ, არა.

_ კარგად მიხვდი. მე რას ვუთარგმნიდი! ვიღაც სხვა იყო. მგონი, ჰარვარდის პროფესორს ვეძახდით. ჰო, ახლა მომაგონდა. მუსიკას რომ სწავლობდა.

– მერე რა მოხდა?

– კარგი არაფერი, ჯეიკ. სად გინახავს სამართალი. შეჯიბრების მომწყობი გაიძახოდა

– ზანგი შეგვპირდა, ვენელს გაველახვინებო. ზანგმა ხელშეკრულება დაგვირღვიაო.

ვენელი ჩემპიონის ვენაში გალახვა სად გაგონილაო. «რა მექნა, მისტერ გორდონ, –

ზანგმა შემომჩივლა, – მთელი ორმოცი წუთი მეტი არაფერი გამიკეთებია, სულ იმას

ვცდილობდი, როგორმე გაველახვინო-მეთქი. იმდენს მებლაუჭა, რომ ეტყობა,

თავისით გაწყდა ქანცი იმ თეთრ ბიჭს. მე ერთხელაც არ მომირტყამს».

– ფული მიიღეთ?

– რის ფული, ჯეიკ! ზანგის ტანსაცმელი ძლივს გამოვგლიჯეთ. ის კი არა და, საათი

ვიღაცამ ააწაპნა. ბრწყინვალე ზანგია. დიდი შეცდომა მომივიდა, რომ ვენაში წავედი.

რომ მეგონა, ისეთი არ ყოფილა, ჯეიკ. ისეთი არ ყოფილა.

– ზანგმა რაღა ქნა?

– კელში გაბრუნდა. იქა ცხოვრობს. ცოლშვილიანია. შემპირდა, წერილს მოგწერ და,

მე რომ ვასესხე, იმ ფულსაც გამოგიგზავნიო. დიდებული ზანგია. მგონი, სწორი

მისამართი მივეცი.

– არა მგონია, შეგშლოდეს.

– წავიდეთ და ვჭამოთ რამე, – თქვა ბილმა, – თუ კიდევ გინდა მოგზაურობის ამბები?

– განაგრძე.

– წავიდეთ, ვჭამოთ.

ივნიშის თბილი საღამო იდგა. ჩვენ დაბლა დავეშვით და სენ მიშელის ბულვარზე

გამოვედით.

– საით წავიდეთ?

– არ გინდა, კუნძულზე ვივახშმოთ?

– სიამოვნებით.

ბულვარს დავუყევით, დენფერ-როშერის ქუჩებსა და ბულვარის მიჯნაზე

ორფიგურიანი ქანდაკება დგას. ორივე მამაკაცი ფარფაშა მოსასხამშია გამოკვეთილი.

– მე ვიცი, ვინც არიან ეგენი, – ბილმა ქანდაკება შეათვალიერა, – ფარმაკოლოგიის

მომგონი ჯენტლმენები გახლავთ. სულ ტყუილია, შენი პარიზით თავგზას ვერ

ამიბნევ!

წავედით.

– აქ ფიტულის მჩურჩავი მუშაობს, – თქვა ბილმა, – გინდა, გიყიდო რამე? ძაღლის

ფიტული არ გინდა?

– წამოდი, – ვუთხარი მე, – ზედმეტი მოგსვლია.

– მშვენიერი ძაღლის ფიტულია, – თქვა ბილმა, – ისე დაამშვენებს შენს ბინას!

– წამოდი.

– ერთი ძაღლის ფიტული. მე პირადად ფეხებზე მკიდია – გინდა წამოვიღებ, გინდა

არა. მაგრამ, ჯეიკ, რა გახდა ერთი ძაღლის ფიტული!

– წამოდი.

– ამას რომ იყიდი, სხვა აღარაფერი დაგაინტერესებს ქვეყანაზე. ეს ფასეულობათა

უბრალო გაცვლაა. შენ ფულს მისცემ, ისინი ძაღლის ფიტულს მოგცემენ.

– უკან რომ დავბრუნდებით, მაშინ ვიყიდოთ.

– აგრე იყოს. შენს სიტყვას არ გადავალ, ჯოჯოხეთის გზა შეუსყიდავი ძაღლის

ფიტულებით არის მოფენილი, რა ჩემი ბრალია.

წავედით.

– ასე ერთბაშად როგორ წამოგიარა ძაღლების სიყვარულმა?

– როდის არ მყვარებია, სულ ცხოველების ფიტულებზე არ ამომდის მზე?

შეჟერდით და დავლიეთ.

- _ სული სასმელში მიმდის, _ თქვა ბილმა, _ ზოგჯერ არც შენ გაწყენს, ჯეიკ.
 - _ შენ ვინლა დაგეწევა? ას ორმოცდაოთხი ქულით გამასწარი.
 - _ გულს ნუ გაიტეხ. არასოდეს არ უნდა გაიტეხო გული. ჩემი გამარჯვების საიდუმლო ეგ არის. გულს არ ვიტეხ. ჩემს დღეში არ გავიტეხ გულს ხალხის დასანახად.
 - _ სად გადაგიკრავს?
 - _ «კრიიონში» შევიარე. ჟორჟმა ერთი-ორი კოქტეილი დამალევინა. დიდი კაცია ჟორჟი. მაგისი გამარჯვების საიდუმლო თუ იცი? თავის დღეში გულს არ იტეხს.
 - _ დალიე კიდევ სამი პერნო და ნახავ, თუ არ გაგიტყდება გული.
 - _ სხვის დასანახად არა! თუ შევატყვე გული მიტყდება-მეთქი, ავდგები და მე თვითონ წავალ. ამ საქმეში კატა ვარ.
 - _ ჰარვი სტოუნი როდის ნახე?
 - _ «კრიიონში». ჰარვი ცოტათი გულგატეხილია. სამი დღეა არაფერი უჭამია. აღარც შეჭამს _ კრიჭა შეკრა. სულ კატას ემსგავსება. მოსაწყენი კაცი გახდა.
 - _ კარგი ბიჭია.
 - _ ბრწყინვალე, მაგრამ ნეტა კატასავით არ დადიოდეს. ნერვებს მიშლის.
 - _ ამაღამ რა გავაკეთოთ?
 - _ ჩემთვის სულერთია. ოღონდ გულს ნუ გავიტეხთ. იქნებ აქაც ჰქონდეთ მაგრად მოხარშული კვერცხები! მაშინ კუნძულზე რაღა გვინდა.
 - _ კარგი ერთი, _ ვუთხარი მე, _ ბარემ წავიდეთ და ხეირიანად ვისადილოთ.
 - _ მე ხომ არ დამიჟინია, _ თქვა ბილმა, _ წავიდეთ?
 - _ წავიდეთ.
- ისევ გავუყევით ბულვარს. ეტლმა ჩაგვიარა. ბილმა თვალი გააყოლა.
- _ იმ ეტლს ხედავ? ფიტულს გავაკეთებინებ იმისგან და საშობაოდ მოგართმევ. ჩემს მეგობრებს სულ ფიტულები უნდა ჩამოვურიგო. მე ნატურალისტი ვარ.
- ტაქსიმ ჩაგვიქროლა. ვიღაცამ ხელი დაგვიქნია შიგნიდან, მერე კი შოფერს დაუკაკუნა და გააჩერებინა. მანქანა უკუსვლით წამოვიდა და ტროტუართან შედგა. ბრეტი იყო.
- _ მშვენიერო ქალბატონო, _ უთხრა ბილმა, _ ჩვენი მოტაცება გადაგიწყვეტიათ?
 - _ ჰელო! _ შესძახა ბრეტმა, _ ჰელო!
 - _ გაიცანით: ბილ გორდონი _ ლედი ეშლი.
- ბრეტმა ბილს გაუღიმა.
- _ ეს არის ჩამოვედი. ჯერ არც კი მიზანავია. მაიკლი ამაღამ ჩამოდის.
 - _ ძალიან კარგი. წამოდი, ჩვენთან ისადილე და მერე ერთად შევხვდეთ.
 - _ ჯერ გავსუფთავდე.
 - _ კარგი ერთი, წამოდი.
 - _ უნდა ვიზანაო. ცხრამდე არ ჩამოვა.
 - _ ჯერ წავიდეთ და დავლიოთ, მერე იზანავებ.
 - _ ასე შეიძლება. ეს აღარაა სისულელე.
- ტაქსიში ჩავსხედით. შოფერმა უკან მოიხედა.
- _ უახლოეს ბისტროში მიგვიყვანე, _ ვუთხარი მე.
 - _ «კლოზერიშიაც» შეიძლებოდა, _ თქვა ბრეტმა, _ ამათ საძაგელ კონიაკს ვერ დავლევ.
 - _ «კლოზერი დე ლილა».
- ბრეტი ბილს მიუბრუნდა.
- _ დიდი ხანია ამ ჭირიან ქალაქში ხართ?
 - _ დღეს ჩამოვედი ბუდაპეშტიდან.

_ ბუდაპეშტი კარგი იყო?
 _ დიდებული, დიდებული იყო ბუდაპეშტი.
 _ აბა, ვენაზეც ჰკითხე.
 _ ვენა უცნაური ქალაქია, _ თქვა ბილმა.
 _ პარიზსა ჰგავს, _ ბრეტმა გაუღიმა, თვალთან ნაოჭები გაუჩნდა.
 _ ნამდვილად, _ მიუგო ბილმა, _ ამ წუთში მართლაც პარიზსა ჰგავს.
 _ თქვენ რა დაგეწევათ!
 «ლილას» ტერასაზე დავსხედით, ბრეტმა სოდიანი ვისკი დაუკვეთა, მეც, ბილმა კი ისევ პერნო არჩია.
 _ როგორა ხარ, ჯეიკ?
 _ დიდებულად, _ ვუთხარი მე, _ კარგი დრო გავატარე.
 ბრეტმა შემომხედა.
 _ სისულელე ვქენი, რომ წავედი, _ თქვა მან, _ ვირი უნდა იყო, რომ პარიზი დატოვო.
 _ კარგი დრო გაატარე?
 _ ო, კარგი. საინტერესო იყო. თუმცა არც ძალიან მხიარული.
 _ ვინმეს შეხვდი?
 _ არა. თითქმის არავის. გარეთ არც კი გამოვსულვარ.
 _ არ გიცურავია?
 _ არა. არაფერიც არ გამიკეთებია.
 _ რაღა ვენა და რაღა ის! _ თქვა ბილმა.
 ბრეტმა შეხედა და თვალთან ნაოჭები გაუჩნდა.
 _ მაშ, ვენაშიაც ასე იყო?
 _ ვენაში ყოველნაირად იყო.
 ბრეტმა კვლავ გაუღიმა.
 _ მშვენიერი მეგობარი გყოლია, ჯეიკ.
 _ არა უშავს რა, _ ვუთხარი მე, _ ფიტულების მჩურჩავია.
 _ ეს სულ სხვა ქვეყანაში იყო, _ თქვა ბილმა, _ თანაც ცხოველები იქ სულ გაეწყვიტათ.
 _ ერთი კიდეც და გავიქცევი, _ თქვა ბრეტმა, _ ოფიციალტი გაგზავნე ტაქსისთვის.
 _ ეგერ რამდენიც გინდა. სწორედ ჩვენს პირდაპირ.
 _ ათზე «სელექტში» ვართ, არ დაგავიწყდეს, მეგობარიც წამოიყვანე. მაიკლიც იქ იქნება.
 _ იქ დაგიხვდებით, _ უთხრა ბილმა. ტაქსი დაიდრა და ბრეტმა ხელი დაგვიქნია.
 _ გოგოც ასეთი უნდა, _ თქვა ბილმა, _ მშვენიერი ქალია. მაიკლი ვინდაა?
 _ მაგისი საქმრო.
 _ ამას არ უყურებ! _ წამოიძახა ბილმა, _ სწორედ ამ საფეხურზე უნდა შეეხვდე სუყველას! მაგათ რაღა მივართვა? რას იტყვი, დოლის ცხენების ფიტულები არ მოეწონებათ?
 _ კარგი ერთი, ვისადილოთ.
 _ მართლა ლედია თუ ისე? _ მკითხა ბილმა, როცა ჩვენი ტაქსი სენ ლუის კუნძულს მიადგა.
 _ რა თქმა უნდა. საგვარტომო ნუსხაში მოხსენიებულია და ყველაფერი.
 _ ამას არ უყურებ?!
 კუნძულის ბოლოში გავედით და მადამ ლეკომტის რესტორანში ვისადილეთ. სულ ამერიკელებით იყო გაჭედილი და ერთხანს ფეხზედგომელა ლოდინი მოგვიწია.
 ვიღაცას აუღია და, როგორც მთელ სანაპიროზე ორიგინალური და ამერიკელებისაგანაც ხელუხლებელი რესტორანი, ამერიკელ ქალთა კლუბის სიაში

შეუტანია. ამიტომ იყო, რომ მთელი ორმოცდახუთი წუთი ვუცადეთ მაგიდის გათავისუფლებას. ბილს 1918 წელს ესადილა აქ, დაზავებისთანავე, და მადამ ლეკომტი ახლა დიდის ამბით შეხვდა.

_ მაგიდა ვერ გამოგვიძებნა, _ თქვა ბილმა, _ მაგრამ მაინც დიდებული ქალია. კარგად ვისადილეთ. შემწვარი წიწილები ახალი მუხუდოთი და კარტოფილის პიურეთი, სალათი, ვაშლის ღვეზელი და ყველი.

_ მთელ ქვეყანას თქვენს რესტორანში მოუყრია თავი, _ უთხრა ბილმა მადამ ლეკომტს.

მადამ ლეკომტმა ხელი ასწია:

_ აჰ, ღმერთო ჩემო!

_ გამდიდრდებით.

_ იმედს არ ვკარგავ.

ყავა რომ დავლიეთ და კონიაკიც დავაყოლეთ, ანგარიში მოვითხოვეთ, და, როგორც ყოველთვის, ცარცით დაწერილი მოგვიტანეს, გრიფელის დაფაზე _ ეს უდავოდ ერთ-ერთი «ორიგინალური» მხარე იყო ამ რესტორნისა. გადავიხადეთ. ხელი ჩამოვართვით და კარისკენ გავემართეთ.

_ სულ დაგვივიწყეთ, მუსიე ბერნს, _ მითხრა მადამ ლეკომტმა.

_ ძალიან ბევრი თანამემამულეა.

_ სასაუბროდ უნდა მოხვიდეთ. მაშინ ამდენი ხალხი არ არის.

_ კეთილი. მოვალ ხოლმე.

გამოვედით და დავუყევით ხეივანს, რომელიც კუნძულის იქითა მხარეს, ორლენის მხრიდან გადაჰყურებს მდინარეს. მდინარის გაღმა ძველი, დანგრეული სახლების კედლები მოჩანდა.

_ იმ ადგილას ქუჩა უნდა გაიყვანონ.

_ გაიყვანენ კიდეც, _ თქვა ბილმა.

ფეხით შემოვუარეთ მთელ კუნძულს. მდინარე ჩაბნელებული იყო და უცებ ერთიანად გაჩახჩახებული ბატეაუ მოუცჰე* გამოჩნდა, უხმოდ ჩაისრიალა და ხიდს იქით გაუჩინარდა. ქვემოთ, მდინარის გაყოლებაზე, ღამეულ ცაში აჭრილი ღვთისმშობლის ტაძარი მოჩანდა. კე დე ბეთიუნის სანაპიროდან ხის საცალფეხო ხიდით სენის მარცხენა ნაპირზე გავედით, ხიდის თავში შევჩერდით და თვალი ღვთისმშობლის ტაძარს გავუშტერეთ. ხიდიდან კუნძული ჩაბნელებული ჩანდა, სახლები ცაში აზიდულიყო, ხეები კი ჩრდილებს დამსგავსებოდნენ.

_ ძალიან ლამაზი კია, _ თქვა ბილმა, _ მადლობა ღმერთს, რომ დავბრუნდი.

ხის მოაჯირს გადავეყუდეთ და მდინარის აღმა დიდ, განათებულ ხიდებს გავხედეთ. წყალი გლუვი და შავი იყო. ხიდის ბურჯებზე სულაც არ ხმაურობდა. ვიღაც კაცმა და გოგომ ჩაგვიარეს. ხელგადახვეულები მიდიოდნენ.

ხიდი გავიარეთ და კარდინალ ლემუანის ქუჩას შევყევით. დიდი აღმართი იყო და კონტრესკარპის მოედნამდე სულ ფეხით ვიარეთ. რკალ-ფანრის შუქი ფოთლებში ატანდა და ხეებს ქვეშ ასაძრავად გამოზადებული ავტობუსი იდგა. Nეგრე Lოყეუხ-დან მუსიკის ხმა აღწევდა, კაფე AAუხ Aმატეურს-ის ფანჯარაში თუთიაგადაკრული გრძელი დახლი დავინახე. გარეთ, ტერასაზე, მუშა ხალხი იჯდა და სვამდა.

Aმატეურს-ის ღია სამზარეულოში მზარეული გოგო ზეთზე კარტოფილსა წვავდა.

იქვე თუჯის ქვებში ხორცი იმუშებოდა. გოგო თეფშზე იღებდა ხორცს

ბერიკაცისათვის, რომელიც იქვე იდგა და ცალ ხელში წითელი ღვინის ბოთლი ეჭირა.

_ არ დავლიოთ?

_ არა, _ თქვა ბილმა, _ მეტი აღარ მინდა.

კონტრესკარპის მოედნიდან მარჯვნივ შევუხვით და გავყევით ვიწრო, სწორ ქუჩებს, რომელთაც ორივე მხარეს მაღალი, ძველი სახლები ჰქონდა ჩამწკრივებული. ზოგი სახლი წინ გამოშვერილიყო, ზოგიც უკან იყო შეწეული. პო-დე-პერის ქუჩაზე გავედით, ვიარეთ ასე ჩრდილოეთით და სენ-ჟაკის ქუჩას რომ მივადექით, სამხრეთით ვქენით პირი, გავცდით რკინის მესერშემოვლებულ ვალ-დე-გრასის საავადმყოფოს და დიუ-პორ-რუაიალის ბულვარზე ამოვყავით თავი.

_ ახლა რა ვქნათ? _ ვკითხე მე, _ კაფეში არ წავიდეთ, ბრეტისა და მაიკის სანახავად? _ რატომაც არა!

გავყევით პორ-რუაიალის ბულვარს, მანამ მონპარნასზე გავიდოდით, გავცდით «ლილას», «ლავინს», «დამუასა» და სხვა წვრილ-წვრილ კაფეებს, «როტონდის» პირდაპირ ქუჩა გადავჭერით, გვერდი ავუქცეთ «როტონდის» ჩირაღდნებსა და მაგიდებს და «სელექტს» მივადექით.

მაიკლი წამოდგა და შემოგვეგება. მზე მოჰკიდებოდა და ჯანზე მოსულიყო.

_ ჰელო, ჯეიკ! ჰელო! ჰელო! რასა იქმ, მეგობარო?

_ ჯანზე მოსულხარ, მაიკ.

_ ნამდვილად. ძალიან გავჯანსაღდი. სიარულის მეტი არაფერი გამიკეთებია. მთელი დღე დავყიალობდი. ჩაიზე კი თითო ჭიქა კონიაკი, დედაჩემთან ერთად.

ბილი დახლს მიადგა და საუბარი გააბა მაღალ ტაბურეტზე შემომჯდარ ბრეტთან, რომელსაც ფეხები გადაეჯვარედებინა. წინდები არა სცმია ბრეტს.

_ ძალიან მესიამოვნა შენი ნახვა, ჯეიკ, _ მითხრა მაიკლმა, _ ცოტა შემთვრალი კი ვარ, მაგრამ არა უშავს. სასაცილო არაა? ჩემს ცხვირს ვერა ხედავ?

ცხვირზე სისხლი მიხმობოდა.

_ ვილაც დედაბრის ჩემოდნებმა მიყო, _ თქვა მაიკმა, _ მივეშველები და ჩამოვუღებ-მეთქი და თავზე არ დამაცვივდა!

ბრეტმა თავისი გრძელი მუნდშტუკით ანიშნა, მოდიო, და თვალთან ნაოჭები გაუჩნდა.

_ ვილაც დედაბერი, _ თქვა მაიკლმა, _ და თავზე არ ჩამომაცვივდა მისი ჩემოდნები! წავიდეთ, ბრეტი ნახე! შეხედე, რა ნაჭერია! შესანიშნავი ქალი ხარ, ბრეტ. ეს ქუდი სად გიშოვია?

_ მეგობარმა მიყიდა. არ მოგწონს?

_ საშინელი ქუდია. კარგი ქუდი იყიდე.

_ ოი, რა ფულები გვაქვს! _ თქვა ბრეტმა, _ გამიგონე, ბილს არ იცნობ? რა ყურადღებიანი ხარ, ჯეიკ.

მერე მაიკს მიუბრუნდა:

_ ბილი გორდონი. ეს ლოთი კი მაიკ კემბელი გახლავთ. მისტერ კემბელი უკვე წყალწალეხული კოტრია, გაკოტრდა.

_ მართლა, განა! გუშინ ლონდონში ჩემი ექსპარტნიორი შემხვდა. ვინც ეგ საქმე მიყო, ის ვაჟბატონი.

_ რაო, მერე?

_ ერთ ჭიქა ღვინოზე დამპატიჟა. არ ღირს-მეთქი, ვიფიქრე, გაწბილება. ჰოი, რა ნაჭერი ხარ, ბრეტ, რომ იცოდე! ჰა, რას იტყვით, ხომ ლამაზია?

_ ლამაზს ბევრი არა მაკლია რა, ამ ჩემი ცხვირით!

_ მშვენიერი ცხვირია. აბა, აქეთ მოაბრუნე. ხომ კარგი ნაჭერია?

_ ამ კაცის შოტლანდიაში დატოვება არ შეიძლებოდა?

_ გამიგონე, ბრეტ, ადრე წავიდეთ შინ.

_ უწესოდ ნუ იქცევი, მაიკლ. ნუ გავიწყდება, რომ აქ ქალებიც არიან.
 _ არა, კარგი ნაჭერი არ არის? ჰა, რას იტყვი, ჯეიკ?
 _ ამაღამ კრივია, _ თქვა ბილმა, _ არ წავიდეთ?
 _ კრივიო, _ შესძახა მაიკმა, _ ვინ და ვინ?
 _ ლედუ და კიდევ ვიღაც.
 _ ძალიან კარგია ის ლედუ, _ თქვა მაიკმა, _ გულით მინდა წასვლა, _ თავის შეკავება სცადა, _ მაგრამ არ შემოძლია. პაემანი მაქვს აი, ამასთან. გესმის, ბრეტ, ახალი ქუდი იყიდე.
 ბრეტმა ცალ თვალზე ჩამოიფხატა თექის ქუდი, მეორეთი კი ამოიხედა და გაიღიმა.
 _ თქვენ კრივზე წადით ორივენი. მე კი მისტერ კემბელი შინ უნდა წავიყვანო.
 _ მთვრალი არ გეგონო, _ შესძახა მაიკმა, _ იქნებ სულ ერთი ბეწო. ჰოი, რა კარგი ნაჭერი ხარ, ბრეტ.
 _ თქვენ კრივზე წადით, _ თქვა ბრეტმა, _ მისტერ კემბელი ცუდად გახდა. რა სიყვარულმა წამოგიარა, მაიკლ?
 _ კარგი ნაჭერი ხარ-მეთქი!
 ჩვენ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.
 _ ძალიან მწყინს, რომ ვერ მოვდივარ, _ თქვა მაიკმა. ბრეტმა გაიცინა. კარიდან კიდევ მივიხედე უკან. მაიკი ცალი ხელით დახლს დაყრდნობოდა, ბრეტისკენ გადახრილიყო და რაღაცას ეუბნებოდა. ბრეტი ცივად შეჰყურებდა, მაგრამ თვალის ნაოჭები მაინც იღიმებოდნენ.
 ტროტუარზე რომ გავედით, მე ვთქვი:
 _ გინდა კრივზე წასვლა?
 _ რატომაც არა! _ მითხრა ბილმა, _ ოღონდ ფეხით არა.
 _ მაიკი სულ გაუშმაგებია თავის მეგობარ გოგოს, _ ვთქვი მე ტაქსში.
 _ აჰ, _ თქვა ბილმა, _ ვერ დავძრახავ.

თავი IX

ლედუ და კიდ ფრენსისი ოც ივნისს შეხვდნენ ერთმანეთს კრივში. კარგი ბრძოლა გაიმართა. მეორე დილას რობერტ კონის წერილი მივიღე ჰანდაიდან. ძალიან მშვიდად ვცხოვრობო, იწერებოდა, ვბანაობ, ზოგჯერ გოლფს ვთამაშობ, უფრო ხშირად კი ბრიჯსაო. ბრწყინვალე პლიაჟი ჰქონია ჰანდაის, მაგრამ მას ერთი სული აქვს, მანამ სათევზაოდ წავიდოდეთ. როდის წავალ? ანკესის ორმაგ კანაფს თუ ვუყიდი, როცა ჩავალ, ფულს მაშინ გადამიხდის.

იმავე დილას რედაქციაში დავწერე პასუხი და გავუგზავნე: ბილი და მე ოცდახუთ ივნისს გავალთ პარიზიდან, თუ გადავიფიქრეთ, დეპეშით ვაცნობებ. კონს ბაიონში შევხვდებით, საიდანაც მთაში მიმავალი ავტობუსით პამპლონასკენ გავწევთ. იმავე საღამოს, შვიდი საათი იქნებოდა, როცა მაიკლისა და ბრეტის სანახავად კაფე «სელექტში» მივედი. იქ არ დამხვდნენ და «დინგოსკენ» გავწიე. კაფეში ისხდნენ, დახლთან.

_ ჰელო, ჩემო ძვირფასო, _ ბრეტმა ხელი გამომიწოდა.
 _ ჰელო, ჯეიკ, _ თქვა მაიკმა, _ ახლა მაგონდება, წუხელ მაგარი მთვრალი ვიყავი.
 _ აჰ, რა ბრძანებაა! _ უთხრა ბრეტმა, _ პირდაპირ საზიზღრობაა!
 _ ერთი მითხარი, _ თქვა მაიკმა, _ ესპანეთისკენ როდის აპირებთ? ხომ არ გეწყინებათ, ჩვენც რომ გამოგყვით?

_ დიდებული საქმე იქნება.
 _ მართლა არ გეწყინება? მე ნამყოფი ვარ პამპლონაში, ხომ იცი. ბრეტს გაგიჟებით უნდა წამოსვლა. თავს ხომ არ მოგაბეზრებთ?
 _ რას სულელლობ!
 _ ცოტა შემთვრალი ვარ, ხომ იცი, თორემ ასე არც ჩაგაცივდებოდი. ჰა, ნამდვილად არ გეწყინებათ?
 _ კარგი ერთი, მაიკლ, _ შეუძახა ბრეტმა, _ მეწყინებაო, როგორ გეტყვის! მერე მე თვითონ ვკითხავ.
 _ არა, ისე, ხომ არ გეწყინება, ჰა?
 _ თუ არ გინდა, გული მომაყვანინო, ნულარ შემეკითხები. ბილი და მე ოცდახუთში დილით გავემგზავრებით.
 _ მართლა, ბილი სადღაა? _ იკითხა ბრეტმა.
 _ შანტილიში წავიდა, სადილად დაჰპატიჟეს.
 _ კარგი ბიჭია.
 _ ბრწყინვალე ბიჭია, _ თქვა მაიკმა, _ ნამდვილად.
 _ შენ საიდან გახსოვს? _ უთხრა ბრეტმა.
 _ როგორ არა. მშვენივრად მახსოვს. მაშ ასე, ჯეიკ, ჩვენ ოცდაოთხში ჩამოვალთ, ღამით. ბრეტი ვერ ადგება ადრე.
 _ მართლაც!
 _ ფული თუ გამომიგზავნეს და თქვენც თუ არ გეწყინებათ...
 _ ფული ნამდვილად მოგვივა. ეგ მე მომანდე.
 _ ეგეც მითხარი, რა უნდა გამოვიწეროთ?
 _ ორ-სამი ანკესი, თავისი ჯოხებითა და ძუებით, სპინინგები და ბუზები.
 _ მე არ ვითევზავებ, _ თქვა ბრეტმა.
 _ მაშინ ორი სპინინგი. ბილი აღარ იყიდის.
 _ კეთილი, _ თქვა მაიკმა, _ ჩვენს დარაჯს გავუგზავნი დეპეშას.
 _ ბრწყინვალე არ იქნება? _ შესძახა ბრეტმა, _ ესპანეთი! მშვენივრად გავერთობით.
 _ ოცდახუთი. ეს როდის არის?
 _ შაბათს.
 _ მაშ უნდა მოვემზადოთ უკვე.
 _ იცით რა, _ თქვა მაიკმა, _ მე საპარიკმახეროში მივდივარ.
 _ მე უნდა ვიბანაო, _ თქვა ბრეტმა, _ მიმაცილე სასტუმრომდე, ჯეიკ, ქენი სიკეთე.
 _ ჩვენც რომ კარგ სასტუმროში ჩამოვხტით! _ თქვა მაიკმა, _ საროსკიპოს უფრო ჰგავს.
 _ რომ ჩამოვედით, ჩემოდნები აქვე დავტოვებ, «დინგოში». სასტუმროში გვკითხეს, რამდენი საათით გჭირდებათ ოთახიო. როცა გაიგეს, ღამით ვჩერდებოდით, სიხარულით ცას ეწივნენ.
 _ აკი გეუბნებით, საროსკიპო-მეთქი, _ თქვა მაიკმა, _ მაგას ვერ მივხვდები?!
 _ კარგი, გეყოფა, წადი და თმა შეიკრიჭე.
 მაიკი გავიდა. ბრეტი და მე იქვე დავრჩით.
 _ კიდევ დავლიოთ?
 _ შეიძლება.
 _ ცოტათი მიშველა სასმელმა, _ თქვა ბრეტმა.
 დელამბრის ქუჩით გავწიეთ.
 _ რაც ჩამოვედი, არ მინახავხარ, _ თქვა ბრეტმა.
 _ ჰო.
 _ როგორ ხარ, ჯეიკ?

_ მშვენივრად.

ბრეტმა შემომხედა.

_ გამოიგონე, _ მითხრა მან, _ რობერტ კონიც მოდის ესპანეთში?

_ ჰო. რა იყო?

_ როგორ გგონია, ეს მძიმე არ იქნება მისთვის?

_ რატომ?

_ იცი, ვისთან ერთად ვიმგზავრე სან-სებასტიანში?

_ მომილოცავს, _ ვუთხარი მე.

ჩვენ არ შევჩერებულვართ.

_ რატომ მითხარი ასე?

_ არ ვიცი. აბა, რა გინდოდა მეთქვა?

ერთხანს პირდაპირ მივდიოდით, მერე კი შევუხვიეთ.

_ ცუდად არ მოქცეულა, ოღონდ ცოტა მოსაწყენი კაცია.

_ მართლა?

_ ვიფიქრე, ჭკუაში ჩავარდება-მეთქი.

_ კარგი იქნებოდა, საქველმოქმედო საზოგადოებაში შესულიყავი.

_ რას მიედ-მოედები!

_ აღარაფერს ვიტყვი.

_ მართლა არ იცოდი?

_ არა, _ ვთქვი მე, _ ეტყობა, არ მიფიქრია ამაზე.

_ რას იტყვი, ძალიან მძიმე არ იქნება მისთვის?

_ ეს თვითონ იკითხოს, _ ვთქვი მე, _ მისწერე, მეც მივდივარ-თქო. გადაფიქრება არ გაუძნელდება.

_ მივწერ და წინასწარვე მივცემ საშუალებას, რომ გადაიფიქროს.

ამის შემდეგ ოცდაოთხ ივნისამდე აღარ მინახავს ბრეტი.

_ კონისაგან მიიღე რამე?

_ მაშა, აღფრთოვანებულია.

_ ღმერთო ჩემო.

_ მე თვითონ დავრჩი სახტად. ერთი სული მაქვს, მანამ გნახავო.

_ ხომ არ ჰგონია, რომ მარტო მიდიხარ?

_ არა. ყველანი მივდივართ-მეთქი. მაიკლიც და სხვებიც.

_ გასაოცარი კაცია.

_ ხომ?

ფულს მეორე დღეს ელოდნენ. დავთქვით, რომ პამპლონაში შევხვდებოდით ერთმანეთს. ისინი სან-სებასტიანში ჩავიდოდნენ და იქიდან მატარებლით გამოემგზავრებოდნენ. თავს მოვიყრიდით მონტოიას სასტუმროში. თუ ორშაბათამდეც არ ჩამოვიდოდნენ, ჩვენ აღარ დაველოდებოდით და ბურგეტეში გავეწვდით სათევზაოდ. ბურგეტეში ავტობუსი აგვიყვანდა. დაწვრილებით ჩავუწერე მისამართი, რომ ადვილად მოეგნოთ.

ბილი და მე დილის მატარებელს გავყევით გარ დ' ორსედან. მშვენიერი დღე იდგა, მაგრამ მეტისმეტად ცხელოდა, ბუნება აქედანვე ლამაზი იყო. ვაგონ-რესტორანში შევედით და ვისაუბრეთ. როცა გამოვდიოდით, კონდუქტორს ვთხოვეთ, პირველი რიგის ბილეთები შეგვინახე-მეთქი.

_ მეხუთე რიგამდე სულ დაკავებულია.

_ როგორ?

ამ მატარებელში თავის დღეში არ ყოფილა სადილი ორ ცვლაზე მეტი და ორივე ცვლაში თავისუფალი ადგილები თავზესაყრელი იყო.

_ ადგილები სულ დაკავებულია, _ თქვა ვაგონ-რესტორნის კონდუქტორმა, _ მეხუთე ცვლა ოთხის ნახევარზე იქნება.

_ ცუდი ამბავია, _ ვუთხარი ბილს.

_ ათი ფრანკი აჩუქე.

_ აჰა, _ ვუთხარი მე, _ პირველ ცვლაში უნდა ვისადილოთ.

კონდუქტორმა ჯიბეში იკრა ათი ფრანკი.

_ გმადლობთ, _ თქვა მან, _ გირჩევთ, სენდვიჩები მოიმარაგოთ, ბატონებო, პირველი ოთხი ცვლის ადგილები სულ გზის სამმართველომ დაიბევა.

_ შენ ბევრ რამეს მიაღწევ, ჩემო ძმაო, ცხოვრებაში, _ უთხრა ბილმა ინგლისურად, _ კიდევ ხუთი ფრანკი რომ მოგცე, ალბათ, მატარებლიდან გადახტომასაც გვირჩევ.

_ ჩომმენტ?

_ ჯანდაბამდის გზა გქონია! _ შესძახა ბილმა, _ სენდვიჩებიც მოგვითანე და ერთი ბოთლი ღვინოც. უთხარი, ჯეიკ.

_ და მეორე ვაგონში გამოგვიგზავნე, _ ავუხსენი, სად ვიყავით.

ჩვენს კუპეში ერთი კაცი იყო, ცოლითა და პატარა ბიჭით.

_ მგონი, ამერიკელები უნდა იყოს! _ გვკითხა კაცმა, _ სასიამოვნო მოგზაურობაა?

_ საუცხოო, _ მიუგო ბილმა.

_ კარგსა შვრებით. იმოგზაურეთ, მანამ ახალგაზრდები ხართ. მე და ჩემი დედაკაცი სულ იმის ნატვრაში ვიყავით, ქვეყანა შემოგვევლო, მაგრამ კარგა ხანს დაგვჭირდა ცდა.

_ რომ მოგენდომებინა, ათი წლის წინათაც მშვენივრად მოვახერხებდით, _ უთხრა ცოლმა, _ მაგრამ დაიჟინე, ჯერ ამერიკა ვნახოთო! თუმცა გინდა ასე თქვი, გინდა ისე, მაინც ბევრი რამე ვნახეთ.

_ ამ მატარებელში ბევრი ამერიკელია, _ თქვა ქმარმა, _ შვიდი ვაგონი უჭირავთ. დეიტონელები არიან, ოჰაიოს შტატიდან, სალოცავად ყოფილან რომში. ახლა ბიარიცსა და ლურდში მიემგზავრებიან.

_ აჰ, ხედავ ვინ ყოფილან? მლოცველები. ბინძური პურიტანები! _ თქვა ბილმა.

_ რომელი კუთხიდან ხართ, ბიჭებო?

_ კანზას-სიტიდან, _ ვუთხარი მე, _ ეს ჩიკაგოელია.

_ ბიარიცში მიდიხართ ორივენი?

_ არა. ესპანეთში მივდივართ სათევზაოდ.

_ მე პირადად თავის დღეში არ ვყოფილვარ თევზაობით გატაცებული. ჩვენში ბევრი მისდევს მაგ საქმეს. ისე, სანაქებო სათევზაო ადგილები კი გვაქვს ჩვენს შტატში, მონტანაში. მეც მითევზავია ძმა-ბიჭებთან ერთად, მაგრამ გატაცებული არასოდეს ვყოფილვარ.

_ სათევზაოდ არა გცხელოდათ მაშინ შენ და იმ შენს ძმა-ბიჭებს, _ უთხრა ცოლმა. კაცმა თვალი ჩაგვიკრა.

_ ქალების ამბავი არ იცით?! სადმე ღვინის დოქს თუ მოჰკრეს თვალი ან ლუდის კასრს, მორჩა, წყალწაღებული ჰგონიხარ.

_ ეცი კაცებს პატივი! _ ჩვენ მოგვმართა ქალმა. ფაფუკ მუხლებზე ხელი გადაისვა, _ მაგის ხატრით მშრალი კანონის წინააღმდეგ მივეცი ხმა, მეც მიყვარს, კასრით ლუდს რომ ვხედავ სახლში, და ნახეთ, რა თქვა! ნეტა რას მიყვებით ცოლად!

_ შენ ნახე, მაგ მლოცველ მამათა ხროვას თუ არ ჰქონდეს ვაგონ-რესტორანი დაბევებული ოთხის ნახევრამდე.

_ რატომ გგონია? მაგისტანა საქმეს თავის დღეში არ იზამენ.
 _ აბა, მიდი და სინჯე ადგილის შოვნა.
 _ თუ ასეა, წავიდეთ, ჩემო ქალბატონო, და მანამ არ დაგვიანებულა, კიდევ ვისაუზმოთ.
 ქალი წამოდგა და კაბა გაისწორა.
 _ ჩვენს ბარგზე თვალი გეჭიროთ, ბიჭებო. წავიდეთ, ჰიუბერტ.
 სამივენი ვაგონ-რესტორნისაკენ გაემუზნენ. ცოტა ხნის შემდეგ ოფიციატმა ჩამოიარა და გამოაცხადა, პირველი ცვლის დრო დადგაო. დერეფანში გამოიწკაპნენ მლოცველები და მათი მოძღვრები. ჩვენი მეზობლები არ დაბრუნებულან. ოფიციატმა ჩაიარა _ ჩვენი სენდვიჩები და ერთი ბოთლი შაბლი მიჰქონდა. დავუძახეთ.
 _ კაი მუშაობა გექნება დღეს, _ ვუთხარი მე.
 მან თავი დააქნია.
 _ ახლავე იწყებენ _ თერთმეტის ნახევარზე.
 _ ჩვენ როდისღა უნდა ვჭამოთ?
 _ ეჰ! მე როდისღა ვჭამო?
 ორი ჭიქა დაგვიტოვა, ბოთლთან ერთად. სენდვიჩის ფასი გადავუხადეთ და ვაჩუქეთ კიდევ ფული.
 _ თეფშების წასაღებად შემოვივლი, _ თქვა მან, _ ან არა და თქვენ თვითონ მოიტანეთ. სენდვიჩებს ვჭამდით, შაბლის შევექცეოდით და ფანჯრიდან არემარეს გავყურებდით. პური ის იყო მწიფობაში შევიდა და მინდვრები ყაყაჩოს გადაეწითლებინა. სამოვრები მწვანედ ხასხასებდა, მშვენიერი ხეივნები გაიელვებდა, ზოგჯერ დიდ მდინარეს გადავსერავდით, ხოლო შორს ხეებში ჩაფლული ციხე-კოშკები გამოჩნდებოდა ხოლმე.
 ტურში ჩამოვხტით და ერთი ბოთლი ღვინო კიდევ ვიყიდეთ. კუპეში რომ დავბრუნდით, მონტანელი კაცი თავისი ცოლითა და მემკვიდრე ჰიუბერტით არხინად მოკალათებულიყო.
 _ კარგი საცურაოა ბიარიცში? _ იკითხა ჰიუბერტმა.
 _ მანამ წყალში ჩასვლას ეღირსებოდეს ეს ბიჭი, გამიგიჟდება, _ თქვა დედამისმა, _ მნელია ყმაწვილისათვის მატარებელში ჯდომა.
 _ კარგი საცურაოა, _ ვუთხარი მე, _ მაგრამ რომ მოდიდდება, საშიშია.
 _ ისადილეთ? _ ჰკითხა ბილმა.
 _ ვისადილეთ. უკვე მაგიდასთან ვისხედით, როცა შემოვიდნენ და, ალბათ, თავიანთები ვეგონეთ. ოფიციატმა რაღაც გვითხრა ფრანგულად და სამი კაცი უკანვე გააბრუნეს.
 _ მლოცველები ვეგონეთ, _ თქვა კაცმა, _ ხომ ხედავ, რა გამავლობა აქვს კათოლიკურ ეკლესიას. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდები კათოლიკეები არა ხართ. ისადილებდით მაინც.
 _ მე კათოლიკე ვარ, _ ვთქვი მე, _ ეგა მწვავს გულს.
 ხუთის თხუთმეტ წუთზე, როგორც იქნა, ვეღირსეთ სადილს, ბილი ლამის მოთმინებიდან გამოვიდა. დილებში სწვდა ერთ მღვდელს, რომელიც სადილობიდან დაბრუნებულ მლოცველებს მოუძლოდა ვაგონის დერეფანში.
 _ მამაო, პროტესტანტებს როდისღა გვეკუთვნის სადილი?
 _ არ ვიცი, რა მოგახსენოთ. ბილეთები არა გაქვთ?
 _ ლამის კლანსაც კი მიეკედლოს კაცი, _ თქვა ბილმა. მღვდელმა უკან მოიხედა.

ვაგონ-რესტორანში ოფიციანტები უკვე მეხუთედ შლიდნენ სუფრას. ჩვენი ოფიციანტი სულ ოფლში იყო გაღვარული. თეთრი ჟაკეტი იღლიებში გასწითლებოდა.

- _ ეტყობა, ბლომად ყლურწავს.
- _ ან არა და წითელი პერანგი აცვია.
- _ გვითხოთ, აბა.
- _ მოეშვი. დადლილია.

ბორდოში ნახევარი საათით გაჩერდა მატარებელი და ჩვენ სადგურიდან გავედით მუხლის გასამართავად. ქალაქში გასვლას ვერ მოვასწრებდით, მერე ლანდებზე* რომ მივექროდით, მზის ჩასვლა ვნახეთ. ფიჭვებს შორის, აქა-იქ, ფართოდ გამომწვარი ქაშანები იყო, გეგონებოდა, ქუჩები გაუჭრიათო, ხოლო შორს, იმათ თავზე, ტყით დაფარული გორაკები მოჩანდა. რვის ნახევრისთვის სავახშმოდ გავედით და ვაგონ-რესტორნის ღია ფანჯრიდან ბუნებას გავცქეროდით. ირგვლივ სულ ქვიშნარი იყო და ფიჭვს გაეხარა, მანანას გადაეჭრელებინა იქაურობა. აგერ-ეგერ სახლებით მოფენილი პატარა მინდვრები გამოჩნდებოდა, ზოგან სამხერხაოსაც მოვკარით თვალი. დადამდა და ფანჯრებს იქით იგრძნობოდა გახურებული ქვიშა და სიბნელე, ხოლო ცხრა საათისთვის უკვე ბაიონეში ვიყავით. ჩვენმა მეზობელმა, მისმა ცოლმა და ჰიუბერტმა სათითაოდ ჩამოგვართვეს ხელი. ისინი ლა ნეგრესში უნდა ჩასულიყვნენ, სადაც ბიარიცის მატარებელში გადასხდებოდნენ.

- _ ბედნიერი მგზავრობა! _ გვითხრა კაცმა.
- _ ხარების ბრძოლაზე ფრთხილად!
- _ იქნებ ბიარიცში შეგხვდეთ, _ გვითხრა ჰიუბერტმა.

ჩამოვედით ჩემოდნებითა და ანკესების შალითებით, ბნელი ვაგზალი გავიარეთ და განათებულ მოედანზე გავედით, სადაც ეტლები და სასტუმროების ავტობუსები იდგა. სასტუმროების დალალებს შორის რობერტ კონიც დავინახეთ.

მან ჯერ ვერ შეგვნიშნა, მერე ჩვენკენ გამოექანა.

- _ ჰელო, ჯეიკ. კარგად იმგზავრეთ?
- _ შესანიშნავად, _ ვუთხარი მე, _ გაიცანი, ბილი გორდონი.
- _ გამარჯობათ.

_ წავიდეთ, _ გვითხრა კონმა, _ ეტლი გველოდება.

ცოტათი ბეცი ყოფილა თურმე. ადრე არ შემინიშნავს. ბილს მიშტერებოდა, თითქოს სურს მოიგონოსო. დარცხვენილი ჩანდა.

_ ჩემს სასტუმროში წაგიყვანთ. კარგია. მშვენივრად მოვეწყობით.

ჩავსხედით ეტლში, ჩემოდნები მეეტლემ კოფოზე შეაწყო, თვითონაც აძვრა და მათრახი გაატკაცუნა. გავიარეთ ჩაბნელებული ხიდი და ქალაქში გავედით.

_ ძალიან მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, _ უთხრა რობერტმა ბილს, _ ბევრი მსმენია თქვენზე ჯეიკისაგან და თქვენი წიგნებიც წამიკითხავს. ანკესი ჩამომიტანე, ჯეიკ?

ეტლი სასტუმროსთან გაჩერდა, ჩამოვხტით და შევედით. მშვენიერი სასტუმრო იყო, კანტორაშიაც ხალისიანად შეგვეგებნენ და ცალ-ცალკე დაგვაბინავენ პატარა, კოხტა ოთახებში.

თავი XIII

ერთ დილას, სასაუზმოდ რომ ჩავედი, ის ინგლისელი ჰარისი უკვე მაგიდასთან დამხვდა. სათვალე წამოეცვა და გაზეთს კითხულობდა. ამომხედა და გამიღიმა.

_ დილა მშვიდობისა, _ თქვა მან, _ თქვენი წერილია. ფოსტაში ვიყავი და ჩემს წერილთან ერთად თქვენიც გადმომცეს.

წერილი მაგიდაზე იდო, ჩემს ყავის ფინჯანზე მიყუდებული. ჰარისმა კვლავ გაზეთში ჩარგო თავი, მე კი წერილი გავხსენი. პამპლონიდან გადმოეგზავნათ; დაწერილი იყო სან-სებასტიანში, კვირას.

«მვირფასო ჯეიკ, პარასკევს ჩამოვედით, ბრეტი მატარებელში უქეიფოდ შეიქნა და მინდა, სამიოდე დღე აქ დავასვენო, ძველ მეგობრებთან. სამშაბათს პამპლონასკენ გამოვწევთ, სასტუმრო მონტოიაში. ეგ კი აღარ ვიცი, რომელ საათზე ჩამოვალთ. კარგი იქნება, მოგვწერდე, სად გნახავთ კაცი ოთხშაბათს. სიყვარულით მოგიკითხავთ და გვაპატიე კიდეც, რომ ასე დავიგვიანეთ, მაგრამ ბრეტი მართლა ცუდად შეიქნა და სამშაბათისთვის მოიკეთებს. ახლაც კი თითქმის კარგად არის. ბრეტის ხასიათი შესანიშნავად ვიცი და ვცდილობ, კარგად მოვუარო, მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი საქმე გამოდგა. ყველანი მოგვიკითხე. მაიკლი»

_ დღეს რა დღეა? _ ვკითხე ჰარისს.

_ ოთხშაბათი უნდა იყოს. დიახ, ნამდვილად ოთხშაბათია. საოცარი კია, ამ მთებში როგორ კარგავს კაცი დღეების ანგარიშს.

_ დიახ, ჩვენ უკვე მთელი კვირაა აქა ვართ.

_ იმედი მაქვს, ჯერ არც აპირებთ წასვლას.

_ სამწუხაროდ, შუადღის ავტობუსს უნდა გავყვეთ.

_ რა სამწუხაროა! იმედი მქონდა, კიდეც წავალთ-მეთქი ირატიზე.

_ პამპლონას უნდა ჩავიდეთ. ხალხი გველოდება.

_ რა ილბალი მქონია! კარგ დროს ვატარებდით ბურგეტში.

_ თქვენც ადექით და პამპლონაში წამოვბრძანდით. იქაც ვითამაშებთ ბრიჯს და შესანიშნავი ფიესტა იქნება.

_ ნეტა შემემლოს! მიპატიჟებისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ ვერ წამოვალ, ბევრი დრო აღარ დამრჩა სათევზაოდ.

_ ალბათ, ყველაზე დიდი კალმახების დაჭერას აპირებთ ირატიში!

_ გამოგიტყდებით, მართლა მინდა. მაინც რამოდენა კალმახები სცოდნია!

_ მეც სიამოვნებით ვცდიდი ერთხელ კიდეც ბედს.

_ დარჩით მერე კიდეც ერთი დღე, ქენით სიკეთე.

_ არა, ნამდვილად მიგველიან ქალაქში, _ ვუთხარი მე.

_ სამწუხაროა.

ნასაუზმევს მე და ბილი გრძელ სკამზე ვისხედით სასტუმროს წინ და მზეზე ვიხუხებოდით. გზაზე ვიღაც გოგონა გამოჩნდა _ ქალაქის ცენტრიდან პირდაპირ სასტუმროსკენ მოდიოდა. ჩვენთან მოვიდა და გვერდზე ჩამოკიდებული ტყავის ჩანთიდან დეპეშა ამოიღო.

_ ღორ უსტედეს? *

დავხედე. მისამართი იყო _ «ბერნსი. ბურგეტე».

_ დიახ, ჩვენია.

დავთარი ამოიღო, მე ხელი მოვუწერე და ერთი-ორი სპილენძის მონეტა ვაჩუქე.

დეპეშა ესპანურად იყო: «Vergo Fუევს ჩოჰნ».

ბილს გადავეცი.

_ ეს ჩოჰნ _ რაღას ნიშნავს? _ მკითხა ბილმა.

– რა ტუტუცური დეპეშაა! – ვთქვი მე, – იმავე ფულით შეეძლო ათი სიტყვა მოეწერა. «ჩამოვდივარ ხუთშაბათს». დაჯექი და იმარჩიელე!...

– რაც კონს სჭირდება, აქ ყველაფერია ნათქვამი.

– მაინც მივდივართ, – ვთქვი მე, – აბა რა გამოვა, რომ ზედ ფიესტის წინ ავდგეთ და ბრეტი და მაიკი აქეთ-იქით ვათრიოთ. არ ვუპასუხოთ?

– რატომაც არა, – თქვა ბილმა, – დავიცვათ ბარემ თავაზიანობა.

ფოსტაში მივედით და დეპეშის ბლანკი გამოვართვით.

– რა მივწეროთ? – იკითხა ბილმა.

– «ჩამოვდივართ ამაღამ». საკმარისი იქნება.

ფული გადავიხადეთ და სასტუმროში დავბრუნდით. ჰარისი იქ დაგვიხვდა და რონსევალში წავედით სამივენი. მონასტერი დავათვალიერეთ.

– ღირსშესანიშნავი ადგილია, – თქვა ჰარისმა, როცა გამოვბრუნდით, – მაგრამ, გამოგიტყდებით, მე დიდად არ მაინტერესებს ამისთანა ადგილები.

– არც მე, – თქვა ბილმა.

– თუმცა ძალიან საინტერესო კია, – თქვა ჰარისმა, – კარგი ვქენით, რომ ვნახეთ. ყოველდღე ვაპირებდი და ვერ მოვახერხე.

– მაგრამ თევზაობა მაინც სხვა არის, არა? – ჰკითხა ბილმა. ბილს მოსწონდა ეს ჰარისი.

– რა ბრძანებაა!

მონასტრის ძველისძველ სამრეკლოსთან ვიდექით.

– სამიკიტნო ჩანს გზის გადღმა თუ თვალი მატყუებს? – იკითხა ჰარისმა.

– ჰგავს კია და, – მიუგო ბილმა.

– მეც სამიკიტნო მგონია, – ვთქვი მე.

– მოდი, დავუფლოთ, – თქვა ჰარისმა. ბილისაგან გადაიღო ეს სიტყვა.

თითო ბოთლი ღვინო დავლიეთ. ჰარისმა არასდიდებით არ დაგვანება გადახდა.

ესპანურს ჩინებულად ლაპარაკობდა და მიკიტანმა ჩვენგან აღარ აიღო ფული.

– ვერც კი წარმოიდგენთ, რა სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

– დიდებული დრო გავატარეთ, ჰარის.

– არა, მართლა გეუბნებით – ვერც კი წარმოიდგენთ-მეთქი, რა სასიამოვნო იყო. ომის შემდეგ კარგი მაინცდამაინც არაფერი მინახავს.

– როცა იქნება, კიდევ ვითევზავებთ ერთად. ნუ დაგავიწყდებათ, ჰარის.

– უსათუოდ. ისეთი დიდებული დრო გავატარეთ!

– ერთი ბოთლიც რომ გავახსენებინოთ?

– ჩინებული აზრია, – თქვა ჰარისმა.

– ამას მე ვიხდი, – თქვა ბილმა, – არა და სულაც ნუ დავლევთ.

– მე გადამახდევინეთ. დამიჯერეთ, რომ უფრო გამიხარდება.

– მეც გამიხარდება, – თქვა ბილმა.

მიკიტანმა მეოთხე ბოთლიც მოიტანა. ჩვენი ჭიქები ჯერ არ აელაგებინა. ჰარისმა ჭიქა ასწია.

– ჰა, ხომ მშვენივრად ვეუფლებით?

ბილმა ბეჭებზე მოუთათუნა ხელი.

– ყოჩაღ, ჩემო ჰარის!

– ჩემი ნამდვილი სახელი ჰარისი არ არის, უილსონ-ჰარისი მქვია. ერთი სახელია. დეფისით არის გამოყოფილი.

– ჩემო კარგო უილსონ-ჰარის, – უთხრა ბილმა, – ჰარისს იმიტომ გეძახით, რომ გვიყვარხარ.

– იცით რა, ბერნს, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს ყველაფერი რას ნიშნავს ჩემთვის.

_ აბა, მეორე ჭიქასაც დავეუფლოთ, _ ვუთხარი მე.
 _ ბერნს! მართლა გეუბნებით, ბერნს! ვერც კი წარმოიდგენთ. თავი არ მომიკვდეს.
 _ დალიეთ ჰარის.
 რონსევალიდან რომ ვბრუნდებოდით, ჰარისი შუაში გვედგა. სასტუმროში
 ვისაუზმეთ და ჰარისმა ავტობუსამდე მიგვაცილა. თავისი სადარბაზო ბარათი
 მოგვცა _ ზედ ლონდონის მისამართით. კლუბისა და სამსახურის მისამართები ეწერა.
 ავტობუსში რომ ვსხდებოდით, თითო კონვერტი მოგვაჩეჩა ხელში. გავხსენი ჩემი
 კონვერტი და ერთი დუჟინი საანკესო ბუზი აღმოჩნდა. თვითონვე გაეკეთებინა.
 მისატყუებელ ბუზებს თვითონვე აკეთებდა ხოლმე.
 _ ჰარის, გამიგონეთ... _ დავიწყე მე.
 _ არა, არა! _ თქვა მან და ავტობუსიდან ჩავიდა, _ ვიცი, რომ ხეირიანი ბუზები ვერ
 არის. მაგრამ თუ ოდესმე ანკესზე წამოაგებენ, იქნებ ერთად გატარებული დღეები
 მოიგონონ-მეთქი, ვიფიქრე.
 ავტობუსი აიძრა. ჰარისი ფოსტის წინ იდგა. ხელს გვიქნევდა. მერე შებრუნდა და
 სასტუმროსკენ გაემართა.
 _ მართალი თქვი, ხომ მშვენიერი ბიჭი იყო ჰარისი? _ მკითხა ბილმა.
 _ მართლაც კარგი დრო გაატარა.
 _ ჰარისმა? რა ბრძანებაა!
 _ ნეტა პამპლონაში წამოსულიყო.
 _ თევზაობა უნდოდა.
 _ ჰო. თანაც, ღმერთმა იცის, ერთმანეთში როგორ მორიდებოდნენ ამდენი
 ინგლისელები.
 _ მართლაც.
 მოსალამოებული იყო, პამპლონაში რომ ჩავედით. ავტობუსი სასტუმრო
 «მონტოიასთან» გაჩერდა. მოედანზე მავთულებსა ჭიმავდნენ, რათა ფიესტის დროს
 ელექტრონით გაენათებინათ. ავტობუსთან ბავშვებმა მოირბინეს, მოვიდა საბაჟოს
 მოხელეც და მგზავრებს ბარგი გაახსენებინა, იქვე, ტროტუარზე. ჩვენ სასტუმროში
 შევედით და კიბეზე მონტოიას შევხვდით. ხელი ჩამოგვართვა და დაბნეულად
 გაგვიღიმა, როგორც საერთოდ სჩვეოდა ხოლმე.
 _ თქვენი მეგობრები აქ არიან, _ თქვა მან.
 _ მისტერ კემბელი?
 _ დიახ. მისტერ კონი, მისტერ კემბელი და ლედი ეშლი.
 ისე გაიღიმა, თითქოს კიდეც რაღაც უნდოდა ეთქვა.
 _ როდის ჩამოვიდნენ?
 _ გუშინ. თქვენი ოთახები შეგინახეთ.
 _ ძალიან სასიამოვნო. მისტერ კემბელს მოედნის მხარეს მიეცით ოთახი?
 _ დიახ. მაშინ რომ შევარჩიეთ, ის ოთახები.
 _ ახლა სად არიან ჩვენი მეგობრები?
 _ მგონი, პელოტას საყურებლად წავიდნენ.
 _ ხარების საქმე როგორ არის?
 მონტოიამ გაიღიმა.
 _ ამაღამ, _ თქვა მან, _ ამაღამ ჩამოჰყავთ, შვიდ საათზე, ვილარული ხარები. ხვალ
 მიურულს ჩამოიყვანენ. ყველანი წახვალთ?
 _ უსათუოდ. მაგათ ჯერ არ უნახავთ ხარების ჩამოყვანა.
 მონტოიამ მხარზე დამადო ხელი.
 _ იქ გნახავთ.

კიდევ გამილიმა. ისე მილიმოდა, თითქოს ხარების ბრძოლა ჩვენ ორის საიდუმლო ყოფილიყო; ცოტა არ იყოს სამარცხვინო, მაგრამ ძალიან დიდი საიდუმლო. ისე გამილიმებდა ხოლმე, თითქოს სხვებისთვის საჩოთირო ყოფილიყოს ის საიდუმლო, რომლის ნამდვილი არსი მხოლოდ ჩვენ ორს გვესმოდა, და თითქოს საჭიროც არ იყო გამხელა _ მაინც ვერაფერს გაიგებდნენ.

_ თქვენი მეგობარიც აფისიონადოა? _ ახლა ბილს გაუდიმა მონტოიამ.

_ მაშ, საგანგებოდ ჩამოვიდა ნიუ-იორკიდან სენ-ფერმინის დღესასწაულზე დასასწრებად.

_ რასა ბრძანებთ! _ თავაზიანად გაიკვირვა მონტოიამ, _ თქვენისთანა აფისიონადო მაინც არ იქნება.

ისევ დაბნეულად დამადო ხელი მხარზე.

_ როგორ არა, _ ვუთხარი მე, _ ნამდვილი აფისიონადოა.

_ ტყუილია, თქვენისთანა მაინც არ იქნება.

აფიციონ _ გატაცებას, გზნებას ნიშნავს, აფიციონადო-ს კი იმ ადამიანს ეძახიან, ვინც მთელი გზნებით არის გატაცებული ხარების ბრძოლით. კარგი მატადორები სულ მონტოიას სასტუმროში ჩამოხტებოდნენ ხოლმე; ესე იგი ნამდვილი აფიციონადო ვინც იყო, უსათუოდ მონტოიას ესტუმრებოდა. ფულის მოსახვეჭად მომუშავე მატადორებს კი ერთხელ თუ შემოუცდებოდათ ფეხი, მეორედ არასდიდებით აღარ მოვიდოდნენ.

კარგი მატადორები ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ. მონტოიას ოთახში ჰქონდა გამოკრული მათი პორტრეტები. მატადორები ფოტოსურათებს თვითონვე უძღვნიდნენ ხოლმე წარწერით _ ან ხუანიტო მონტოიას, ან მის დას. იმ მატადორების პორტრეტები, ვისიც ნამდვილად სჯეროდა მონტოიას, ჩარჩოში ჰქონდა ჩასმული, ხოლო იმ მატადორების სურათებს, რომელთაც აფიციონ-ისა არაფერი ეცხოთ, მაგიდის უჯრაში ყრიდა. ბევრ მათგანზე საოცრად პირფერული წარწერები იყო. მაგრამ მონტოია ამას არ დაგიდევდათ. ერთ დღეს დასტაცა ყველას ხელი და ხარახურის კალათაში გადაუძახა. აღარ ისურვა შენახვა.

ხშირად ვლავარაკობდით ხოლმე მატადორებსა და ხარებზე. მე რამდენიმე წელიწადი ზედიზედ მის სასტუმროში ვიჭერდი ოთახს. ჩვენი საუბარი ყოველთვის მოკლე იყო. უბრალოდ, ერთმანეთის აზრის გაგება გვინტერესებდა. რამდენი ჩამოსულა შორეული ქალაქებიდან და მანამ პამპლონიდან წავიდოდნენ, უსათუოდ უნდა შეეველოთ და რამდენიმე წუთით მაინც გამოლავარაკებოდნენ მონტოიას ხარების შესახებ. ესენი ნამდვილი აფისიონადოები იყვნენ. გაჭედილიც რომ ყოფილიყო ხალხით სასტუმრო, აფისიონადოებისათვის ოთახი მუდამ გამოიძებნებოდა. მონტოიას ხშირად გაუცნია ჩემთვის ასეთი ხალხი. პირველად _ მოკრძალებით, რადგან მე ამერიკელი ვიყავი, ამერიკელების მგზნებარება და გატაცება კი რატომღაც არა სჯერათ. იქნება თავი მოგაჩვენოს, ან უბრალო აღტაცება ნამდვილ გატაცებად მოეჩვენოს, ჭეშმარიტი აფისიონადო კი ვერ იქნება. მაგრამ როცა დარწმუნდებოდნენ, ნამდვილად ვიყავი გატაცებული (ამაში დასარწმუნებლად კი არც პაროლი არსებობს, არც საგანგებო შეკითხვა, უფრო ყნოსვითა გრძნობენ, ზეპირი სულიერი მოსინჯვით, როცა შეკითხვებს ნართაულად და თავდაჭერილად გაძლევენ ხოლმე), ხელს ისევ დაბნეულად დამკრავდნენ მხარზე, ან არა და იტყოდნენ: *ხუენ ბუმბრე**. და თითქმის ყოველთვის ცდილობდნენ, ხელი შეეხოთ. თითქოს ხელის შეხებით უფრო მტკიცედ შეიძლებოდა დარწმუნება. მონტოია ყველაფერს აპატიებდა იმ მატადორს, რომელსაც ნამდვილი აფიციონ ჰქონდა. აპატიებდა ნერვულ შეტევას, შიშს, ცუდ, გაუმართლებელ მოქცევას და ყოველგვარ შეცოდებას. ოღონდ აფიციონ ჰქონოდა კაცს

და ყველაფერს მიუტევებდა. მეც ხელად მაპატია ამდენი მეგობრის ყოლა. განა რამე მითხრა _ უთქმელად იგრძნობოდა, რომ ჩვენ შორის ისეთივე უხერხული და სამარცხვინო იყო მათი არსებობა, როგორც ხარების ბრძოლაზე მსჯელობის დროს ცხენებზე ლაპარაკი.

შევდგით თუ არა ფეხი სასტუმროში, ბილი პირდაპირ თავისი ოთახისკენ გაემართა და მე რომ შევედი, უკვე ტანთ იცვამდა.

_ რა ქენი, _ მკითხა მან, _ იჯერე გული ესპანურით?

_ ეგ ამბობს, ამაღამ ხარები ჩამოჰყავთო.

_ ჩვენები მოვძებნოთ და დაბლა ჩავიდეთ.

_ კარგი. ალბათ, კაფეში სხედან.

_ ბილეთები აიღე?

_ ავიღე. ყველა გადმოტვირთვას ვნახავთ.

_ საინტერესოა? _ სარკეში კანსა ჭიმავდა, ყბის ქვეშ გაუპარსავი ხომ არ დამრჩაო.

_ ძალიან, _ ვუპასუხე მე, _ თითო-თითო გადმოჰყავთ გალიიდან, დაბლა კი,

საჩეხეში, მოზვრებს ახვედრებენ და თან რჩოლას არ ანებებენ. ხარები მოზვრებისაკენ იწევენ, მოზვრები კი ირგვლივ უვლიან შინაბერებივით, და დაშოშმინებასა ცდილობენ.

_ არა რქენენ მოზვრებს?

_ როგორ არა. ზოგჯერ რქაზე წამოიგდებენ და იქვე კლავენ.

_ მოზვრები ვერაფერს ახერხებენ?

_ ვერა. დამეგობრებას ცდილობენ.

_ მაშ რიდას მაქნისი არიან?

_ ხარების მოსათვინიერებლადა ჰყავთ. თანაც მოზვრების საშუალებით უშლიან ხელს, ქვის კედელს არ მიატეხონ ხარებმა რქები. ან ერთმანეთს არ დაერიონ.

_ მაშ დიდებული საქმე ყოფილა მოზვრობა.

კიბეზე დავეშვით, გარეთ გამოვედით, მოედანი გადავჭერით და კაფე «ირუნასკენ» გავწიეთ. მოედანზე ეულად წამოყუდებულიყო ორი საბილეთო სალარო. ფანჯრები დაკეტილი იყო და ზედ ეწერა: შოლ, შოლ, ყ სომბრა, სომბრა*. ფიესტის წინა დღეს გააღებდნენ, მანამდე არა.

მოედნის გასწვრივ, კოლონადის ძირშიაც და მთელ ტროტუარზეც სულ «ირუნას» თეთრი წნული მაგიდები და სკამები ჩამწვრივდებინათ. მე აქეთ-იქით ვიყურებოდი, ბრეტსა და მაიკს ვეძებდი. აქ იყვნენ. ბრეტი, მაიკი და რობერტ კონი. ბრეტს ბასკური ბერეტი ეხურა. მაიკსაც. რობერტ კონი თავშიშველა იყო, სათვალე ჰქონდა წამოცმული. ბრეტმა დაგვინახა და ხელი დაგვიქნია. მანამ მივუახლოვდებოდით, თვალმოჭუტული შემოგვცქეროდა.

_ ჰელო, ბიჭებო! _ შესძახა მან.

სახე გაუბრწყინდა. მაიკს ხელის ჩამორთმევაშივე ეტყობოდა სიხარული. რობერტ კონმაც ჩამოგვართვა ხელი, რადგან ახალდაბრუნებულები ვიყავით.

_ სად დაიკარგეთ? _ ვკითხე მე.

_ მე ჩამოვიყვანე, _ თქვა კონმა.

_ რა სისულელეა, _ თქვა ბრეტმა, _ უფრო ადრეც ჩამოვიდოდით, შენ რომ არ ყოფილიყავი.

_ სულაც არ ჩამოხვიდოდით.

_ რა სისულელეა! როგორ გაშავებულხართ! ბილს შეხედე.

_ კარგად ითევზავეთ? _ გვკითხა მაიკმა, _ ჩვენც გვინდოდა ჩამოსვლა.

_ არა უშავდა რა, ოღონდ თვალში გვაკლდით.

_ უნდა წამოვსულიყავი, _ თქვა კონმა, _ მაგრამ ჯერ ამათ ჩამოვიყვან-მეთქი, ვიფიქრე.
 _ ჩამოვიყვანო?! რა სისულელეა!
 _ მართლა კარგი იყო? _ გვკითხა მაიკმა, _ ბევრი დაიჭირეთ?
 _ ისეთი დღეც გამოგვევრია, რომ თითომ დუქინი დავიჭირეთ. ერთი ინგლისელიც იყო.
 _ ჰარისი, _ თქვა ბილმა, _ იქნებ იცნობთ კიდეც, მაიკ? ისიც ომში ნამყოფია.
 _ რაღა უჭირს! _ თქვა მაიკმა, _ კარგი დრო უტარებია. ო, იმ დღეების დაბრუნება რომ შეიძლებოდეს!
 _ ნეტა რას ტუტუცობ!
 _ იყავით ომში, მაიკ? _ ჰკითხა კონმა.
 _ აბა არ ვყოფილვარ?
 _ თითოთ საჩვენებელი ჯარისკაცი იყო, _ თქვა ბრეტმა, _ ერთი ამათაც უამბე, როგორ მოგიტაცა ცხენმა პიკადილიზე.
 _ აღარ შემიძლია. ბარე ოთხჯერ მიაშინა.
 _ ჩემთვის კი ერთხელაც არ გითქვამთ, _ უთხრა კონმა.
 _ აღარც მოვყვები. თავი რად უნდა დავიმცირო!
 _ მაშ, მედლების ამბავს მაინც მოჰყევი.
 _ არა. ეს კიდეც უფრო დამამცირებს.
 _ რა ამბავია ასეთი?
 _ ბრეტი მოგიყვებათ. ჩემი დამამცირებელი რაც კი რამეა, ყველაფერს ხალისით ჰყვება.
 _ აბა ჰე, ბრეტ, მოგვიყევი.
 _ მართლა მოვყევი?
 _ მე თვითონ მოვყვები.
 _ რა მედლები გაქვს მიღებული, მაიკ?
 _ არავითარი.
 _ გექნება.
 _ ალბათ, მექნებოდა კიდეც უბრალო მედლები, მაგრამ ერთხელაც არ მომითხოვია. ერთ დღეს გრანდიოზული მეჯლისი გამართეს, უელსის უფლისწულს ელოდებოდნენ და მოსაწვევ ბარათებში ეწერა, მედლებით უნდა გამოცხადდეთო. მედლებს ვინ მომაშავებდა. ჩემს თერძს გავუარე და მიწვევის ბარათი ვაჩვენე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა კი ვიხელთებ-მეთქი, ვიფიქრე, და პირდაპირ ვუთხარი, იქნებ რამდენიმე მედალი მიშოვოთ-მეთქი. ის მეკითხება: «რა მედლები, სერ?» მე ვეუბნები: «სულერთია, ოღონდ რამდენიმე ცალი კი იყოს». ახლა კიდეც მეკითხება: «თქვენ რა მედლები გაქვთ მიღებული, სერ?» მე ვეუბნები: «საიდან მეცოდინება?!» ვაგრძნობინე, ვითომ ეგლა მაკლია, რომ ფრონტის გაზეთები ვიკითხო-მეთქი! «ბლომად იყოს და სულერთია, თქვენ თვითონ შემირჩიეთ.» მიშოვა რამდენიმე მედალი, სულ პაწაწკინტელები, და კოლოფით გადმომცა. ჩავიდე კოლოფი ჯიბეში და აღარც გამხსენებია. გამოვცხადდი მეჯლისზე. სწორედ წინა ღამეს მოკლეს ჰენრი უილსონი, ასე რომ, აღარც უფლისწული მოსულა და აღარც მეფე, მედლები ვის რაში სჭირდებოდა და გამწარებით იძრობდნენ ბიჭები. მე კი ჯიბეში მეწყო...
 შეჩერდა და დაგველოდა, გაიცინებენო.
 _ სულ ეგ იყო?
 _ სულ. ალბათ, კარგად ვერ მოგიყევი.

_ ძალიან ცუდად მოჰყევი, _ უთხრა ბრეტმა, _ მაგრამ არა უშავს რა.
ყველას გაგვეცინა.

_ ჰო, მართლა, _ თქვა მაიკმა, _ გამახსენდა. საშინელი მოწყენილობა იყო მეჯლისზე და ვეღარ გავუძელი, წამოვედი. საღამოს ჯიბეზე ხელი მომიხვდა, და ვხედავ კოლოფია. ნეტა რა უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობ. მედლები! სულელური სამხედრო მედლები! ავდექი, დავაჭერი ბაფთები _ ხომ იცით, პატარა ბაფთებზეა დამაგრებული, _ და ჩამოვარიგე. თითო გოგოს თითო მედალი. როგორც სუვენირი. გაგიჟდნენ, მეომარიც ამას ჰქვიაო! ღამის კლუბში მედლებს არიგებს, ეს რა თავზეხელაღებული ვინმე ყოფილაო!

_ მერე, მერე, _ მიმართა ბრეტმა.

_ არც ეგ არი სასაცილო? _ იკითხა მაიკმა. ჩვენ ვხარხარებდით, _ არის. ხატზე დავიფიცებ, რომ სასაცილოა. ვნახოთ, ჩემი თერძი წერილს მწერს, მედლები დამიბრუნეო. კაციც გამომიგზავნა. თვეები გადის, წერილს წერილზე მიგზავნის. თურმე ვიღაცას გასაპრიალებლად არ მიუტანია მისთვის ეს მედლები! ვიღაც აყლაყუდა ჯარისკაცს! თურმე ზედ დაჰკანკალებდა და ღამის ჭკუა დაკარგა, _ მაიკმა შეისვენა, _ უიღბლო კაცი გამოდგა ეს თერძი, _ თქვა მან.

_ რას ამბობთ, _ უთხრა ბილმა, _ მე კი მგონია, ძალიანაც იღბლიანი ყოფილა!

_ გასაყეყეყებელი თერძი იყო! ახლა ასე რომ მხედავთ, არც კი დაიჯერებთ, _ თქვა მაიკმა, _ ას გირვანქას ვაძლევდი თვეში, რომ დაშოშმინებული მყოლოდა. ერთხელაც არ გამოუგზავნია ანგარიში. მაგრამ ჩემმა გაკოტრებამ თავზარი დასცა. ეს სწორედ მედლების ამბავს დაემთხვა. იმიტომაც მწერდა გაწიწმატებულ წერილებს.

_ როგორღა გაკოტრდით? _ ჰკითხა ბილმა.

_ ორი გზით, _ მიუგო მაიკმა, _ ჯერ თანდათანობით და მერე კი ერთბაშად.

_ მაინც, ვინ ჩაგაგდოთ ამ დღეში?

_ მეგობრებმა, _ თქვა მაიკმა, _ უამრავი მეგობარი მყავდა. ყალბი მეგობრები.

კრედიტორებიც ბევრი მყავდა. არა მგონია, ჩემდენი კრედიტორი ჰყოლოდეს ვინმეს ინგლისში.

_ ბარემ სასამართლოს ამბავსაც მოჰყევი, _ უთხრა ბრეტმა.

_ აღარ მახსოვს, _ მიუგო მაიკმა, _ მაშინ შემთვრალი ვიყავი!

_ შემთვრალიო! _ შესძახა ბრეტმა, _ გამობრუქული იყავი!

_ უჩვეულო ამბავია, _ თქვა მაიკმა, _ იმ დღეს ჩემს ყოფილ პარტნიორს შევხვდი.

ერთი ჭიქა ღვინო მიყიდეო, მითხრა.

_ აბა ერთი შენი ნასწავლი ვექილის ამბავიც უამბე, _ უთხრა ბრეტმა.

_ არ მინდა, _ თქვა მაიკმა, _ ჩემი ვექილიც გამობრუქული იყო. საერთოდ ვერაფერი მხიარული ამბავია. ხარების გადმოტვირთვას აღარ უნდა ვუყუროთ?

_ წავიდეთ.

ოფიცინტს მოვუხმეთ, ფული გადავიხადეთ და ქალაქის ბოლოში გავედით. მე და ბრეტი ცალკე მივდიოდით, მაგრამ რობერტ კონი წამოგვეწია და მეორე მხრიდან ამოუდგა ბრეტს. ახლა უკვე სამნი მივდიოდით. უკან მოვიტოვეთ აიუნტამიენტო, რომლის აივანზე დროშები გამოეფინათ. ბაზარს გავცდით, დაღმართი ჩავიარეთ და არგას ხიდზე გავედით. ზღვა ხალხი გამოფენილიყო ხარების სანახავად, გორაკის კალთაზე ეტლები ეშვებოდა და ხიდზე გადიოდა, და ქუჩაში მოსიარულე ხალხის თავზე მოჩანდა მეეტლე, მათრახი და ცხენები. ხიდზე რომ გადავედით, საჩხეების ქუჩისკენ შევუხვიეთ. უკან მოვიტოვეთ სამიკიტნო, რომლის ფანჯარაზე გამოკრული იყო: «კარგი ღვინო, ლიტრი 30 სანტიმად».

_ ფული რომ შემოგველევა, აქ ვიაროთ, _ თქვა ბრეტმა.

სამიკიტნოს კარში მდგომმა ქალმა თვალი გამოგვაყოლა. ვიღაცას შესძახა სახლში და სამმა გოგომ ფანჯარაში გადმოიხედა. ბრეტს დააშტერდნენ.

საჩეხების ჭიშკართან ორი კაცი იდგა და ხალხს ბილეთებს ართმევდა. ჩვენც შევედით ჭიშკარში. ბალახით დაფარულ ეზოში ხეები იყო და ერთი დაბალი ქვის სახლი იდგა. შორს საჩეხების გალავანი მოჩანდა. გალავანს მთელს გაყოლებაზე ჭუჭრუტანები ჰქონდა დატანებული, სათოფურებივით – თითო საჩეხზე თითო ჭუჭრუტანა. გალავანზე კიბე იყო მოწყობილი, რომლითაც ხალხი ზემოთ ადიოდა, გალავნის თავზე, და ფართო ჯებირზე დგებოდა, რომელიც ორ საჩეხსა ჰყოფდა. თითო გალიაშითითო ხარი იყო. კასტილიის რანჩოდან ჩამოეყვანათ მატარებლით, სადგურში ღია სატვირთო ვაგონებიდან გადმოეტვირთათ და აქ მოეყვანათ, ახლა კი საჩეხებში უნდა შეერეკათ. ყოველ გალიას ზედ ეკრა რანჩოს მეპატრონის გვარი და დადი.

ავძვერით გალავანზე და ისეთი ადგილი მოვძებნეთ ჯებირზე, საიდანაც საჩეხები მოჩანდა. ქვის კედლები თეთრად შეეღებათ, მიწაზე ჩალა ეყარა, ხოლო კედლის გასწვრივ ხის ბაგები და წყლის გეჯები იდგა.

– იქით გახედეთ, – ვთქვი მე.

მდინარის გაღმა მოჩანდა შემადლებული პლატო, რომელზედაც ქალაქი იყო გაშენებული. ძველი გალავნისა და სანგრების გაყოლებაზე სულ ხალხი იდგა. ფორტიფიკაციის სამი გრძელი ხაზი სამ ზოლად ჩაებნელებინა ხალხის შავ ტალღას. გალავნის ზემოდან, სახლის ფანჯრებშიაც ჩანდა ადამიანების თავები. პლატოს ბოლოში ხეებზე ბიჭები ამძვრალიყვნენ.

– ეტყობა, რაღაცას მოელიან, – თქვა ბრეტმა.

– ხარების დანახვა უნდათ.

მაიკი და ბილი იქითა საჩეხის ჯებირზე იდგნენ. ხელი დაგვიქნიეს. გვიან მოსულები გვაწვებოდნენ და გვაღვიწროებდნენ.

– რატომ არ იწყებენ? – იკითხა რობერტ კონმა.

ერთ-ერთ გალიას ქორი მიაბეს და საჩეხის კარისკენ გაათრიეს. რამდენიმე კაცმა ძალაყინებით გააჩოჩა და მოარგო გალია კარს. გალავნის თავზე სხვა მუშები იყვნენ გამზადებულნი, რომ საჩეხის კარი მაღლა აეზიდათ. მერე გალიის კარსაც გახსნიდნენ. საჩეხის მეორე მხარეს სხვა კარი გახსნეს და ორი მოზვერი შემოუშვეს – თავის ქიციანით შემოცვივდნენ მჭლე მოზვრები. კედლის ახლო დადგნენ, ეზოს ბოლოში, და თავი იმ კარებისაკენ მიაბრუნეს, საიდანაც ხარები უნდა შეეშვათ.

– რა დაღვრემილები არიან! – თქვა ბრეტმა.

გალავანზე მდგომი მუშები გადაიხარნენ და საჩეხის კარი აზიდეს. მერე გალიის კარიც ასწიეს.

მე გადავიხარე, თავი წინ გადავღრიე და გალიაში შეხედვა ვცადე. ჩაბნელებული იყო. ვიღაცამ რკინის კეტი ჩამოჰკრა გალიას. შიგნით თითქოს რაღაც გასკდაო. ხარი რქებით აწყდებოდა აქეთ-იქით ხის გალიას და სულ ბრაზვანი გაჰქონდა. მერე შავი დრუნჩი და რქების ჩრდილი შევნიშნე და ფიცრებზე ფლოქვების გრუხუნით ხარი საჩეხეში გამოვარდა, წინა ფეხები ჩალაში გაუცურდა, შედგა, თავი ასწია, კისრის მსხვილი კუნთები დაებერა, გალავანზე რომ ამდენი ხალხი დაინახა, მთელი ტანით აკანკალდა. მოზვრები კედელს აეკრნენ, თავი ჩაქინდრეს, მაგრამ ხარისთვის თვალი არ მოუშორებიათ.

როგორც კი დაინახა მოზვრები, ხარი მაშინვე გაქანდა. ამ დროს ერთმა მუშამ, რომელიც ბაგის უკან იდგა, დასწყვილა და ქუდი ფიცრებს გადაუტლაშუნა. ხარი

ერთბაშად მობრუნდა, დაიძაბა და კაცისკენ ისკუპა, ხის ლარტყებს გაშმაგებით ურტყამდა მარჯვენა რქას _ კაცს ეძებდა.

_ ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! _ თქვა ბრეტმა.

ჩვენ პირდაპირ დავცქეროდით.

_ ხედავ, რა მარჯვედ და საზრიანად იქნევსრქებს, _ ვთქვი მე, _ მარცხენა! მერე მარჯვენა! თითქოს მოკრივეაო.

_ ვითომ?

_ ვერა ხედავ?

_ ისე სწრაფად იქნევს, რომ ვერ ვაკვირდები.

_ დაიცადე. მეორესაც ახლავე შემოუშვებენ.

მეორე გალიაც მიადგეს კარს. ეზოს ბოლოში ახლა სხვა ვიღაცა მოადგა ფიცრის ლარტყულს და ხარის ყურადღება მიიქცია. მანამ ხარი იქით იყურებოდა, კარი გახსნეს და მეორე ხარიც შემოუშვეს.

იგი პირდაპირ მოზვრებისაკენ გაქანდა. უცებ ორი კაცი გამოძვრა ლარტყულიდან და დასჭყივლეს, ხარის მობრუნება სცადეს, მაგრამ ხარი არ მობრუნებულა. კაცები უყვიროდნენ: «ჰაჰ! ჰაჰ! ტორო!» და ხელს უქნევდნენ. მოზვრები შეტრიალდნენ, მოემზადნენ, და ხარმა რქა ამოჰკრა ერთ მოზვერს.

_ ნუ უყურებ, _ ვუთხარი ბრეტს. იგი მოჯადოებულივით შეჰყურებდა.

_ ძალიან კარგი, თუკი არ გეზიზღება, _ ვუთხარი მე.

_ ვნახე, _ თქვა მან, _ ვნახე, როგორ ამოარტყა ჯერ მარცხენა და მერე მარჯვენა რქა.

_ ყოჩაღ!

მოზვერი ძირს ეგდო, კისერი გაეჭიმა, თავი გვერდზე მიეღრცა. როგორც დასცა, ისევ ისე ეგდო. უცებ ხარმა მიატოვა იგი და მეორე მოზვერისკენ გაქანდა, რომელიც მოშორებით იდგა კუთხეში, თავს ატრიალებდა და ხარს შეჰყურებდა. მოზვერი უშნოდ წაჩინდრიკდა, ხარი მისწვდა, მსუბუქად ამოჰკრა ფერდში, მერე კი მოტრიალდა და ხალხს მიაშტერდა გალავანზე, ქედი წამოებერა. მოზვერი მიუახლოვდა და თითქოს დასუნვა დაუწყო. ხარმა რამდენიმეჯერ უხალისოდ მოუქნია რქა. მერე თვითონაც დასუნა მოზვერი და ახლა ორივენი გაიქცნენ იმ პირველი ხარისკენ.

ახალი ხარი რომ შეუშვეს საჩეხეში, ის სამი _ ორი ხარი და მოზვერი _ ერთად იდგნენ, გვერდიგვერდ, და რქები პირდაპირ ახალშემოსულისკენ ჰქონდათ შემართული.

რამდენიმე წუთში მოზვერმა ახალი ხარიც შეითვისა, მოათვინიერა და ჯოგს შეუერთა. ორი უკანასკნელი ხარიც რომ შეუშვეს, მთელი ჯოგი უკვე ერთად იყო. ნარქენი მოზვერი წამოდგა და კედელს მიეყუდა. არც ერთი ხარი აღარ გაჰკარებია მეტად, და არც თვითონ ცდილა ჯოგს შეერთებოდა.

ხალხთან ერთად ჩვენც დავეშვით კიბეზე და საჩეხეს კედლის ჭუჭრუტანიდან ერთხელ კიდევ შევხედეთ ხარებს. თავი ჩაექინდრათ და ყველა მოთვინიერებული ჩანდა. ქუჩაში ეტლი დავიჭირეთ და კაფესკენ გავემართეთ. მაიკი და ბილი ნახევარი საათის შემდეგ მოვიდნენ. გზაზე შეეხვიათ და ცოტაოდენი დაელიათ.

კაფეში ვისხედით.

_ საოცარი საქმე კია, _ თქვა ბრეტმა.

_ დანარჩენებიც ისევე კარგად იბრძოლებენ, როგორც ის პირველი? _ იკითხა რობერტ კონმა, _ რაღაც ძალიან ჩქარა მოთვინიერდნენ.

_ ერთმანეთს იცნობენ, _ ვუთხარი მე, _ მხოლოდ მაშინ არის საშიში, როცა მარტონი არიან, ან როცა ორ-ორი და სამ-სამია ერთად.

_ საშიშს რას ეძახი? _ მკითხა ბილმა, _ მე ყველა საშიში მომეჩვენა.

_ მოკვლის სურვილი მხოლოდ მაშინ მოუვლის, როცა მარტოა. რა თქმა უნდა, თუ ახლოს მიხვედი, ამით ერთ-ერთს ჩამოაშორებ ჯოგს და მაშინ ისიც საშიშია.

_ ძალიან ძნელი გასაგები ყოფილა, _ თქვა ბილმა, _ მაიკ, თუ ღმერთი გწამთ, ნურასოდეს ნუ ჩამომაშორებთ ჯოგს.

_ გამიგონეთ, _ შესძახა მაიკმა, _ რა მშვენიერი ხარები იყო! ჰა, ნახეთ, რა რქები ჰქონდათ?

_ როგორ არ ვნახე, _ უთხრა ბრეტმა, _ ვერც კი წარმომედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო.

_ ის თუ ნახეთ, მოზვერს რომ ამოჰკრა ფერდში? _ იკითხა მაიკმა, _ არაჩვეულებრივი რამ იყო.

_ არასახარბიელო კია მოზვერის ბედი, _ თქვა რობერტ კონმა.

_ ვითომ? _ ჰკითხა მაიკმა, _ მე კი მეგონა, რომ თქვენ სწორედ მოზვერის ბედი შეგშურდებოდათ.

_ ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ, მაიკ?

_ წყნარი ცხოვრება აქვს. თავის დღეში ხმას არ იღებს და მუდამ სხვას ეტმასნება. საერთო უხერხულობა ჩამოვარდა. ბილმა გაიცინა. რობერტ კონი გაწიწმატდა. ხოლო მაიკი მაინც განაგრძობდა.

_ მე მეგონა, შეგეხარბებოდა. ხმის ამოღება არ დაგჭირდებოდა, ჰა, რობერტ. ხმა ამოიღე, კაცო. რას გატრუნულხარ!

_ აკი ვთქვი, მაიკ. აღარ გახსოვს? მოზვერები აბა ვინ ახსენა?

_ ჰოდა, კიდევ თქვი-მეთქი რამე. გაგვაცინე. ვერ ხედავ, რა კარგ დროს ვატარებთ!

_ გეყოფა, მაიკლ, შენ მთვრალი ხარ, _ უთხრა ბრეტმა.

_ სულაც არა. სერიოზულად ვლაპარაკობ. ერთი ეს გამაგებინეთ _ რობერტ კონმა სულ ასე მოზვერით უნდა სდიოს ბრეტს?

_ გაჩუმდი, მაიკლ. თავი შეიკავე. ასე აღზრდილ კაცს როგორ გეკადრება.

_ ეშმაკმა შეაჩვენოს აღზრდა! ამ ხარების მეტს მე ვერავის ვერა ვხედავ აღზრდილს. ხომ კარგი ხარები იყო?! არ მოგეწონა, ბილ? რატომ არაფერს იტყვი, რობერტ, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, პანაშვიდზე ხომ არ ხარ? ვთქვათ, ბრეტს შენთან ეძინა? მერე რა მოხდა? შენზე უკეთეს ხალხთანაც სძინებია.

_ გაჩუმდით, _ უთხრა კონმა, წამოდგა, _ გაჩუმდით, მაიკ.

_ რას წამოდექი და გაიჭიმე, ასე გგონია, შემოკვრას აპირებსო. ტყუილა თავს ნუ შეიწუხებ. ჰა, რობერტ! იმ საწყალი მოზვერით რას დასდევ ბრეტს? ვერ ხედავ, რომ არავის უნდიახარ?! მე მაშინვე ვიგრძნობ, კაცს თუ არ ვუნდივარ. რატომ შენ ვერა გრძნობ, რომ ყველას თვალში ეჩხირები? ჯერ იყო და სან-სებასტიანში ჩამოხვედი, სადაც სულ ზედმეტი ბარგი იყავი და საწყალი მოზვერით აეკიდე ბრეტს. როგორა გგონია, კარგსა შერები?

_ გაჩუმდით. თქვენ მთვრალი ხართ.

_ ვთქვათ, მთვრალი ვარ, @რატომ შენ არა ხარ მთვრალი? რატომ არასოდეს არ დათვრები, რობერტ? ხომ ნახე, რომ მაინცდამაინც ვერ მოილხინე სან-სებასტიანში, იმიტომ, რომ არც ერთ ჩვენს მეგობარს არ დაუპატიჟიხარ. ვერც დამრახავ. დამრახავ განა? მე ვთხოვე, მაგრამ არ ინდომეს. ვერ დამრახავ. დამრახავ? მიპასუხე რამე, დამრახავ-მეთქი?

_ რა ჯანდაბა მოგივიდა, მაიკ.

_ მე პირადად ვერ დავმრახავ. შენ დამრახავ? კუდში რას დასდევ ბრეტს? ეს რა მანერები გაქვს?! როგორა გგონია, ძალიან გამიხარდება?

_ შენც რომ მანერებზე ლაპარაკობ, _ უთხრა ბრეტმა, _ დიდებული მანერები კი გაქვს!

_ წავედით, რობერტ, _ თქვა ბილმა.
 _ რას დასდევ-მეთქი?
 ბილი წამოდგა და კონს მოჰკიდა ხელი.
 _ სად მიდიხართ! _ წამოიძახა მაიკმა, _ ახლა რობერტ კონი იყიდის ღვინოს.
 ბილმა წაიყვანა კონი, რომელიც ერთიანად გაყვითლებულიყო. მაიკი განაგრძობდა.
 მე ერთხანს ვიჯექი და ვუსმენდი. ბრეტი გულმოსული ჩანდა.
 _ გამიგონე, მაიკლ, ასე რამ გაგატუტუცა, _ შეაწყვეტინა მან, _ თუმცა ვერ
 გავამტყუნებ, ხომ იცი, _ მომიბრუნდა მე.
 მაიკი ხელადვე დაცხრა. ახლა სულ მეგობრები ვიყავით ერთად.
 _ არც ისე მთვრალი ვარ, თქვენ რომ გგონიათ, _ თქვა მან.
 _ ვიცი, რომ არა ხარ, _ უთხრა ბრეტმა.
 _ ფხიზელი არც ერთი არა ვართ, _ ვთქვი მე.
 _ რაც გულში მქონდა, ის ვუთხარი.
 _ თქმაც არის და თქმაც, _ გაიცინა ბრეტმა.
 _ ეგ ხომ მაინც ვირია. ჩამობრძანდა სან-სებასტიანში, სადაც კაცს არ სიამოვნებდა
 მაგისი ნახვა. ჩამოეკიდა ბრეტს და ერთი წუთით არ მოუშორებია თვალი. პირდაპირ
 გული მერეოდა.
 _ ძალიან ცუდად იქცეოდა, _ თქვა ბრეტმა.
 _ განა არ ვიცი. ბრეტს ადრეც ჰქონია სასიყვარულო ისტორიები. ჩემთვის არაფერი არ
 დაუმაღავს. ამ ვაჟბატონის წერილებიც მომცა წასაკითხად. არ წავიკითხე.
 _ დიდი კეთილშობილება გამოიჩინე.
 _ არა, ერთი მომისმინე, ჯეიკ. ბრეტს ჰქონია სასიყვარულო ისტორიები მამაკაცებთან,
 მაგრამ ებრაელი არც ერთი არ ყოფილა და არც არავინ ჩამოჰკიდებია შემდეგ
 კისერზე.
 _ კარგი ბიჭები იყვნენ, _ თქვა ბრეტმა, _ მაგრამ ეს ყველაფერი მიქარვია და
 ლაპარაკადაც არ ღირს! მე და მაიკლს კარგად გვესმის ერთმანეთისა.
 _ თვითონვე მომცა რობერტ კონის წერილები. არ წავიკითხე.
 _ ნეტა რა წერილი უნდა ყოფილიყო, რომ შენ წაგეკითხა, ძვირფასო! ჩემს
 წერილებსაც კი არ წაიკითხავდი.
 _ ვერ ვკითხულობ წერილებს, _ თქვა მაიკმა, _ სასაცილო არ არის?
 _ შენ ვერაფერსაც ვერ კითხულობ.
 _ არა. მაგას ტყუილს ამბობ. მე ბევრს ვკითხულობ. შინ როცა ვარ, სულ ვკითხულობ.
 _ მერე წერასაც დაიწყებ, _ უთხრა ბრეტმა, _ ასე რომ, ნუ გაგულისდები. ხომ იცოდი,
 რომ ასე მოხდებოდა. რას იზამ, ისიც აქ არის. ფიესტას ნუ ჩაგვაშხამებ.
 _ წესიერად მოიქცეს.
 _ წესიერად მოიქცევა. მე ვეტყვი.
 _ შენ უთხარი, ჯეიკ. ან წესიერად მოიქცეს, ან თავიდან მოწყდეს.
 _ როგორ არა, მაგის თქმაღა მაკლია!
 _ მოიხედე, ბრეტ, ერთი ჯეიკსაც უთხარი, რობერტი რას გეძახის. პირდაპირ
 შეუდარებელია.
 _ არა. არ შემიძლია.
 _ თქვი. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. მეგობრები არა ვართ, ჯეიკ?
 _ ვერ ვეტყვი. ძალიან დიდი სისულელეა.
 _ მე ვეტყვი.
 _ რას ამბობ, მაიკლ, რამ გაგატუტუცა.

_ ცირცეოს* ეძახის, _ თქვა მაიკმა, _ ეფიცება _ შენ მამაკაცებს ღორებად აქცევო.
 კარგი არ არის?! ნეტა მეც მწერალი ვიყო.
 _ კარგი მწერალი კი იქნებოდა, ხომ იცი, _ თქვა ბრეტმა, _ მშვენიერ წერილებსა წერს.
 _ ვიცი, მეც მომწერა სან-სებასტიანიდან.
 _ ის რა იყო, _ თქვა ბრეტმა, _ ისეთს დაწერს, რომ სიცილით გაგგუდავს.
 _ ის ამან დამაწერინა. თავი მოიავადმყოფა.
 _ მართლა ვიყავი ავად.
 _ წავედით, _ ვთქვი მე, _ რამე ვჭამოთ.
 _ კონს როგორ შევხვდე? _ იკითხა მაიკმა.
 _ თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.
 _ მე რა მენადვლება, _ თქვა მაიკმა, _ სულაც არ ვგრძნობ უხერხულობას.
 _ თუ რამე თქვას, უთხარი მთვრალი ვიყავი-თქო.
 _ ასე ვეტყვი. სასაცილო ის არის, რომ მგონი მართლაც მთვრალი ვიყავი.
 _ წავიდეთ, _ თქვა ბრეტმა, _ ამ შხამის ფული გადახდილია? ვახშმობამდე უნდა ვიბანაო.
 მოედანზე გამოვედით. უკვე ბნელოდა და მოედანს კაფედან გამოჭრილი სინათლე ანათებდა. ხეებს ქვეშ ხვინჭამოყრილ გზას დავადექით და სასტუმროსაკენ გავწიეთ. ისინი ზემოთ ავიდნენ, მე კი მონტოიას გამოველაპარაკე.
 _ მოგეწონათ ხარები? _ მკითხა მან.
 _ კარგია. კარგი ხარები ჩანს.
 _ არა უშავს რა, _ მონტოიამ თავი გააქნია, _ მაგრამ ძალიან კარგები არ არის.
 _ რატომ არ მოგეწონათ?
 _ რა ვიცი. რაღაც ვერ მომივიდა თვალში.
 _ ვიცი, რატომაც არ მოგეწონათ.
 _ ისე, არა უშავს რა.
 _ ჰო, არა უშავს რა.
 _ თქვენს მეგობრებს მოეწონათ?
 _ ძალიან.
 _ მით უკეთესი, _ თქვა მონტოიამ.
 ზემოთ ავედი. ბილი თავის აივანზე გამოსულიყო და მოედანს გადასცქეროდა. მეც გვერდში ამოვუდექი.
 _ კონი სადღაა?
 _ ზემოთ, თავის ოთახში.
 _ თავს როგორა გრძნობს?
 _ ცუდად, რა თქმა უნდა. ძალიან გადაამლაშა მაიკმა. აუტანელია სიმთვრალეში.
 _ არაფერი მთვრალი არ ყოფილა.
 _ როგორ არ იყო! მე თვითონ არ ვიცი, რამდენი დავლიეთ გზაზე, კაფეში?!
 _ მერე გამოფხიზლდა.
 _ კარგი ერთი. აუტანელი იყო. ღმერთმა ხომ იცის, რომ არ მიყვარს ეგ თქვენი კონი და დიდი სიბრიყვეც მოუვიდა, სან-სებასტიანში რომ ჩავიდა, მაგრამ ამისთანა ლაპარაკი მაინც არავის ეპატიება.
 _ ხარები როგორ მოგეწონა?
 _ დიდებულია. დიდებულად შერეკეს.
 _ ხვალ მიურულ ხარებს ჩამოიყვანენ.
 _ ფიესტა როდის იწყება?
 _ ზეგ.

- _ ამდენს ნუღარ დავალევინებთ მაიკს, თორემ საშინელებაა.
- _ ჯობს გავსუფთავდეთ და სავახშმოდ მოვემზადოთ.
- _ მართალი ხარ. მხიარული ვახშამი კი გვექნება.
- _ რატომაც არა!

მართლაც კარგად მოვილხინეთ ვახშამზე. ბრეტს უსახელოებო სადამური შავი კაბა ჩაეცვა. ძალიან ლამაზი ჩანდა. მაიკს ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. ზემოთ ასვლა და რობერტ კონის ჩამოყვანა მე დამეკისრა. ცივად და ოფიციალურად ირჯებოდა. სახე ისევ დაჭიმული და ყვიციანი ჰქონდა, მაგრამ ბოლოს გამხიარულდა. ბრეტს მაინც ვერ აშორებდა თვალს. ეტყობოდა, მისი ცქერაც კი ბედნიერებასა ჰგვრიდა. ასეთ მშვენიერს რომ ხედავდა, გული ალბათ სიხარულით ევსებოდა: ბოლოს და ბოლოს, ეს ლამაზი ქალი მას სადღაც ჰყავდა წაყვანილი და ეს უკვე ყველამ იცოდა! ამას ვერავინ წაართმევდა. ბილი ძალიან სასაცილო იყო. მაიკიც. ერთმანეთს უხდებოდნენ.

ომის დროინდელი სადილები გამახსენდა. ღვინო ბევრია, ყველაფერს ფეხებზე იკიდებ, გრძნობ, რაღაც უნდა მოხდეს, მაგრამ იცი, რომ ვერაფერს უშველი. ღვინომ მეც გამომიკეთა ხასიათი და გული გამიხალისა. ვინც იქ იყო, ყველა მშვენიერი მეჩვენებოდა.

თავი XIV

არ ვიცი, რა დრო იქნებოდა, დასაწოლად რომ ავედი. მახსოვს, გავიხადე, ხალათი ჩავიცვი და აივანზე გამოვედი. ვიცოდი, საშინლად მთვრალი ვიყავი და ოთახში რომ შევბრუნდი, სასთუმალთან ლამპა ავანთე და კითხვა დავიწყე. ტურგენეცს ვკითხულობდი. ალბათ, ზედიზედ რამდენიმეჯერ გადავიკითხე ორი გვერდი. ეს იყო ერთ-ერთი მოთხრობა «მონადირის ჩანაწერებიდან». ადრეც წამეკითხა, მაგრამ მეგონა, პირველად ახლა ვკითხულობდი. თვალნათლივ წარმომიდგა ბუნება და თავში რომ რაღაც სიმძიმე მაწვა, თითქოს ერთბაშად ამეხსნა. ძალიან მთვრალი ვიყავი და არ მინდოდა თვალები დამეხუჭა, რადგან ოთახი სულ ციბრუტივით დატრიალდებოდა. ხოლო კითხვაში თანდათანობით გამივლიდა.

გავიგონე, როგორ ამოვიდნენ კიბეზე ბრეტი და რობერტ კონი. კონმა ღამე მშვიდობისა უთხრა დერეფანში და ზემოთ გაემართა, თავისი ოთახისაკენ. მაიკი უკვე იწვა. ჩვენ ერთად ამოვედით ერთი საათის წინ. ბრეტი რომ შევიდა, მაიკსაც გაელვიდა და ლაპარაკი დაიწყო. მერე სიცილი გავიგონე. სინათლე ჩავაქრე და დამინება ვცადე. კითხვა აღარაფერი საჭირო არ იყო, _ თვალს ვხუჭავდი და ოთახი მაინც არ ტრიალებდა, _ მაგრამ ძილი არ გამეკარა. გაუგებარია. რატომ ხდება ხოლმე, რომ სიზნელეში ყველაფერი სხვაგვარი გეჩვენება, სინათლეში კი სულ სხვაგვარი. ეშმაკმა დალაზვროს! არაფერი გაუგებარიც არ არის!

ეს ყველაფერი ათასჯერ მაქვს აწონ-დაწონილი, როცა მთელი ექვსი თვე სინათლის ჩაუქრობლად ვიძინებდი. დიდებული აზრი არ იყო! ღმერთმა შეაჩვენოს ქალები! ღმერთმა შეაჩვენოს ბრეტ ეშლი!

ქალებთან მეგობრობას არაფერი სჯობს. საოცარი მეგობრობა იციან. ჯერ უნდა შეიყვარო ქალი და ამით მეგობრობის საძირკველი გაამაგრო. ბრეტი ჩემი მეგობარი გახდა. ის კი აღარ მიფიქრია, სამაგიეროდ რას ვთავაზობდი. მე რაღაცას ვიღებდი, მაგრამ იქით რომ არაფერს ვაძლევდი! ეს მხოლოდ აჭიანურებდა ანგარიშის წარმოდგენას. ანგარიში კი ყოველთვის მოგივა, არხეინად ბრძანდებოდე!

მე მეგონა, ყველაფერი გადახდილი მქონდა. ისე კი არა, ქალები რომ იხდიან და იხდიან და იხდიან. განა სამაგიეროს მიზღვა იყო ეს, ან სასჯელი! ეს უბრალო ფასეულობათა გაცვლა იყო. რაღაცას აძლევ და შენც იღებ სხვა რაღაცას. ან მუშაობ რაღაცის ანგარიშში. ოდნავ კარგი რამეც რომ მიიღო, ასე იქნება თუ ისე, უსათუოდ უნდა გადაიხადო. ბევრი რამე, რისთვისაც მე ჩემებურად ვიხდიდი, მომწონდა და დროს კარგად ვატარებდი. ან ცოდნით იხდი, ან გამოცდილებით, ან გაბედულებით, ან ფულით. ცხოვრებით მაშინ ტკბები, როცა შენი ფულის ტოლფასოვან რამეს იღებ და ეს შეგნებული გაქვს. მიღებით კი ნამდვილად შეგიძლია შენი ფულის ტოლფასოვანი რამის მიღება. ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერს იყიდი. თითქოს კარგი ფილოსოფია გამოვიდა. გაივლის ხუთი წელიწადი, _ ვიფიქრე მე, _ და ეს ფილოსოფიაც ისეთივე სულელური მოგეჩვენება, როგორც ადრინდელი შენი ფილოსოფიური ნააზრევი.

ვინ იცის, იქნებ არ გამართლდეს ეს ვარაუდი. რაც დრო გავა, იქნებ უფრო ბევრ რამეს მივხვდე. სულაც არ მენადვლება, თუ რას წარმოადგენს ცხოვრება. მე მხოლოდ ის მინდა გავიგო, როგორ უნდა ვიცხოვრო. მაგრამ როცა გაიგებ, თუ როგორ უნდა იცხოვრო, იქნებ იმასაც ჩასწვდე, თვითონ ცხოვრება რას წარმოადგენს.

ნეტა მაიკი ასე საზიზღრად არ მოქცეოდა კონს. ცუდი სიმთვრალე იცის. ბრეტი კარგია სიმთვრალეში. ბილიც კარგია. კონი თავის დღეში არ დამთვრალა. წრეს რომ გადავა მაიკი, აუტანელი ხდება. მესიამოვნა კი, კონი რომ გაამწარა. თუმცა ნეტა არ ექნა. მერე ჩემივე თავი შემზიზღდა. ეგ არი ზნეობა, შენივე თავი რომ შეგზიზღდება მერე? არა, ეს უზნეობა უნდა იყოს. რა დიდებული მსჯელობაა! რამდენი სისულელე მომდის ხოლმე თავში ღამით! რა სიტუტუცეა! ასე იტყოდა ბრეტი. რა სიტუტუცეა! ინგლისელებთან რომ ხარ ხშირად, შენც გადაგედება ხოლმე და იმათი გამოთქმებით ფიქრობ. ინგლისურ სალაპარაკო ენაში _ ყოველ შემთხვევაში, მაღალი საზოგადოების ენაში _ იმაზე მეტი სიტყვა არც იქნება, რაც ესკიმოსებსა აქვთ. თუმცა ესკიმოსების ენის ინჩიბინჩი არ გამეგება. იქნებ მშვენიერი ენაც ჰქონდეთ. იროკეზების ენა ვთქვათ. არც იროკეზურისა მესმის რამე. ინგლისელები სულ კუწავენ ფრაზებს. ერთი ფრაზა, ვინ იცის, რამდენ რამეს ნიშნავს! მაინც მომწონს. მიყვარს მათი ლაპარაკი. ჯერ მარტო ჰარისი რად ღირს. თუმცა ჰარისი მაღალი საზოგადოებიდან არ არის. ისევე ავანთე სინათლე და კითხვა დავიწყე. ტურგენევის იმავე მოთხრობას მივუბრუნდი. ამდენი კონიაკის შემდეგ ისე გაფაქიზებული მქონდა მგრძნობელობა, რომ ვიცოდი _ დიდხანს დამახსოვდებოდა წანაკითხი და შემდეგ ისე მოვიგონებდი, თითქოს მე თვითონვე გადამხდენოდეს თავს. სულ ასე მომდის ხოლმე. ესეც ერთ-ერთი კარგი რამე, რასაც ყიდულობ და მერე ველარავინ წაგართმევს. კიდევ დიდი ხანი გავიდა, დილა მოახლოვდა კიდევ, როცა ჩამეძინა.

შემდეგ ორ დღეს პამპლონაში სიწყნარე სუფევდა და არავითარი ჩხუბიც არ მომხდარა. ქალაქი საფიქსტოდ ემზადებოდა. მუშებმა მთავარი ქუჩის შესახვევები ჭიმკრებით გადაკეტეს, რათა დილაობით საჩეხიდან გამორეკილი ხარები პირდაპირ საასპარეზო მოედანზე მიედენათ. ორმოები ამოთხარეს და ზოდები ჩაასვეს, რომლებზედაც განსაკუთრებული ნომრები იყო აღნიშნული. ქალაქგარეთ, პლატოზე, ცირკის მუშები პიკადორების ფეხათრეულ ცხენებსა წვრთნიდნენ _ მზით გამომწვარ მინდორზე დააჩინდრიკებდნენ. საასპარეზო მოედნის დიდი ჭიმკარი გაეხსნათ და შიგნით ამფითეატრებსა ჰგვიდნენ. მოედანი დატკეპნეს და მორწყეს, დურგლებმა ჩამტვრეული და მოყანყალეული ფიცრები გამოცვალეს მოაჯირზე. მოედნის დატკეპნილი სილიდან დაცარიელებულ ამფითეატრებს თუ გახედავდი, დაინახავდი, როგორ ასუფთავებდნენ ბებერი დედაკაცები ლოჟებს.

გარეთ უკვე ჩადგეს ღობე, რომელიც ქალაქის უკანასკნელი ქუჩიდან საასპარეზო მოედნის შესასვლელამდე იყო გაჭიმული და გრძელ საჩხეს წარმოადგენდა; ფიესტის პირველ დღეს, დილით, ხალხი ამ გზით გამოიქცევა, უკან კი ხარები დაედევნება. ქალაქის განაპირას, იმ მინდორზე, სადაც ცხენებისა და რქოსანი საქონლის ბაზრობა იმართება, ახლა ბოშებს დაეცათ კარვები, ხეების ქვეშ. ღვინისა და არყის ვაჭრები თავიანთ ბუდრუგანებსა დგამდნენ. ერთ ბუდრუგანაზე რეკლამა გამოეკრათ – ანის დელ ტორო*. რაღაც ჩვარზე იყო დაწერილი და მცხუნვარე მზეზე გამოფენილი. ქალაქის გულში კი, დიდ მოედანზე, ჯერ არაფერი ცვლილება არ იგრძნობოდა. ჩვენ თეთრ წნულ სკამებზე ვისხედით კაფეს წინ და შევყურებდით ავტობუსებს, რომელთაც ბაზრობაზე გლეხები ჩამოჰყავდათ. მერე ისევ გაივსებოდა ავტობუსები და ჩვენ ვხედავდით გლეხებს, რომელთაც ხურჯინები ქალაქში ნავაჭრი საქონლით ჰქონდათ გატენილი. სხვა სიცოცხლის ნიშანწყალი არც ეტყობოდა ამ მოედანს – ეს მაღალი, რუხი ავტობუსები ჩაივლიდა, მტრედები გამოეფინებოდნენ და ზოგჯერ ერთი კაცი გამოჩნდებოდა, რომელიც ხვინჭამოყრილ მოედანსა და ქუჩებს წყლის წელათი რწყავდა ხოლმე.

სალამობით Pასეო* იმართებოდა. ნასადილევს მთელი საათის განმავლობაში ქუჩებში იყვნენ გამოფენილი ლამაზ-ლამაზი გოგონები, გარნიზონის ოფიცრები, მოდის მიმდევარი კაცები და ქალები. ესენი მოედნის ერთ მხარეს დასეირნობდნენ, კაფეს ტერასა კი ერთი და იმავე ხალხით იყო სავსე, რომელიც ნასადილევს იკრიბებოდა ხოლმე აქ.

დილაობით მუდამ კაფეში ვიჯექი და მადრიდის გაზეთებს ვკითხულობდი, მერე კი ქალაქში გავდიოდი, ან ქალაქგარეთ გავივლიდი. ზოგჯერ ბილიც გამომეყვებოდა. ხან კი თავის ოთახში იჯდა და წერდა. რობერტ კონი მთელ დილას ან ესპანურის შესწავლას ანდომებდა, ან არა და გასაპარსად საპარიკმახეროში შესვლას ცდილობდა. ბრეტი და მაიკი შუადღემდე არ გამოდიოდნენ. მერე კაფეში შევიყრებოდით ყველანი და ვერმუტსა ვსვამდით. წყნარად ვატარებდით დროს და არავინ არ დამთვრალა.

ერთი-ორჯერ ეკლესიაშიც ვიყავი, ერთხელ – ბრეტთან ერთად. დაიჟინა, შენი აღსარება უნდა მოვისმინო. მე ვუთხარი – ეგ შეუძლებელიც რომ არ იყოს, შენ რომ გგონია, ისეთი საინტერესო არ იქნება, თანაც შენთვის გაუგებარ ენაზე უნდა გავენდო-მეთქი. ეკლესიიდან გამოსულები კონს გადავეყარეთ და მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ჩანდა – ადევნებული გვყავდა, მაინც თავდაჭერილად და სასიამოვნოდ იქცეოდა; იქიდან ბოშათა ბანაკისკენ გავემართეთ და ბრეტმა ამკითხვინა.

მშვენიერი დილა იყო, მთებზე მომადლოდ გაწოლილიყო თეთრი ღრუბლები. ღამით ცოტა წამოწვიმა და პლატოზე საამურად აგრილდა. აქედან საუცხოო ხედიც იშლებოდა. კარგ გუნებაზე დავდექით, თავს მშვენივრად ვგრძნობდით და კონსაც მეგობრულად ვექცეოდი. ამისთანა დღეს გაბრაზება არასდიდებით არ შეიძლებოდა. ეს იყო ფიესტის წინა დღე.

თავი XV

კვირას, ივლისის ექვსს, შუადღისას ფიესტამ იფეთქა. სხვა სიტყვით ვერ გამოხატავ, რაც მაშინ ხდებოდა. სოფლებიდან მთელი დღე მოედინებოდა და მოედინებოდა ხალხი, მაგრამ ისე ითქვიფებოდა ქალაქში, რომ ვერც გამოარჩევდი. მცხუნვარე მზეზე მიფიცხებული მოედანი ისეთივე წყნარი იყო, როგორც სხვა, ჩვეულებრივ დღეს. გლეხები ქალაქის განაპირა სამიკიტნოებში შესულიყვნენ. ღვინოსა სვამდნენ

და საფიქსტოდ ემზადებოდნენ. მინდვრებიდან და მთებიდან ახლახან ჩამოსულებს დრო სჭირდებოდათ ფასეულობათა თანდათანობით გადასაფასებლად. პირდაპირ კაფეებს ვერ შეებდავდნენ. თავისი ფულის ტოლფასოვან საქონელს სამიკიტნოებში შოულობდნენ. განსაზღვრული ფასეულობა ფულსაც ჰქონდა, რომლითაც ნამუშევარი საათები და გაყიდული ხორბლის ჩანახები იზომებოდა. ფიქსტა რომ გახურდებოდა, სულერთი იყო, რამდენს გადაიხდიდნენ ან სად გადაიხდიდნენ. ახლა კი, სან-ფერმინის დღესასწაულის პირველ დღეს, გათენებიდანვე ქალაქის ვიწრო შუკებში გაკრეფილიყვნენ და სამიკიტნოებში მოკალათებულიყვნენ. დილით ტაძრისკენ გავემართე, ცისკრის წირვაზე. სამიკიტნოების ღია კარებიდან მათი სიმღერა გამოდიოდა. თანდათანობით ხურდებოდნენ. თერთმეტი საათის წირვაზე ტაძარი ხალხით იყო გაჭედილი. სან-ფერმინის დღესასწაულზე აქ ხატობა იციან. ტაძრიდან რომ გამოვედი, გორაკზე დავეშვი და იმ ქუჩას დავადექი, რომელიც პირდაპირ ჩვენი კაფესკენ მიდიოდა. ჯერ კიდევ დილა იყო. რობერტ კონი და ბილი სუფრას შემოსხდომოდნენ. მარმარილოს მაგიდები და თეთრი წნული სკამები აღარ ჩანდა. იმათ ადგილზე რკინის მაგიდები და მკვრივი დასაკეცი სკამები ჩაედგათ. კაფე საომრად გამზადებულ სამხედრო ხომალდს დამსგავსებოდა. დღეს ისე არხეინად ველარ წამოიჭიმებოდი სკამზე და გაზეთის კითხვას ვერ მოჰყვებოდი _ მაშინვე ოფიციანტი დაგადგებოდა თავზე. დავჯექი თუ არა, ოფიციანტიც გაჩნდა.

_ თქვენ რასა სვამთ? _ ვკითხე ბილსა და რობერტს.

_ ტკბილ ღვინოს, _ მიპასუხა კონმა.

_ ხერესი, _ ვუთხარი ოფიციანტს.

ჯერ ოფიციანტს ხერესი არ მოეტანა, რომ მოედნის თავზე შუშხუნა ავარდა. ეს იყო ფიქსტის დაწყების ნიშანი. შუშხუნა გასკდა და მოედნის მეორე თავში თეატრ «გაიარის» თავზე კვამლის რუხი ქულა დაეკიდა. ისე ეკიდა კვამლი ცაში, გეგონებოდა, ეს არის შრაპნელი გამსკდარაო და მანამ შეეყურებდი, მეორე შუშხუნაც გაუშვეს, რომელმაც მზის სხივებით განათებულ ცაზე კვამლის ზოლი გაავლო. როცა გაუშვეს, გაელვება დავინახე, მერე კი კვამლის მეორე ქულაც გამოჩნდა. მეორე შუშხუნა რომ გაუშვეს, ამ ერთი წუთის წინ სრულიად დაცარიელებული მოედანი ისე გაიჭედა ხალხით, რომ ოფიციანტი იძულებული გახდა ღვინის ბოთლი მაღლა დაეჭირა, თავს ზემოთ; ძლივძლივობით გამოიკვლია გზა ჩვენი მაგიდისაკენ. ყველანი მოედნისაკენ მოემურებოდნენ, და ქუჩაში უკვე გაისმა დოლ-საყვირ-სალამურის ხმა, რომელიც თანდათანობით ახლოვდებოდა. ღიაუ-რიაუ-ს უკრავდნენ _ სალამური წვრილი ხმით, დოლი ბუხუნით, ხოლო მათ ცეკვა-ცეკვით მოჰყვებოდნენ კაცები და ბიჭები. შეწყდა თუ არა მუსიკა, ისინი შუა ქუჩაშივე შედგნენ და ჩაცუცქდნენ, ხოლო როცა საყვირ-სალამურები ხელახლა აჩხრიალდა და გაბრტყელებულმა, გრუხუნა დოლებმაც დაიგუგუნა, მოცეკვავეებმა კვლავ ტლინკეს ფეხები და ცეკვით განაგრძეს გზა. ამ ბრბოში მხოლოდ თავებსა და მხრებს თუ დაუნახავდი აღმა-დაღმა მოხტუნავე მოცეკვავეებს.

მოედანზე ვილაც კაცი გამოჩნდა, წელში მოკაკულიყო და სალამურს უკრავდა, ბავშვები კი ჭყიპინით მისდევდნენ და ტანსაცმელს ქაჩავდნენ. ამ კაცმა მოედანი გადმოჭრა, სალამურის სტვენით ჩაუარა კაფეს და მოსახვევში გავიდა, ბავშვებიც თან გაიყოლა. ჩვენ დავინახეთ მისი გამოლენჩებული, ჩოფურა სახე, როცა სალამურის დაკვრით ჩაგვიარა. ბავშვები კი ფეხდაფეხ მისდევდნენ და ჭყიპინით კალთას ქაჩავდნენ.

_ ეტყობა, აქაური აბუეტია, _ თქვა ბილმა, _ ღმერთო ჩემო, შეხედეთ ერთი!

ქუჩაში მოცეკვავეები მოედინებოდნენ. მთელი ქუჩა დაეპყროთ _ სულ კაცები იყვნენ. წინ თავიანთივე მესაყვირ-მედოლეები მიუძღოდნენ. რაღაცნაირი კლუბი თუ კავშირი იყო, ყველას ერთნაირად ეცვა _ მუშების მოკლე, ლურჯი ხალათები და კისერზე წითელი ხელსახოცები შემოეხვიათ, მოჰქონდათ ორ ტარზე დამაგრებული დიდი დროშა. ირგვლივ ხალხი შემორტყმოდათ და მოედანზე რომ გამოვიდნენ, მათთან ერთად დროშაც ცეკვავდა, აღმა-დაღმა.

«გაუმარჯოს ღვინოს! გაუმარჯოს უცხოელებს!» _ ეწერა დროშაზე.

_ უცხოელები სად არიან? _ იკითხა რობერტ კონმა.

_ ჩვენა ვართ უცხოელები, _ მიუგო ბილმა.

შუშხუნები მისრიალებდა და მისრიალებდა ცაში. თავისუფალ მაგიდას ერთსაც ვეღარ ნახავდი. მოედანი იცლებოდა და ხალხი კაფეს აწყდებოდა.

_ ბრეტი და მაიკი სად არიან? _ იკითხა ბილმა.

_ წავალ და ჩამოვიყვან, _ თქვა კონმა.

_ ჩამოიყვანე.

ფიესტა ეშხში შედიოდა. მთელი ერთი კვირა, დღე და ღამე გრძელდებოდა.

გრძელდებოდა ცეკვა, გრძელდებოდა ლოთობა, ღრიანცელი არა ცხრებოდა. ისეთი რამეები ხდებოდა, რაც მხოლოდ ფიესტის დროს შეიძლება მოხდეს. ბოლოს ყველაფერი დაუჯერებლად უჩვეულო გამოჩნდა და გეგონებოდა, შედეგიც არაფერი მოჰყვებოდა. შეუფერებელიც იყო ფიესტის დროს იმაზე ფიქრი, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მთელი ფიესტის დროს, _ მაშინაც კი, როცა ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდებოდა, _ მხოლოდ იმაზელა ფიქრობდი, რომ შენი სათქმელი რაც შეიძლება ხმამაღლა გეყვირა და სხვისთვის გაგეგონებინა. ასეთივე გრძნობა გქონდა სხვა რამეების მიმართაც. ფიესტა იყო, მთელი შვიდი დღე გრძელდებოდა!

იმ დღეს დიდი რელიგიური პროცესია მოეწყო. ხან ერთ ეკლესიაში დაასვენებდნენ სან-ფერმინს, ხან მეორეში. ყველა წარჩინებული პირი მონაწილეობდა პროცესიაში _ საეკლესიოცა და სამოქალაქოც. ჩვენ პირადად არ დაგვინახავს ეს წარჩინებული პირები, რადგან დიდძალი ხალხი იყო გამოსული. პროცესიის თავშიაც და ბოლოშიაც ღიაუ-რიაუ-ს მოცეკვავეები ცეკვავდნენ. ხალხში მკვეთრად გამოირჩეოდნენ აღმა-დაღმა მოხტუნავე ყვითელპერანგა მოცეკვავეები. მოედნის ახლომახლო ქუჩები და ტროტუარები ზღვა ხალხით გაჰყდილიყო და ერთადერთი, რისი დანახვაც მოვახერხეთ, ეს იყო ხისგან გამოჩორკნილი ოცდაათი ფუტის სიმაღლე ინდოელი გოლიათები და მავრი მეფე და დედოფალი, რომლებიც დიდის ამბით და პატივით სრიალებდნენ ღიაუ-რიაუ-ს ხმაზე.

სან-ფერმინი სამლოცველოში შეასვენეს, წარჩინებული პირებიც შიგ შეჰყვნენ, კარში ჯარისკაცები ჩამწკრივეს გუშაგებად, ხალხმა კი სამლოცველოსთან მოიყარა თავი. ხის გოლიათებიც გარეთ დააყენეს, საიდანაც მოცეკვავეები გამომძვრალიყვნენ და იქვე იდგნენ. მუცელგამობერილი ჯუჯები ხალხში დატანტალებდნენ. ჩვენ სამლოცველოში შესვლა დავაპირეთ, სადაც საკმევლის სუნი იდგა და საიდანაც ხალხი ჯგროდ გამოდიოდა, რათა ახლა საყდარში შესულიყვნენ, მაგრამ ბრეტს ქუდი არ ეხურა და ზედ კართან გააჩერეს. ასე რომ, გამოვბრუნდით და ქუჩაში გამოვედით. ქუჩის ორივე მხარეს ხალხი ჩამწკრივებულიყო _ პროცესიის გამოსვლას ელოდნენ. რამდენიმე მოცეკვავემ ბრეტის ირგვლივ წრე შეკრა და ჩამოუარა. კისერზე ნივრის უშველებელი ასხმულები ჰქონდათ ჩამოკიდებული. ბილსა და მე გვტაცეს ხელი და წრეში შეგვაგდეს. ბილმა ჩამოუარა. ბრეტმაც დააპირა ცეკვა, მაგრამ არ აცეკვეს _ უნდოდათ, ბრეტი კერპივით ყოფილიყო შუაში, თვითონ კი ირგვლივ ეცეკვათ. როცა

სიმღერა გამაყრუებელი ღიაუ-რიაუ-ს ჭყავილით დაამთავრეს, ხელი მოგვხვდეს და სამიკიტნოში ჩაგვათრიეს.

ჩვენ დახლთან მივედით. ბრეტი ღვინის კასრზე დასვეს. ჩაბნელებული სამიკიტნო გაჭედილი იყო კაცებით, რომლებიც ჩაბრინწული ხმით მღეროდნენ. დახლში კასრი ედგათ და ღვინოს ასხამდნენ. მე ფული ამოვიღე და დახლზე დავაწყვე, მაგრამ ვიღაცამ მოხვეტა ჩემი ფული და უკანვე ჩამიყარა ჯიბეში.

– ტიკი მინდა, – თქვა ბილმა.

– აქვე ყიდიან, ქუჩის ბოლოში, – ვთქვი მე, – გავიქცევი და მოვიტან ერთ-ორს.

მოცეკვავეებმა არ ინდომეს ჩემი გაშვება. სამი მათგანი ბრეტის გვერდით წამოსკუპებულიყო მაღალ კასრზე – ტიკით ღვინის სმას ასწავლიდნენ. მასაც ჩამოჰკიდეს კისერზე ნივრის გალა. ერთი ჭიქას აჩეჩებდა ხელში, მეორე – სიმღერას ასწავლიდა ბილს. ყურში ჩაჰლილინებდა. ტაქტს კი ხელით ითვლიდა ბილის ზურგზე.

ახლავე მოვბრუნდები-მეთქი, ავუხსენი. ქუჩაში გამოვედი და იმ დუქანს დავუწყე ძებნა, სადაც ტიკებს ამზადებდნენ. ტროტუარები ხალხით იყო სავსე, ბევრი დუქნის დარაბები დაეკეტათ კიდეც, ასე რომ, ვეღარ მივაგენი. ეკლესიამდე ჩავედი, აქეთ-იქით თვალის ცეცებით. მერე ვიღაცას ვკითხე. მომკიდა ხელი და პირდაპირ იმ დუქანში შემიყვანა. დარაბები ჩამოშვებული იყო, მაგრამ კარი დაეტოვებინათ ღია. დუქანში დამწვარი ტყავისა და ცხელი კუპრის სუნი იდგა. უკვე დამზადებულ ტიკებზე ვიღაც კაცი წარწერებსა წვავდა. ერთმანეთზე გადაბმული ტიკები ჭერში ეკიდა. ჩემმა მომყვანმა ერთ-ერთი ჩამოიღო, გაბერა, პოჭოჭიკი მჭიდროდ დაუცო და ფეხით შედგა.

– ხომ ხედავთ! არ გასდის!

– ერთიც მინდა. უფრო მოზრდილი.

ჭერიდან დიდი ტიკი ჩამოხსნა – ერთი გალონი თუ ცოტა უფრო მეტი ჩაეტეოდა. ჩაჰბერა. ლოყებიც გამოებერა. მერე სკამს დაეყრდნო და ტიკზე შედგა.

– რად გინდათ? ბაიონეში უნდა გაყიდოთ?

– არა. ღვინო უნდა დავლიო ამით.

მხარზე ხელი მომითათუნა.

– კაი კაცი ყოფილხართ. ორივეში რვა პესეტი. ამაზე იაფად არც გამიყიდია.

იმ კაცმა, წარწერებს რომ აკეთებდა ახალ ტიკებზე და მერე კუთხეში ყრიდა, მუშაობა შეაჩერა.

– მართალია, – თქვა მან, – რვა პესეტი მუქთია.

ფული გადავიხადე, გამოვბრუნდი და ისევ სამიკიტნოში მივედი. წელანდელზედაც უფრო ჩაბნელებულიყო და ხალხის ტევა აღარ იყო. ბრეტი და ბილი ვერ დავინახე და ვიღაცამ მითხრა, უკანა ოთახში არიანო. დახლში მდგარმა გოგომ ორივე ტიკი გამიღსო. ერთში ორი ლიტრი ჩავიდა, მეორეში – ხუთი, სულ სამი პესეტი და სამოცი სენტიმო ღირდა. ვიღაცამ თავი გამოიღო, – ადრე არც კი შემენიშნა, ვინ იყო, – მე უნდა გადავიხადო, მაგრამ საბოლოოდ მე თვითონ გადავიხადე. ერთ ჭიქა ღვინოზე მაინც დამჰატიჟა. სამაგიერო არასდიდებით არ მაყიდვინა, ოღონდ ასე თქვა – ახალი ტიკით რომ გამასველებინებდე პირს, კიდეც ჰოო. ხუთლიტრიანი ტიკი ხელში აიტაცა, ხელი მოუჭირა და ღვინის ჭავლი პირდაპირ ჩაესხა ხახაში.

– ესეც ასე, – თქვა მან და ტიკი მომაწოდა.

უკანა ოთახში ბრეტი და ბილი კასრებზე შემომსხდარიყვნენ, ირგვლივ მოცეკვავეები ეხვივნენ. ერთმანეთისთვის ხელი გადაეხვიათ და მღეროდნენ. მაიკი ვიღაც კაცებთან ერთად, რომელთაც მოკლესახელოიანი პერანგები ეცვათ, სუფრას შემოჯდომოდა და

საზიარო ჯამიდან ძმარში დამბალ, ხახვწყრილ თევზს შეექცეოდა, ღვინოს
ყლურწავდნენ და პურს ძმარგარეულ ზეთში აწებდნენ.

_ ჰელო, ჯეკ, ჰელო! _ მომადახა მაიკმა, _ აქ მოდი. მინდა, მეგობრები გაგაცნო. აგერ,
ესაუზმობთ.

მაიკმა თანამეინახეები გამაცნო. ისინი თავიანთ სახელებს კარნახობდნენ მაიკს, თან
ჩემთვის ჩანგლის მოსატანად გაგზავნეს ვიღაც.

_ სადილი ნუ შეუჭამე, მაიკლ, _ კასრიდან გადმოსძახა ბრეტმა.

_ არა, თქვენი ლუკმა რატომ უნდა შევჭამო! _ მივმართე ერთ-ერთს, რომელმაც
ჩანგალი მომაწოდა.

_ ჭამე, _ მითხრა მან, _ მაშ რისთვის მოუტანიათ!

დიდ ტიკს პოჭოჭიკი მოვხსენი და ჩამოვატარე. ყველამ მოსვა, ტიკი მოშორებით
ეჭირათ და ხელს უჭერდნენ. გარეთ პროცესია მიემართებოდა და იმათი მუსიკის ხმა
სიმღერას ახშობდა.

_ პროცესიაა? _ იკითხა მაიკმა.

_ ნადა, _ უპასუხა ვიღაცამ, _ ყურსაც ნუ ათხოვებთ. დალიეთ.

_ სად მოგძებნეს? _ ვკითხე მაიკს.

_ ვიღაცამ შემომიყვანა, _ თქვა მაიკმა, _ აქ არიანო, თქვენზე მითხრა.

_ კონი სადღაა?

_ შენი ჭირი წაიღო, _ გადმომძახა ბრეტმა, _ სადღაც გაიტანეს.

_ სად არის?

_ არ ვიცი.

_ საიდან გვეცოდინება, _ თქვა ბილმა, _ მგონი, მოკვდა.

_ არ მომკვდარა, _ თქვა მაიკმა, _ ეს კი ვიცი, რომ არ მომკვდარა. ანის დელ მონო-მ*
მოუღო ბოლო.

ანის დელ მონო-ს რომ მოჰკრეს ყური, სუფრასთან მსხდომთაგან ერთ-ერთმა
უბიდან ბოთლი ამოაძრო და გამომიწოდა.

_ არა, _ ვუთხარი მე, _ არა, გმადლობთ.

_ დალიე, დალიე, არრიზა! მოიყუდე ბოთლი.

მოვსვი. არაყს ძირტკბილას გემო დაჰკრავდა და მთელ ტანში თბილად დამიარა.

კუჭი გამიხურა.

_ კონი სად ჯანდაბაშია?

_ არ ვიცი, _ თქვა მაიკმა, _ ახლავე ვიკითხავ. სად არის ჩვენი დამთვრალი ამხანაგი? _
იკითხა მან ესპანურად.

_ გინდათ, ნახოთ?

_ მინდა, _ ვთქვი მე.

_ მე არ მინდა, _ თქვა მაიკმა, _ ამ კაცს უნდა.

არყიანმა კაცმა ტუჩები მოიწმინდა და წამოდგა.

_ გამომყევით.

ერთ-ერთ უკანა ოთახში რობერტ კონი ღვინის კასრებზე მოკუნტულიყო და ეძინა.

ისე ბნელოდა, რომ სახე ძლივს გავარჩიე. ზემოდან პალტო წაეხურათ, ერთი პალტოც
დაეკეცათ და თავქვეშ ამოედოთ. კისერზე ნივრის ასხმულა ჩამოეკიდათ.

_ ეძინოს, _ წამჩურჩულა კაცმა, _ კარგად არის.

ორი საათის შემდეგ გამოჩნდა კონი. წინა კარიდან შემოვიდა, კისერზე ნივრის
ასხმულა ჰქონდა. ესპანელები ყვირილით შეეგებნენ. კონმა თვალები ამოიფშვნიტა
და გაიჭყანა.

_ ცოტა წამძინებია, _ თქვა მან.

_ აჰ, რას ამბობ! _ შესძახა ბრეტმა.
_ მოკვდი და მეტი არაფერი, _ უთხრა ბილმა.
_ არ წავიდეთ? არ ვივარდებით? _ იკითხა კონმა.
_ ჭამა გინდა?
_ ჰო. ვითომ რა?! მომშივდა.
_ ნიორი ჭამე, რობერტ, _ უთხრა მაიკმა, _ გესმის? ნიორი ჭამე.
კონი გაუნძრევლად იდგა. ძილში გამოფხიზლებულიყო.
_ წავიდეთ და ვივარდებით, _ თქვა ბრეტმა, _ მერე უნდა ვიზანაო.
_ წავიდეთ, _ თქვა ბილმა, _ ბრეტი სასტუმროში მივიყვანოთ.
ათას ვინმეს გამოვემშვიდობეთ, ათას ვინმეს ჩამოვართვით ხელი და გამოვედით.
გარეთ ბნელოდა.

_ რა დრო გგონიათ? _ იკითხა კონმა.
_ უკვე ხვალ არის, _ თქვა მაიკმა, _ მთელი ორი დღე გეძინა.
_ არა, მართლა, რომელი საათია?
_ ათი საათია.
_ რამდენი დაგვიღვია!

_ დაგიღვიათო, უნდა გეთქვა. შენ ხომ გეძინა.
ბნელი ქუჩით სასტუმროსკენ გავემართეთ. მოედნიდან ისევ უშვებდნენ შუშხუნებს
ცაში. ერთი ქუჩიდან პირდაპირ მოედანი გამოჩნდა _ ხალხის ტევა აღარ იყო. შიგ
მოედნის გულში ცეკვა გაეჩაღებინათ.

საჭმელი თავზე საყრელი მოგვითმანს სასტუმროში. ეს იყო პირველი დღე, როცა
საფიესტოდ ფასები გააორკეცეს და ჩვეულებრივ კერძებს რამდენიმე თავი საჭმელი
დაუმატეს. ნასადილევს ქალაქში გავედით. მახსოვს, გადავწყვიტე, დილამდე არ
დამეძინა, რადგან ექვს საათზე ქალაქის ქუჩებში ხარებს ჩაატარებდნენ, მაგრამ
ჩამომეძინა და ოთხ საათზე სასტუმროში წავედი. სხვები დარჩნენ.

ჩემი ოთახი დაკეტილი დამხვდა, გასაღებიც ვერ ვიპოვე. ავდექი და კონის ოთახში
დავწექი, მეორე ლოგინზე. გარეთ მთელი ღამე ფიესტა გრძელდებოდა, მაგრამ ისე
მეძინებოდა, რომ ჩემთვის ხელი არ შეუშლია. მაშხალების სკდომის ხმამ გამომადვიდა
_ ეს იმის ნიშანი იყო, რომ ქალაქის ბოლოდან ხარები უკვე გამოუშვეს. ქუჩებს
გაირბენდნენ და საასპარეზო მოედანზე მივიდოდნენ. ძალიან მაგრად მეძინა და
მეგონა, დავაგვიანე-მეთქი. კონის პალტო წამოვისხი და აივანზე გავედი. ქვემოთ
ვიწრო ქუჩა სულ დაცარიელებული იყო. აივნები ხალხით იყო გაჭედული. უცებ
ქუჩაში ჯგროდ გამოჩნდა ხალხი. ასევე ჯგროდ მორბოდნენ. ჩაიარეს და საასპარეზო
მოედნისკენ გაიქცნენ. ახლა კიდევ გამოჩნდა ახალი ჯგრო _ მეტი ხალხიც იყო და
უფრო სწრაფადაც გარბოდნენ, მერე რამდენიმე ჩამორჩენილიც გამოვიდა,
თავქუდმოგლეჯით მორბოდნენ. ცოტა ხანს აღარაფერი გამოჩენილა და უცებ ხარები
გამოჯლიგინდნენ, თავს გამწარებით აქნევდნენ ზევით-ქვევით. ხელადვე მიეფარნენ
თვალს. ერთი კაცი უცებ წაბორძიკდა და გზის პირას თხრილში ჩავარდა. არც
განძრეულა. მაგრამ ხარებმა ისე გაირბინეს, რომ არც კი შეუმჩნევიათ. ჯოგად
მირბოდნენ.

თვალს რომ მიეფარნენ, საასპარეზო მოედნიდან საშინელი ღრიალი მოისმა. კარგა
ხანს გაგრძელდა ეს ღრიალი. მერე ისევ მაშხალა გავარდა, რაც იმას იუწყებოდა, რომ
ხარებმა ქუჩები გაიარეს და მოედანზე მივიდნენ. ოთახში შევბრუნდი და ლოგინში
ჩავწექი. ქვის აივანზე ფეხშიშველი ვიდექი. ვიცოდი, რომ ჩვენები საასპარეზო
მოედანზე იქნებოდნენ. ჩავწექი და ჩამეძინა.

კონი რომ მოვიდა, გამომეღვიძა. გახდა დაიწყო და ფანჯარასთან მივიდა დასაკეტად, რადგან მოპირდაპირე სახლიდან ჩვენს ოთახში იყურებოდნენ.

_ ნახე? _ ვკითხე მე.

_ ჰო. იქ ვიყავით ყველანი.

_ ხომ არავინ დაშავებულა?

_ ერთი ხარი შეიჭრა ხალხში და შვიდი-რვა კაცი გადაქელა.

_ ბრეტს არ შეეშინდა?

_ ისე უცბად მოხდა, რომ გონს მოსვლა ვერავინ მოასწრო.

_ ნეტა მეც იქ ვყოფილიყავი.

_ ჩვენ არ ვიცოდით, სად იყავი. ოთახში მოგაკითხეთ, მაგრამ დაკეტილი დაგვხვდა.

_ თქვენ სად იყავით?

_ რომელიღაც კლუბში ვცეკვავდით.

_ ჩამომეძინა, _ ვთქვი მე.

_ მეც, ეს ოხერი! თვალები მეხუჭება, _ თქვა კონმა, _ აღარ უნდა გათავდეს?..

_ მთელ კვირას გასტანს.

ბილმა კარი შემოაღო და შემოიხედა.

_ სად იყავი, ჯეიკ?

_ აივნიდან ვუყურებდი. მოგეწონა?

_ ძალიან.

_ სად მიდიხარ?

_ უნდა დავიძინო.

შუადღემდე არავინ არ ავმდგარვართ. ვისაუზმეთ კოლონადის ქვეშ. ქალაქში ხალხის ტევა აღარ იყო. ლოდინი დაგვჭირდა, მანამ მაგიდა გათავისუფლდებოდა.

ნასაუზმევს «ირუნაში» წავედით. იქაც ჭედვა იყო და რაც უფრო ახლოვდებოდა

ასპარეზობა, მით უფრო ემატებოდა ხალხი. მაგიდების ირგვლივ ხალხი ირეოდა.

როგორც ყოველთვის ასპარეზობის წინ, ახლაც გაბმული გუგუნის იდგა. სხვა დროს, რაც უნდა ხალხით იყოს გაჭედული, ასეთი გუგუნის არ იცის ხოლმე კაფეში. გუგუნის მატულობდა, მალე ჩვენც მოგვიცვა და ჩვენც გუგუნში გავითქვიფეთ.

ექვს-ექვსი ბილეთი ავიღე ყველა ასპარეზობაზე. სამი ბარიერზე იყო, პირველ რიგში,

ზედ მოედანთან, დანარჩენი სამი კი _ სობრე პუნტრა, ხის ხარიხიანი სკამები

ამფითეატრის შუაში. მაიკმა გადაწყვიტა, პირველ ბრძოლაზე ბრეტი სჯობია მაღლა

იყოსო და კონმაც მათთან ყოფნა ისურვა. ბილმა და მე ბარიერზე ჯდომა ვარჩიეთ,

ერთი ბილეთი კი ოფიციატს მივეცით გასაყიდად. ბილმა კონი დაარიგა _ საით

უნდა უყურო და რა უნდა ქნა, რომ ცხენებმა ხელი არ შეგიშალონო. ბილს ერთ

სეზონზე უკვე ენახა ხარების ბრძოლა.

_ ეგ სულაც არ მაწუხებს. მე მხოლოდ იმის მეშინია, არ მომწყინდეს, _ უთხრა კონმა.

_ ასე გგონია?

_ ხარი რომ ამოჰკრავს რქას, მერე აღარ შეხედო ცხენს, _ ვუთხარი ბრეტს, _ თავიდან უყურე, ნახე, როგორ არიდებს პიკადორი თავს, მაგრამ რქა თუ ამოჰკრა, მერე აღარ შეხედო, მანამ მოკვდებოდეს.

_ ვღელავ, ცოტა არ იყოს, _ თქვა ბრეტმა, _ მეშინია, ვაითუ ვერ გავუძლო.

_ მშვენივრად იქნები. სხვა კი არაფერია ისეთი, მარტო ცხენი შეგაწუხებს და ისიც სულ რამდენიმე წუთით არის ხოლმე ცხენი ხართან. თუ ცუდად შეიქნე, ნულარ შეხედავ.

_ არაფერიც არ მოუვა, _ თქვა მაიკმა, _ აქ არ ვიქნები?!

_ არა მგონია, მოიწყინოთ, _ უთხრა ბილმა.

– მე სასტუმროში უნდა დავბრუნდე და დურბინდი და ტიკი წამოვიღო, – ვთქვი მე, – აქვე გნახავთ. არ დათვრეთ.

– მეც გამოგყვები, – მითხრა ბილმა. ბრეტმა გაგვიღიმა.

კოლონადას შემოვუარეთ, რომ მზისთვის თავი აგვერიდებინა.

– ველარ ვიტან ამ კონს, – თქვა ბილმა, – ნამდვილი ებრაული ყოყლოჩინობა მოსდგამს: ვერ ნახე, იმის შიში აქვს, ვაითუ ხარების ბრძოლამ მოწყენილობა მომგვაროსო.

– დურბინდით გავხედოთ ხოლმე, – ვუთხარი მე.

– ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია!

– ისედაც ჯანდაბაში არ არის?!

– ნურც დაბრუნებულა.

სასტუმროში რომ მივედით, კიბეზე მონტოია შემოგვხვდა.

– წამოდით, – გვითხრა მან, – არ გინდათ პედრო რომერო გაგაცნოთ?

– ძალიან კარგი იქნება, – თქვა ბილმა, – წავიდეთ, ვნახოთ.

– მერვე ოთახშია, – გვითხრა მონტოიამ, – იცვამს. ასპარეზობისთვის ემზადება.

მონტოიამ კარზე დააკაკუნა და შეაღო. ჩაბნელებული ოთახი ჩანდა, ფანჯარა ვიწრო ქუჩისკენ ჰქონდა დატანებული და მკრთალი სინათლე შემოდისოდა. ორი საწოლი იდგა, ერთმანეთისაგან მონასტრულად განცალკევებული. ელექტრონათურა ენთო.

მატადორის ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკი გაჭიმულიყო და მრისხანედ იყურებოდა. ჟაკეტი სკამზე გადაეკიდა. რომ შევედით, ის იყო, წელზე ქამარი

შემოარტყეს. შავი თმა ელექტრონის სინათლეზე უპრიალებდა, თეთრი ტილოს

პერანგი ეცვა. პირფარეშმა ქამარი დაუმაგრა, წამოდგა და უკან დაიწია. პედრო

რომერომ თავი დაგვიკრა, ეტყობოდა, ფიქრით სადღაც შორს იყო წასული,

ღირსეულის თავდაჭერით ჩამოგვართვა ხელი. მონტოიამ უთხრა – ესენი დიდი

აფისიონადები არიან და წარმატებას გისურვებენო. რომერო ძალიან სერიოზულად

ისმენდა. მერე ჩემკენ მობრუნდა. ჩემს ღღეში არ მენახა ამისთანა ლამაზი ბიჭი.

– ხარების ბრძოლაზე მობრძანდებით? – მოგვმართა ინგლისურად.

– იცით ინგლისური? – ვკითხე მე და რაღაც გამოთაყვანებულად მომეჩვენა თავი.

– არა, – მიპასუხა მან და გაიღიმა.

ლოგინზე სამი კაცი იყო ჩამომჯდარი, ერთ-ერთი წამოდგა და გვკითხა, ფრანგული

თუ იცითო.

– თუ გნებავთ, გადავუთარგმნით. ხომ არაფერს ჰკითხავთ პედრო რომეროს?

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ. აბა, რა უნდა გვეკითხა? ცხრამეტი წლის ბიჭი იყო,

მარტოდმარტო, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მის პირფარეშსა და იმ სამ

მუქთახორას. ოც წუთში კი ასპარეზობა დაიწყებოდა. «Mუცჰა სუერტე»**. ხელი

ჩამოვართვით და გამოვედით. კარი რომ გამოვიხურეთ, იგი კვლავ იდგა –

გამტრინგული და მოხდენილი, სულ მარტოკა, მიუხედავად იმისა, რომ ოთახში სამი

მუქთახორა ეჯდა.

– ხომ მშვენიერი ბიჭია? – მოგვმართა მონტოიამ.

– ლამაზი ბავშვია, – ვუთხარი მე.

– ნამდვილი ტორერო**, – თქვა მონტოიამ, – წმინდა წყლის ტორერო.

– მშვენიერი ბიჭია.

– ახლა მოედანზეც ვნახოთ, – თქვა მონტოიამ.

დიდი ტიკი კედელზე იყო მიყუდებული, ჩემს ოთახში. ისიც წამოვიღეთ და

დურბინიც. კარი დავკეტეთ და კიბეზე დავეშვით.

დიდებული ასპარეზობა იყო. ბილი და მე ძალიან აღგვაფრთოვანა პედრო რომერომ. მონტოია დაახლოებით ათი ადგილის მოშორებით იჯდა. პირველი ხარი რომ მოკლა რომერომ, მონტოიამ შემომხედა და თავი დამიქნია. ეს მართლაც ნაღდი იყო.

ნამდვილი მატადორები დიდი ხანია არ გამოჩენილან. დანარჩენ ორ მატადორთაგან ერთი ძალიან კარგი იყო, მეორეს _ არა უშავდა. მაგრამ რომეროსთან ვერც ერთი ვერ მოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ხარები არ შეხვდა.

ბრძოლის დროს რამდენიმეჯერ გავხედე დურბინდით მაიკსა და ბრეტს, კონს.

ეტყობოდა, კარგად იყვნენ. ბრეტი სულაც არ ჩანდა აღელვებული. სამივენი წინ გადმოხრილიყვნენ და ბეტონის მოაჯირს დაყრდნობოდნენ.

_ აბა, მომეცი დურბინდი, _ მითხრა ბილმა.

_ რაო, კონმა ხომ არ მოიწყინა? _ ვკითხე მე.

_ აჰ, ეს ურია!

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ბრბოში გზის გაკვლევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

იძულებული ვიყავით, დაგვეცადა და მთელ მასასთან ერთად ჩოჩვა-ჩოჩვით, ნელ-ნელა, გლეტჩერივით დავძრულიყავით ქალაქისაკენ. როგორც ყოველთვის ხარების ბრძოლის შემდეგ, ახლაც ცოტათი აღელვებულები ვიყავით და როგორც ყოველთვის ხარების ნამდვილად კარგი ბრძოლის შემდეგ, ახლაც კარგ გუნებაზე

ვბრუნდებოდით. ფიესტა ემხში შედიოდა _ დოლები გრუხუნებდა, საყვირები ჭყვიტინებდა, ერთად დამრულ ზღვა ხალხს აქა-იქ მოცეკვავეები გაარღვევდნენ ხოლმე და ლაქებივით ჩასხდებოდნენ. მოცეკვავეები ბრბოში იყვნენ შეჭრილნი და მათი ფეხის სრიალს კაცი ვერ ხედავდა. ხედავდი მხოლოდ თავებსა და მხრებს _ აღმა და დაღმა, აღმა და დაღმა. როგორც იქნა, გამოვძვერით და კაფესკენ გავემართეთ.

ოფიციალს სხვებისთვისაც გადავანახვინეთ სკამები და თითო აბსენტი დავუკვეთეთ. გავყურებდით ხალხით სავსე მოედანს და მოცეკვავეებს.

_ როგორ გგონია, რასა ცეკვავენ? _ მკითხა ბილმა.

_ რაღაც ხოტასმაგვარს.

_ შენ გგონია, ყველა ერთნაირად ცეკვავს? _ თქვა ბილმა, _ სხვადასხვა მუსიკის ხმაზე სულ სხვადასხვა რამეს ცეკვავენ ხოლმე.

_ დიდებულად ცეკვავენ.

ჩვენ პირდაპირ, ქუჩის თავში, საცა უფრო ხალვათობა იყო, ბიჭები ცეკვავდნენ.

საოცრად ხლართავდნენ ფეხებს და სახეზედაც დამაბულობა და გაფაციცება ეტყობოდათ. ცეკვავდნენ და ერთთავად დაბლა იყურებოდნენ. უსვამდნენ და უტყაპუნებდნენ ბაწრისლანჩებიან წაღებს. აგერ ფეხის ჭვინტები მიეწება ერთმანეთს. ქუსლები მიეწება. მუხლისთავები მიეწება. ერთბაშად შეწყდა მუსიკა, მოცეკვავეები ადგილზე გაქვავდნენ და მერე ცეკვა-ცუნცრუკით განაგრძეს გზა.

_ აგერ ჩვენი აზნაურებიც, _ თქვა ბილმა.

ქუჩა გადმოჭრეს.

_ ჰელო, ყმაწვილებო, _ შევძახე მე.

_ ჰელო, ჯენტლმენებო! _ თქვა ბრეტმა, _ ადგილები შეგვინახეთ? რა კარგია.

_ გამიგონეთ, _ თქვა მაიკმა, _ ის რომეროა თუ ვილაცა, კარგი ვინმე ჩანს, არა?

_ უჰ, რა მშვენიერია, _ თქვა ბრეტმა, _ რა მწვანე შარვალი აცვია!

_ ბრეტმა თვალი ვერ მოსწყვიტა.

_ ხვალ დურბინდი უნდა წაგართვათ.

_ კარგი იყო?

_ საუცხოო. მოკლედ, დიდებული! სპექტაკლია პირდაპირ!

_ ცხენები?

_ ვერ მოვითმინე და მაინც შევხედე.
 _ თვალი ვერ მოაშორა, _ თქვა მაიკმა, _ ყოჩაღი ქალია!
 _ საშინელი სანახავი კი იყო _ რა არ უყვეს, _ თქვა ბრეტმა, _ მაგრამ თვალი მაინც ვერ მოვაშორე.
 _ ცუდად ხომ არ გამხდარხარ?
 _ სულაც არა.
 _ რობერტ კონი გახდა ცუდად, _ თქვა მაიკმა, _ ერთიანად გამწვანდი, რობერტ.
 _ პირველმა ცხენმა გამიფუჭა გუნება, _ თქვა კონმა.
 _ მოწყენით არ მოგეწყინათ, ხომ? _ ჰკითხა ბილმა.
 კონმა გაიცინა.
 _ არა. არ მომიწყენია. აღარ მაპატიებთ?
 _ კეთილი და პატიოსანი, _ უთხრა ბილმა, _ თუკი არ მოგწყენიათ!
 _ მოწყენილს რა უგავდა! _ თქვა მაიკმა, _ ოღონდ გული კი აერია, მგონი, ცოტათი.
 _ არა, არც ისე ცუდად ვყოფილვარ და ისიც მხოლოდ ერთი წუთით.
 _ მე მეგონა, ჰა და ჰა _ გული აერევა-მეთქი. მოწყენით კი არ მოგიწყენია, ხომ, რობერტ?
 _ მოვრჩეთ მაგ ლაპარაკს, მაიკ. აკი გითხარით _ შევცდი, რომ წამომცდა-მეთქი.
 _ ისე, ცუდად კი გახდა. აშკარად გამწვანდა.
 _ ო, მოეშვი, მაიკლ.
 _ როცა პირველად ესწრები ხარების ბრძოლას, არასდიდებით არ უნდა მოიწყინო, რობერტ, _ უთხრა მაიკმა, _ თორემ შეიძლება, ასეთი ალიაქოთი ატყდეს.
 _ ო, მოეშვი ერთი, მაიკლ, _ უთხრა ბრეტმა.
 _ ბრეტი სადისტიო, დაუჟინია, _ თქვა მაიკმა, _ ბრეტის სადისტობა ვინ თქვა! ისე _ ლამაზი და ჯანღონიანი ქალია.
 _ სადისტი ხარ, ბრეტ? _ ვკითხე მე.
 _ არა მგონია.
 _ მაგარი და საღი კუჭი რომ აქვს, სადისტიც იმიტომ არისო.
 _ დიდხანს ექნება ასეთი მაგარი კუჭი?
 ბილმა სხვა რამეზე ჩამოუგდო სიტყვა მაიკს. ოფიციატმა აბსენტის მოიტანა ჭიქებით.
 _ მართლა მოგეწონათ? _ ჰკითხა ბილმა კონს.
 _ არა, ვერ ვიტყვი, მომეწონა-მეთქი, მაგრამ საოცარი სანახაობა კია.
 _ აჰ, ღმერთო, რა სანახაობაა! _ თქვა ბრეტმა.
 _ ნეტა ცხენები არ გამოჰყავდეთ, _ თქვა კონმა.
 _ ეგ არაფერი, _ უთხრა ბილმა, _ კიდევ ცოტა ხანი და ისეთს ველარაფერს შეამჩნევთ, რომ გული აგირიოთ.
 _ დასაწყისშია ცოტათი მძიმე, _ თქვა ბრეტმა, _ ყველაზე უფრო ის მამრწუნებს, ხარი რომ შეუტევეს ცხენს.
 _ მშვენიერი ხარები იყო, _ თქვა კონმა.
 _ ძალიან კარგი ხარები იყო, _ თქვა მაიკმა.
 _ ამის შემდეგ ქვემოთ უნდა დავჯდე, _ ბრეტმა აბსენტის მოსვა.
 _ ახლოდან უნდა ნახოს მატადორები, _ თქვა მაიკმა.
 _ კარგი ბიჭები არიან, _ თქვა ბრეტმა, _ ეს რომერო ჯერ სულ ბავშვია.
 _ ღმერთივით ბიჭი კია, _ ვთქვი მე, _ ჩვენ მის ოთახში შევედით. ამისთანა ლამაზი ბიჭი ჩემს დღეში არ მინახავს.
 _ რამდენი წლისა იქნება?
 _ ცხრამეტის, ოცის.

– წარმოგიდგენია!

მეორე დღეს გაცილებით უკეთესი გამოდგა ხარების ბრძოლა. ბრეტი მაიკსა და ჩემ შორის დაჯდა, პირველ რიგში, ბილი და კონი კი მაღლა ავიდნენ. რომერო მართლაც რომ ღირდა მთელ ასპარეზობად. არა მგონია, ბრეტს სხვა მატადორებისთვის შეეხედოს. გადაგებული სპეციალისტების გარდა, არც არავინ უყურებდა სხვებს. რომერო იყო ყველაფერი. ის ორი მატადორი სათვალავში ჩასაგდებიც არ ყოფილა. მე ბრეტის გვერდით ვიჯექი და ვუხსნიდი საქმის მთელ არსს. ვასწავლიდი, ხარებისათვის ეყურებიან და ცხენისთვის კი არ შეეხედა, როცა ამ ცხენს ხარი შეუტევდა; ვუხსნიდი, როგორ ედევნებინა თვალყური პიკადორისათვის მახვილის ძგერების დროს, რათა ბრძოლის მთელ ეშხს ჩასწვდომოდა და ენახა, რომ აქ უაზრო საშინელებათა სანახაობა კი არ არის მთავარი, არამედ ის თანდათანობითი მოქმედება, რაც წინასწარ განსაზღვრული მიზნისთვის ხდება. ვაჩვენე, თავისი მოსასხამით როგორ გაჰყავდა ხარი რომეროს ძირს დაგდებული ცხენისაგან, როგორ შეაკავებდა და მოაბრუნებდა ხოლმე იმავე მოსასხამით – წყნარად და თანდათანობით, ისე, რომ ხარს არაქათი არ გამოსცლოდა. ვაჩვენე, როგორ გაურბოდა რომერო ტლანქსა და მძაფრ მოძრაობას და როგორ ზოგავდა ხარს უკანასკნელი ძგერებისათვის – ქანცს კი არ უწყვეტდა და აწამებდა, ოდნავ ღლიდა ხოლმე. ვაჩვენე, როგორ სულ ხართან ახლოს მუშაობდა რომერო და ისიც დავანახვე, რა ხრიკებს მიმართავდნენ სხვა მატადორები, რათა შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ხართან ახლოს მუშაობდნენ. მიხვდა – რატომ მოსწონდა რომეროს მუშაობა მოსასხამით და რატომ არ მოსწონდა, როცა სხვები აფრიალებდნენ ხოლმე თავიანთ მანტიებს. სულ არ იგრიხებოდა რომერო – იდგა გამართული და სუფთად და ბუნებრივად აკეთებდა თავის საქმეს. სხვები ათასნაირად იკლაკნებოდნენ კორპსადრობით, იდაყვებს წამოსწევდნენ, რქებს რომ აიცდენდნენ, მაშინვე ხარს მიეხუტებოდნენ ხოლმე ფერდში, რათა მაყურებელი მოეტყუებინათ – რა თავგანწირვით ვიბრძვიო. ბოლოს და ბოლოს ეს მოჩვენებითი ფაცხაფუცხი მთელ მუშაობას აფუჭებდა და გულს გირევდა. რომეროს ბრძოლა ნამდვილ მღელვარებას განგაცდევინებდა, რადგან საოცრად სუფთა მოძრაობა ჰქონდა და რქებს ახლოს უშვებდა, მაგრამ ყოველთვის წყნარად და დამშვიდებულად იგერიებდა. სულაც არ სჭირდებოდა, განსაკუთრებულად გამოეხატა სიახლოვის საშიშროება. ბრეტი მიხვდა, რომ მთელი ის სილამაზე, რაც ხართან სიახლოვით მუშაობის დროს კეთდებოდა, ცოტა უფრო მოშორებით შესრულებული სასაცილოც გამოჩნდებოდა. ბრეტს ვუთხარი, ხოსელიტოს სიკვდილის შემდეგ როგორ გამოიმუშავეს მატადორებმა ახალი ტექნიკა – ხალხის მღელვარება გამოეწვიათ მოჩვენებით საშიშროებაში თავის ჩაგდებით, მაშინ როდესაც სინამდვილეში არავითარი საშიშროება მათ არ ემუქრებოდა. რომერო ძველებური ხერხებით იბრძოდა – უდიდესი თავგანწირვის დროსაც კი საოცარ სისუფთავეს იცავდა, ხარს თავისი ნება-სურვილის მიხედვით იმორჩილებდა – აგრძნობინებდა, რომ თვითონ ხელშეუხებელია – და ამასობაში ნელ-ნელა ამზადებდა მოსაკლავად.

– ერთი უხერხული მოძრაობაც კი არ შემინიშნავს, – თქვა ბრეტმა.

– ვერც შენიშნავ, მანამ არ შეშინდება, – ვუთხარი მე.

– ეგ თავის დღეში არ შეშინდება, – თქვა მაიკმა, – ჩინებულად იცის თავისი საქმე.

– თავიდანვე ეცოდინებოდა ყველაფერი, რასაც სხვა მატადორები ვერასდროს ვერ შეისწავლიან, მაგას დაბადებიდანვე ეცოდინებოდა.

– თანაც რა ლამაზია, ღმერთო! – თქვა ბრეტმა.

– ნახეთ, თუ ეს მატადორი არ შეუყვარდეს, – თქვა მაიკმა.

_ არც გამიკვირდება.

_ ჯეიკ, თუ ღმერთი გწამს, ნუღარაფერს ეტყვი იმ ბიჭზე. შენ ის უამბე, თავიანთ ბებრუხანა დედებს როგორ სცემენ.

_ როგორ ლოთობენ, ის მიამბე.

_ ო, საშინლად, _ თქვა მაიკმა, _ მთელი დღე სვამენ და მერე სხვას კი არაფერს აკეთებენ _ თავიანთ უბედურ ბებრუხანა დედებსა სცემენ.

_ ზედვე ეტყობა, _ თქვა ბრეტმა.

_ მართლა ეტყობა, არა? _ ვთქვი მე.

მოკლული ხარი ჯორებს გამოაბეს, მათრახები გაატყლამუნეს, მერე კაცები გაიქცნენ, ჯორებმაც გაიწიეს და გაქუსლეს, თავმოლრეცილმა ხარმა კი, რომელსაც ცალი რქა ზევით აშვეროდა, მოედნის სილაზე დიდი ზოლი გაავლო და წითელ ჭიშკართან თვალს მიეფარა.

_ ერთ ხარსაც გამოიყვანენ და მორჩება კიდევ.

_ მართლა? _ თქვა ბრეტმა. წინ გადაიხარა და მოაჯირს გადაეყრდნო. რომერომ ხელი აიქნია, პიკადორები თავიანთ ადგილებზე დააყენა, თვითონ კი დადგა, მოსასხამი მკერდზე მიიდო, მოედანს გახედა და თვალები იქით მიაპყრო, საიდანაც ხარი უნდა შემოეშვათ.

ბრძოლა რომ დამთავრდა, გამოვედით და ხალხს შევუერთდით.

_ რა საშინელება ყოფილა ეს ბრძოლა, _ თქვა ბრეტმა, _ სულ მოვიჩვართე.

_ ახლავე დავლევთ და გაგივლის, _ უთხრა მაიკმა.

მომდევნო დღეს პედრო რომერო აღარ გამოდიოდა, მიურული ხარები გამოიყვანეს და ბრძოლაც ჩაფლავდა. იმის შემდეგ ერთ დღეს, განრიგის მიხედვით, ისვენებდნენ. ფიესტა კი დღე და ღამე დუღდა და დუღდა.

ა.

თავი XVI

დილით წვიმდა. ზღვიდან დაძრული ნისლი მთებს ჩამოაწვა. მთის მწვერვალები აღარ ჩანდა. პლატო მოიღუშა და მოქურუხდა, სახლებისა და ხეების მოხაზულობაც შეიცვალა. მე ქალაქგარეთ გავედი, წვიმაში გავივლი-მეთქი. ზღვიდან დაძრულიყო ავდარი და ახლა მთებსაც მოსდებოდა.

მოედნის გასწვრივ, თეთრ ჯოხებზე, სველი დროშები ეკიდა და სახლების წინ გამოკრულ ტილოებსაც სისველისაგან პეწი დაჰკარგოდა. წვიმა ცრიდა და ცრიდა, ზოგჯერ მაგრად წამოუშენდა და ხალხს კოლონადის ქვეშ შეყრიდა. მოედანზე გუბურები გაჩნდა, სველსა და ჩაბნელებულ ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო. ფიესტა კი მაინც შეუჩერებელივ გრძელდებოდა, ოღონდ ახლა სახურავქვეშ შეხიზნულიყო. საასპარეზო მოედანზე ღია ცის ქვეშ მსხდომნი გადახურულ ადგილებს შეფარებოდნენ და საშინელი ჭედვა იყო _ უყურებდნენ ბასკებისა და ნავარელების მოცეკვავეებსა და მომღერლებს. ამის შემდეგ საგანგებო კოსტიუმებში გამოწვიპული ვალკარლოსელი მოცეკვავეები წვიმას აღარ შეეპუნენ და ქუჩაში ჩამოუარეს.

დასველებული დოლები ყრუდ გრუხუნებდა, ორკესტრის დირიჟორები წინ მიუძღოდნენ _ უშველებელ, ჯირკაფეხებიან ცხენებზე შემსხდარიყვნენ, თვითონაც გაწუწულიყვნენ და ცხენის ყაჯარებიც ერთიანად დასველებულიყო. ხალხი კაფეებს შეფარებოდა და მოცეკვავეებმაც კაფეებს მიაშურეს. დასხდნენ, თასმებით მჭიდროდ შეხვეული ფეხები მაგიდის ქვეშ შეაწყვეს, გაწუწული ეჟენიანი ქუდები დაბერტყეს და წითელი ქურთუკები გასაშრობად სკამებზე გადაფინეს. გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

ჩვენი ხალხი კაფეში დავტოვე და სასტუმროსაკენ გავწიე, რათა სადილობისთვის წვერი გამეპარსა. ჩემს ოთახში ვიპარსებოდი, როდესაც კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

_ შემოდით, _ გავძახე მე.

მონტოია შემოვიდა.

_ როგორ გიკითხოთ?

_ ძალიან კარგად, _ ვუპასუხე მე.

_ დღეს აღარ არის ხარების ბრძოლა.

_ დიახ, დღეს წვიმის მეტი აღარაფერია.

_ მეგობრები სადა გყავთ?

_ «ირუნაში» არიან.

მონტოიამ თავისი დაბნეული ღიმილით გაიღიმა.

_ ერთი ეს მითხარით, ამერიკელ ელჩს თუ იცნობთ?

_ როგორ არა, _ ვუთხარი მე, _ ამერიკელ ელჩს ვინ არ იცნობს.

_ ახლა აქ არის, ქალაქში.

_ ვიცი, ყველამ ნახა.

_ მეც ვნახე, _ თქვა მონტოიამ. იგი გაჩუმდა. მე პარსვა განვაგრძე.

_ დაჯექით, _ ვუთხარი მე, _ ღვინოს მოვატანინებ.

_ არა, უნდა წავიდე.

პარსვას მოვრჩი. თავი ბადიისაკენ დავხარე და სახე ცივი წყლით დავიბანე. მონტოია იდგა, კიდეც უფრო დაბნეული ჩანდა.

_ იცით რა, _ თქვა მან, _ ეს არის, კაცი გამომიგზავნეს გრანდ ოტელიდან, პედრო

რომეროსა და მარსიალ ლალანდას ყავაზე ეპატიჟებიან ამაღამ, ნასადილეც.

_ არა უშავს რა, _ ვუთხარი მე, _ მარსიალს არას ავნებს.

_ მარსიალი დილიდანვე სან-სებასტიანში წავიდა. მარქეს ჩაუჯდა მანქანაში. არა მგონია, დღესვე დაბრუნდნენ.

მონტოია დაბნეული იდგა. ელოდა, რომ რამეს ვეტყოდი.

_ რომეროს ნუ გადასცემთ მაგ მოწვევას, _ ვუთხარი მე.

_ ასე აჯობებს ვითომ?

_ უსათუოდ.

მონტოიას სახე გაეზადრა.

_ თქვენც ამერიკელი ხართ და ამიტომ გკითხეთ.

_ მე პირადად ასე მოვიქცეოდი.

_ ხედავთ, რა ხდება, _ თქვა მონტოიამ, _ წაიყვანენ ხოლმე ამნაირ ბიჭს. ამის ფასი არც კი იციან. არც ის იციან, რა შეიძლება გახდეს. ყოველ უცხოელს შეუძლია ზედმეტი ქებით გაასულელოს. ჯერ გრანდ ოტელიდან დაიწყებენ და ერთ წელიწადში სულ მოუღებენ ბოლოს.

_ ალგაბენოსი არ იყოს, _ ვთქვი მე.

_ ჰო, ალგაბენოსი არ იყოს.

_ ფიქრი ნუ გაქვთ, კაი ვაჟბატონები ბრძანდებიან, _ ვთქვი მე, _ აქ ერთი ამერიკელი ქალია _ მატადორებს აგროვებს ხოლმე.

_ ვიცი. ახალგაზრდებს არჩევენ.

_ ჰო, მოხუცები დასქელდნენ.

_ ან არა და, გალოსავით გიჟდებიან.

_ ერთი სიტყვით, იოლი საქმეა, _ ვთქვი მე, _ მოწვევა არ უნდა გადასცეთ.

_ მერე რა კარგი ბიჭია! _ თქვა მონტოიამ, _ ეგ თავის ხალხში უნდა ტრიალებდეს.

ამისთანა სისულელეებს არ უნდა აჰყვეს.

_ არ დავლიოთ?

_ არა, უნდა წავიდე, _ თქვა მონტოიამ. წავიდა.

დაბლა დავეშვი, ქუჩაში გავედი და ფეხით შემოვუარე მოედანსა და კოლონადას. ისევ წვიმდა. «ირუნაში» შევიხედე, ჩვენები წასულიყვნენ. ხელახლა შემოვუარე მოედანს და სასტუმროში დავბრუნდი. სასადილო ოთახში სადილობდნენ. ძალიან გაესწროთ ჩემთვის და დაწევაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. ბილი ფეხსაცმლის მწმენდავებს ქირაობდა მაიკისათვის. ფეხსაცმლის მწმენდავები შეაღებდნენ ხოლმე ქუჩის კარს და ბილი სათითაოდ ემახდა მაიკის ფეხსაცმლის გასაწმენდად.

_ უკვე მეთერთმეტეჯერ მიპრიალებენ ფეხსაცმელებს, _ თქვა მაიკმა, _ ბილი ვირია და მეტი არაფერი.

ფეხსაცმლის მწმენდავებმა, ეტყობა, ერთმანეთს მოსდეს ეს ამბავი. კიდევ ერთი შემოვიდა.

_ ლიმპია ბოტას?*_ _ ჰკითხა მან.

_ მე არა, _ თქვა ბილმა, _ ამ სენიორს.

ფეხსაცმლის მწმენდავმა თავისი ამხანაგის გვერდით ჩაიჩოქა და მაიკის მეორე ფეხსაცმელს დაუწყო წმენდა, რომელსაც ისედაც ლაპლაპი გაჰქონდა ელექტრონის სინათლეზე.

_ ბილი სიცილის გუდაა, _ თქვა მაიკმა.

წითელ ღვინოს ვსვამდი, მაგრამ ისე ჩამოვრჩენოდი სხვებს, რომ ფეხსაცმელების წმენდის ამბავი ცოტა არ იყოს მეჩოთირა. ოთახში მივიხედ-მოვიხედე. მეზობელ მაგიდასთან პედრო რომერო იჯდა. თავი დავუკარი. იგი წამოდგა და მთხოვა, მივსულიყავი, მისი მეგობარი გამეცნო. მათი მაგიდა ისე ახლოს იდგა, რომ თითქმის ეხებოდა ჩვენსას. გავიცანი რომეროს მეგობარი _ ხარების ბრძოლის მადრიდელი მიმომხილველი, დაბალ-დაბალი კაცი, რომელსაც ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა. რომეროს ვუთხარი, შენი ბრძოლით აღფრთოვანებული ვარ-მეთქი და ძალიან ესიამოვნა. ჩვენ ესპანურად ვლაპარაკობდით, მადრიდელმა მიმომხილველმა ცოტა ფრანგულიც იცოდა. ჩვენი მაგიდისკენ გადავწიე ხელი, ჩემი ღვინოს ბოთლის გადმოსატანად, მაგრამ მადრიდელმა მიმომხილველმა მკლავი დამიჭირა. რომეროს გაეცინა.

_ ჩვენთან დალიეთ, _ მითხრა მან ინგლისურად.

ძალიან ერცხვინებოდა თავისი ინგლისურისა, მაგრამ თან ეხალისებოდა ამ ენაზე ლაპარაკი და როცა საუბარში გავერთეთ, რამდენიმე ისეთი სიტყვა დამისახელა, რაშიაც ეჭვი ეპარებოდა და მნიშვნელობა მკითხა. ძალიან აინტერესებდა გაეგო ცოორიდა დე ტორროს _ ინგლისური შესატყვისი. ინგლისურ ბუღლ _ ფიგპტ*-ს საეჭვოდ მიიჩნევდა. მე ავუხსენი, ეს ინგლისური გამოთქმა რომ სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ ესპანურად, გამოვა ლიდია დე ტორროს. ესპანური ცოორიდა ინგლისურად ხარების სრბოლას ნიშნავს. ფრანგულად ცოურსე დე ტაურეაუხ _ იქნებაო, ჩაერია საუბარში მიმომხილველი. ამ ინგლისურ გამოთქმას პირდაპირი ესპანური შესატყვისი არა აქვს.

პედრო რომერომ თქვა, გიბრალტარში ვისწავლე ცოტაოდენი ინგლისურიო.

დაბადებული ყოფილა რონდაში. ეს იქვეა, გიბრალტარის თავზე. მატადორობა მალაგაში შეუსწავლია, სადაც საგანგებო სკოლაა გახსნილი. სულ სამი წელი ყოფილა სკოლაში. მიმომხილველი გაეხუმრა, ლაპარაკში ძალიან ბევრ მალაგურ გამოთქმას ხმარობო. ცხრამეტი წლისა ვარო, უფროსი ძმაც თან მახლავს, როგორც ბანდერილერო,* მაგრამ ამ სასტუმროში არა ცხოვრობსო. იგი უფრო პატარა სასტუმროში დაბინავებულიყო, რომეროს სხვა თანამხლებლებთან ერთად. სულ

რამდენჯერ მნახეთ მოედანზეო, მკითხა. სამჯერ მეტად არ მინახავხარ-მეთქი, ვუთხარი. სინამდვილეში ორჯერ ვნახე, მაგრამ შემეშალა და მერე აღარ მოვყოლივარ ახსნა-განმარტებას.

_ ადრე სად გინახავართ? მადრიდში?

_ დიახ, _ ვიცრუე მე. სპორტულ გაზეთში წავიკითხე მისი ორი გამოსვლის მიმოხილვა, ასე რომ, ჩემი ნათქვამი სიმართლეს ჰგავდა.

_ პირველი გამოსვლა თუ მეორე?

_ პირველი.

_ პირველი ძალიან სუსტი იყო, _ თქვა მან, _ მეორე ჯობდა. გახსოვთ? _ მიმომხილველს მიუბრუნდა.

ოდნავადაც არ ყოფილა დარცხვენილი. თავის საქმეზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს მას სულაც არ შეეხებოდა. არც პატივმოყვარეობა ეტყობოდა და არც ბაქიაობა.

_ ძალიან მიხარია, რომ ჩემი მუშაობა მოგწონებიათ, _ თქვა მან, _ მაგრამ ჩემი ნამდვილი ბრძოლა ჯერ არ გინახავთ. თუ კარგი ხარი შემხვდა, ხვალ შევეცდები გაჩვენოთ.

თქვა და გაიღიმა, შეეშინდა _ ან მიმომხილველმა, ან ამან კვებნაში არ ჩამომართვანო.

_ ერთი სული მაქვს, სანამ ვნახავდე, _ თქვა მიმომხილველმა, _ მინდა ჩემი თვალით დავრწმუნდე.

_ ამას მაინცდამაინც არ მოსწონს ჩემი მუშაობა, _ მითხრა რომერომ. სერიოზული სახე ჰქონდა.

მოწონებით კი ძალიან მომწონს, მაგრამ ჯერ სრულყოფილი არ არისო, მიმომხილველმა განმიმარტა.

_ ხვალამდე მადროვეთ, კარგი ხარი თუ შემხვდა.

_ ნახული გყავთ ხვალინდელი ხარები?

_ დიახ. გადმოტვირთვის დროს ვნახე.

პედრო რომერო წინ გადმოიხარა.

_ რას იტყვით?

_ ძალიან კარგები ჩანან, _ ვთქვი მე, _ ასე, ოცდაექვსამდე არობა.** მოკლე რქები. თქვენ არ გინახავთ?

_ როგორ არა, _ მიპასუხა რომერომ.

_ ოცდაექვსი არობა არ გამოვა, _ თქვა მიმომხილველმა.

_ არა, _ დაეთანხმა რომერო.

_ რქები კი არა, ბანანები აქვთ, _ თქვა მიმომხილველმა.

_ ბანანებს ეძახით? _ ჰკითხა რომერომ. მე მომიბრუნდა და გამიღიმა, _ თქვენც ბანანებს ეძახით?

_ არა, _ ვთქვი მე, _ ნამდვილი რქებია.

_ ძალიან მოკლე რქები კი აქვთ, _ თქვა პედრო რომერომ, _ ძალიან, ძალიან მოკლე, მაგრამ ბანანები მაინც არ ეთქმის.

_ ჯეიკ, გამიგონე, _ გადმომძახა ბრეტმა მეორე მაგიდიდან, _ როგორ მიგვატოვე!

_ სულ ცოტა ხნით, _ ვუთხარი მე, _ ხარებზე ვლაპარაკობთ.

_ ძალიან კი გაგვიდიდგულდი.

_ უთხარი, ხარებს რქები სულაც არა აქვთ-თქო, _ დამიყვირა მაიკმა, მთვრალი იყო. რომერომ გაკვირვებით შემომხედა.

_ მთვრალია, _ ვუთხარი მე, _ ბორრაცჰო! Mუყ ბორრაცჰო!

– თქვენს მეგობრებს რატომ არ გაგვაცნობ? – მითხრა ბრეტმა. თვალს არ აშორებდა პედრო რომეროს. მე ყავაზე მოვიპატიჟე ისინი, ორივე წამოდგა. სახეზე ძალიან შავი იყო რომერო. მოხდენილი მანერები ჰქონდა.

ყველა გავაცანი სათითაოდ და დაჯდომა დააპირეს, მაგრამ ვერ დავეტიეთ და ყავის დასალევად დიდ მაგიდაზე გადავინაცვლეთ, კედელთან. მაიკმა ერთი ბოთლი «ფუნდადორი» დაუკვეთა და ჭიქები მოატანინა ყველასთვის. ბევრი აბდაუბდა ითქვა სიმთვრალეში.

– ჩემ მაგიერ უთხარი, წერა დიდი სიბილწეა-თქო, – მითხრა ბილმა, – მიდი, უთხარი. მრცხენია, რომ მწერალი ვარ-თქო.

პედრო რომერო ბრეტის გვერდით იჯდა და მას უსმენდა.

– მიდი, უთხარი!

რომერომ თავი ასწია და გაიღიმა.

– ეს კაცი, – ვუთხარი მე, – მწერალი გახლავთ.

რომერომ მოწიწებით შეხედა.

– ესეც, – ვთქვი მე და კონზე მივუთითე.

– ვილალტას არა ჰგავს?! – თქვა რომერომ, რომელიც ისევ ბილს შეჰყურებდა, – ჰა, რაფაელ, ვილალტას არა ჰგავს?

– არა მგონია, – მიუგო მიმომხილველმა.

– ნამდვილად, – თქვა რომერომ ესპანურად, – გამოცხადებული ვილალტაა! ეს მთვრალი სენიორი რა ხელობისაა?

– არაფერი.

– იმიტომ სვამს?

– არა. ამ ქალბატონის შერთვას აპირებს.

– უთხარი, ხარებს რქები არა აქვთ-თქო! – მაგიდის ბოლოდან ყვიროდა უსაშველოდ გაღეშილი მაიკი.

– რაო?

– მთვრალია.

– ჯეიკ, – გადმომმახა მაიკმა, – უთხარი, ხარებს რქები არა აქვთ-თქო!

– გაიგეთ?

– დიახ.

დარწმუნებული ვარ, არ გაუგია და ამიტომ აღარ შემიწუხებია თავი.

– ასე უთხარი – ბრეტს აინტერესებს, მწვანე შარვალს როგორ იცვამს-თქო.

– ხმა ჩაიწყვიტე, მაიკ!

– უთხარი, ბრეტი ლამის მოკვდეს, ისე აინტერესებს, მწვანე შარვალში როგორ ეტევა-თქო.

– ხმა ჩაიწყვიტე!

რომერო ხელით ჭიქას ათამაშებდა და ბრეტს ელაპარაკებოდა. ბრეტი ფრანგულად ლაპარაკობდა, ის კი ესპანურად, ზოგჯერ ინგლისურსაც გამოურევდა და იცინოდნენ.

ბილი ჭიქებს ავსებდა.

– უთხარი, ბრეტს მოსვლა და...

– თუ ღმერთი გწამს, ხმა ჩაიწყვიტე. მაიკ!

რომერომ თავი ასწია და გაიღიმა. «ჩაიწყვიტე! ეს კი გავიგე!» – თქვა მან.

სწორედ ამ დროს სასადილოში მონტოია შემოვიდა. დამინახა და ის იყო გაღიმება დააპირა, რომ უცებ თვალი მოჰკრა პედრო რომეროს, რომელსაც კარგა დიდი ჭიქა

კონიაკი ეჭირა ხელში, ჩემსა და მხრებმოტიტვლებულ ქალს შორის იჯდა და იცინოდა. ხოლო სუფრა სასმელებით იყო სავსე. თავიც კი აღარ დაუქნევია. მონტოია ოთახიდან გავიდა. მაიკი ფეხზე იდგა და სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ემზადებოდა.

– ეს გაუმარჯოს... – დაიწყო მან.

– პედრო რომეროს, – ვთქვი მე.

ყველანი წამოდგნენ. რომერომ მთელი სერიოზულობით მიიღო სადღეგრძელო, ჭიქები მივაჭახუნეთ, შევსვით და დავსხედით. მე ვცდილობდი, ჩქარა მოგვეთავებინა, რადგან მაიკი საჯაროდ აპირებდა განმარტებას – მე სულ სხვა სადღეგრძელოს გთავაზობდითო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, პედრო რომერომ ხელი ჩამოგვართვა და მიმომხილველთან ერთად ოთახიდან გავიდა.

– ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი ბიჭია! – თქვა ბრეტმა, – ნეტა მანახვა, როგორ იცვამს იმ ტანსაცმელს. ალბათ, ფეხსაცმლის კაწაპი დასჭირდება.

– მინდოდა, მეთქვა, – დაიწყო მაიკმა, – მაგრამ ჯეიკი სულ მაწყვეტინებდა. რატომ მაწყვეტინებდი? ხომ არ გგონია, ჩემზე კარგად ლაპარაკობ ესპანურს?

– გეყოფა, მაიკ! არავინაც არ მაწყვეტინებდა.

– არა, უსათუოდ უნდა გამოვარკვიო, – მე მომშორდა, – შენი თავი რამე ხომ არა გგონია, კონ? შენ აქ რა გინდა, ჩვენთან ვინ მოგიშვა? ჩვენ აქ დროის სატარებლად მოვსულვართ! თუ ღმერთი გწამს, ნუ აბრახუნებ, კონ.

– კარგი, გაათავე, მაიკ, – უთხრა კონმა.

– შენ გგონია, ბრეტს უნდიახარ აქა? ანდა ძალიან დიდი მხიარულება შემოგაქვს? რას გაჩუმებულხარ?

– ჩემი სათქმელი უკვე გითხარი იმ დღეს, მაიკ.

– მწერლობაზე არა ვდებ თავს შენსავით, – მაიკი დაბარბაცდა და მაგიდას დაეყრდნო, – არც დიდი ჭკუის პატრონი ვარ. მაგრამ როცა არავის ვუნდივარ, ამას ხელად მივხვდები. შენ რატომღა ვერა ხვდები, რომ არავის უნდიახარ, კონ? გაგვეცალე, თუ ღმერთი გწამს, გაგვეცალე. მოგვაშორე ეს დაღვრემილი ებრაული სიფათი. მართალს არ ვამბობ?

ჩვენ შემოგვხედა.

– რა თქმა უნდა, – ვთქვი მე, – წამო, «ირუნაში» წავიდეთ.

– დაიცა. მართალს არ ვამბობ-მეთქი? მე ეს ქალი მიყვარს.

– კარგი, თავიდან ნულარ დაიწყებ. გეყოფა, მაიკლ, – უთხრა ბრეტმა.

– შენ რას იტყვი, მართალი არა ვარ, ჯეიკ?

კონი ისევ მაგიდასთან იჯდა. სახეზე ერთიანად გაყვითლდა, როგორც ყოველთვის, როცა შეურაცხყოფდნენ ხოლმე, ოღონდ თან რაღაც სიამოვნებასაც განიცდიდა. თავს აჯერებდა და ბავშვურად უხაროდა – გმირი ვარო: ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი ტიტულიან ქალბატონთან ურთიერთობის გამო ხდებოდა.

– ჯეიკ, – მითხრა მაიკმა, ლამის ტიროდა, – შენ ხომ იცი, რომ მართალი ვარ. ყური მიგდე! – ისევ კონს მიუბრუნდა, – გაგვეცალე-მეთქი! ახლავე გაგვეცალე!

– ფეხსაც არ მოვიცვლი, მაიკ, – თქვა მან.

– მაშინ მე მოგაცვლევენებ! – მაიკმა მაგიდას შემოუარა და კონისკენ გაემართა. კონი წამოდგა და სათვალე მოიხსნა. იდგა და ელოდა, გადაფითრებული, ხელები ოდნავ დაბლა ჩაეწია, ამაყად და შეუპოვრად ელოდა თავდასხმას, მზად იყო, სატრფოს გულისთვის ბრძოლა გაემართა.

მე მაიკს ვტაცე ხელი.

– კაფეში წავიდეთ, – ვუთხარი მე, – აქ ხომ ვერ შემოკრავ, სასტუმროა.

_ სწორია! _ თქვა მაიკმა, _ სწორი მოსაზრებაა!

წამოვედით. მაიკი ძლივს მოხარბაცებდა კიბეზე, კონმა კვლავ წამოიცვა თავისი სათვალე. ბილი მეორე ჭიქა «ფუნდადორს» ისხამდა. ბრეტი იჯდა და სივრცეს მიშტერებოდა.

გარეთ აღარ წვიმდა და მთვარე ღრუბლებიდან გამოჰყეტას ლამობდა. ქროდა ქარი. უკრავდა სამხედრო ორკესტრი და მოედნის ბოლოში, საცა შუშხუნების ოსტატი და მისი შვილი ცეცხლის ბურთებს ამზადებდნენ გასაშვებად, ხალხი შექუჩებულიყო. ბურთი ირიბად დაიდრებოდა ხოლმე, მიგმიგით, და ჰაერში სკდებოდა, ან იქვე შენობას წამოედებოდა და აფეთქდებოდა. ზოგი პირდაპირ ბრბოში ჩამოვარდა, მაგნიუმი ფეთქდებოდა, ბურთი სკდებოდა და ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. აღარავინ ცეკვავდა მოედანზე. ხვინჭა მეტისმეტად სველი იყო.

ბრეტი ბილთან ერთად გამოვიდა და ჩვენ შემოგვიერთდა. ხალხში ვიდექით და შევყურებდით დონ მანუელ ორქინტოს _ შუშხუნების მეფეს, რომელიც ფიცარნაგზე იდგა და ბურთებს ფრთხილად უბიძგებდა ხოლმე ჯოხებით. ხალხის თავზე მოჩანდა, ქარის მიმართულებით Y-შეგებდა ბურთებს. ქარი სულ ძირს უყრიდა და დონ მანუელ ორქინტოს ოფლიანი სახე თავისივე რთული შუშხუნების შუქზე პრიალებდა. შუშხუნები ხალხში ცვიოდა, სკდებოდა, ნაპერწკლებსა ყრიდა და ტკაცუნებდა. რამდენი წამოვიდოდა ეს ანთებული ქაღალდი ირიბად და გასკდებოდა, ხალხი იმდენი ყიჟინას დასცემდა ხოლმე.

_ დონ მანუელს აგიჟებენ, _ თქვა ბილმა

_ საიდან იცით, რომ დონ მანუელია? _ ჰკითხა ბრეტმა.

_ პროგრამაში წერია. დონ მანუელ ორქინტო პიროტექნიკოსი ესტა ციუდად*.

_ გლობოს ილლუმინადოს, _ თქვა მაიკმა, _ კოლექცია გლობოს ილლუმინადოს. აფიშებიც ასე იუწყებიან.

ორკესტრის ხმა ქარს შორს მიჰქონდა.

_ ნეტა ერთი მაინც ავიდოდეს ცაში, _ თქვა ბრეტმა, _ თორემ გაცოფდა ეს დონ მანუელი.

_ ვინ იცის, რამდენი კვირა ემზადება და ჩასჩურჩულებს: «დიდება წმინდა ფერმინს», _ თქვა ბილმა.

_ გლობოს ილლუმინადოს, _ თქვა მაიკმა, _ დახვავებული გლობოს ილლუმინადოს.

_ წავიდეთ, _ თქვა ბრეტმა, _ აქ დგომა აღარ შეიძლება.

_ მის ბრწყინვალეებას დალევა მოუნდა, _ თქვა მაიკმა.

_ როგორ მაშინვე მიხვდები ხოლმე, _ უთხრა ბრეტმა.

კაფე ხალხით იყო სავსე და ერთი ღრიანცელი ჰქონდათ. კაციშვილს არ დავუნახავართ. თავისუფალი მაგიდა ვერ ვიშოვეთ. ყურთასმენა აღარ იყო.

_ წავიდეთ, გავშორდეთ აქაურობას, _ თქვა ბილმა.

კოლონადის ქვეშ გახურებული სეირნობა იყო. მაგიდებს სპორტულ ფორმაში ჩაცმული ინგლისელები და ამერიკელები უსხდნენ, ბიარიციდან ჩამოსულიყვნენ. ვიდაც ქალები ლორწეკით ათვალთქვებდნენ ხალხს. ამას წინათ ბილმა ბიარიცელი მეგობარი ქალიშვილი გაგვაცნო და ახლა აქ ვნახეთ ის გოგო, თავის ამხანაგებთან ერთად. გრანდ ოტელში ცხოვრობდნენ. მეორე გოგოს თავი ასტკივდა და დასაძინებლად წავიდა.

_ აგერ სამიკიტნო, _ წამოიძახა მაიკმა. ეს იყო მილანის სამიკიტნო _ ვიწრო, მოცუცქნული დუქანი, სადაც ისაუზმებდი კიდეც და უკანა ოთახში ცეკვავ შეიძლებოდა. მაგიდას შემოვუსხედით და ერთი ბოთლი «ფუნდადორი» დავუკვეთეთ. ხალხი ბევრი არ ყოფილა. მოწყენილობა იყო.

_ ეს რა ჯოჯოხეთში მოვხვდით! _ თქვა ბილმა.
 _ ჯერ ძალიან ადრეა.
 _ ეს ბოთლი წავიღოთ და უფრო მოგვიანებით მოვიდეთ, _ თქვა ბილმა, _ ამისთანა ღამეში აქ რა გამაჩერებს!
 _ წავიდეთ, ინგლისელებს ვუყუროთ, _ თქვა მაიკმა, _ მიყვარს ინგლისელების ცქერა.
 _ საშინელი ხალხია, _ შენიშნა ბილმა, _ ნეტა საიდან გამოიწერეს!
 _ ბიარიციდან ჩამოვიდნენ, _ უთხრა მაიკმა, _ პატარა ესპანური ფიესტის უკანასკნელი დღე უნდათ ნახონ.
 _ მე მაგათ გავაფიესტებ, _ თქვა ბილმა.
 _ უჩვეულოდ მშვენიერი ქალიშვილი ხართ, _ უთხრა მაიკმა ბილის მეგობარს, _ როდის ჩამოხვედით?
 _ გეყოფა, მაიკლ!
 _ მე რა ვთქვი _ მშვენიერი ქალიშვილია-მეთქი. აქამდე სად ვიყავი! თვალები სად მქონდა! რა გოგო ხარ! ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს? წამოდი, მე და ბილს გამოგვყევი. ინგლისელებს ფიესტა უნდა ვაჩვენოთ.
 _ მე იმათ გავაფიესტებ _ შესძახა ბილმა, _ ნეტა რა ჯანდაბას აკეთებენ ამ ფიესტაზე?
 _ წავიდეთ, _ თქვა მაიკმა, _ ჩვენ სამი წავიდეთ. ფიესტა უნდა ვაჩვენოთ იმ ვიგინდარა ინგლისელებს. იმედი მაქვს, თქვენ არა ხართ ინგლისელი? მე შოტლანდიელი ვარ. ინგლისელები მძულს. ახლავე უნდა ვაჩვენო ფიესტა. წამოდი, ბილ.
 ფანჯრიდან ვხედავდით, როგორ გასწიეს ხელიხელგაყრილებმა კაფესაკენ. მოედანზე შუშხუნებს უშვებდნენ.
 _ მე აქ დავჯდები, _ თქვა ბრეტმა.
 _ მეც თქვენთან დავრჩები, _ უთხრა კონმა.
 _ ო, კარგი ერთი! _ თქვა ბრეტმა, _ თუ ღმერთი გწამს, სადმე წადი. ვერა ხედავ, ჯეიკსა და მე რაღაც სალაპარაკო გვაქვს.
 _ ეგ არ ვიცოდი, _ თქვა კონმა, _ ცოტა შემთვრალი ვარ და დავჯდები-მეთქი, ვიფიქრე.
 _ კარგი მიზეზი კი გამოგიძებნია! მთვრალი თუ ხარ, წადი და დაიძინე. წადი, დაიძინე.
 _ ძალიან ტლანქად მოვექეცი? _ მკითხა ბრეტმა. კონი უკვე წავიდა. _ ღმერთო ჩემო! გულს მირევს!
 _ დიდი მხიარულება ვერ შემოაქვს.
 _ გულს მიწვრილებს!
 _ ძალიან ცუდად იქცევა.
 _ საშინლად.
 _ ახლაც ალბათ კართან დგას.
 _ ჰო. მაგის კაცი კი არის. ახლა ვხვდები, რასაც ფიქრობს: არ უნდა დაიჯეროს, რომ ის უბრალო რამე იყო და ბევრს არაფერს ნიშნავდა.
 _ ვიცი.
 _ არავინ არ მეგულება, ასე ცუდად მოქცეულიყოს. ო, როგორ მომბეზრდა ყველაფერი! ახლა მაიკლი! მაიკლიც კარგი ვინმეა.
 _ ძალიან მძიმე გამოდგა მაიკისთვის.
 _ ჰო, მაგრამ მაინც არ უნდა იღოროს.
 _ ყველა ცუდად იქცევა, _ ვთქვი მე, _ ოღონდ კი საბაზი მიეცეთ და!..
 _ შენ ასე არ მოიქცეოდი, _ ბრეტმა შემომხედა.

_ მეც კონივით დიდი ვირი ვიქნებოდი.
 _ რა სისულელეს ჩმახავ, ჩემო კარგო.
 _ კარგი. რაც შენ გინდა, ის ვილაპარაკოთ.
 _ კი ნუ გამიბრაზდები. შენ მეტი არავინა მყავს და დღეს ისეთ საშინელ გუნებაზე ვარ!
 _ მაიკი ხომ გყავს!
 _ მაიკი! ისიც კარგი ვინმეა!
 _ რას იზამ, _ ვუთხარი მე, _ ძალიან მძიმე გამოდგა მაიკისთვის: სულ აქ ტრიალებს კონი, ერთი წუთითაც არა გშორდება.
 _ განა მე კი არ ვიცი, ჩემო კარგო? კიდეც უფრო ნულარ გამამწარებ, თუ ღმერთი გწამს. ასე გაღიზიანებული არასოდეს მენახა. თვალს ვერ მისწორებდა და ერთთავად კედელს მიშტერებოდა.
 _ არ გავიაროთ?
 _ წავიდეთ, _ თქვა ბრეტმა.
 «ფუნდადორის» ბოთლს თავი დავუცავი და მეზუფეტეს გადავეცი.
 _ თითო ჭიქა კიდეც დავლიოთ, _ თქვა ბრეტმა, _ ნერვები დამეწიწკნა. თითო ჭიქა რბილი, სურნელოვანი კონიაკი დავლიეთ.
 _ წავიდეთ, _ მითხრა ბრეტმა.
 გარეთ რომ გამოვედით, დავინახე, რომ კონი კოლონადიდან გამოვიდა.
 _ აჰა, მართლა აქ არ ყოფილა?! _ თქვა ბრეტმა.
 _ ვერა ძლებს უშენოდ.
 _ საწყალი!
 _ სულაც არ მეცოდება. მძულს.
 _ მეცა მძულს, _ ბრეტს გააჟრჟოლა, _ ასე რომ იტანჯება, იმიტომაც მძულს. ხელი გამოვდე და პატარა ქუჩაში გავედით, დავშორდით ხალხსა და გაჩირადდნებულ მოედანს. ქუჩა ბნელი და სველი იყო და ჩვენ ქალაქგარეთ გავწიეთ, ფორტიფიკაციისაკენ. ჩავუარეთ სამიკიტნოებს, რომელთა შეღებული კარებიდან ბნელსა და სველ ქუჩაში სინათლე გამოდიოდა და ზოგჯერ მუსიკის ხმებიც გამოიჭრებოდა ხოლმე.
 _ გინდა შევიდეთ?
 _ არა.
 ქალაქგარეთ რომ გავედით, გალუმპულ ბაღას დავადექით და ზემოთ ავუყევით, ქვის გალავნისკენ. ქვაზე გაზეთი გავშალე და ბრეტი დაჯდა. მინდორი ჩაბნელებული იყო და გაღმა მთებსა ვხედავდით. ძლიერმა ქარმა ღრუბლები გადმოყარა და მთვარეს გადააფარა. ჩვენ დაბლა ბნელი სანგრები მოჩანდა. უკან ხეები იდგა და ტაძრის ჩრდილი ეცემოდა, მთვარის შუქზე ქალაქის კონტურები იხაზებოდა.
 _ ნუ დაიბღვირე, _ ვუთხარი მე.
 _ თითქოს ჯოჯოხეთი მიტრიალებს გულში, _ თქვა ბრეტმა, _ ცოტა ხანს გავჩუმდეთ. მინდორს გავცქეროდით. ხეების გრძელი ჩრდილები მთვარის სინათლეზე შავად ისახებოდა. გზაზე მანქანის შუქი გამოჩნდა _ მთაზე ადიოდა. მთის მწვერვალზე სინათლე ციმციმებდა. დაბლა, მარცხნივ, მდინარე მიედინებოდა. წვიმისაგან მოდიდებულიყო და შავი და გლუვი ჩანდა. ნაპირის გასწვრივ ხეები ჩამავებულიყო. ვისხედით და ვუყურებდით. ბრეტი კვლავ სივრცეს მიშტერებოდა. უცებ გააჟრჟოლა.
 _ ცივა.
 _ დავბრუნდეთ?
 _ ბალი გადავჭრათ.

დაბლა ჩავედით. ცას ისევ ღრუბლები ეფარა. ბაღში ბნელოდა.

_ ისევ გიყვარვარ, ჯეიკ?

_ მიყვარხარ, _ ვუთხარი მე.

_ დავილუპე.

_ რა მოგივიდა?

_ დავილუპე. იმ ბიჭზე ვგიჟდები, რომეროზე. მგონი, უნდა მიყვარდეს.

_ შენ ადგილას რომ ვიყო, თავს შევიკავებდი.

_ აღარ შემიძლია. დავილუპე. ლამის გულგვამი დამეფლითოს.

_ ნუ იზამ მაგას.

_ არ შემიძლია. ვერ ვიკავებ ხოლმე თავს.

_ ახლა უნდა შეიკავო.

_ როგორ შევიკავო, თუკი არ შემიძლია?! აბა, ნახე.

ხელი უკანკალებდა.

_ ასე მიკანკალებს ყველაფერი.

_ მაინც ნუ იზამ.

_ არ შემიძლია. სულერთია, დაღუპული ვარ. ნუთუ არ გესმის!

_ არა.

_ რამე უნდა ვიღონო. ისეთი რამე უნდა გავაკეთო, რაც გულს სწადია. საკუთარი თავის პატივისცემა დავკარგე.

_ მაგას ნუ იზამ. ნურასდიდებით ნუ იზამ.

_ შეუძლებელსა მთხოვ. როგორ გგონია, განა ჩემთვის კი ადვილია ამ წყეული ებრაელის მოუშორებელი წრიალი და მაიკის ასეთი გადარევა?

_ ვიცი.

_ სულ მთვრალი ხომ არ უნდა ვიყო?

_ არა.

_ ო, ნუ მიმატოვებ, ჩემო ძვირფასო. ნუ მიმატოვებ, მიშველე რამე.

_ როგორ მიგატოვებ!

_ განა იმას ვამბობ, კარგია-მეთქი. თუმცა ჩემთვის მართლაც კარგია. ღმერთო, აქამდე არ მიგრძნია თავი ასე კახპად.

_ მე რა უნდა გიშველო?

_ წავიდეთ, _ თქვა ბრეტმა, _ წავიდეთ და მოვძებნოთ.

გავიარეთ ჩაბნელებული პარკის ხვინჭამოყრილი ბილიკები, გავცდით ხეივანს, ჭიმკრიდან გამოვედით და ქალაქისკენ მიმავალ ქუჩას დავადექით.

პედრო რომერო კაფეში იყო. მასთან ერთად სხვა მატადორები და სპორტის

მიმომხილველებიც ისხდნენ. სიგარებსა სწევდნენ. როცა შევედით, შემოგვხედეს.

რომერომ გაგვიღიმა და თავი დაგვიკრა. ჩვენ შუა ოთახში შემოვუსხედით მაგიდას.

_ სთხოვე, გადმოვიდეს და ჩვენთან ერთად დალიოს.

_ დაიცა. თვითონვე მოვა.

_ შეხედვაც არ შემიძლია.

_ კარგი შესახედავია, _ ვუთხარი მე.

_ მთელი ჩემი სიცოცხლე რაცა მსურდა, იმას ვაკეთებდი ხოლმე.

_ ვიცი.

_ კახპა მგონია თავი.

_ რას იზამ.

_ ღმერთო ჩემო! _ თქვა ბრეტმა, _ რა არ უნდა გადაიტანოს ქალმა!

_ ვითომ?

_ ო, კახპა მგონია თავი.

მაგიდებს გადავხედე. პედრო რომერომ გაიღიმა, რაღაც უთხრა თავის ამხანაგებს და წამოდგა. ჩვენთან მოვიდა. მეც წამოვდექი და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

_ ჩვენთან არ დალევთ?

_ მე უნდა დაგპატიჟოთ, _ თქვა მან. უსიტყვოდ სთხოვა ნება ბრეტს და სკამზე ჩამოჯდა, ძალიან მოხდენილი მანერები ჰქონდა, მაგრამ სიგარას ისევ სწევდა.

შვენოდა სიგარა.

_ გიყვართ სიგარა? _ ვკითხე მე.

_ დიახ. მუდამ სიგარას ვწევ.

მისი წარმოდგენით, ესეც წონას მატებდა. სიგარას რომ დაიჭერდა, თითქოს უფრო დიდი ხნისა ჩანდა. მზემოკიდებულ სახეზე დავაკვირდი _ სუფთა, პრიალა კანი ჰქონდა, ყვრიმალთან სამკუთხა ნაიარევი აჩნდა. ბრეტს შეჰყურებდა. გრძნობდა, რომ მათ შორის რაღაც ხდებოდა. ხელი რომ ჩამოართვა ბრეტმა, ალბათ, მაშინ იგრძნო. მაინც ძალიან ფრთხილად იქცეოდა. მე მგონი, დაჯერებული კი იყო, მაგრამ მაინც ფრთხილობდა, შეცდომა არ მომივიდესო.

_ ხვალ გამოდიხართ, არა?

_ დიახ, _ თქვა მან, _ დღეს ალგაბენო დაშავდა მადრიდში. არ გაგიგიათ?

_ არა. მძიმედ დაშავდა?

თავი გააქნია.

_ არა. აქ დაშავდა, _ ხელი მაჩვენა. ბრეტი მისწვდა და თითები გაუშალა.

_ ო! მკითხაობთ? _ თქვა მან ინგლისურად.

_ ზოგჯერ. არ გიყვართ?

_ როგორ არა, მიყვარს, _ გაშლილი ხელი მაგიდაზე დადო, _ მიმკითხავით, რომ არასოდეს მოვკვდები და მილიონერი გავხდები.

ისეთივე თავაზიანი იყო, მაგრამ ახლა უფრო თვითდაჯერებული გახდა.

_ ნახეთ ერთი, _ თქვა მან, _ ხარები ხომ არა ჩანს?

გაიცინა. ძალიან ლამაზი ხელი და პატარა მაჯა ჰქონდა.

_ ათას ხარსა ვხედავ, _ თქვა ბრეტმა. სულაც აღარ ეტობოდა მღელვარება. მშვენიერი იყო.

_ ძალიან კარგი, _ გაიცინა რომერომ, _ თითო ხარში თითო დურო,** _ მითხრა მე ესპანურად, _ კიდევ მითხარით რამე.

_ კარგი ხელია, _ თქვა ბრეტმა, _ იმედი მაქვს, დიდხანს იცოცხლებს.

_ მე მითხარით. თქვენს მეგობარს ნუ ეუბნებით.

_ დიდხანს იცოცხლებ-მეთქი.

_ ეგ ვიცი, _ თქვა რომერომ, _ სიკვდილს არ ვაპირებ.

თითები მაგიდაზე ავათამაშე. რომერომ შენიშნა ეს. თავი გააქნია.

_ არა. ამას არ ვიზამ. ხარები ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან.

ბრეტს გადავუთარგმნე.

_ მერე მეგობრებსა კლავთ? _ ჰკითხა ბრეტმა.

_ სულ მუდამ, _ ინგლისურად თქვა მან და გაიცინა, _ ვკლავ, რომ აქეთ არ მომკლან! _ ბრეტს გადახედა.

_ ინგლისური კარგად გცოდნიათ.

_ დიახ, _ თქვა მან, _ ზოგჯერ კარგად გამომდის, მაგრამ არავის ვუმხელ. არ იქნება ლამაზი _ სად ტორერო და სად _ ინგლისური.

_ რატომ? _ ჰკითხა ბრეტმა.

_ არ იქნება კარგი. ხალხს არ ესიამოვნება. ასეა ჩვენში.

_ რატომ?
 _ არ ესიამოვნებათ. ამისთანა რამეები ტორეროს არ შეჰფერის.
 _ აბა, როგორი უნდა იყოს ტორერო?
 გაიცინა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, სიგარა მეორე მხარეს გადაიტანა და მრისხანე სახე მიიღო.
 _ ეგერ, მაგიდას რომ უსხედან, _ თქვა მან.
 მე გავიხედე, ზედმიწევნით გადმოეღო ნასიონალის გამომეტყველება. გაიღიმა და თავისი ბუნებრივი გამომეტყველება მიიღო.
 _ არა, უნდა დავივიწყო ინგლისური.
 _ ნუ დავივიწყებთ, _ უთხრა ბრეტმა.
 _ ნუ დავივიწყებ?
 _ ნუ.
 _ კარგი.
 ისევ გაიცინა.
 _ მეც მინდა ასეთი ქუდი, _ თქვა ბრეტმა.
 _ ადვილი სამსახურია. მე გიშოვით.
 _ ოღონდ უსათუოდ უნდა მიშოვოთ.
 _ უსათუოდ. ამაღამვე გიშოვით.
 მე ავდექი. რომეროც წამოდგა.
 _ თქვენ იჯექით, _ ვუთხარი მე, _ წავალ მეგობრებს მოვძებნი და აქ მოვიყვან.
 შემომხედა. ამ შემოხედვით უკანასკნელად ამოწმებდა, მართლა თუ მივხვდი ყველაფერსო. ყველაფერი ცხადი იყო.
 _ დაჯექით, _ უთხრა ბრეტმა, _ ესპანური უნდა მასწავლოთ.
 დაჯდა და ბრეტს შეხედა. მე გამოვედი. მატადორების სუფრიდან მრისხანედ გამომაყოლეს თვალი. ვერაფერი სასიამოვნო იყო. როცა მივბრუნდი ოცი წუთის შემდეგ და კაფეში შევიხედე, ბრეტი და პედრო რომერო წასულიყვნენ. ყავის ფინჯნები და კონიაკის სამი ჭიქა იქვე იდგა, მაგიდაზე. ოფიციალტი მივიდა, ჭიქები აიღო და მაგიდა ხელსახოცით გადაწმინდა.

თავი XVII

მილანის სამიკიტნოს შესასვლელთან ვნახე ბილი, მაიკი და ედნა. ედნა იმ გოგოს ერქვა.
 _ გამოგვაგდეს, _ მითხრა ედნამ.
 _ პოლიციამ გამოგვაგდო, _ თქვა მაიკმა, _ იქ რამდენიმე კაცს თვალში არ მოვდივარ.
 _ ოთხჯერ გადავარჩინე ჩხუბს, _ მითხრა ედნამ, _ თქვენც მიშველეთ.
 ბილს სახე ანთებოდა.
 _ წამოდი, ედნა, _ უთხრა მან, _ წამოდი და მაიკთან იცეკვე.
 _ რა სისულელეა, _ თქვა ედნამ, _ ისევ ჩხუბი ატყდება.
 _ ბიარიცელი ღორები, _ ჩაილაპარაკა ბილმა.
 _ წამოდი, შევიდეთ, _ თქვა მაიკმა, _ ბოლოს და ბოლოს, სამიკიტნოა თუ რა! რა უფლება აქვთ, მთელი სამიკიტნო დაიკავონ!
 _ ჩემი ძვირფასი მაიკი! _ თქვა ბილმა, _ ჩამოთრეულა ვიღაც ინგლისელი ღორი და მაიკს აყენებს შეურაცხყოფას, უნდა რომ ფიესტა ჩაგვაშხამოს.
 _ ვიგინდარები! _ შეჰყვირა მაიკმა, _ მე მძულს ინგლისელები.

_ აბა, სინჯონ და მაიკს აწყენინონ, _ თქვა ბილმა, _ მაიკი შესანიშნავი ბიჭია. ბუზსაც ვერ აუფრენენ! ვინ გააბედვინებს! მერე რაო, რომ გაკოტრდა! მაგას ვინ უყურებს! _ ხმა ჩაუწყდა.

_ არავინაც არ უყურებს! _ თქვა მაიკმა, _ მე პირადად არაფრად მიმაჩნია. ჯეიკსაც არაფრად მიაჩნია. შენ მიგაჩნია?

_ არა, _ უთხრა ედნამ, _ მართლა გაკოტრდით?

_ რა თქმა უნდა, გაკოტრდი. შენც ხომ არაფრად მიგაჩნია, ჰა, ბილ? ბილმა ხელი ჩამოადო მხარზე.

_ ნეტა მე გაკოტრებულიყავი. მე ვაჩვენებ მაგ ნაბუმრებს.

_ ინგლისელებს რა უნდა მოჰკითხო, _ თქვა მაიკმა, _ ინგლისელის როშვას ყურში ვინ შეუშვებს.

_ ბინძური ღორები, _ თქვა ბილმა, _ ახლავე გამოვრეკავ.

_ ბილ, _ ედნამ მე შემომხედა, _ თუ ღმერთი გწამს, ნუღარ შეხვალ, ბილ. იმ ჩერჩეტებს რა ყურს უგდებ!

_ მართალია, _ დაეთანხმა მაიკი, _ მართლაც ჩერჩეტები არიან. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩერჩეტები იყვნენ.

_ აბა, გაბედონ და კიდევ გამილანძღონ მაიკი, _ შესძახა ბილმა.

_ იცნობ, ვინ არიან? _ ვკითხე მაიკს.

_ არა. ჩემს დღეში არ მინახავს. თვითონ გაიძახიან, გიცნობთო.

_ ვერ მოვითმენ! _ იყვირა ბილმა.

_ წამოდი, «სუისოში» წავიდეთ, _ ვთქვი მე.

_ ედნას ბიარიცელი მეგობრების ბანდაა! _ შესძახა ბილმა.

_ ჩერჩეტები არიან და მეტი არაფერი, _ თქვა ედნამ.

_ ერთი ვაჟბატონი _ ჩარლი ბლეკმენია, ჩიკაგოელი, _ თქვა ბილმა.

_ ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ჩიკაგოში, _ შენიშნა მაიკმა.

ედნას სიცილი წასკდა და თავი ვეღარ შეიკავა.

_ ჰეი, კოტრებო, _ თქვა მან, _ აქაურობას მომაცილეთ.

_ რაზე წაიჩხუბეს? _ ვკითხე ედნას. მოედანი გადავჭერით და «სუისოსაკენ» გავწიეთ. ბილი სადღაც გაქრა.

_ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ვიღაცამ პოლიციას გამოუძახა და უკანა ოთახიდან გამოაყვანინა. იქ რამდენიმე კაცი აღმოჩნდა, მაიკთან რაღაც ურთიერთობა ჰქონიათ კანში. რა მოუვიდა მაიკს?

_ ალბათ, ფული მართებს იმათი, _ ვთქვი მე, _ ამ საქმეზე ძალიან გაწიწმატება იციან ხოლმე.

სალაროების წინ ორ მწკრივად რიგი იდგა, მოედანზე. ზოგი სკამზე იჯდა, ზოგს პირდაპირ მიწაზე მოეკალათებინა, ზემოდან კი საბნები და გაზეთები მოეხურათ. სალაროებს დილით გააღებდნენ და მანამდე უნდა ეცადათ ბილეთებისათვის. წვიმამ გადაიღო და მთვარე გამოჩნდა. ზოგს იქვე ეძინა, რიგში.

ის იყო, დავსხედით კაფე «სუისოში» და «ფუნდადორი» დავუკვეთეთ, რომ რობერტ კონი შემოვიდა.

_ ბრეტი სად არის? _ მკითხა მან.

_ არ ვიცი.

_ შენთან არ იყო?!

_ ალბათ, დასაძინებლად წავიდა.

_ არა.

_ აბა, არ ვიცი.

სინათლის შუქზე სულ გაყვითლებული ჩანდა. არ დამჯდარა.

_ მითხარი, სად წავიდა.

_ დაჯექი, _ ვუთხარი მე, _ მე რა ვიცი, სად წავიდა.

_ იცი და არ ამბობ.

_ მომაშორე შენი სიფათი.

_ მითხარი, სად არის ბრეტი.

_ არაფერსაც არ გეტყვი.

_ შენ იცი, სადაც არის.

_ კიდეც რომ ვიცოდე, არ გეტყვი.

_ ჯანდაბაში წასულხარ, კონ! _ მაიკმა შესძახა, _ ბრეტი იმ მატადორს გაჰყვა.

თაფლობის თვე აქვთ.

_ გაჩუმდით!

_ ჯანდაბას შენი თავი! _ უხალისოდ წამოღერდა მაიკმა.

_ მართლა იმასთან არის? _ მე მომიბრუნდა კონი.

_ ჯანდაბას შენი თავი!

_ შენთან იყო. ახლა მართლა იმასთან არის?

_ ჯანდაბას შენი თავი!

_ გათქმევინებ, _ ფეხი წინ გადმოდგა, _ საცოდავო მაჭანკალო.

ხელი მოვიქნიე, მაგრამ უცებ დახარა თავი. სინათლეზე დავინახე, როგორ მიღრიცა სახე. მერე შემომკრა და მე ტროტუარზე ჩავიკეცე. წამოდგომა რომ დავაპირე, კიდეც შემომკრა ორჯერ. მაგიდის ქვეშ გავიშხლართე. წამოდგომა ვცადე, მაგრამ თითქოს ფეხები აღარა მქონდა. ვიცოდი, რომ საჭირო იყო წამოდგომა და შემოკვრა. მაიკმა ხელი მომაშველა. ვიღაცამ სურით წყალი გადამასხა თავზე. მაიკს ხელი ჰქონდა მოხვეული და ვიგრძენი, რომ სკამზე ვიჯექი. მაიკი ყურებს მქაჩავდა.

_ სულ ერთიანად გაცივდი, _ მითხრა მაიკმა.

_ თქვენ სად ჯანდაბაში იყავით?

_ ო, აქვე ვიყავით.

_ ჩარევა არ გინდოდათ, ხომ?

_ მაიკიც გაშხლართა, _ მითხრა ედნამ.

_ არაფერიც, _ თქვა მაიკმა, _ მე ისე ვიწექი.

_ ყოველდღე ასეთია თქვენი ფიესტა? _ იკითხა ედნამ, _ ეგ მისტერ კონი იყო?

_ უკვე გამიარა, _ ვთქვი მე, _ ცოტათი თავი მიბრუნის.

თავს რამდენიმე ოფიციანტი დაგვდგომოდა, ირგვლივ ხალხი შექუჩებულიყო.

_ Vaya! _ შეჰყვირა მაიკმა, _ დაიშაღეთ, წადით!

ოფიციანტებმა ხალხი გარეკეს.

_ კარგი საყურებელი კი იყო, _ თქვა ედნამ, _ მოკრივე იქნება.

_ მოკრივეა.

_ ნეტა ბილიც აქ ყოფილიყო, _ თქვა ედნამ, _ ისიც მენახა ძირს გაშხლართული. სულ იმის ნატვრაში ვარ, ერთი ძირს გაშხლართული ვნახო-მეთქი. ამოდენა კაცია.

_ იმედი მქონდა, ოფიციანტსაც შემოჰკრავს და გაქაჩავენ-მეთქი, _ თქვა მაიკმა, _ კარგი იქნებოდა, ციხეში მენახა მისტერ რობერტ კონი.

_ კარგი ერთი! _ ვუთხარი მე.

_ ოჰო, _ თქვა ედნამ, _ გეხუმრება კიდეც!

_ სულაც არა, _ უთხრა მაიკმა, _ მე ისეთი კაცი არ გახლავართ, ძირს დანარცხება რომ მეხალისებოდეს. ის კი არა და, რაც თავი მახსოვს, თამაშობაში არ ჩავრეულვარ.

მაიკმა «ფუნდადორი» შესვა.

_ ნადირობაც კი არ მიყვარს. უცებ ცხენმა რომ წაიფორხილოს და ზედ დაგასკდეს!
 როგორა ხარ, ჯეიკ?
 _ კარგად.
 _ თქვენ მშვენიერი კაცი ხართ, _ უთხრა ედნამ მაიკს, _ მართლა გაკოტრდით?
 _ საშინლად გაკოტრდი, _ თქვა მაიკმა, _ ყველასი მმართვეს, შენ არავისი გამართებს?
 _ რამდენიც გინდა.
 _ კაცს ვერ ნახავ, ვისი ფულიც არ მემართოს, _ თქვა მაიკმა, _ ამაღამ მონტოიას
 დავესესხე ასი პესეტი.
 _ რა ჯანდაბად გინდოდა? _ ვკითხე მე.
 _ გადავუხდი, _ თქვა მაიკმა, _ მე ყველას ვუხდი.
 _ იმიტომაც გაკოტრდი, ხომ? _ ჰკითხა ედნამ.
 წამოვდექი. იმათი ხმა თითქოს სადღაც შორიდან ჩამესმოდა. რაღაც უხეირო პიესას
 ჰგავდა.
 _ სასტუმროში მივდივარ, _ ვთქვი მე. მერე გავიგონე, ჩემზე შეექნათ ლაპარაკი.
 _ კარგად არის? _ იკითხა ედნამ.
 _ ჯობს ჩვენ გავყვეთ.
 _ კარგად ვარ, _ ვთქვი მე, _ ნუ გამომყვებით. მოგვიანებით გნახავთ.
 კაფეს გავცილდი. ისინი სუფრას უსხდნენ. მოვუხედე მათ და ცარიელ მაგიდებს. ერთ
 მაგიდასთან ოფიციანტი ჩამომჯდარიყო და თავი ხელებში ჩაერგო.
 მოედანი რომ გადავჭერი და სასტუმროსკენ გავემართე, ყველაფერი უცხო და
 შეცვლილი მომეჩვენა. ეს ხეები ადრე არ მენახა. დროშის ტარებსაც პირველად
 ვხედავდი. თეატრის ფასადსაც. ყველაფერი გადასხვაფერებულიყო. ისეთივე
 გრძნობამ მომიცვა, როგორც ერთხელ. ქალაქარეთ ფეხბურთი ვითამაშეთ და მერე
 შინ ვბრუნდებოდი ჩემი პატარა ჩემოდნით, რომელშიაც საფეხბურთო რაღაცები
 მეწყო. სადგურიდან წამოვედი და ის ქუჩები, ის ქალაქი, სადაც მთელი ჩემი დღე და
 მოსწრება გამეტარებინა, სულ უცხო მეჩვენა. ბაღებში ხმელ ფოთლებს ხვეტდნენ და
 ქუჩებში წვავდნენ. დიდხანს ვიდექი და შევყურებდი. მეუცხოვა. მერე ისევ წავედი
 და მომეჩვენა, ფეხები თითქოს სადღაც შორს იყო. და საერთოდ, ყველაფერი შორიდან
 მოდის და მიახლოვდება და ჩემი ფეხის ფრატუნიც სადღაც შორიდან ჩამესმის.
 თამაშის დაწყებისას თავში წიხლი ჩამცეს. ახლაც ასე მომივიდა მოედანზე.
 სასტუმროს კიბეზე რომ ავდიოდი, მაშინაც ასეთი გრძნობა მქონდა. კიბეზე ასვლას
 დიდხანს მოვუწდი და ასე მეგონა, თითქოს ხელში ახლაც ჩემოდანი მიჭირავს-მეთქი.
 ოთახში სინათლე ენთო. ბილი დერეფანში შემხვდა.
 _ ერთი ზემოთ ადი და კონი ნახე, _ მითხრა მან, _ რაღაც მოუვიდა. შენ
 გკითხულობდა.
 _ ჯანდაბაში წასულა.
 _ წადი, წადი და ნახე.
 აღარ მინდოდა კიდევ ერთი სართულის ავლა.
 _ ასე რას მომაშტერდი?
 _ სულაც არ გიყურებ. ადი, კონი ნახე. რაღაც ცუდ დღეში ჩანს.
 _ შენ, მგონი, მთვრალი იყავი, _ ვუთხარი მე.
 _ ახლაც მთვრალი ვარ, _ თქვა ბილმა, _ შენ ზემოთ ადი და კონი ნახე. გეძებდა.
 _ კარგი, _ ვუთხარი მე, _ კიდევ ერთი სართულის აზოზლება მაკლდა!
 შევუყევი კიბეს, ჩემი მოჩვენებითი ჩემოდნით. დერეფანი გავიარე და კონის ოთახს
 მივადექი. კარი დაკეტილი იყო და დავაკაკუნე.
 _ ვინ არის?

– ბერნსი.

– შემოდი, ჯეიკ.

კარი შევალე, შევედი და ჩემი ჩემოდანი დავდე. ოთახში ბნელოდა. კონი პირადმა იწვა ლოგინზე, სიბნელეში.

– ჰელო, ჯეიკ.

– ჯეიკს ნუ მეძახი.

მე კართან ვიდექი. მაშინაც სწორედ ასე იყო, შინ რომ მივედი. ახლა ცხელი აბაზანა იქნებოდა მისწრება! ცხელი წყლით სავსე აბაზანაში ჩაწოლა.

– სააბაზანო სად არის?

კონი ტიროდა. იწვა ლოგინზე პირადმა და ტიროდა. თეთრი პოლო ეცვა, სწორედ ისეთი, პრინსტონში რომ იცვამდა.

– მაპატიე, ჯეიკ, გთხოვ, მაპატიო.

– ჯანდაბამ გაპატიოს.

– გთხოვ, მაპატიო, ჯეიკ.

არაფერი მიპასუხია. კართან ვიდექი.

– გიჟივით ვიყავი. ხომ ნახე, რა მომივიდა.

– არაფერია.

– ველარ ავიტანე ბრეტის ამბავი.

– შენ მე მაჭანკალი დამიძახე.

სულაც არაფერი მენაღვლებოდა, მე ცხელი აბაზანა მინდოდა. ცხელი წყლით გავსებული აბაზანა.

– ვიცი. ნუღარ გაიხსენებ. გიჟივით ვიყავი.

– არაფერია.

იგი ტიროდა. სასაცილო ხმა ჰქონდა. თეთრ პერანგში ჩაცმული ლოგინზე მიგდებულიყო, სიბნელეში. თავისი თეთრი პოლო ეცვა.

– ხვალ დილით მივდივარ.

უხმოდ ტიროდა.

– ბრეტის ამბავი ველარ ავიტანე. ჯოჯოხეთი გამოვიარე, ჯეიკ. ნამდვილი ჯოჯოხეთი. რაც აქ ჩამოვედით, ისე მეპყრობა, თითქოს უცხო ვინმე ვიყო. ველარ ავიტანე. სან-სებასტიანში ერთად ვცხოვრობდით. ეს შენც უნდა იცოდე. ველარ ავიტანე. ისევ ლოგინზე იწვა.

– კარგი, _ ვუთხარი მე, _ ახლა აბაზანაში უნდა ვიბანაო.

– შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი იყავი და ბრეტიც ისე მიყვარდა!

– კარგი, _ ვუთხარი მე, _ ნახვამდის.

– ვხედავ, რომ არაფერი გამოდის, _ თქვა მან, _ არაფერი ოხრობა არ გამოდის.

– როგორ?

– საერთოდ. გთხოვ, მაპატიო, ჯეიკ.

– კარგი, _ ვუთხარი მე, _ არაფერია.

– ისე საშინლად ვიყავი! ჯოჯოხეთი გამოვიარე, ჯეიკ. ახლა ყველაფერი გათავდა. ყველაფერი.

– არაფერია, _ ვუთხარი მე, _ ნახვამდის. უნდა წავიდე.

იგი გადმობრუნდა, ლოგინზე ჩამოჯდა, მერე წამოდგა.

– ნახვამდის, ჯეიკ, _ მითხრა მან, _ ხელს არ ჩამომართმევ?

– რატომაც არა.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. სიბნელეში კარგად ვერ ვამჩნევდი მის სახეს.

– კარგი, _ ვთქვი მე, _ ხვალ დილით გნახავ.

_ დილით მე მივდივარ.

_ აჰა, _ ვთქვი მე.

გარეთ გამოვედი. კონი ოთახის კარში იდგა.

_ კარგადა ხარ, ჯეიკ? _ მკითხა მან.

_ მშვენივრად, _ ვუთხარი მე, _ მშვენივრად ვარ.

ერთხანს ვერ მივაგენი სააბაზანოს. ბოლოს ვნახე. ქვის დიდი აბაზანა იყო. ონკანი მოვუშვი, მაგრამ წყალი არ წამოვიდა. აბაზანის ძგიდეზე ჩამოვჯექი. როცა ავდექი და წამოსვლა დავაპირე, ვნახე, რომ ფეხსაცმელები გამეხადა. მებნა დავუწყე და ვიპოვე. წამოვიღე. ჩემი ოთახი მოვძებნე, შევედი და გაუხდელი დავეგდე ლოგინზე.

როცა გამეღვიძა, თავი მტკიოდა, ქუჩიდან ორკესტრის გრუხუნი შემოდიოდა.

გამახსენდა, რომ ედნას შევპირდი _ ბილის მეგობარს _ დილაზე ცირკისკენ ხარების გარეკვას გაჩვენებ-მეთქი. ჩავიცვი, დაბლა დავეშვი და ამ უთენია, სიცხეში გავედი.

ხალხი მოედანსა ჭრიდა და საასპარეზო არენისაკენ მიემშურებოდა. სალაროებთან

ისევ ორ მწკრივად იდგა რიგი. შვიდ საათზე ბილეთები უნდა გაეყიდათ და

ელოდებოდნენ. სწრაფად გადავჭერი მოედანი და კაფეს მივაშურე.

ოფიციატმა ამბავი დამახვედრა, თქვენი მეგობრები უკვე იყვნენ და წავიდნენო.

_ რამდენი იყო?

_ ორი ბატონი და ერთი ქალბატონი.

კარგად ყოფილა საქმე. ბილი და მაიკი მოსულან ედნასთან ერთად. წუხელ ეშინოდა, ხვალ გუნებაწამხდარი იქნებიანო. იმიტომაც შევპირდი, მე წაგიყვან-მეთქი. ყავა

დავლიე და სხვა ხალხთან ერთად მეც ხარების ბრძოლაზე გავეშურე. უკვე აღარ ვბარბაცებდი. ეგ იყო, რომ თავი მტკიოდა საშინლად. რაღაცნაირად მკაფიოდ ჩანდა

ყველაფერი და ჰაერშიაც ადრინა დილის სურნელი იდგა.

ქუჩები, ქალაქის განაპირიდან ზედ საასპარეზო მოედნამდე, სულ ტალახიანი იყო. იმ მესერის გასწვრივ, რომელიც არენას ებჯინებოდა, ხალხი იდგა. ცირკის გარეთა

ბილიკებიც და სახურავიც ხალხს გაევსო. მაშხალის ხმას ადრევე მოვკარი ყური და

ვიცოდი, რომ ხარების მირეკვას ვეღარ მივუსწრებდი, ამიტომ მეც მესერთან მდგარ

ხალხს შევუერთდი. ზედ მესერზე მიმაჭყლიტეს. ღობეებით შემოზღუდული

გასასვლელიდან პოლიცია ხალხს ერეკებოდა. ზოგი მიდიოდა, ზოგიც მირბოდა

საასპარეზო მოედნისაკენ. მორბენალი ხალხი გამოჩნდა. ვიღაც მთვრალს ფეხი

დაუცდა და დავარდა. მაშინვე დასტაცა ხელი ორმა პოლიციელმა და მესერისკენ

უბიძგა. ხალხი უკვე სწრაფად გარბოდა. მერე ერთბაშად შეჰყვირეს. სარებს შორის

გავყავი თავი და დავინახე, რომ ხარები ქუჩიდან საჩეხში შედიოდნენ. სწრაფად

გარბოდნენ, ხალხს მისდევდნენ. სწორედ ამ დროს მესერს მეორე მთვრალი მოშორდა,

ხელში პერანგი ეჭირა. მატადორის მოსასხამივით აპირებდა პერანგის გაშლას.

ხელადვე მივარდა ორი პოლიციელი, ქეჩოში სწვდნენ, ერთმა ჯოხი ჩაჰკრა, მესერს

მიახეთქეს და თვითონ წინ დაუდგნენ _ მანამ სულ არ ჩაიარეს ხარებმა და ხალხმა,

არც გაუშვიათ. იმდენი ხალხი გარბოდა ხარების წინ, რომ ჰიშკართან შეიხორხლნენ

და ისე სწრაფად ვეღარ მოახერხეს შესვლა, ხოლო როცა ლაფში ამოთხვრილმა გრუხა

ხარებმა გამოიჯლიგინეს რქების აქეთ-იქით ქნევით, ერთმა ხარმა ჩამორჩენილ

მორბენალთაგან ვიღაც კაცს რქა ამოარტყა და ჰაერში აიტაცა. რქა რომ სხეულში

შეერჭო, კაცს თავი უკან გადაუვარდა და ხელები ჩამოეკიდა. ხარმა მოიქნია და

მიწაზე დაანარცხა. ახლა ვიღაც მეორეს გამოუდგა ხარი, მაგრამ კაცი ხალხს შეერია.

ხალხმა მოასწრო ჰიშკარში შეჭრა და მოედანზე შერბენა, ხარები უკან დაედევნენ.

მოედნის წითელი კარები დაიკეტა. ცირკის გარეთ აივნებზე შეხორხლილი ხალხი

შიგნით მიაწვა. გაისმა კივილი, რასაც კიდევ კივილი მოჰყვა.

ხარის ნარქენი კაცი პირისახით ჩაფლულიყო ლაფში. ხალხი მესერზე გადაძვრა და ველარაფერი დავინახე, რადგან სქლად შემოეხვივნენ ირგვლივ. კივილი სასპარეზო მოედნიდან გამოდიოდა. თითოეული დაკივლება ხარის ხალხში შეჭრას ნიშნავდა. კივილის მიხედვით მიხვდებოდა კაცი, თუ რა ცოდვის დღე ტრიალებდა იქა. მერე ისევ გაისროლეს მაშხალა, იმის ნიშნად, რომ ხარები მოედნიდან საჩეხეში შერეკეს. მესერს მოვშორდი და ქალაქში გამოვბრუნდი.

ისევ კაფეში შევედი _ ყავის დასაღევად და კარაქწასმული ხრაშუნა პურის შესაჭმელად. ოფიციანტები იატაკს გვიდნენ და მაგიდებს წმენდდნენ. ერთი ჩემთან მოვიდა და დავუკვეთე.

_ ხომ არაფერი მომხდარა ენციერო-ს* დროს?

_ ყველაფერი არ დამინახავს. ერთი კაცი მძიმედ დაშავდა.

_ რაში?

_ აი, აქა, _ ერთი ხელი წელზე დავიდე და მეორე _ მკერდზე. იმ ადგილას, სადაც ჩემი ვარაუდით რქა უნდა გამოსულიყო. ოფიციანტმა თავი გააკანტურა და პურის ნამცეცები ხელსახოცით გადახვეტა მაგიდიდან.

_ მძიმედ დაშავებულა, _ თქვა მან, _ სულ სპორტის გულისთვის, გართობის გულისთვის!

წავიდა და ისევ მალე მობრუნდა _ გრძელყურება საყავე და სარძევე მოიტანა. რძე და ყავა დამისხა. თავი გააქნია.

_ ზურგში თუ მოხვდა, მძიმედ დაშავებულა, _ თქვა მან.

სარძევე და საყავე მაგიდაზე დადო და თვითონაც დაჯდა, _ დიდი რქა ექნებოდა.

გართობის გულისთვის! უბრალო გართობის გულისთვის! რას იტყვით, ჰა?

_ რა ვიცი.

_ ასეა. გართობისთვის. წარმოგიდგენიათ _ გართობისთვის!

_ ეტყობა, აფისიონადო არ იქნებით!

_ მე? რა არის ხარები? პირუტყვები. უბრალო პირუტყვები, _ წამოდგა და ხელი წელზე დაიდო, _ მთელი მკერდი გაუვლია. ზურგში ამოურტყამს და გულში გასულა. გართობის გულისთვის! წარმოგიდგენიათ _ გართობის გულისთვის!

თავი გააქნია და წავიდა, სარძევე და საყავე თან გაიყოლა. ქუჩაში ორმა კაცმა გაიარა. ოფიციანტმა გასძახა. დაღვრემილები ჩანდნენ. ერთმა თავი გააქნია.

_ Mუერტო! _ დაუძახა მან. გამვლელებმა გზა განაგრძეს. ეტყობოდა, საქმეზე მიემშრებოდნენ. ოფიციანტი ისევ ჩემს მაგიდასთან მოვიდა.

_ გაიგონეთ? MMუერტო. მოკვდა. მომკვდარა. რქამ მკერდში გაუარა. სულ იმისთვის, რომ დილით ცოტა გართობილიყო. Els მუყ ფლამენცო**.

_ ცუდი ამბავია.

_ არ მესმის, _ თქვა ოფიციანტმა, _ ვერ გამიგია, ეს რა გართობაა!

იმავე დღეს, მოგვიანებით, გავიგეთ, რომ მოკლული ვისენტე გირონესი ყოფილა, ტაფალადან ჩამოსული. მეორე დღეს გაზეთში წავიკითხეთ ცნობები. ოცდარვა წლის გლეხი იყო. ჰქონდა თავისი ფერმა. ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. როგორც ადრე, ისე დაქორწინების შემდეგაც ჩამოდიოდა ფიესტაზე. ერთი დღის შემდეგ ცოლი ჩამოვიდა, გამოსათხოვებლად, ხოლო მომდევნო დღეს წესი აუგეს წმინდა ფერმინის სამლოცველოში, მერე კი ტაფალას მოცეკვავეთა და მსმელთა საზოგადოებამ კუბო სადგურში წაასვენა. წინ მედოლეები მიუძღოდნენ პროცესიას, მერე სალამურის დამკვრელები მიდიოდნენ, კუბოს კი ქვრივი და ორი ბავშვი მისდევდნენ... ხოლო ამათ პამპლონის, ესტელას, ტაფალასა და სანგუერას მოცეკვავეთა და მსმელთა საზოგადოებების ის წევრები მიჰყვებოდნენ, რომელთაც დაკრძალვაზე დარჩენა

მოახერხეს. კუბო სატვირთო ვაგონში შეასვენეს, ქვრივი და ორი ბაღლი კი მესამე კლასის ღია ვაგონში შევიდნენ. ერთი კი შეინჯღრა მატარებელი და მერე რბილად დაეშვა პლატოს გასწვრივ, შეიჭრა ნიაფზე მოღალანე პურის ყანებში და ტაფალასაკენ გასწია.

იმ ხარს, რომელმაც ვისენტე გირონესი იმსხვერპლა, ბოსანეგრას ეძახდნენ, სანხეს ტაბერნოს რანჩოდან იყო ჩამოყვანილი და გამოდიოდა 118 ნომრით. ეს იყო მესამე ხარი, რომელიც იმ დღეს პედრო რომერომ მოკლა. საერთო აღტაცების შემახილები გაისმა, როცა ყური მოაჭრეს და პედრო რომეროს გადასცეს. მან კი, თავის მხრივ, ბრეტს მიაართვა, ხოლო ბრეტმა ჩემს ცხვირსახოცში შეახვია და შემდეგ ყურიცა და ცხვირსახოციც, «მურატოს» სიგარეტების ნამწვავებთან ერთად, პამპლონაში დატოვა, თავის საწოლთან მდგარ პატარა მაგიდის უჯრაში, მონტოიას სასტუმროში.

სასტუმროში რომ დავბრუნდი, ღამის დარაჯი ისევ თავის სკამზე იჯდა, კარებში.

მთელი ღამე თეთრად გაეთენებინა და თვალები ეხუჭებოდა. ჩემს დანახვაზე

წამოდგა. ჩემთან ერთად სამი ოფიციანტი გოგოც დაბრუნდა, ხარების მორეკვა

ენახათ. სიცილით ავიდნენ კიბეზე. მეც მათ ავყევი და ჩემს ოთახში შევედი.

ფეხსაცმელები გავიხადე და ლოგინზე წამოვწექი. აივნის ფანჯარა ღია იყო და მზე

კარგად ანათებდა ოთახს. სულ არ მეძინებოდა. ოთხის ნახევარი იქნებოდა, რომ

ჩამეძინა და ორკესტრმა ექვსზე გამომადვიდა. ორივე ყბა მტკიოდა. თითებით

მოვისინჯე. წყეული კონი! შემოჰკრავს ვინმეს, როცა შეურაცხყოფენ და წავა.

დარწმუნებული იყო, ბრეტს ვუყვარვარო. დავრჩებიო, იფიქრა, ჭეშმარიტი

სიყვარული მაინც გაიმარჯვებსო. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

_ შემოდით.

ბილი და მაიკი შემოვიდნენ. ლოგინზე ჩამოსხდნენ.

_ ესეც შენი ენციერო, _ თქვა ბილმა, _ ესეც შენი ენციერო.

_ არ იყავი? _ მკითხა მაიკმა, _ ბილ, დარეკე, ლუდი მოატანინე.

_ ეს რა დილა გათენდა! _ თქვა ბილმა და სახეზე ხელი ჩამოისვა, _ ღმერთო ჩემო! ეს

რა დილა გათენდა! აგერ ჩვენი ჯეიკიც. ჩვენი ჯეიკი. მოკრივეების ცოცხალი

საწვრთნელი ტომარა.

_ მოედანზე რა მოხდა?

_ ღმერთო დიდებულო! _ თქვა ბილმა, _ შენ უთხარი, რა მოხდა, მაიკ!

_ შეცვივდნენ ეს ხარები, _ მითხრა მაიკმა, _ წინ ხალხი მირბოდა. ერთ ვიღაცას ფეხი

გაუცურდა, დავარდა და ყველა მას დააწვა.

_ ხარები კი ზედ შეახტნენ, _ თქვა ბილმა.

_ კივილი გავიგონე.

_ ედნა კიოდა, _ თქვა ბილმა.

_ ვიღაცები გამოცვივდნენ. პერანგების ფრიალს მოჰყვნენ.

_ ერთი ხარი ბარიერის გასწვრივ გავარდა და სუყველანი მაღლა აფერთხა.

_ ოცამდე კაცი წაიყვანეს საავადმყოფოში, _ თქვა მაიკმა.

_ რა დილა გათენდა! _ თქვა ბილმა, _ პოლიციამ სულ დააკავა თვითმკვლელობის მოსურნე ბიჭები, თვითონვე რომ ეგებოდნენ ხარებს რქებზე.

_ ბოლოს და ბოლოს, მოზვრებმა შეიტყუეს, _ თქვა მაიკმა.

_ მთელი ერთი საათი მოუნდნენ.

_ საათის მეოთხედი! _ შეესიტყვა მაიკი.

_ ჯანდაბას შენი თავი, _ უთხრა ბილმა, _ ომში ნამყოფი ხარ! ჩემთვის ეს მთელი ორსაათ-ნახევარი იყო.

_ ლუდი სადღაა? _ იკითხა მაიკმა.

_ მშვენიერი ედნა სად დაკარგეთ?
 _ სახლში მივაცილეთ, ეს წუთია. დასაძინებლად წავიდა.
 _ მოეწონა?
 _ ძალიან. ყოველ დილით ასე ხდებოდა, ვუთხარით.
 _ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, _ თქვა მაიკმა.
 _ დაიჟინა, თქვენც ჩადით მოედანზეო, _ თქვა ბილმა, _ მოქმედება უყვარს.
 _ მე ვუთხარი, ეს ჩემი მოვალეობის მიმართ დიდი უსინდისობა იქნება-მეთქი, _ თქვა მაიკმა.
 _ რა დილა გათენდა! _ თქვა ბილმა, _ ახლა ღამე!
 _ ყბა როგორა გაქვს, ჯეიკ? _ მკითხა მაიკმა.
 _ მტკივა, _ ვუთხარი მე.
 ბილმა გაიცინა.
 _ სკამი რატომ არ სდრუზე?
 _ ადვილი სათქმელია! _ უთხრა მაიკმა, _ შენც დაგანარცხებდა. ვერც კი შევნიშნე, ისე დამარტყა. ჩემკენ წამოსული რომ დავინახე. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ შუა ქუჩაში ჩაკეცილი აღმოვჩნდი, ჯეიკი მაგიდის ქვეშ კოტრიალებდა.
 _ იქიდან სად წავიდა? _ ვკითხე მე.
 _ აჰა, _ თქვა ბილმა, _ მშვენიერმა ქალიშვილმა ლუდი მოგვართვა.
 მოსამსახურე ქალმა სინი მაგიდაზე დადო, ზედ ლუდის ბოთლები და ჭიქები ეწყო.
 _ კიდევ სამი ბოთლი მოგვიტანე, _ უთხრა მაიკმა.
 _ კონი სადღა წავიდა? მე რომ დამარტყა, იმის შემდეგ? _ ვკითხე ბილს.
 _ არ გაგიგია? _ მაიკი ლუდის ბოთლსა ხსნიდა. მერე ჭიქა ბოთლთან ახლოს მიიტანა და დაასხა.
 _ მართლა არ გაგიგია? _ მკითხა ბილმა.
 _ სად წავიდა და პირდაპირ აქეთკენ გამოქანდა, მატადორის ოთახში შევარდა და ბრეტი და ის მატადორი ერთად ნახა. ძვალა რბილად უქცია იმ უბედურ მატადორს.
 _ არა!
 _ როგორ არა.
 _ რა ღამე იყო! _ თქვა ბილმა.
 _ სიკვდილის პირას მიიყვანა უბედური. მერე ბრეტის წაყვანა დააპირა. ალბათ, გადაწყვიტა, პატიოსნების გზაზე დავაყენებო. გულისამაჩუყებელი სურათი იქნებოდა.
 ლუდი მოსვა.
 _ ვირია!
 _ მერე?
 _ ბრეტმა უბოძა საკმარისი! იცოცხლე, შეახურა. ალბათ, მშვენიერი იქნებოდა.
 _ ნამდვილად. სანაძლეოს ჩამოვალ, _ თქვა ბილმა.
 _ მერე გატყდა კონი და ტირილი ამოუშვა, ხელი ჩამომართვიო, მატადორს ჩააცივდა. ბრეტსაც გაუწოდა ჩამოსართმევად ხელი.
 _ ვიცი. მეც ჩამომართვა.
 _ მართლა? მაგრამ არ ჩამოართვეს. მატადორი ყოჩაღად მოქცეულა. კრინტი არ დაუძრავს: დავარდებოდა _ ადგებოდა, დავარდებოდა _ ადგებოდა. დიდი ხნით ვერა და ვერ გაშოტა კონმა. ძალიან სასაცილო კი იქნებოდა.
 _ თქვენ ვინ გითხრათ?
 _ ბრეტმა. ამ დილით ვნახე.
 _ მერე რა მოხდა?

– ეტყობა, ლოგინზე მჯდარა მატადორი. ხუთჯერ დასცეს და მაინც საჩხუბრად მიიწევდა. ბრეტი ჩაფრენილი ჰყავდა და არ უშვებდა. დასუსტებული იყო, მაგრამ მაინც ვერ დააკავა ბრეტმა და წამოდგა მატადორი. კონმა განაცხადა, მეტს აღარ შემოვკრავო. ასე არ შეიძლებაო. სულმდაბლობა იქნებაო. მაშინ მატადორი წაბარბაცდა მისკენ. კონი კედელს გაეკრა. «მაშ, აღარ გინდა ჩხუბი?» «არაო, _ კონმა უთხრა, _ ჩემი შერცხვენა იქნებაო.» მატადორმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სთხლიშა სახეში და მაშინვე თვითონვე ჩაიკეცა. ვეღარც წამოდგაო, ბრეტი ამბობს. კონმა დააპირა წამოყენება და ლოგინთან მიყვანა, მაგრამ იყვია _ კონმა რომ ხელი დამაკაროს, აქვე გავათავებო. სულერთია, ისედაც მოვკლავ დილაზე, თუ თავს არ უშველა და ქალაქიდან არ გაიქცაო. კონი ტიროდა, ბრეტი თათხავდა და ის იყო, ხელის ჩამორთმევა მოუწოდომა კონმა. ეს ხომ გითხარი.

– ბოლომდე უამბე, _ უთხრა ბილმა.

– ეტყობა, მატადორი ისევ იატაკზე იჯდა. ძალას იკრებდა, რათა ისევ შემოეკრა კონისათვის. ბრეტმა ხელი არ ჩამოართვა, კონი ტიროდა და ეფიცებოდა, თავდავიწყებით მიყვარხარო, ის კი უპასუხებდა _ შენ ვირი ხარო. მერე მატადორთან დაიხარა და იმას გაუწოდა ხელი. ასე ნუ დავმორდებით ერთმანეთს, რაც მოხდა, მოხდა _ დავივიწყოთო. მატადორმა ერთი კიდეც გაუშალა სახეში.

– ყოჩაღ, ბიჭო! _ თქვა ბილმა.

– კონის საქმე წასულია, _ განაგრძო მაიკმა, _ აღარ მგონია, კიდეც მოვიდეს ჩხუბის გუნებაზე.

– ბრეტი როდის ნახე?

– ამ დილით. თავისი ნივთების წასაღებად შემოვიდა. იმ რომეროს უვლის.

მეორე ბოთლიდან დაისხა ლუდი.

– ბრეტიც კარგად გაწვალდა. მაგრამ მაგას ხომ უყვარს ავადმყოფის მოვლა. ჩვენც ასე არ გავიცანით ერთმანეთი! ეგ მივლიდა.

– ვიცი, _ ვუთხარი მე.

– დავთვერი, _ თქვა მაიკმა, _ კიდეც უნდა დავლიო. ძალიან სასაცილო კია, მაგრამ თან არასასიამოვნოც არის. არასასიამოვნოა ჩემთვის.

კიდეც დალია ლუდი..

– მე ჩემი სათქმელი ვუთხარი ბრეტს. თუ ასე გადაეკიდე ებრაელებს, მატადორებს და მაგისტანა ხალხს, უბედურების მეტს არაფერს არ უნდა ელოდო-მეთქი, _ წინ გადმოიხარა, _ ჯეიკ, ხომ არ გეწყინება, შენს ბოთლსაც დავლევ? კიდეც მოიტანს.

– მიირთვი, _ ვუთხარი მე. სულერთია, მაინც არ ვსვამდი.

მაიკმა ბოთლის გახსნა დაიწყო.

– შენ ხომ არ გახსნიდი?

მავთული მოვხსენი და ლუდი ჭიქაში დავუსხი.

– იცი რა, _ განაგრძო მან, _ ძალიან კარგი იყო ბრეტი. ანკი როდის არ ყოფილა კარგი! მაგრამ შევახურე იმ ებრაელების, მატადორების და მაგნაირი ხალხის გამო და იცი რა მითხრა? _ დიახ, ბრიტანელი არისტოკრატებისგანაც ბევრი ბედნიერება ვიგემეო.

კიდეც დალია.

– კარგად კი მიპასუხა. ის ეშლი, მაგას რომ ტიტული მისცა, მეზღვაური იყო, ხომ იცი. მეცხრე ბარონეტი. შინ რომ დაბრუნდებოდა, არასდიდებით საწოლში არ დაიძინებდა. ბრეტსაც მუდამ იატაკზე აძინებდა. ბოლოს, სულ რომ წავიდა ხელიდან, მუქარა დაუწყო, მოგკლავო. გატენილ რევოლვერს ამოიდებდა სასთუმალქვეშ.

მაგრამ, როცა დაიძინებდა, ბრეტი ტყვიებს ამოაცლიდა ხოლმე. დიდი ბედნიერება არ

უნახავს ბრეტს. სამარცხვინო ამბავი კია. იმიტომაა დახარბებული ყოველგვარ სიამოვნებას.

წამოდგა. ხელები უკანკალებდა.

_ ჩემს ოთახში წავალ. იქნებ დამეძინოს.

გაიღიმა.

_ ძილი გავიუგემურეთ ამ ფიესტას გამო. უნდა დავწვე და მაგრად გამოვიძინო.

საშინელებაა უძილობა. ნერვებს გაწიწკნის.

_ შუადღისას «ირუნაში» გნახავთ, _ უთხრა ბილმა.

მაიკი გავიდა. გავიგონეთ, როგორ შევიდა მეზობელ ოთახში. დარეკა და მოსამსახურე გოგო მოვიდა, კარზე დაუკაკუნა.

_ ექვსი ბოთლი ლუდი და ერთი ბოთლი «ფუნდადორი» ამომიტანეთ, _ უთხრა მაიკმა.

_ ში, სენორიტო**.

_ მეც დავიძინებ, _ თქვა ბილმა, _ ჩვენი საბრალო მაიკი! რა ჩხუბში გავები მაგის გამო გუშინ.

_ სად? მილანის სამიკიტნოში?

_ ჰო, იქ ვილაც აღმოჩნდა, კანში ოდესღაც ბრეტისა და მაიკის ვალი გადაუხდია.

საძაგლად იქცეოდა.

_ ვიცი ეგ ამბავი.

_ მე არ ვიცოდი. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ნება, რომ მაიკი ასე თათხოს.

_ ცუდი საქმეა.

_ არავის არ უნდა ჰქონდეს ამის ნება. არავის, ქვეყანაზე. წავედი, დავიძინებ.

_ მოედანზე მოკვდა ვინმე?

_ არა მგონია, მაგრად კი დაშავდნენ.

_ შესასვლელში მოკვდა ერთი.

_ რას ამბობ?! _ თქვა ბილმა.

თავი XVIII

შუალამისას სამივემ კაფეში მოვიყარეთ თავი. ტევა არ იყო. გარნელს ვჭამდით და ლუდს ვაყოლებდით. ქალაქში ზღვა ხალხი ირეოდა. ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. ბიარიციდან და სან-სებასტიანიდან განუწყვეტლივ მოედინებოდნენ დიდი ავტობუსები და მოედნის გარშემო მწკრივდებოდნენ. ხარების ბრძოლაზე ჩამოჰყავდათ ხალხი. ტურისტების ავტობუსებიც გამოერეოდა ხოლმე. ერთმა ოცდახუთი ინგლისელი ქალი ჩამოიყვანა. დიდ, თეთრ ავტობუსში ისხდნენ და დურბინდით ათვალიერებდნენ ფიესტას. მოცეკვავეები სულ გამობრუქულიყვნენ. ფიესტის უკანასკნელი დღე იყო.

ფიესტა ზღვასავით გადაშლილიყო და ედინებოდა და ედინებოდა _ მხოლოდ შორიდან მჭვრეტელი ხალხით სავსე მანქანები და ტურისტთა ავტობუსები აჩენდნენ ამ ზღვაში პატარ-პატარა კუნძულებს. მერე მანქანები დაიცლებოდა და შორიდან მჭვრეტელებს ბრბო შთანთქავდა. ვეღარც გამოარჩევდი შემდეგ ამ ჩამოსულებს, მაგიდებთან ჯგროდ მიმსხდარ შავხალათიან გლეხებს შორის თულა შენიშნავდი ხანდახან მათ უცნაურ სპორტულ კოსტიუმებს. ბიარიცელი ინგლისელებიც კი შთანთქა ფიესტამ. თუ ძალიან ახლოს არ ჩაუვლიდი იმათ სუფრას, ვერც შენიშნავდი. დოლებს განუწყვეტლივ აბრაზუნებდნენ და საყვირებიც გამუდმებით ჭყვიტინებდა.

კაფეებში კაცები მაგიდის მგიდეს ჩაფრენოდნენ ან ერთმანეთისთვის გადაეხვიათ მხრებზე ხელები და ჩახრინწული ხმით მღეროდნენ.

– აგერ ბრეტცი, – თქვა ბილმა.

ავიხედე და მოედანზე ბრეტი დავინახე, ხალხში გზას მოიკვლევდა, თავი მაღლა აეწია – თითქოს მთელი ეს ფიესტა მის პატივსაცემად მოწყობილიყო და ეს ართობდა და სიამოვნებდა კიდეც.

– ჰელო, ბიჭებო! – თქვა მან, – გამიგონეთ, წყურვილით ხახა გამიშრა.

– კიდეც ერთი ტოლჩა ლუდი! – გასძახა ბილმა ოფიციანტს.

– გარნელიც?

– კონი წავიდა? – იკითხა ბრეტმა.

– დიახ, – უთხრა ბილმა, – მანქანა დაიქირავა.

ლუდი მოიტანეს. ბრეტმა მინის ტოლჩის აღება სცადა, მაგრამ ხელი აუკანკალდა. თვითონვე შენიშნა და გაიღიმა, მერე დაიხარა და მოსვა.

– კარგი ლუდია.

– მშვენიერი, – ვუთხარი მე. მაიკი მეცოდებოდა. არა მგონია, თუნდაც ერთი წუთით მოეხუჭოს თვალი. ალბათ იჯდა და მთელი ღამე სვამდა, მაგრამ ეტყობოდა, ახლა თავს იკავებდა.

– გავიგე, რომ კონს რაღაც უტკენია შენთვის, ჯეიკ, – მითხრა ბრეტმა.

– არა. ისე წამაქცია. მეტი არაფერი.

– პედრო რომერო კი მაგრად სცემა, – თქვა ბრეტმა, – ძალიან მაგრად სცემა.

– როგორ არის?

– ახლა არა უშავს. ოთახიდან არ გამოდის.

– სახეზე ხომ არ დაასახიჩრა?

– ძალიან. სულ დალილავებულია. ერთი წუთით გავვარდები და ბიჭებს ვნახავ-მეთქი, ვუთხარი.

– დღეს არენაზე არ გამოვა?

– ალბათ გამოვა. თუ წამიყვანთ, მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

– მეგობრები როგორა გყავს? – ჰკითხა მაიკმა. მას არ მოუსმენია ბრეტის ლაპარაკი, – ბრეტმა ახლა მატადორი ჩაიგდო ხელში. ჯერ ებრაელი ჰყავდა, გვარად კონი, მაგრამ ცუდი კაცი გამოდგა.

ბრეტი წამოდგა.

– არ მინდა ასეთი ტუტუცური ლაპარაკი მოვისმინო, მაიკლ.

– მეგობარი როგორა გყავს?

– ჩინებულად, – მიუგო ბრეტმა, – დღეს ნახავ მოედანზე.

– ცოტა ხანს ვერ გამაცილებ? რაღაც უნდა გითხრა, ჯეიკ.

– შენი მატადორის ამბავი უთხარი, – თქვა მაიკმა, – ჯანდაბამდის გზა გქონიათ შენ და იმ შენს მატადორს, – ისე ჰკრა ხელი მაგიდას, რომ ლუდის ტოლჩები და გარნელის თეფშები სულ ძირს ჩაცვივდა.

– წამოდი, – თქვა ბრეტმა, – აქაურობას გავეცალოთ.

მოედანზე რომ გავედით და ხალხს შევეერიეთ, ბრეტს ვკითხე:

– რა იყო?

– საუზმეს რომ მოვრჩებით, სადილობამდე ვეღარ შევხვდები. თავისი ხალხი მოაკითხავს, უნდა ჩააცვან. ძალიან გაბრაზებულები ყოფილან ჩემზე, თვითონვე მითხრა.

თვალები უციმციმებდა. ბედნიერი იყო. მზე კაშკაშებდა და ნათელი დღე იდგა.

– თითქოს სულ შევიცვალე, – თქვა ბრეტმა, – შენ ვერც კი წარმოიდგენ, ჯეიკ.

_ ჩემთან რა გინდოდა, ხომ არაფერს მავალე?

_ არაფერს. ცირკში წავიდეთ ერთად.

_ საუზმეზე გნახავ.

_ არა, ჩვენ ცალკე ვისაუზმებთ.

კოლონადის ძირში ვიდექით, სასტუმროს შესასვლელთან. მაგიდები გამოჰქონდათ და სვეტების ძირში დგამდნენ.

_ ბალისკენ არ გავიაროთ? ჯერ არ მინდა მაღლა ასვლა. მგონი, სძინავს.

თეატრს ჩავუარეთ, მოედანი გადავჭერით, ბაზარსაც გავცდით და ღუქების გასწვრივ მიმავალ ხალხს მივყევით. მივადექით ქუჩას, რომელიც პასეო დე სარასატესკენ მიდიოდა. გამოჩნდა მოხდენილად ჩაცმული ხალხი, პარკის ბოლოში სეირნობდნენ.

_ იქით ნუ წავალთ, _ თქვა ბრეტმა, _ ახლა არ მინდა, რომ ყურება დამიწყონ.

მზეში ვიდექით. ზღვიდან წამოსული ღრუბლებისა და წვიმის შემდეგ გამოიდარა და უკვე ცხელოდა.

_ იმედი მაქვს, ქარი ჩადგება, _ თქვა ბრეტმა, _ ქარი ხელს შეუშლის.

_ მეც ვფიქრობ, რომ ჩადგება.

_ კარგი ხარებიო, ამბობს. ეს სან-ფერმინია?

ბრეტი სამლოცველოს ყვითელ კედელს შეჰყურებდა.

_ ჰო. მანდედან დაიწყო კვირას პროცესია.

_ შევიდეთ, არ გინდა? ცოტას ვილოცებ იმაზე და ისედაც.

შევალეთ ტყავადაკრული, მძიმე, მაგრამ ადვილად გასაღები კარი. შიგნით ბნელოდა.

მლოცველები ბლომად იყვნენ. თვალი რომ შეეჩვია სიბნელეს, მერე უფრო

გამოჩნდნენ. გრძელ ხის სკამთან დავიჩოქეთ. ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ბრეტი გაჭიმულიყო და პირდაპირ იყურებოდა.

_ წამოდი, _ ჩახრინწული ხმით წამჩურჩულა მან, _ გავიდეთ აქედან. ნერვები მომეშალა.

მზით გავარვარებულ ქუჩაში რომ გამოვედით, ბრეტმა ქარით მოქანავე ხის კენწეროებს შეხედა. ლოცვას მაინცდამაინც ვერ დაემშვიდებინა.

_ ვერ გამოგია, რატომ ვნერვიულობ ხოლმე ეკლესიაში, _ თქვა ბრეტმა, _ არასოდეს არა მშველის.

ჩვენ გზა განვაგრძეთ.

_ სულ არ ვვარგევარ რელიგიური განწყობისათვის, _ თქვა ბრეტმა, _ შესახედაობა არ მაქვს შესაფერი... იცი რა, _ თქვა მან, _ სულაც არ ვდელავ, იმის არენაზე გამოსვლას რომ გავიხსენებ. ბედნიერებასა მგვრის მასზე ფიქრი.

_ ასე სჯობია.

_ მაგრამ ქარი მაინც ჩადგეს ნეტავ...

_ ეტყობა, ხუთი საათისთვის ჩადგება.

_ ნეტავ მართლა.

_ ღმერთისთვის უნდა გეთხოვა, _ გავიცინე მე.

_ ჩემსას მაინც არ შეისმენდა, _ თქვა ბრეტმა, _ არ მახსოვს, როდესმე ამსრულებოდეს. შენ?

_ რა თქმა უნდა.

_ სისულელეა, _ თქვა ბრეტმა, _ თუმცა მაინც ვინ იცის, ზოგს იქნებ უსრულდება კიდევ. შენ არა გაქვს მაინცდამაინც ღვთისმოსავი კაცის სახე.

_ ნამდვილად ღვთისმოსავი ვარ.

_ სისულელეა, _ თქვა ბრეტმა, _ მოდი, ახლა ნუ დავდებთ თავს მორწმუნეობაზე. ისედაც არ უჩანს კარგი პირი დღევანდელ დღეს.

კონთან ერთად რომ წავიდა, მას შემდეგ პირველად ვხედავდი ძველებურად ბედნიერსა და უზრუნველს. ისევ სასტუმროსთან დავბრუნდი. მაგიდები სულ გამოელაგებინათ და ზოგს შემოსჯდომოდა კიდეც ხალხი, საუზმობდნენ.

_ მაიკს ყურადღება მიაქცეი, _ თქვა ბრეტმა, _ ძალიან ნუ ააშვებინებ თავს.

_ თქვენი მეგობრები ზევით წავიდნენ, _ გვითხრა გერმანელმა მეტრდოტელმა ინგლისურად. სულ მოყურადება იცოდა ამ კაცმა. ბრეტი მიუბრუნდა.

_ დიდი მადლობელი ვარ. კიდეც ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი?

_ არა, მადამ.

_ მაშ კარგი, _ უთხრა ბრეტმა.

_ მაგიდა შეგვინახე სამი კაცისათვის, _ ვუთხარი მე გერმანელს.

მან გამიღიმა თავისი ბილწი, გაპრანჭული ღიმილით.

_ მადამი აქ მიირთვა?

_ არა, _ უთხრა ბრეტმა.

_ მაშინ, ვიფიქრო, ერთი მაგიდა ორის გეყო.

_ ნულარ ელაპარაკები, _ მითხრა ბრეტმა, _ მაიკმა ალბათ კიდეც აურია, _ თქვა მან, როცა ზემოთ ავდიოდით. კიბეზე მონტოია შემოგვხვდა. თავი დაგვიკრა, მაგრამ აღარ გაგვიღიმა.

_ კაფეში გნახავ, _ მითხრა ბრეტმა, _ დიდი მადლობელი ვარ, ჯეიკ. ჩვენს სართულზე შევჩერდით. იგი პირდაპირ რომეროს ოთახისაკენ გაემართა. არ დაუკაკუნებია. შეაღო კარი, შევიდა და მოიკეტა.

მე ერთხანს მაიკის ოთახთან ვიდექი, მერე კარზე დავაკაკუნე. არავის უპასუხია. სახელური გადავატრიალე და კარი გაიღო. ოთახი სულ არეულ-დარეული იყო, ჩემოდნები _ დაღებული, ტანსაცმელი _ მიყრილ-მოყრილი. საწოლთან ცარიელი ბოთლები ეწყო. მაიკი იწვა და მკვდრის ნიღაბსა ჰგავდა. თვალი გაახილა და შემომხედა.

_ ჰელო, ჯეიკ, _ თქვა მან მძიმედ, _ წავიძინო მინდა. რამდენი ხანია წ-წამინებას ვ-ვცდილობ.

_ რამეს დაგახურავ.

_ არა, არ მცია. ნუ წახვალ, ჯერ არ დ-დამიძინია.

_ ახლავე დაგეძინება, ნუ მოიწყენ, გენაცვალე.

_ ბრეტმა მატადორი ჩაიგდო ხელში, _ თქვა მაიკმა, _ ებრაელი კი გაექცა. თავი მოაბრუნა და შემომხედა, _ ჩინებული საქმეა, ჰა!

_ კი. ახლა დაიძინებ, მაიკ. ცოტა უნდა გამოიძინო.

_ მგონი ვ-ვიძინებ. მინდა ცოტა გამოვიძინო.

კვლავ დახუჭა თვალები. ოთახიდან გამოვედი და კარი უხმაუროდ მივხურე. ბილი ჩემს ოთახში დამხვდა, გაზეთს კითხულობდა.

_ მაიკი ნახე?

_ ვნახე.

_ წავიდეთ, ვისაუზმოთ.

_ აქ არ ვისაუზმებ. ეს გერმანელი ძალიან თავს იგდებდა, მაიკი რომ ამომყავდა კიბეზე.

_ ჩვენთანაც აიგდო თავი.

_ წავიდეთ, ქალაქში ვისაუზმოთ.

დაბლა დავეშვით. კიბეზე გოგო შემოგვხვდა, ხელსახოცგადაფარებული სინი მიჰქონდა.

_ ბრეტის საუზმე მიაქვთ, _ მითხრა ბილმა.

_ და იმ ბიჭისა, _ ვთქვი მე.

დაბლა რომ ჩავედით, გერმანელი გამოემართა ჩვენკენ. ღაჟღაჟა ლოყები უპრიალებდა. ახლაც თავაზიანად მოგვმართა:

_ მაგიდა შეგინახა ორი ჯელტმენის, _ თქვა მან.

_ თქვენ თვითონვე დაჯექით, _ უთხრა ბილმა. ქუჩის მეორე მხარეს გადავედით.

მოედნის მახლობლად შევედით რესტორანში, ერთ პატარა ქუჩაზე. სულ მამაკაცები შემოსხდომოდნენ სუფრებს. კვამლით გამოვსებულ რესტორანში დიდი სმა და სიმღერა გაეჩაღებინათ. მშვენიერი კერძები ჰქონდათ, ღვინოც კარგი იყო. ჩვენ ბევრი არ გვილაპარაკია. ნასადილევს კაფეში შევედით და იქიდან შევყურებდით, როგორ სულ გადაირია და ადუღდა ფიესტა. მალე ბრეტიც მოვიდა. მაიკის ოთახში შეეხედა და სძინავსო, თქვა.

ფიესტა კი დუღდა და გადადიოდა, ყოველგვარ საზღვარს გადასცდა, საასპარეზო მოედნისაკენ დაიძრა და ამ ზღვა ხალხს ჩვენც შევუერთდით. ბრეტი პირველ რიგში იჯდა, ბილსა და ჩემ შუა. ზედ ჩვენ წინ კალეხონი იყო _ გასასვლელი პირველ რიგსა და ხის წითელ მოაჯირს შორის. ჩვენ უკან ბეტონის გრძელი სკამები უკვე ხალხს გაევსო. სულ წინ, მოაჯირის გადაღმა, დატკეპნილ სილის მოედანს ყვითელი ფერი დაჰკრავდა. წვიმის შემდეგ ცოტა მძიმე ჩანდა მოედანი, მაგრამ მზეს კარგად გამოეშრო და გაემაგრებინა. კალეხონში მატადორების მსახურებმა და ცირკის მუშებმა ჩაიარეს _ მხარზე დაწნული კალათები მოეგდოთ, რომელშიაც მჭიდროდ შეხვეული გასისხლიანებული მოსასხამები და მულეტები ეწყო. მატადორის ფარეშებმა ტყავის მძიმე შალითები მოაჯირებს მიაყუდეს და გახსნეს _ გამოჩნდა მახვილები, რომელთაც ვადებზე წითელი ნაჭრები ჰქონდა შემოხვეული. მერე შავად დალაქავებული წითელი მულეტები გაშალეს და აქა-იქ ჯოხები ჩაარჭვეს, რათა ქსოვილი გაჭიმულიყო და მატადორსაც ხელის მოსავლები ჰქონოდა. ბრეტი გაფაციცებით უყურებდა. მატადორის ხელობის წვრილმანებში შთაინთქა.

_ ყველა მოსასხამსა და მულეტაზე მისი გვარია ამოქარგული, _ თქვა მან, _ მულეტას რად ეძახიან?

_ რა ვიცი.

_ ნეტავ თუ როდესმე რეცხავენ?

_ არა მგონია, რეცხვა გაახუნებს.

_ სისხლი ალბათ უფრო ამაგრებს, _ თქვა ბილმა.

_ რა სასაცილოა, _ თქვა ბრეტმა, _ არაფრადაც რომ არ აგდებ სისხლს!

დაბლა, კალეხონის ვიწრო გასასვლელში, მატადორის მსახურებმა ყველაფერი მოამზადეს. ადგილები სულ გაივსო. ზემოთ ლოჟებშიაც აღარ იყო ტევა.

პრეზიდენტის ლოჟის გარდა ერთ თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდი. პრეზიდენტი რომ მოვიდოდა, დაიწყებდნენ კიდეც. დატკეპნილი სილის გადაღმა, საჩეხების მაღალ ჭიშკართან, მატადორები იდგნენ, ხელზე მოსასხამები გადაეგდოთ და მოედანზე გამოსასვლელი ნიშნის მოლოდინში ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ბრეტი მათ დურბინდით შესცქეროდა.

_ არ გინდა, შეხედო?

დურბინდით გავხედე და სამივე მატადორი დავინახე. შუაში რომერო იდგა,

მარცხნივ ედგა ბელმონტე და მარჯვნივ _ მარსიალი. უკან ბანდერილეროები

გაწკაპულიყვნენ, ხოლო კიდეც უფრო მოშორებით, საჩეხის ფართო შემოსასვლელში,

პიკადორები დავინახე. რომეროს შავი კოსტიუმი ეცვა. სამკუთხა ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა. ქუდის ჩრდილში გარკვევით ვერ გავარჩიე მისი სახე, მაგრამ ეტყობოდა, მაგრად იყო დალილავებული. პირდაპირ იყურებოდა, სივრცეში. მარსიალს სიგარეტი ჰქონდა ჩამჯილული და ჩუმად ქაჩავდა. ბელმონტიც წინ იყურებოდა, გაფითრებულ-გაყვითლებული სახე უჩანდა, მგლის ყბა კიდევ უფრო წინ გამოშვეროდა. იყურებოდა, მაგრამ არაფერს უყურებდა, ეტყობოდა, რომ არც მას და არც რომეროს არავითარი კავშირი არა ჰქონდათ დანარჩენებთან. ისინი ცალკე იყვნენ. პრეზიდენტის მოვიდა _ ჩვენ ზემოთ ტაშმა იგრიალა, დურბინდი ისევ ბრეტს დავუბრუნე. კიდევ იქუხა ტაშმა. დაუკრეს მუსიკა. ბრეტი დურბინდით იყურებოდა. _ აბა, გამომართვი, _ მითხრა მან.

დურბინდით დავინახე, რომ ბელმონტე რაღაცას ეუბნებოდა რომეროს. მარსიალი გასწორდა, სიგარეტი გადააგდო, თავი ასწიეს და სამი მატადორი ხელის ქნევით ადგილიდან დაიძრა. მათ მოჰყვებოდა მთელი პროცესია, ჯერ კუადრილი _ ფეხშეწყობილად მოდიოდნენ, გაჯგიმულიყვნენ, მოსასხამები ცალ მკლავზე გადაეგდოთ, მეორე ხელს კი განუწყვეტლივ აქნევდნენ. ამათ მოსდევდნენ პიკადორები, რომელთაც თავიანთი პიკები შუბებივით შეემართათ. სულ უკან კი ჯორების ორი მწკრივი და ცირკის მუშები მოჰყვებოდნენ. პრეზიდენტის ლოჟის წინ სამივე მატადორმა დახარა თავი, ოღონდ ქუდები არ მოუხდიათ, მერე წამოვიდნენ და ჩვენ წინ ჩაიარეს. პედრო რომერომ თავისი მძიმე, ოქრომკედით მოქარგული მოსასხამი მსახურს გადასცა და რაღაც უთხრა. ზედ ჩვენ პირდაპირ იდგა და შევნიშნეთ, რომ ტუჩები დასივებოდა, თვალები დალილავებული ჰქონდა და გაფითრებული სახე შეშუპებოდა. მსახურმა ჩამოართვა მოსასხამი, ბრეტისკენ გამოიხედა, მივიდა და ბრეტს გადასცა.

_ შენ წინ გაშალე, _ ვუთხარი ბრეტს.

ბრეტი წინ გადაიხარა. მოსასხამი მძიმე იყო და ოქრომკედს გაეხეშეშებინა. მსახურმა მოიხედა, თავი გააქნია და რაღაც ჩაილაპარაკა. ჩემი მეზობელი ბრეტისკენ გადმოიხარა.

_ ნუ გაშლითო, _ უთხრა მან, _ იმას სურს, დაკეცილი გედოთ კალთაში.

ბრეტმა დაკეცა მძიმე მოსასხამი.

რომეროს ჩვენკენ არ გამოუხედავს, ბელმონტეს ელაპარაკებოდა. ბელმონტემ თავისი საპარადო მოსასხამი მეგობრებს გაუგზავნა. ახედა და მგლური ღიმილით გაუღიმა, მარტო ტუჩებით იღიმებოდა. რომერო მოაჯირზე გადმოიხარა და წყლის დოჟი მოითხოვა. მსახურმა მიუბრუნინა. საბრძოლო მოსასხამის კალთას დაასხურა წყალი, მერე ქვემოთა ნაწილი სილაზე დაუშვა და ფეხით გათელა.

_ რას აკეთებს? _ მკითხა ბრეტმა.

_ ამძიმებს, რომ ქარში არ იფრიალოს.

_ სახეზე რაღაც არ მომწონს, _ თქვა ბილმა.

_ ძალიან ცუდად გრძნობს თავს, _ თქვა ბრეტმა, _ წესით ლოგინში უნდა იწვეს.

პირველი ხარი ბელმონტეს ერგო. ძალიან კარგად იბრძოდა. მაგრამ რაკი თითოეულ გამოსვლაში იგი ოცდაათი ათას პესეტს იღებდა, ხოლო ხალხი მთელ ღამეს ბილეთების რიგში ათენებდა, მაყურებელი ამას როდი დაჰყაბულდა. ძალიან კარგი არ გამოდგა საკმარისი, კიდევ უფრო უკეთესად უნდა იბრძოლოსო. ბელმონტეს ბრძოლის მთელი ემზი ის არის, რომ ხართან ახლოს მუშაობს. ხარების ბრძოლაში ორი ტერმინი აქვთ _ ხარის ტერიტორია და მატადორის ტერიტორია. როცა მატადორი თავის ტერიტორიაზე იბრძვის, საშიშროება იმდენად არ ემუქრება, მაგრამ გადაინაცვლებს თუ არა ხარის ტერიტორიაზე, დიდ განსაცდელში იგდებს თავს.

როცა ბელმონტე ქუხდა, მუდამ ხარის ტერიტორიაზე იბრძოდა. ამით იგი ხალხს სულ მოსალოდნელი ტრაგედიის მოლოდინში ამყოფებდა. ხალხი ხარების ბრძოლაზე იმიტომ დადიოდა, რომ ჯერ ერთი, ეყურებინა ბელმონტეს ბრძოლისათვის, განეცადა მოსალოდნელი ტრაგედიის თრთოლა და ენახა თვით სიკვდილიც ბელმონტესი. თხუთმეტი წლის წინ გაიძახოდნენ _ ბელმონტეს ნახვა თუ გინდა, ჩქარა მოასწარი, მანამ ცოცხალიაო. მას შემდეგ ათასზე მეტი ხარი მოკლა. ერთი პირობა, ჩამოშორდა კიდეც ცირკს და მაშინ ლეგენდებიც გავრცელდა მისი ბრძოლის შესახებ, ხოლო როცა ხელახლა გამოვიდა მოედანზე, მაყურებელი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ვერც ერთი მატადორი და მათ შორის თვით ბელმონტეც კი, ისე ახლოს ვერ იბრძოდა ხართან, როგორც ამას ლეგენდა გადმოსცემდა.

გარდა ამისა, ბელმონტემ თავისი პირობების წამოყენებაც დაიწყო. დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისთვის მაინცდამაინც დიდი ხარები არ ერგუნებინათ და თან რქებიც არ ჰქონოდათ ძალიან საშიში. ამგვარად მოსალოდნელი ტრაგედიის განცდა ქრებოდა და ხალხი, რომელიც ფისტულით დაავადებული მატადორისაგან სამჯერ იმაზე უფრო მეტს მოითხოვდა, ვიდრე ბელმონტეს ადრე შეეძლო ეჩვენებინა, თავს მოღორებულიად და მოტყუებულად თვლიდა. ზიზღმა ყბა კიდეც უფრო წინ გამოუწია ბელმონტეს, სახეზე სიყვითლე გადაეკრა, ტკივილი სულ უფრო და უფრო გაუმწვავდა და დიდი გაჭირვებით იბრძოდა. ბოლოს და ბოლოს, ხალხი უფრო ენერგიულად ამჟღავნებდა თავის გაგულისებას, მატადორის სახე კი კვლავ გულგრილ ზიზღს გამოხატავდა. ეგონა, ეს მისთვის უდიდესი დღე იქნებოდა, მაგრამ სწორედ ეს დღე იქცა მისი დაცინვის, შეურაცხყოფელი შეძახილების, ხოლო საბოლოოდ _ მუთაქების, პურის ნატეხებისა და ბოსტნეულის დაშენის დღედ და ეს ყველაფერი ხდებოდა სწორედ იმ მოედანზე, სადაც მას არაერთხელ ეზიმა უდიდესი გამარჯვება. ყბა კიდეც უფრო წამოუგრძელდა. ზოგჯერ, როცა განსაკუთრებით შეურაცხყოფელ რამეს დაუძახებდნენ, თავს მოატრიალებდა და ღიმილის ნიშნად კბილებს დაკრეჭდა. ტკივილი კი, რომელსაც ყოველი მოძრაობა იწვევდა, სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ბოლოს მის ყვიციან სახეს პერგამენტის ფერი დაედო, ხოლო როცა მეორე ხარიც მოკლა და ხალხმაც გული იჯერა პურისა და მუთაქების დაშენით, როცა პრეზიდენტსაც მიესალმა თავისი მგლური ღიმილით, რომლის დროსაც თვალები ზიზღს აფრქვევდა, მახვილი მსახურს გადააწოდა გასაწმენდად და ქარქაშში ჩასაგებად, თვითონ კი კალეხონში შეძვრა, ჩვენ ქვემოთ და მოაჯირს მიაწვა _ თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული. არც ხედავდა რამეს, არც არაფერი ესმოდა, საშინელი ტკივილის მეტს ვედარაფერს გრძნობდა. ბოლოს თავი ასწია და წყალი ითხოვა. ცოტა მოსვა, პირში გამოივლო, უკანვე გადმოასხა, მოსასხამი აიღო და ისევ არენაზე გამოვიდა.

რაკი ბელმონტეს ასე აუხირდა ხალხი, მით უფრო დაუჭირეს მხარი რომეროს. გავიდა თუ არა ბარიერიდან და ხარისკენ გაემართა, ტაში აღარ დამცხრალა. ბელმონტეც შესცქეროდა რომეროს, თვალი არც მოუშორებია, ოღონდ ფარულად შესცქეროდა. მარსიალს ყურადღებასაც არ აქცევდა. წინასწარვე იცოდა, რისი გამკეთებელიც იყო მარსიალი. იმიტომაც დაბრუნდა არენაზე, რომ მარსიალს შეჯიბრებოდა, გამარჯვებაში თავიდანვე იყო დარწმუნებული. ეგონა, მარსიალსა და დეკადენტური სკოლის სხვა ვარსკვლავებს შევხვდები და ძველი სკოლის მუშაობის გულწრფელობა და სისადავე ისე გადასწონის დეკადენტების ყალბ სილამაზეს, რომ მოედანზე ჩემი უბრალო გამოჩენაც კი საკმარისი იქნებაო, მაგრამ რომერომ გაუფუჭა საბრძოლო არენაზე ხელახლა გამოსვლა. რომერო მუდამ აკეთებდა (და აკეთებდა მშვიდად,

თანაბრად და ლამაზად) იმას, რასაც ბელმონტე ახლა ზოგჯერ თულა მოახერხებდა. მაყურებელი გრძნობდა ამას, ბიარიცელებიც კი გრძნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, თვით ამერიკელმა ელჩმაც იგრძნო. ამ შეჯიბრებაში ბელმონტე ვერ გაჰყვებოდა რომეროს, რადგან ეს ან მძიმე დასახიჩრებით, ან სიკვდილით დამთავრდებოდა. ძველი ძალა აღარ მოსდევდა ბელმონტეს, მოედანზე ძველებური აღფრთოვანების წუთებსაც ვეღარ განიცდიდა, იმედიც აღარ შერჩა, რომ ოდესმე დაუბრუნდებოდა ასეთი აღზევება. ყველაფერი შეიცვალა და სიცოცხლის გზნება მხოლოდ ხანდახან თუ აუფეთქებდა გულს. ზოგჯერ ხარებთან ბრძოლის დროსაც იფეთქებდა ძველი დიდების ნაპერწკალი, მაგრამ რაღა ფასი უნდა ჰქონოდა _ ასეთი მომენტები წინასწარვე ჰქონდა გათვალისწინებული, როცა ავტომობილიდან ჩამოყვანილ ხარებში თავისი შესაფერისები გამოარჩია: ორი პატარა, თვინიერი, თითქმის ურქო ხარი. ასე რომ, როცა კვლავ იფეთქებდა იმ ძველი დიდების ნაპერწკლები, რასაც იმავე წუთებშიაც კი განუწყვეტელი ტკივილი უკარგავდა გემოს, მან იცოდა, რომ ეს წინასწარვე გათვალისწინებული, გაყიდული იყო და აღარავითარ კმაყოფილებას აღარ ანიჭებდა. თითქოს ესეც დიდება იყო, მაგრამ ის ძალა აღარ ჰქონდა, რომ ხარების ბრძოლა კვლავინდებურად ბედნიერებად და სიხარულად ექცია მისთვის. პედრო რომერო მართლაც ეწია დიდებას. მას უყვარდა ხარებთან ბრძოლა. მე დავრწმუნდი, რომ ხარებიც უყვარდა და იმაშიაც დავრწმუნდი, რომ ბრეტიც შეჰყვარებოდა. მთელი დღე სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ჩვენ პირდაპირ გადმოეტანა ბრძოლა. ზევით ერთხელაც არ ამოუხედავს. ასე უფრო მტკიცედ იბრძოდა და არა მარტო ბრეტისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც. რაკი ზევით არ ამოუხედავს და არ შეუმოწმებია _ მოსწონს თუ არაო, იგი ყველაფერს საკუთარი თავისთვის აკეთებდა და ეს ძალას მატებდა, მაგრამ ამავე დროს ბრეტის ეშხითაც მოქმედებდა. ოღონდ მაშინვე იგრძნობდი, რომ ამით თავს არას ავნებდა. სწორედ ამით მიაღწია იმ დღეს დიდებას.

პირველი «ქუიტე»* სწორედ ჩვენ წინ შეხვდა რომეროს. სამივე მატადორი დგას და შეჰყურებს _ როდის გაქანდება ხარი პიკადორისაკენ. გაქანდება თუ არა ხარი, მაშინვე მატადორმა უნდა შეიპყროს. ეს ხდება რიგრიგობით _ თითოეულ შეტევაზე თითო მატადორის ჯერია. პირველად ბელმონტეს ერგო. მეორედ _ მარსიალს. მერე რომეროს ჯერი დადგა. ცხენის მარცხნივ იდგნენ სამივენი. თვალზე ქუდჩამოფხატული პიკადორი ცხენზე იჯდა და წაწვეტებულბუნიკიან პიკს ხარს უღერებდა, მარცხენა ხელში სადავე ეჭირა _ ამოჰკრა ცხენს დეზები და ხარისკენ მისწია. ხარი შეჰყურებდა. გეგონებოდა, თეთრ ცხენს უმზერსო, მაგრამ სინამდვილეში პიკის წაწვეტებულ ბუნიკს შეჰყურებდა. რომერომ შენიშნა, რომ ხარმა თავის მობრუნება იწყო. ცხენისკენ გაქანებას სულაც არ აპირებდა. მოსასხამი ააფრიალა და წითელი ფერით მიიზიდა ხარი. ხარმა გაიწია, გაქანდა, მაგრამ წითლად აელვარებული მოსასხამის ნაცვლად მის წინ უცბად თეთრი ცხენი აღმოჩნდა, პიკადორი გვერდულად გადაიხარა და კაკლის გრძელი შუბი, რომელსაც ლითონის წაწვეტებული ბუნიკი ჰქონდა დამაგრებული, ხარს ამოხნექილი ქედის კუნთში აძგერა, ცხენი სულ გვერდზე მიიღრიცა, თვითონ კი ზემოდან დააწვა შუბს და კიდევ უფრო ღრმად ჩაარჭო, ბუნიკი ბეჭში წავიდა და ბელმონტესათვის განკუთვნილი ხარი სისხლით შეიღება.

ხარი არ გაუმწარებია ჩხვლეტას. ეტყობოდა, არც აპირებდა ცხენისთვის შეტევას. მობრუნდა და მოშორდა ცხენსა და პიკადორს. რომერომ ისევ გაიტყუა თავისი მოსასხამით _ დინჯად და თანაბარი მოძრაობით, მერე შეჩერდა, პირდაპირ დაუდგა ხარს და მოსასხამი მიუშვირა. ხარმა კუდი აგრიხა და გაქანდა. რომერომ ხელი აუქნია

და ადგილზე გაქვავდა. ნესტიანი და ტალახით დამძიმებული მოსასხამი გაიჭიმა და მერე აფრასავით გამოიბერა, რომერო ზედ ცხვირწინ დაუტრიალდა და პირისპირ დაუდგა ხარს! ილიმებოდა. ხარმა კიდეც გაიწია და მოსასხამიც ისევ ისე გამოიბერა, ოღონდ ახლა მეორე მხარეს. ისე ახლო უშვებდა რომერო ხარს, რომ კაცი, ხარი და მოსასხამი, რომელიც წარამარა ფრიალებდა ხარის ცხვირწინ, თითქოს მკვეთრ ხაზშემოვლებულ ერთ მთლიან მასად იქცა. ეს ისე დინჯად და გულდამშვიდებით ხდებოდა, თითქოს რომერო ხარს ნაზად არწევს, რომ დაადინოსო. ოთხჯერ გააკეთა ამგვარი ვერონიკა* და მერე ნახევარ წრედ შემობრუნდა, ხარს ზურგიდან მოექცა, მოსასხამი ცალ ხელზე გადაიგდო, მეორე წელზე შემოიღო და ტაშის გრიალში ხალხისკენ გაემართა. ხარი იდგა და შეჰყურებდა.

საკუთარ ხარებთან უნაკლოდ იბრძოდა. პირველი ხარი კარგად ვერ ხედავდა. ერთი-ორჯერ რომ აუფრიალა მოსასხამი, რომერო დარწმუნდა, რომ ხარი ცუდად ხედავდა. რაღა გზა იყო _ ამას შეუგუა ბრძოლის ხერხები. ვერ გამოვიდა ბრწყინვალე ბრძოლა. ეს იყო, რომ უნაკლოდ ასრულებდა ყველაფერს. ხალხი ხარის შეცვლას მოითხოვდა. სამინელი აურზაური ატყდა. ხარი რომ ფერს ვერ არჩევს, ბრძოლა ვერაფერიშვილი გამოვა. მაგრამ პრეზიდენტმა არ გასცა ხარის შეცვლის ბრძანება.

_ რატომ არ შეცვლიან ხარს? _ იკითხა ბრეტმა.

_ იმიტომ, რომ ფული აქვთ გადახდილი. ფულის დაკარგვა ენანებათ.

_ ეგ რა სამართალია!

_ ხარი ფერს ვერ არჩევს და ეგ კი მაინც რა კარგად მუშაობს.

_ ამისთანა რამეების ყურება არ მიყვარს.

მართლაც ძნელია ამისთანა რამისთვის ცქერა, თუკი რადმე მიგაჩნია ის, ვინც არენაზე იბრძვის. რაკი მოსასხამისა და მულეტის ფერს ვერ არჩევდა ხარი, რომერო იძულებული გახდა თავისი სხეულით გაელიზიანებინა. ზედ უნდა აკვროდა ხარს, რომ სხეული დაენახებინა. როცა ხარი გამოქანდებოდა, მულეტით უნდა მოეგერიებინა და მერე კლასიკური ილეთებით დაემთავრებინა. ბიარიცელებს არ მოეწონათ. იფიქრეს, მატადორს შეეშინდაო, რადგან როცა სხეულის ნაცვლად მულეტას მიუშვერდა ხარს, ოდნავ განზე გადგებოდა. იმათ უფრო ის მოსწონდათ, როცა ბელმონტე ბაძავდა ხოლმე თავისივე თავს, ან მარსიალი _ ბელმონტეს.

ბიარიცელ ტურისტთაგან სამი ჩვენ უკან იჯდა.

_ ამ ხარმა როგორ შეაშინა? ისე სულელია, რომ მარტო მულეტას ეტანება.

_ ახალგაზრდა მატადორია. ჯერ კარგად არ იცის.

_ ალბათ ღელავს ახლა.

მოედნის ცენტრში კი რომერო, სულ მარტოდმარტო, იმეორებდა იმავე ილეთებს _ ისე ახლო მიდიოდა ხართან, რომ ხარი უკვე გარკვევით ხედავდა. მიუშვერდა სხეულს, ისევ და ისევ მიუშვერდა, ხარი გამოლენჩებული თვალებით შესცქეროდა, მერე სულ ზედ მიეკრა რომერო და ხარმაც იფიქრა, უკვე ჩემი არისო _ თავი დალუნა და სამგერებლად მოემზადა, მაგრამ უცებ ისევ წითელი მულეტა აუფრიალა ცხვირწინ იმ ნელი, ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით, რაც ასე აზრაზებდათ ბიარიცელ ტავრომახიის სპეციალისტებს.

_ ახლა მოკლავს, _ ვუთხარი ბრეტს, _ ხარი ისევ მაგრად დგას, არ დაქანცა.

მოედნის შუაგულში ხარის პირდაპირ გაჩერდა, მახვილი მულეტის ნაოჭებიდან ამოაძრო, თითის წვერებზე შედგა და დაუმიზნა. რომერო რომ გაქანდა, ხარმაც ისკუპა. მარცხენა ხელით მულეტა დააფარა რომერომ თვალებზე და დააბრმავა, მარცხენა მხრით წინ გაიწია, ხარის რქებს შორის მოექცა, ზემოდან გადაიზნიქა და იმავე წუთში ხარი და იგი ერთ სხეულად იქცნენ, მაშინვე მარჯვენა ხელი ზევიდან

გადაატარა და ბეჭებს შორის ჩაურჭო მახვილი. «სხეული» ისევ დაიშალა. რომერომ ოდნავ ჰკრა ხელი ხარს და გამოვიდა, იქვე დადგა, ცალი ხელი ზე აღმართა და ხარს მიაშტერდა, ცალ მხარეს პერანგის მკლავი გახეოდა და თეთრად უფრიალებდა ქარში. ხარს კი მახვილის წითელი ტარი ბეჭებს შორის გამოსჩროდა, თავი ჩაელუნა და ფეხებიც ეკეცებოდა.

_ საცაა დავარდება, _ თქვა ბილმა.

რომერო ისე ახლოს იდგა, რომ ხარი ხედავდა. ხელი კვლავ აწეული ჰქონდა, ისე გამოელაპარაკა ხარს. ხარმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მერე თავი წინ გამოსწია და ნელ-ნელა გადაიხარა ცალ გვერდზე, ბოლოს მოწყვეტით დავარდა ზურგზე და ოთხივე ფეხი ჰაერში აფშკა.

რომეროს მახვილი მიაწოდეს. მან მახვილი დაბლა დაუშვა, მულეტა მეორე ხელში დაიჭირა და პრეზიდენტის ლოჟისკენ გაემართა. თავი დახარა, გასწორდა, მოაჯირს მოადგა და მახვილი და მულეტა მსახურს გადმოაწოდა.

_ ცუდი ხარი იყო, _ უთხრა მსახურმა.

_ ოფლში გამღვარა, _ თქვა რომერომ. სახე მოიწმინდა. მსახურმა დოქით წყალი გადააწოდა. რომერომ ტუჩები მოიწმინდა. დოქით რომ მოსვა წყალი, ეტკინა. ჩვენკენ არ მოუხედავს.

მარსიალს კარგი დღე გაუთენდა. ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ტაში მის პატივსაცემად, როცა რომეროს უკანასკნელი ხარი შემოუშვეს. სწორედ ის ხარი, რომელიც დილით წინ გავარდა და კაცი მოკლა.

პირველ ხართან ბრძოლის დროს რომეროს დალილავებული სახე ადვილად შესამჩნევი იყო. ყოველ მოძრაობაზე შენიშნავდი. იმ ბრმა ხართან დამაბულმა და უსაშველოდ გაფაციცებულმა ბრძოლამ აშკარად გამოამჟღავნა, რა დღეშიაც იყო. კონთან ჩხუბს მხნეობა საერთოდ არ წაურთმევია მისთვის, მაგრამ სახე დანაყილი დარჩა და სხეული _ დაბეგვილი. ახლა თანდათანობით იშორებდა ამას. ხართან ბრძოლის ყოველი ილეთი თანდათანობით უმსუბუქებდა მდგომარეობას. კარგი ხარი შეხვდა, დიდი და გრძელრქებიანი, მკვირცხლად ტრიალებდა და სწრაფადაც უტევდა. სწორედ ასეთი ხარები უყვარდა რომეროს.

მულეტით მუშაობა რომ დაამთავრა და მოკვლა დაუპირა, ხალხმა გაგრძელება მოსთხოვა. ჯერ არ უნდოდათ ხარის მოკვლა, არ უნდოდათ ბრძოლის დამთავრება. რომერომ განაგრძო. თითქოს ხართან ბრძოლის გაკვეთილს ატარებსო. ყველა ილეთი შეასრულა _ ბოლომდე, დინჯად, თვალსაჩინოდ, მშვიდად და სუფთად. არც სიყალბე დასჭირვებია, არც მანქვა-გრეხა. ერთი ტლანქი მოძრაობაც არ გამოსვლია და თითოეული ილეთის წარმატებით შესრულებაზე გული გეწურებოდა. ხალხს უნდოდა, დაუსრულებლად გაგრძელებულიყო ეს.

იდგა ფეხებგაჩაჩხული ხარი და სასიკვდილო დარტყმას ელოდა და რომერომ სწორედ ჩვენ პირდაპირ მოკლა. ხარის პირისპირ გაჩერდა, მულეტის ნაოჭებიდან მახვილი ამოაძრო და დაუმიზნა. ხარი შეჰყურებდა, რომერო გამოელაპარაკა და ხელი მოუთათუნა ფეხზე. ხარი მოემზადა და რომეროც მის გამოქანებას ელოდა, მულეტა დაბლა დაეშვა, ფეხი მჭიდროდ მიედგა ფეხზე და მახვილს უმიზნებდა. ხარი გამოქანდა, დაბლა დაშვებული მულეტისაკენ გაიწია რომეროს ფეხი არ მოუცვლია, მახვილი პირდაპირ ბეჭებს შორის აძგერა და მარცხნივ გადაიხარა. და გათავდა კიდევ ყველაფერი. ხარმა წინ გაიწია, მაგრამ ფეხები მოეკეცა, შეტორტმანდა, დაბარბაცდა და ჩაიჩოქა. ამ დროს რომეროს უფროსმა ძმამ მოუარა უკნიდან, გადმოიხარა და მოკლე დანა დაჰკრა კისერთან, ზედ რქების ძირში. პირველად ააცდინა და მეორე მოქნევაზე ჩაარჭო. ხარმა ზღართანი მოადინა, გაიჭიმა და

გათავდა. რომეროს ძმამ პრეზიდენტის ლოჟისკენ გაიხედა _ ცალ ხელში დანა ეჭირა, ხოლო მეორე რქაში ჰქონდა ჩავლებული. მოედანზე ცხვირსახოცები ფრიალებდა. პრეზიდენტმა ლოჟიდან გადაიხედა და მანაც ააფრიალა ცხვირსახოცი. ძმამ გაფატრული შავი ყური მოჰკვეთა მკვდარ ხარს და რომეროსთან მიირბინა. ენაგადმოგდებული შავი, მძიმე ხარი სილაზე ეგდო გაშხვართული. მოედნის ყოველი კუთხიდან გამოიქცნენ ბიჭები, ხარის ირგვლივ წრე შეჰკრეს და ცეკვას მოჰყვნენ. რომერომ ძმას ყური გამოართვა, ასწია და პრეზიდენტისკენ გაემართა. პრეზიდენტმა თავი დახარა და რომერო სირბილით გამოქანდა ჩვენკენ. მოაჯირზე გადმოიხარა და ყური ბრეტს გადასცა. თავი დააქნია და გაიღიმა. ირგვლივ ხალხი შემოხვეოდა. ბრეტმა მოსასხამი გაუწოდა.

_ მოგეწონათ? _ გადმოსძახა რომერომ.

ბრეტს ხელში ეჭირა ხარი ყური.

_ სისხლით არ გაისვართ, _ დაუძახა რომერომ და გაუცინა.

ხალხი რომეროს მოითხოვდა. ბიჭები ბრეტს მიესალმნენ. მოედანი გაივსო ბიჭებით, მოცეკვავეებითა და მთვრალეებით. რომერო შებრუნდა და ხალხის გარღვევა მოინდომა, მაგრამ მჭიდროდ შემოხვეოდნენ და ხელში აყვანას ცდილობდნენ. რომერო სხმარტალებდა, ერთი პირობა, დაუსხლტა კიდეც და გასასვლელისკენ გაქანდა. ხელში აყვანას გაურბოდა, მაგრამ დაიჭირეს და ასწიეს. მოუხერხებლად იყო, ფეხები გაეჩაჩხა, ნაცემი სხეული სტკიოდა. ასწიეს და ჭიშკრისკენ გააქანეს. თავი ვიღაცის მხარზე ედო. მობრუნდა და ისე გადმოგვხედა, თითქოს ბოდიშს იხდისო. ხალხმა სირბილით გაიტაცა და ჭიშკრიდან გაიყვანა.

სასტუმროში დავბრუნდით სამივენი. ბრეტი ზემოთ ავიდა. ბილი და მე დაბლა დავრჩით, სასადილო ოთახში, და მოხარშული კვერცხები შევჭამეთ, რამდენიმე ბოთლი ლუდიც დავაყოლეთ. შემოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ბელმონტე, თავისი იმპრესარიო და ვიღაც ორი კაცი შემოჰყვნენ. მეზობელ მაგიდას შემოუსხდნენ და ჭამა დაიწყეს. ბელმონტე ცოტას ციცქნიდა. შვიდი საათის მატარებელს ბარსელონაში უნდა გაჰყოლოდნენ. ბელმონტეს ზოლებიანი ლურჯი პერანგი და შავი კოსტიუმი ეცვა, ჭამდა მოხარშულ კვერცხებს. დანარჩენებმა კარგად ისადილეს. ბელმონტე არ ლაპარაკობდა. მარტო შეკითხვებზე პასუხობდა.

ბილი დაექანცა ხარების ბრძოლას. მეც დავიღალე. ორივენი ძალიან განვიცდიდით ბრძოლის ყურებას, ხმა არ გაგვიღია, ისე შევექცეოდით მოხარშულ კვერცხებს. მე ბელმონტესა და მის ამხანაგებს გადავხედავდი ხოლმე. საქმოსანი ხალხი ჩანდა.

_ წამო, კაფეში წავიდეთ, _ მითხრა ბილმა, _ ცოტა აბსენტი დავლიოთ.

ფიესტის ბოლო დღე იყო. ცა კვლავ ღრუბლებით იფარებოდა. მოედანი ხალხით იყო სავსე. პიროტექნიკოსები შუშხუნებს ამზადებდნენ სადამოსათვის და წიფლის ტოტებს აფარებდნენ. ბიჭები იდგნენ და შეჰყურებდნენ. ჩვენ ლერწმებზე დამაგრებულ შუშხუნების მწკრივს ჩავუარეთ. კაფეში შესასვლელთან ხალხი ირეოდა. უკრავდა მუსიკა, ცეკვა გაეჩაღებინათ. ქუჩაში გოლიათები და ჯუჯები მიდიოდნენ.

_ ედნა სად დაიკარგა? _ ვკითხე ბილს.

_ არ ვიცი.

შევყურებდი, როგორ ჩამოწვა ფიესტის უკანასკნელი სადამო. აბსენტმა ყველაფერი გაალამაზა. უმაქროდ დავლიე და სასიამოვნო სიმწარე დაჰკრავდა.

_ კონი მეცოდება, _ თქვა ბილმა, _ ძალიან ცუდად იყო.

_ ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, _ ვთქვი მე.

_ როგორ გგონია, სად წავიდოდა?

_ პარიზში.
 _ იქ რა უნდა გააკეთოს?
 _ ჯანდაბას მისი თავი.
 _ მაინც რა უნდა გააკეთოს?
 _ ალბათ თავის ძველ სატრფოს გამოძებნის.
 _ ვის?
 _ არის ერთი. ფრენსისი.
 კიდეც დავლიეთ აბსენტი.
 _ აქედან როდის აპირებ? _ ვკითხე მე.
 _ ხვალ.
 ცოტა ხნის შემდეგ ბილმა თქვა:
 _ მშვენიერი ფიესტა იყო.
 _ ჰო, _ ვუთხარი მე, _ სულ ფაციფუცში ვიყავით.
 _ შენ არც კი დაიჯერებ. რაღაც საოცარი კომმარკით იყო.
 _ რატომ არ დავიჯერებ, მე ყველაფერი მჯერა. კომმარებიც კი.
 _ რა მოგივიდა? ცუდ გუნებაზე ხარ?
 _ ჯოჯოხეთით.
 _ კიდეც დალიე. ჰეი, ოფიციანტო! ერთი აბსენტი კიდეც მოართვით სენიორს.
 _ გულში ჯოჯოხეთი მიტრიალებს, _ ვთქვი მე.
 _ დალიე, _ მითხრა ბილმა, _ ნელ-ნელა მოსვი.
 ბინდი ჩამოწვა. ფიესტა ისევ გრძელდებოდა. შევთვერი, მაგრამ მაინც ვერ
 გამოვმჯობინდი.
 _ როგორ ხარ?
 _ ჯოჯოხეთით.
 _ კიდეც დალიე.
 _ არა მშველის.
 _ სცადე. რა იცი, იქნებ სწორედ ამ ერთმა ჭიქამ გიშველოს. ჰეი, ოფიციანტო! კიდეც
 მოართვით აბსენტი სენიორს!
 პირდაპირ ჩავასხი წყალი აბსენტში და წვეთწვეთობით გახსნა აღარ ვაცალე, მაშინვე
 მოვურიე. ბილმა ყინულის ნატეხი ჩააგდო. მე კოვზით მოვურიე ამ მოყავისფრო,
 მღვრიე სითხეს.
 _ როგორია?
 _ მშვენიერია.
 _ ერთბაშად ნუ გადაყლურწავ. გულს აგირევს.
 ჭიქა დავდე. ერთბაშად დალევას არც ვაპირებდი.
 _ დავთვერი.
 _ აბა რა მოგივიდოდა!
 _ შენც ეგ გინდოდა, ხომ?
 _ აბა, რა! უნდა დათვრე. დარდი ქარს გაატანო.
 _ დავთვერი და ეგ არის. შენც ეგ გინდოდა, ხომ?
 _ დაჯექი.
 _ არ მინდა დაჯდომა, _ ვუთხარი მე, _ სასტუმროში უნდა ავიდე.
 საშინლად დავთვერი. არ მახსოვს, ოდესმე ასე დავმთვრალიყავი. სასტუმროში
 მივედი და ჩემი ოთახისკენ გავემართე. ბრეტის ოთახის კარი ღია იყო. მაიკი
 საწოლზე ჩამომჯდარიყო. ბოთლი დამიქნია.
 _ ჯეიკ, _ გამომძახა მან, _ შემოდი, ჯეიკ.

შევედი და დავჯექი. როგორც კი მოვაცილებდი ერთ წერტილს თვალს, ოთახი თავდაყირა ტრიალებდა.

_ ბრეტის ამბავი ხომ გაიგე? იმ მატადორს გაჰყვა.

_ არა!

_ როგორ არა. შენ გეძებდა, გამოსამშვიდობებლად. შვიდი საათის მატარებელს გაჰყვნენ.

_ მართლა?

_ ცუდად მოიქცა, _ თქვა მაიკმა, _ არ უნდა ექნა.

_ არა.

_ არ დალევ? დაიცა, ლუდს მოვატანინებ.

_ მე უკვე მთვრალი ვარ. უნდა წავიდე და დავწვე.

_ გაილეშე? მეც გალეშილი ვიყავი.

_ ჰო, _ ვუთხარი მე, _ გავილეშე.

_ მაშ კარგი, წადი, _ მითხრა მაიკმა, _ გამოიძინე. ჩემო ჯეიკ.

გამოვედი, ჩემს ოთახში შევედი და ლოგინზე დავეგდე. ლოგინმა რწევა დაიწყო და წამოვჯექი, თვალი კედელს გავუშტერე, რომ გამეჩერებინა. მოგვიანებით ბილი და მაიკი შემოვიდნენ ჩემს წასაყვანად. უნდოდათ, რამე ეჭამათ. მე თავი მოვიმძინარე.

_ სძინავს. ნუ გავადვიძებთ.

_ გამობრუქულია, _ თქვა მაიკმა. ისევ გავიდნენ.

წამოვდექი, აივანზე გავედი და მოცეკვავეებს გადავხედე. უკვე აღარ ტრიალებდა ქვეყანა. ძალიან ნათლად და გარკვევით ჩანდა ყველაფერი, მხოლოდ ჰორიზონტზე იწვა ბურუსი. დავიბანე, თმა დავივარცხნე. უცნაური მეჩვენა ჩემი თავი სარკეში.

კიბეზე დავეშვი და სასადილო ოთახში შევედი.

_ აგერ, მოვიდა! _ თქვა ბილმა, _ ყოჩაღ, ჩემო ჯეიკ! ვიცოდი, რომ დარდს არ მისცემდი თავს.

_ ჰელო, ძველო ლოთო! _ თქვა მაიკმა.

_ შიმშილმა გამომალვიდა.

_ სუპი შეხვრიპე, _ მითხრა ბილმა.

სამნი ვუსხედით სუფრას და მეჩვენებოდა, რომ ექვსი კაცი მაინც გვაკლდა.

წიგნი მესამე

თავი XIX

დილისთვის უკვე ყველაფერს მოვრჩით. ფიესტა დამთავრდა. ცხრა საათი იქნებოდა, რომ გამოვიღვიძე, ვიბანავე, ჩავიცვი და დაბლა ჩავედი. მოედანი დაცარიელებული იყო და ქუჩებშიაც კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. რამდენიმე ბავშვი შუშხუნების ჯოხებს აგროვებდა მოედანზე. ის იყო, კაფეს აღებდნენ, ოფიციატებს გამოჰქონდათ თეთრი წნული სავარძლები, მარმარილოს მაგიდებთან დგამდნენ, სვეტების ჩრდილში. ქუჩებს ჰგვიდნენ და წყლით რწყავდნენ.

მე წნულ სავარძელში ჩავჯექი და სავარძლის ზურგს გადავაწექი. ოფიციატი მოსვლას არ ჩქარობდა, სვეტებს ისევ ეკრა ხარების გადმოტვირთვისა და

დამატებითი მატარებლების განრიგიანი განცხადებები. ლურჯწინსაფრიანმა

ოფიციატმა ვედროთი წყალი და ჩვარი მოიტანა და განცხადებების ჩამოგლეჯას

შეუდგა, გრძელ-გრძელ ზოლებად აგლეჯდა და მერე წყალში დასველებული ჩვრით რეცხავდა ქვაზე მიწებებულ ქაღალდს. ფიესტა დამთავრდა.

მე ყავა დავლიე. მალე ბილიც გამოჩნდა. ვხედავდი, როგორ გადმოჰრა მოედანი. ისიც მიუჯდა მაგიდას და ყავა დაუკვეთა.

– ესეც შენი ფიესტა, – თქვა მან.

– ჰო, უკვე გათავდა, – ვუთხარი მე, – როდის აპირებ?

– არ ვიცი. მე მგონი, სჯობია, მანქანა დავიქირაოთ. პარიზში არ უნდა დაბრუნდე?

– არა. ერთი კვირა კიდევ შემიძლია სადმე გავატარო. ალბათ სან-სებასტიანში წავალ.

– მე უკან დავბრუნდები.

– მაიკი რას აპირებს?

– სენ-ჟენ-დე-ლიუსში მიდის.

– ერთი მანქანა დავიქირაოთ და ბაიონეში ჩავიდეთ. იქიდან ამაღამვე გაჰყვები მატარებელს.

– კარგი, ნასაუზმევს წავიდეთ.

– მაშ ასე. მე მანქანას ვიშოვი.

ვისაუზმეთ და სასტუმროს ფული გადავიხადეთ. მონტოია აღარ გაგვკარებია.

მოსამსახურე გოგომ მოგვიტანა ანგარიში. მანქანა გარეთ გველოდებოდა. ზოგი ჩემოდანი შოფერმა მაღლა შეაწყო და თოკით დაამაგრა, დანარჩენი გვერდზე მოიწყო და ჩვენც ჩავსხედით. მანქანამ მოედანი გადასერა, ქუჩაში შეუხვია, ხეივანს გაჰყვა, მთიდან დაეშვა და გავცდით პამპლონას. გზა მაინცდამაინც გრძელი არ მომჩვენებია. მაიკს ერთი ბოთლი «ფუნდადორი» წამოეღო. მე ორჯერ მეტად არ მომისვამს.

გადავლახეთ მთები, გავცდით ესპანეთს, დავადექი გადათეთრებულ გზას, გავიარეთ ფოთლებით გადმოჩრდილული, ამწვანებული ბასკონია და ბაიონეში შევედით.

ბილის ბარგი სადგურში დავტოვეთ და პარიზის ბილეთიც იქვე იყიდა. მისი მატარებელი რვის ათ წუთზე გადიოდა. გამოვედით სადგურიდან. მანქანა იქვე იდგა.

– მანქანას რა ვუყოთ? – იკითხა ბილმა.

– ახლა ეგ მადარდე, – მიუგო მაიკმა, – ჩვენთან იყოს, გავიარ-გამოვიაროთ.

– ძალიან კარგი, – უთხრა ბილმა, – საით წავიდეთ?

– ბიარიცში წავიდეთ და რამე დავლიოთ.

– მაიკ მფლანგველი! – თქვა ბილმა.

ბიარიცისკენ წავედით და მანქანა მდიდრულ რესტორანთან გავაჩერეთ. ჩვენ ბარში შევედით, მაღალ ტაბურეტებზე დავჯექით და სოდიანი ვისკი დავლიეთ.

– ამის ფულს მე ვიხდი, – თქვა მაიკმა.

– წილი ვყაროთ.

ტყავის ყვითელი ფინჯნიდან კამათლები გადმოვყარეთ. პირველ ყრაზე ბილმა მოიგო. მაიკმა ჩემთან წააგო და ბარმენს ასფრანკიანი მისცა. თითო ვისკი თორმეტი ფრანკი ღირდა. მეორედაც ვყარეთ წილი და ისევ მაიკმა წააგო. ყოველ გადახდაზე კარგად ასაჩუქრებდა ბარმენს. მეზობელ ოთახში ჯაზორკესტრი უკრავდა.

სასიამოვნო ბარი იყო. კიდევ ვყარეთ წილი და პირველივე ყრაზე მე გამოვედი მოგებული – ოთხი მეფე შემხვდა. მერე ბილმა და მაიკმა ყარეს. ჯერ მაიკმა მოიგო – ოთხი ჯარისკაცი შეხვდა, მერე – ბილმა. გადამწყვეტ ყრაზე მაიკს სამი მეფე შეხვდა. ფინჯანი ბილს გადასცა. ბილმა დაანჯღრია და გადმოყარა – სამი მეფე, ტუზი და ქალი მოუვიდა.

– ახლაც შენ იხდი, მაიკ, – უთხრა ბილმა, – მაიკი – ძველი მოთამაშე!

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ აღარ შემიძლია, – თქვა მაიკმა.

– რა მოხდა?

_ ფული აღარ მაქვს, _ თქვა მაიკმა, _ გამოიღია. ოცი ფრანკილა დამრჩა. აჰა, აიღეთ ეს ოცი ფრანკი.

ბილი ერთი წუთით დაფიქრდა.

_ მონტოიას ანგარიში გავასწორე და მორჩა. კიდეც მადლობა ღმერთს, რომ მეყო.

_ ჩეკი გამოწერე, ფულს მე მოგცემ, _ უთხრა ბილმა.

_ დიდ პატივსა მდებ, მაგრამ ჩეკის გამოწერის უფლება არა მაქვს.

_ აბა რა უნდა ქნა?

_ ცოტაოდენ ფულს გამომიგზავნიან. ორი კვირისა მეკუთვნის. სენ-ჟენში კიდეც ნისიად გავალ იოლას. იქ მენდობიან.

_ მანქანას რაღას უშვრები? _ მკითხა ბილმა, _ კიდეც გავაჩეროთ?

_ სულერთია. თუმცა რა ჯანდაბად გვინდა!

_ თითო კიდეც დავლიოთ, _ თქვა მაიკმა.

_ სიამოვნებით, ამას მე გადავიხდი, _ თქვა ბილმა, _ ბრეტს ჰქონდა რამე ფული? _ ჰკითხა მაიკს.

_ არა მგონია. მონტოიას ფული თითქმის სულ იმან გადაიხადა.

_ სულ აღარ ჰქონდა ფული? _ ვკითხე მე.

_ არა მგონია. ფული ვერ უჩერდება. ხუთას გირვანქას იღებს წლიურად და აქედან სამას ორმოცდაათი ებრაელებს მიაქვთ ვახშში.

_ კარგი წყაროსთვის მიუგნიათ, _ თქვა ბილმა.

_ გაგიხარიათ, ოღონდ ნამდვილი ებრაელები კი არ არიან. ისე ვეძახით ებრაელებს. მგონი, შოტლანდიელები უნდა იყვნენ.

_ სულ აღარაფერი შერჩა? _ ვკითხე მე.

_ არა მგონია. წასვლის წინ ყველაფერი მე დამიტოვა.

_ ჰა, _ თქვა ბილმა, _ მაგას ისა სჯობია, თითო კიდეც დავლიოთ.

_ ჩინებული აზრია, _ თქვა მაიკმა, _ ფულზე ლაპარაკი ტყუილი წყლის ნაყვია.

_ რა თქმა უნდა, _ უთხრა ბილმა, ახლა მე და ბილმა ვყარეთ წილი. ბილმა წააგო და გადაიხადა. გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით.

_ საით ისურვებ გასეირნებას, მაიკ? _ ჰკითხა ბილმა.

_ ისე გავიაროთ. იქნებ ცოტა ნდობა გამეზარდოს. ცოტაზე გავისეირნოთ.

_ დიდი სიამოვნებით. სანაპიროს ნახვა მაინტერესებს. ჰანდაისკენ გავიქროლოთ.

_ სანაპიროზე გავლით რა ნდობა უნდა მომემატოს?

_ ეგ ვინ იცის! _ მიუგო ბილმა.

სანაპიროზე გავიარეთ. მწვანედ მოხასხასე მინდვრები, წითელსახურავიანი თეთრი ვილები, აქა-იქ ბლუჯა-ბლუჯა ლაქებად ჩამჯდარი ტყის ნაგლეჯები და მიქცევის გამო ნაპირიდან შორს წასული ლურჯად გადაჭიმული ოკეანის ქოჩორა ზვირთები.

გავცდით სენ-ჟან-დე-ლიუსს და სანაპიროზე გაშენებული სხვა სოფლებიც გავიარეთ.

ამ მინდვრებისა და გორაკების გადაღმა ჩვენ ვხედავდით მთებს, რომლებიც

პამპლონადან წამოსულებმა გადმოვსერეთ. გზას ბოლო არ უჩანდა. ბილმა საათს

დახედა. უკან დაბრუნების დრო იყო. შოფერს მინაზე დაუკაკუნა და დაბრუნდიო, უთხრა. შოფერმა უკან სვლით მინდორში შეიყვანა მანქანა და მოაბრუნა. უკან დიდი

ტყე იყო, წინ _ ვრცლად გაჭიმული მინდორი და იმის იქით _ ზღვა.

სენ-ჟენში იმ სასტუმროს წინ გავაჩერებინეთ მანქანა, სადაც მაიკი უნდა

ჩამომხტარიყო. მაიკი ჩამოვიდა, მისი ჩემოდნები შოფერმა შეიტანა. მაიკი

მანქანასთან იდგა.

_ ნახვამდის, ყმაწვილებო, _ თქვა მაიკმა, _ მშვენიერი ფიესტა იყო.

_ ნახვამდის, მაიკ, _ უთხრა ბილმა.

– მალე გნახავ, – ვთქვი მე.

– ფულზე ნუ შეწუხდებით, – თქვა მაიკმა, – მანქანის ფული შენ გადაიხადე, ჯეიკ, და ჩემს წილს გამოგიგზავნი.

– ნახვამდის, მაიკ.

– ნახვამდის, ყმაწვილებო. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ყოფნა.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. მანქანიდანაც ვუქნევდით ხელს მაიკს. იგი ქუჩაში იდგა და ჩვენკენ იყურებოდა. მატარებლის გასვლას ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა ბაიონეში ჩავედით. მეზარგულმა ბილის ჩემოდნები გამოიტანა. მე ბაქანზე გავყევი, შიგნითა ჭიშკრამდე.

– ნახვამდის, ჩემო კარგო, – მითხრა ბილმა.

– ნახვამდის, ჩემო ბილ!

– მშვენიერი იყო, მშვენიერი დრო გავატარე.

– პარიზში დიდხანს დარჩები?

– არა, ჩვიდმეტში გავალ გემით. ნახვამდის, ჩემო კარგო.

– ნახვამდის, ბილ!

ჭიშკარში შევიდა და მატარებლისკენ გაემართა. ჩემოდნებიანი მეზარგული წინ მიუძღოდა. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ აიძრა მატარებელი. ბილი ფანჯარასთან იდგა. ჩამიქროლა ფანჯარამ, ყველა ვაგონმა ჩაიქროლა და დარჩა შიშველი ლიანდაგები. გამოვბრუნდი და მანქანასთან მივედი.

– რამდენი გემართებს თქვენი? – კვითხე შოფერს. ბაიონემდე ას ორმოცდაათ პესეტზე ვიყავით გარიგებული.

– ორასი პესეტი.

– სან-სებასტიანამდე რომ გამოგყვით, რამდენს გადამახდევინებთ? მაინც იქით მიდიხართ.

– ორმოცდაათ პესეტს.

– რას ბალღობთ!

– ოცდათხუთმეტს.

– მაგდენი არ ღირს, – ვუთხარი მე, – პანიე ფლორის სასტუმროში მიმიყვანეთ.

სასტუმროსთან შოფერს ქირა გადავუხადე და ვაჩუქე კიდეც ფული. მანქანას მტვერი დასდებოდა. ანკესის შალითა გადავუსვი მტვერს. ეს უკანასკნელი რამ იყო, რაც ესპანეთთან და ფიესტასთან მაკავშირებდა. შოფერმა მანქანა დაქოქა და წავიდა. ვუყურებდი, როგორ მოუხვია და როგორ დაადგა ესპანეთის გზას. სასტუმროში შევედი და ოთახი ავიღე. იგივე ოთახი შემხვდა, რომელშიაც ერთხელ უკვე მეძინა, როცა ბილი, კონი და მე ერთად ვიყავით ბაიონეში. თითქოს ძალიან დიდი ხნის ამბავი ყოფილიყოს. დავიბანე, პერანგი გამოვიცვალე და ქალაქში გავედი.

საგაზეთო კიოსკში «ნიუ-იორკ ჰერალდი» ვიყიდე და კაფეში შევედი წასაკითხად.

თავს უცნაურად ვგრძნობდი, ისევ საფრანგეთში რომ დავბრუნდი. რაღაც მშვიდი და სოფლური განწყობილება სუფევდა. ვინანე, რატომ ბილს არ გავყევი-მეთქი პარიზში, თუმცა რაღა ფიესტა და რაღა პარიზი. ყელში ამომივიდა ეგ ფიესტა. სან-სებასტიანში წყნარად დავისვენებ. სეზონი იქ აგვისტომდე არ გაიხსნება. რიგიან ოთახს დავიწერ სასტუმროში და ვიკითხავ და ვიცურავებ. მშვენიერი პლაჟია. სანაპიროს გასწვრივ საუცხოო ხეივანია გაშენებული და მანამ სეზონი გაიხსნებოდეს, ბავშვებს გზავნიან ხოლმე იქ მიძებთან ერთად. საღამოობით კაფე «მარინასის» წინ, ხეების ქვეშ, ორკესტრი უკრავს. დავჯდები კაფეში და მუსიკას მოვუსმენ.

– როგორი საჭმელები გაქვთ? – კვითხე ოფიცინტს. კაფეს გვერდით რესტორანიც იყო.

_ კარგი. ძალიან კარგი. რასაც კი მოისურვებთ.

_ მაგას რაღა სჯობია.

შევედი და ვისადილე. საფრანგეთის პირობაზე უხვი საჭმელ-სასმელი იყო, მაგრამ ესპანეთის შემდეგ მაინც ძალიან მოციცქნული კერძები მომეჩვენა. რაკი გამომლაპარაკებელი არავინ მყოლია სუფრაზე, ერთი ბოთლი ღვინო მოვატანინე. «შატო» მარტო დავლიე. მესიამოვნა ნელ-ნელა სმა და ასე ცოტა-ცოტა წრუპვით გემოს ჩატანება, მარტოკა რომ ვსვამდი, ეგეც სასიამოვნო იყო. ერთი ბოთლი ღვინო სუფრაზე გამომლაპარაკებლის მაგივრობას გასწევს. მერე ყავაც დავაყოლე. ოფიციატმა ბასკური ლიქიორი მირჩია _ «ისარა». ბოთლით მომიტანა და ჭიქა გამივსო. პირინეის ყვავილებისგან წურავენო, მითხრა. ნამდვილი პირინეული ყვავილებისგანო. ფერი _ თმის ზეთისა ჰქონდა, სუნი კი _ იტალიური «სტრეგასი». ეს პირინეული ყვავილები უკანვე წავაღებინე და Vიუხ მარც მოვატანინე. კარგიც გამოდგა. ყავას მეორე მარც-იც დავატანე.

პირინეული ყვავილების შემდეგ ცოტა ნაწყენი ჩანდა ჩემი ოფიციატის და ბლომად ვაჩუქე ფული. გაიბადრა კაცი. რა სჯობია ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ასე ადვილად შეგიძლია გაამხიარულო და გააბედნიერო ხალხი. ესპანეთში ოფიციატს ვერ გაუგებ, მადლობელი დაგრჩა თუ არა. საფრანგეთში კი ყველაფერი მარტივ ფინანსურ საფუძვლებზეა აგებული. სხვაგან არსად არის ცხოვრება ასე გამარტივებული. არავინ გირთულებს ცხოვრებას იმით, რომ რაღაც გაურკვეველი მიზეზებით მეგობრად აგეკიდება. თუ გინდა, ხალხს თავი შეაყვარო, ცოტაოდენი ფული გაიმეტე. აგერ, დავხარჯე ცოტა ფული და ოფიციატს შევუყვარდი. ხელადვე დააფასა ჩემი ღირსებანი. ახლა გაუხარდება ჩემი მეორედ ნახვა. ოდესმე კიდევ ვისადილებ აქ და სიხარულით შემხვდება, მის მაგიდასთან თუ დავჯდები, ესიამოვნება და გულწრფელი სიყვარულიც იქნება ეგ, რადგან მყარი საფუძველი აქვს. კვლავ საფრანგეთში ვიყავი.

მეორე დღეს სასტუმროში ყველას ბლომა-ბლომად ფული ვაჩუქე, რათა ახალი მეგობრები გამეჩინა და დილის მატარებელს სან-სებასტიანში გავყევი. სადგურზე მეზარგულისათვის იმდენი აღარ მიჩუქნია, _ არ ვიყავი დარწმუნებული, როდესმე კიდევ თუ შემხვდებოდა. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე კარგი ფრანგი მეგობარი მჭირდებოდა ბაიონეში _ თუ კიდევ მომიხდებოდა აქეთ გამოვლა. ვიცოდი, რომ ნამდვილ მეგობრობასაც გამიწევდნენ, თუკი დამიმახსოვრებდნენ.

ირუნაში სხვა მატარებელში გადავსხედით და პასპორტების ჩვენებაც გახდა საჭირო. ფეხი საფრანგეთში მრჩებოდა. ისეთი გამარტივებული ცხოვრებაა საფრანგეთში! სისულელე მომივიდა, რომ ისევ ესპანეთში წასვლა გადავწყვიტე. ესპანეთში წინასწარ ვერაფერს ივარაუდებ. ვგრძნობდი, რომ სისულელე იყო ესპანეთში დაბრუნება, მაგრამ რიგში ვიდექი პასპორტმომარჯვებული. ჩემოდანი გავხსენი და საბაჟოს მოხელეს გავასინჯე. მერე ბილეთი ავიღე, ჭიშკარი გავიარე, ვაგონში შევედი და ორმოცი წუთისა და რვა გვირაბის გავლის შემდეგ სან-სებასტიანში აღმოვჩნდი. ძალიან ცხელი დღეც რომ იყოს, სან-სებასტიანში რაღაცნაირად ადრინდელი დილის სიგრილესა გრძნობ კაცი. ხეებს რომ შეხედავ, ასე გგონია, ფოთლები მისდღეში არ გაშრებაო. ქუჩები თითქოს ახლახან მოერწყათ. უსამველო სიცხეშიაც კი ზოგიერთი ქუჩა სულ გადმოჩრდილული და გრილია. მივედი იმ სასტუმროში, სადაც ადრეც ვყოფილვარ და დავიკავე ოთახი, რომლის აივანი ქალაქის სახურავებს გადაჰყურებდა. სახურავებს იქით მწვანე მთის კალთა მოჩანდა.

ჩემოდნები გავხსენი, წიგნები პატარა მაგიდაზე დავაწყვე, სასთუმალთან. საპარსი მოწყობილობა ამოვიღე, ტანსაცმელი დიდ კარადაში დავკიდე, საცვლები

მრეცხავისთვის გასატანებლად შევკარი. მერე შხაპის ქვეშ ვიბანავე და სასაუზმოდ ჩავედი. ესპანეთში ჯერ კიდევ არ გადასულიყვნენ საზაფხულო სეზონზე და ადრინადა ჩასვლა მომივიდა. საათი გავასწორე. სან-სებასტიანში ჩასვლით ერთი საათი მოვიგე.

სასადილოში რომ შევედი, კონსიერჟმა პოლიციის ბიულეტენი მომიტანა შესავსებად. შევაკე და დეპეშის ორი ბლანკი ვთხოვე. ერთი დეპეშა მონტოიას სასტუმროში გავაგზავნე _ ვთხოვდი, ჩემი ფოსტა და დეპეშები ამ მისამართით გადმომიგზავნეთ-მეთქი. ვწერდი, რამდენ ხანს ვიქნებოდი სან-სებასტიანში. მეორე დეპეშა რედაქციაში გავგზავნე _ კორესპონდენტები შეენახათ, ხოლო ამ ექვს დღეში თუ რამე დეპეშა მოვიდოდა, სან-სებასტიანში გადმოეგზავნათ. მერე წავედი და ვისაუზმე.

ნასაუზმევს ჩემს ნომერში ავედი, ცოტა წავიკითხე და დავიძინე. ხუთის ნახევარი იყო, როცა გამომეღვიძა. საცურაო კოსტიუმი მოვძებნე, პირსახოცში შევახვიე სავარცხელთან ერთად, დაბლა დავეშვი და კონჩასაკენ გავემართე. ზღვის მიქცევა დაწყებულიყო. პლაჟი გლუვი და მყარი გამხდარიყო, სილას ყვითელი ფერი დაჰკრავდა. საბანაო კაბინაში შევედი, გავიხადე, საცურაო კოსტიუმი ჩავიცვი და ზღვისკენ გავემართე. გლუვი სილა შიშველ ფეხებზე თბილად მხვდებოდა. კარგა ბლომად ხალხი იყო ზღვაშიც და ნაპირზეც. მოშორებით, საცა კონჩას უბის სანაპირო ხაზები თითქოს ერთმანეთსა ხვდება და ნავსადგურს კეტავს, ზვირთთაცემის თეთრ ხაზს იქით ღია ზღვა გადაშლილიყო. მიქცევა იყო, მაგრამ ნელი ტალღები იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. დაიდრებოდა მომალლო ზვირთები, შეერთებული ტალღები დამძიმდებოდა და რბილად ეცემოდა თბილ სილას. მე ზღვაში შევედი. წყალი მეცოვა. ზვირთები რომ დამემგერა, ჩავყვინთე, ყვინთვით გავცურე და როცა წყლის ზედაპირზე ამოვედი, უკვე აღარა მცოდნა. ტივტივასთან მივცურე, ავძვერი და გახურებულ ფიცრებზე გავიმოტე. ტივტივას მეორე ბოლოში ვიღაც გოგო და ბიჭი იყვნენ. გოგომ საცურაო კოსტიუმი გაიხსნა და შიშველი ზურგი მზეს მიუშვირა. ბიჭი პირაღმა იწვა ტივტივაზე და გოგოს რაღაცას ეუბნებოდა, მის ლაპარაკზე გოგო იცინოდა და მზემოკიდებულ ზურგს კიდევ მზეს უფიცებდა. მანამ გავშრებოდი, ვიწექი. მერე რამდენიმეჯერ ჩავყვინთე. ერთხელ ღრმად წავედი, ფსკერამდე დავეშვი. თვალები ღია მქონდა და ირგვლივ ყველაფერი მწვანე და ჩაბნელებული იყო. ტივტივა ძალიან მუქ ჩრდილსა ქმნიდა. ზედ ტივტივასთან ამოვცურე, ავძვერი, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩავყვინთე. კარგა ხანს გავჩერდი წყალში და მერე ნაპირისკენ გავცურე. მანამ გავშრებოდი, ნაპირზე ვიწექი, შემდეგ საბანაო კაბინაში შევედი, საცურაო კოსტიუმი გავიხადე, ცივი წყალი გადავივლე და ტანი გავიმშრალე. კაზინომდე ხეივანს გავყევი ნაპირ-ნაპირ, მერე ერთ-ერთ გრილ ქუჩას დავადექი და კაფე «მარინასში» მივედი. კაფეში მუსიკა უკრავდა. მე გარეთ დავჯექი, ტერასაზე. ამ ცხელ დღეში სიგრილით ვტკბებოდი და თან ლიმონის წვენსა ვწრუპავდი. მერე სოდიანი ვისკიც დავაყოლე. დიდხანს ვიჯექი «მარინასის» წინ, გაზეთს ვკითხულობდი, ხალხს ვათვალიერებდი და მუსიკას ვუსმენდი.

მოგვიანებით, როცა შებნელდა, სანაპიროზე გავისეირნე, კონჩასაკენ, და ისევ სასტუმროში დავბრუნდი სავახშმოდ. მიმდინარეობდა ველოსიპედისტთა შეჯიბრება ბასკონიის ირგვლივ და ველოსიპედისტებს ის ღამე სან-სებასტიანში უნდა გაეტარებინათ. სასადილო ოთახში, ერთ მხარეს, გრძელ სუფრას შემოსხდომოდნენ და თავიანთ მწვრთნელებსა და იმპრესარიოებთან ერთად ვახშმობდნენ. სულ ფრანგები და ბელგიელები იყვნენ და საჭმელს დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ დროს მაინც კარგად ატარებდნენ. მაგიდის თავში იჯდა ორი ლამაზი ფრანგი გოგო, რომელთაც ნამდვილი მონმარტრის პეწი ედოთ. ეს კი ვეღარ გავიგე, იმათგან ვის

ახლდნენ ეს გოგონები. ყველანი ჟარგონზე ლაპარაკობდნენ და ძალიან ენამახვილობდნენ ერთმანეთში, ზოგჯერ სუფრის ბოლოში ისეთ რამეს იხუმრებდნენ, რომ მერე ვეღარც კი იმეორებდნენ, თუმცა გოგონები დაჟინებით სთხოვდნენ, ჩვენც გაგვაგებინეთო. მეორე დღეს, ხუთ საათზე, საფინალო სრბოლა დაიწყებოდა, სან-სებასტიანი-ბილბაო. ველოსიპედისტებმა ბლომად ღვინო დალიეს, სულ მზეზე დახრუკულები იყვნენ. საერთო შეჯიბრს მაინცდამაინც არაფრად აგდებდნენ, მარტო პირადი შეჯიბრის დროს თუ გამოიჩენდნენ დაინტერესებას. იმდენჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს, რომ დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინ დარჩებოდა გამარჯვებული, მით უმეტეს, სხვა ქვეყანაში. ფულის განაწილებაში კი ადვილად მორიგდებოდნენ.

ერთ ველოსიპედისტს, რომელმაც ორი წუთით გაუსწრო სხვებს, ძირმაგარები ჰქონდა და საშინლად აწამებდა. ხეირიანად ვერც კი ჯდებოდა. კისერი სულ გაწითლებული ჰქონდა და ქერა თმაც მზეზე გამოხუნებოდა. დანარჩენი ველოსიპედისტები ძირმაგარების გამო ადუღებდნენ. მან ჩანგალი დააკაკუნა მაგიდაზე.

– ყურადღება, – თქვა მან, – ხვალ ჩემი ცხვირი ისე მიეწეება ველოსიპედის საჭეს, რომ ძირმაგარებს ნიავილა თუ შეეხება.

ერთმა გოგომ სუფრის თავიდან გახედა, ბიჭი გაწითლდა და გაიჭყანა. ესპანელებმა პედალის დაჭერაც კი არ იციანო, ამბობდნენ ისინი.

ერთი დიდი საველოსიპედო ქარხნის პატრონთან ერთად ტერასაზე ყავას ვსვამდი. ძალიან საინტერესო შეჯიბრი იყო და ეღირებოდა კიდევ ნახვად, პამპლონაში რომ ბოტეკია არ გამოგვკლებოდაო. მტვერი ხელს გვიშლიდა, მაგრამ ესპანეთის გზები საფრანგეთისას ჯობსო. ერთადერთი ნამდვილი სპორტი – ველოსრბოლააო, თქვა მან.

«ტურ დე ფრანს» თუ ვადევნებდი თვალიყურს? მხოლოდ გაზეთებით. «ტურ დე ფრანსს» უდიდესი სპორტული მოვლენა იყო მთელ მსოფლიოში. ამ შეჯიბრების ორგანიზაციის დროს მთელ საფრანგეთს გავეცანი, თან ველოსიპედისტებსაც ვახლდით. სულ თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნება ისეთი ხალხი, კარგად რომ იცნობდეს საფრანგეთს. მთელი გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა ველოსიპედისტებთან ერთად გაეტარებინა გზებზე. ერთი ნახეთ, რამდენი ავტომობილი მოგვდევს ქალაქიდან ქალაქში ველოსრბოლის საყურებლად. მდიდარი ქვეყანაა საფრანგეთი და წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო სპორტული ხდებაო. მალე ყველაზე სპორტული ქვეყანა საფრანგეთი იქნება. და სულ ველოსიპედისტების წყალობით! ველოსიპედისტებისა და ფეხბურთის. საფრანგეთს კარგად იცნობს. La France სპორტივე. ველოსრბოლის ამბებიც კარგად იცის. ჩვენ კონიაკი დავლიეთ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც პარიზში დაბრუნებაა ურიგო საქმე. ქვეყნად ყველაზე სპორტული ქალაქი პარიზია. «შოპ დე ნეჟრში» თუ ვყოფილვარ? არა, არ ვყოფილვარ. თუ იქით მექნება გზა, ვნახავ. უსათუოდ შემოვივლი-მეთქი. იქაც გადავკრათ კონიაკი. უსათუოდ-მეთქი. დილით გადიან, ექვსს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება. ფეხზე ვიქნები იმათი წასვლის დროს? ვეცდები. ხომ არ გაგაღვიძოთ? ძალიან საინტერესო იქნება, შვეიცარს დავუძახებ და ის გამაღვიძებს. თვითონვე გამაღვიძებს, სულაც არ ეზარება. რატომ უნდა შეწუხდეს, შვეიცარს დავუძახებ. დილამდე ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

მეორე დილით რომ გამოვიღვიძე, ველოსიპედისტები და მათი მხლებელი ავტომობილები სამი საათის წასულები იყვნენ. ყავა და გაზეთები ლოგინში მომართვეს. მერე ჩავიცვი, საცურაო კოსტიუმი ავიღე და ზღვაზე გავედი. ამ დილაადრიან სასიამოვნო სიგრილე და სინესტე იდგა. ხეების ჩრდილში გლეხურად ჩაცმული ან ფორმაში გამოწყობილი ძიძები ბალღებს დაასეირნებდნენ. ლამაზები

იყვნენ ესპანელი ბავშვები. ერთი ხის ქვეშ რამდენიმე ფეხსაცმლის მწმენდავი შეყრილიყო და ჯარისკაცს ელაპარაკებოდა. ცალხელა ჯარისკაცი იყო. დაიწყო მოქცევა, დაუბერა ზღვაურმა და ნაპირს ტალღები მოაწყდა.

ერთ-ერთ საბანაო კაბინაში გავიხადე, პლაჟის ვიწრო ზოლი გადავჭერი და წყალში შევედი. გავცურე, ვცდილობდი, ზვირთებში არ მოვყოლოდი, მაგრამ ზოგჯერ თავზე გადამივლიდნენ ხოლმე. წყნარ ზღვაში რომ შევედი, ზურგზე გავწექი. ვტივტივებდი და მხოლოდ ცასა ვხედავდი, ვგრძნობდი ზვირთების სუსტ ცემას. გადავბრუნდი და ისევ ნაპირისკენ გამოვცურე, დიდმა ტალღამ პლაჟზე გამომადგო. მერე ისევ შევცურე, ვცდილობდი ისე მეცურა ტალღასა და ტალღას შორის, რომ ზვირთები არ მომხეთქებოდა. ამან დამქანცა და ტივტივასაკენ გავემართე. ზღვა ცივი იყო და ოდნავ ღელავდა. ისეთი გრძნობა გიპყრობდა, თითქოს ჩაძირვა შეუძლებელი იყო. ნელა მივცურავდი, თითქოს დინებას მივქონდი, მერე ტივტივასთან მივბრუნდი და ავძვერი, უკვე შემთბარ ფიცრებზე დავჯექი გასაშრობად. გავხედე კონჩას, ძველ ქალაქს, კაზინოს, სანაპირო ხეივანს, თეთრპარმაღებიან და ოქროსწარწერებიან დიდ სასტუმროებს. ხელმარჯვნივ, ზედ უბესთან, მოჩანდა მწვანე გორაკი და ზედ ციხესიმაგრე. ტალღების ცემისაგან ტივტივა ირწეოდა. მარცხნივ მეორე მწვანე გორაკიც დავინახე. ერთი პირობა ვიფიქრე, უბეს გადავცურავ-მეთქი, მაგრამ კრუნჩხვისა შემეშინდა.

მზეზე ვიჯექი და პლაჟზე ხალხს გავცქეროდი. სულ პატარები ჩანდნენ. ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი, ტივტივას ძგიდეს ფეხის წვერებით დავეყრდენი და როცა ჩემმა სიმძიმემ ცოტათი გადახარა, ღრმად ჩავეშვი, მერე წყლის დაწოლის ძალით სწრაფად ამოვსრიალდი, თავი გავაქნიე და მარილიანი წყალი მოვიშორე. ნელი ცურვით ნაპირისკენ გავემართე.

როცა ჩავიცვი და კაბინის ფული გადავიხადე, სასტუმროში დავბრუნდი.

ველოსიპედისტებს სამკითხველო ოთახში რამდენიმე ნომერი «ლ' აუტო» დაეტოვებინათ. მოვკრიფე, გამოვედი და მზეზე დავჯექი სავარძელში. მინდოდა, წამეკითხა და საფრანგეთის სპორტულ ცხოვრებას გავცნობოდი. იქვე ვიჯექი, როცა კონსიერჟი მოვიდა, ხელში ლურჯი კონვერტი ეჭირა.

– თქვენი დეპეშაა, სერ.

გადაწებებულ კონვერტში თითი შევაცურე, გავხსენი და წავიკითხე: პარიზიდან იყო გამოგზავნილი.

«თუ მოახერხებ ჩამოდი მადრიდს სასტუმრო «მონტანაში» განსაცდელში ვარ ბრეტი»

კონსიერჟს ფული ვაჩუქე და დეპეშა ისევ გადავიკითხე. ქუჩაში ფოსტალიონი დავინახე, სასტუმროში შეუხვია. დიდი უღვაშები ჰქონდა და მხედრული რიხით მოდიოდა. ისევ გამოვიდა სასტუმროდან. კონსიერჟი ფეხდაფეხ მოსდევდა.

– კიდევ თქვენი დეპეშაა, სერ.

– მაღლობელი ვარ, – ვუთხარი მე.

გავხსენი. პამპლონადან იყო გამოგზავნილი.

«თუ მოახერხებ ჩამოდი მადრიდს სასტუმრო «მონტანაში» განსაცდელში ვარ ბრეტი».

კონსიერჟი იქვე იდგა, ეტყობა, კიდევ ელოდა საჩუქარს.

– მადრიდისკენ რომელ საათზეა მატარებელი?

– დილის მატარებელი უკვე გავიდა ცხრაზე. თერთმეტზე კიდევ იქნება საფოსტო. ღამის ათზე კი სამხრეთის ექსპრესი ჩაივლის.

– ექსპრესზე ამიღეთ ბილეთი. ფული ახლავე მოგცეთ?

– თქვენი ნებაა, – მითხრა მან, – თუ გნებავთ, ანგარიშს მივუმატებ.

– ასე აჯობებს.

ასე რომ, სან-სებასტიანი ერთბაშად გაქრა ჯოჯოხეთში. მე მგონი, ბუნდოვნად ველოდი კიდევ რაღაც ამის მაგვარს. კონსიერჟი ისევ კარში შევნიშნე.

– დეპეშის ბლანკი მომიტანეთ.

ბლანკი მომიტანა. ავტომატური კალამი ამოვიღე და დავწერე:

«ლედი ეშლის სასტუმრო მონტანა მადრიდი ჩამოვალ ხვალ სამხრეთის ექსპრესით გოცნი ჯეიკი.»

ეგეც შენ! ასე გინდა. გააყოლე ქალი ჯერ ერთს. მერე სხვა ვიღაც გააცანი და იმას გაატანე. ახლა წაბრძანდი და უკანვე წამოიყვანე. დეპეშას კი მიაწერე – «გოცნი».

ასე უნდა. სასაუზმოდ წავედი.

ექსპრესში კარგად არ მიძინია იმ ღამეს. დილით ვაგონ-რესტორანში ვისაუზმე, მერე კი ავილასა და ესკორიალს* შორის ფიჭვნარსა და კლდეებს გავცქეროდი. ესკორიალი ფანჯრიდან დავინახე – მზეზე გაწოლილიყო რუხი, გრძელი და ცივი სასახლე, მაინცდამაინც არ მომწონებია. მერე მზით გადახრუკული მინდვრის მიღმა დაბალ სერზე გამოჩნდა მადრიდი – ლურჯ ცაში აჭრილი თეთრი მასივი.

მადრიდის ჩრდილო სადგური სულ ბოლო გაჩერებაა. ყველა მატარებელი აქ იყრის თავს. ამის იქით არც ერთი მატარებელი აღარ მიდის. გარეთ ეტლები და ტაქსები ირეოდნენ, იქვე წრიალებდნენ სასტუმროს დალალები. პროვინციის ქალაქს ჰგავდა.

ტაქსი დავიჭირე და გორაკს აღმა შევუყევით – გავიარეთ ბაღები, ავუარეთ დაცარიელებულ სასახლეს, კლდეზე გადამდგარ დაუმთავრებელ ეკლესიას, სულ მალე ავედით და მივადექით ქალაქის ახალ, ცხელ უბანს. ტაქსი სწორი გზით პუერტა დელ სიელზე გავიდა, გადაჭრა აჩოჩოლებული მოედანი და კარიერა სან-იერონიმოზე გამიყვანა. სიცხისაგან თავის დასაფარავად მაღაზიის ვიტრინებზე ყველგან ტილოები ჩამოემვათ, მზის მხარეს დარაბები დაკეტილი იყო. მანქანა ტროტუართან გაჩერდა. მეორე სართულზე წარწერა შევნიშნე. ზედ ამოკვეთილი იყო: «სასტუმრო «მონტანა». შოფერმა ჩემოდნები სასტუმროში შეიტანა და ლიფტის კართან დააღაგა. ლიფტი არ მუშაობდა და ფეხით ავუყევი კიბეს. მეორე სართულზე სპილენძის ფირფიტა იყო გამოკრული წარწერით: «სასტუმრო «მონტანა». დავრეკე, მაგრამ არავინ გამომეპასუხა. კიდევ დავრეკე და ვიღაც დაბღვერილმა გოგომ გამოაღო კარი.

– ლედი ეშლი აქ არის? – ვკითხე მე.

გამოლენჩებული თვალებით შემომხედა.

– ინგლისელი ქალი აქ არის?

შებრუნდა და ვიღაცას გასძახა. ფაშფაშა ქალი მოადგა კარს. რაღაც საცხებლით გათხუპნილი ჭაღარა თმა გაფშევილ ჩაფრასტებად შემოეხვია სახეზე. დაბალი და მრისხანე ჩანდა.

– Mუყ ბუენოს*, ვუთხარი მე, – ინგლისელი ქალი ხომ არავინაა თქვენთან? იმ ქალის ნახვა მიწოდდა.

– Mუყ ბუენოს. დიახ, აქ არის ერთი ინგლისელი ქალი. შეგიძლიათ კიდევ ნახვა, თუკი თვითონვე მოისურვებს თქვენს ნახვას.

_ სწორედ მას სურს ჩემი ნახვა.

_ ახლავე ჰკითხავს გოგო.

_ ძალიან ჩამოცხა.

_ ზაფხულობით მადრიდში ძალიან ცხელა ხოლმე.

_ ზამთარში კი როგორ ცივა!

_ აბა! ზამთარში ძალიან სიცივე იცის.

მეც «მონტანაში» ხომ არ ვაპირებ ჩამოხტომას?

ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, მაგრამ ზემოთ რომ ამოიტანდნენ ჩემს ჩემოდნებს,

მადლობელი ვიქნები, არავინ მოიპაროს! არ მახსოვს «მონტანაში» რამე

დაკარგულიყოს. სხვა სასტუმროებში, იცოცხლე! აქ არა, არა! თანამშრომლებს დიდი

სიფრთხილით არჩევენ ხოლმე. ძალიან სასიამოვნოა. მაგრამ მაინც მადლობელი

ვიქნები, ჩემოდნებს რომ ამოიტანდნენ.

გოგო დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, ინგლისელ ქალს ინგლისელი კაცის ნახვა

ახლავე სურს, ამ წუთშიო.

_ ძალიან კარგი, _ ვთქვი მე, _ ხომ ხედავთ. აკი გითხარით!

_ მართალია.

უკან მივყევი ამ გოგოს გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანში. ბოლოში რომ გავედით, ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა.

_ ჰელო, _ გამომძახა ბრეტმა, _ შენა ხარ, ჯეიკ?

_ მე ვარ.

_ შემოდი, შემოდი.

შევედი. მოსამსახურე გოგომ კარი მომიხურა. ბრეტი ლოგინში იყო. ახლახან დაევარცხნა თმა და სავარცხელი ისევ ხელში ეჭირა. ოთახი ისე ჰქონდა არეულ-დარეული, როგორც მოსამსახურეებს დაჩვეულ ხალხსა აქვს ხოლმე.

_ ჩემო ძვირფასო! _ თქვა მან.

მივედი და ხელი მოვხვიე. მან მაკოცა და როცა მკოცნიდა, ვიგრძენი რომ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. ცახცახებდა ჩემს მკლავებში. სულ დალეულიყო.

_ ჩემო ძვირფასო! რა ჯოჯოხეთი გამოვიარე!

_ ყველაფერი მითხარი.

_ სათქმელიც არაფერია. გუშინდლამდე არ წასულა. მე თვითონ მოვიშორე.

_ რატომ მოიშორე?

_ რა ვიცი. ყველაფერს ვერ შეეგუები ადამიანი. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რამე ვნება მიმეყენებინოს მისთვის.

_ დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგადაც ექცეოდი.

_ საერთოდ ვერავისთან ვერ იცხოვრებს. მაშინვე მივხვდი ამას.

_ ვითომ?

_ ო, ღმერთო! _ თქვა მან, _ ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე, ნულარ გავიხსენებთ.

_ ძალიან კარგი.

_ ერთბაშად მომხვდა გულზე, როცა შევატყვე _ ჩემთან ყოფნა რცხვენოდა. ერთხანს ჩემი ერცხვინებოდა, იცი!

_ ეგ არ ვიცოდი.

_ მაშ. შევატყვე, რომ ჩემ გამო ლანძღავდნენ კაფეში. თმა გაიზარდევ, მომთხოვა. მე და გრძელი თმა! კარგი სანახავი კი ვიქნებოდი.

_ სასაცილოა.

_ ქალური სინაზე მოგემატებაო. საფრთხოებელას არ დავემსგავსებოდი?

_ მერე?

_ მერე დაივიწყა. ბოლოს აღარც ერცხვინებოდა ჩემთან ყოფნა.
 _ განსაცდელში ვარო, რომ მწერდი!
 _ არ მეგონა, ასე ადვილად თუ მოვიშორებდი. არადა, ერთი სუც არ მეზავდა, მე თვითონ რომ მიმეტოვებინა და წამოვსულიყავი. დიდძალ ფულს მაძლევდა, იცი! ფულის მეტი რა მაქვს-მეთქი, ვუთხარი. იცოდა, რომ ტყუილს ვეუბნებოდი. ვერ გამოვართვი ფული, ხომ იცი.
 _ რა თქმა უნდა.
 _ ეჰ, მოვეშვით ამას. თუმცა ბევრი სასაცილო რამე კი შემხვდა. სიგარეტი მომეცა. სიგარეტს მოვაკიდებინე.
 _ ინგლისური გიბრალტარში უსწავლია, ოფიციალტობის დროს.
 _ აჰა.
 _ ბოლოს ჩემი ცოლად შერთვა მოინდომა.
 _ მართლა?
 _ რა თქმა უნდა. მე მაიკლსაც კი ვერ გავყოლივარ ცოლად.
 _ იქნებ იმის იმედი ჰქონდა, რომ ლორდი ეშლი გახდებოდა.
 _ არა. ეგ არც უფიქრია. მართლა გულით უნდოდა ჩემი შერთვა. მაშინ ვეღარ გამეცევიო, მითხრა. უნდოდა გულდამშვიდებული ყოფილიყო, რომ ვეღარასოდეს ვერ მოვშორდებოდი. რაღა თქმა უნდა, როცა ქალური სინაზე მომემატებოდა.
 _ აბა დამშვიდებული იქნები ახლა!
 _ ჰო, ისევ კარგად ვარ. ის წყეული კონიკ დამავიწყა!
 _ მით უკეთესი.
 _ რომ არ დავრწმუნებულიყავი, მისთვისვე იქნება-მეთქი ცუდი, არც მივატოვებდი. მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს.
 _ ოღონდ გარეგნობა არ გიწყობდა ხელს.
 _ ო, ამას შეეჩვეოდა.
 სიგარეტი ჩააქრო.
 _ უკვე ოცდაათოთხმეტი წლისა გავხდი. კახპა ხომ არა ვარ, რომ პატარა ბიჭები დავღუპო!
 _ რა თქმა უნდა.
 _ მაგ გზას არ დავადგები. ახლა უკვე ყველაფერმა გაიარა. დამშვიდებული ვარ.
 _ მით უკეთესი.
 მიბრუნდა. ვიფიქრე, პაპიროსს იღებს-მეთქი. მაგრამ შევნიშნე, რომ ტიროდა. ვგრძნობდი, როგორ ტიროდა. ცახცახებდა და ტიროდა. თავს აღარ სწევდა ზევით. გულში ჩავიხუტე.
 _ ნუღარასოდეს ნუ გავიხსენებთ. თუ ღმერთი გწამს, ნუღარ გავიხსენებთ.
 _ ბრეტ, ძვირფასო.
 _ ისევ მაიკს უნდა დავუბრუნდე, _ მაგრამ ჩავიკარი და უფრო ცხადად ვიგრძენი, როგორ ტიროდა, _ რა კარგია და თან რა აუტანელი! სწორედ ჩემი შესაფერია. თავს არ სწევდა. თმაზე ხელი გადავუსვი. ვგრძნობდი, როგორ კანკალებდა.
 _ არ მინდა, მეც კახპა ვიყო, _ თქვა მან, _ მაგრამ, ო, ჯეიკ, ნუღარასოდეს გავიხსენებთ ამას.
 «მონტანადან» წავედით. გადახდა რომ დავაპირე, დიასახლისმა ფული არ აიღო. უკვე გადახდილი იყო.
 _ ოჰ, კარგი. არა უშავს რა, _ თქვა ბრეტმა, _ რაღა მნიშვნელობა აქვს. ტაქსი დავიჭირეთ და «პალას ოტელისაკენ» გავემართეთ. ბარგი იქ დავტოვეთ, ღამის ექსპრესზე ბილეთები დავუკვეთეთ და სასტუმროს ბარში შევედით კოქტეილის

დასაღევად. დახლოთ დავსხედით, მაღალ ტაბურეტებზე, ბარმენი «მარტინის» ამზადებდა ნიკელის დიდ თასში.

– საოცარია, რა სასიამოვნოა ხოლმე დიდი სასტუმროების ბარში შესვლა, – ვთქვი მე.

– ბარმენებსა და ჟოკეებსღა შერჩათ თავაზიანობა.

– რა წყალწაღებული სასტუმროც უნდა იყოს, ბარი მაინც კარგი აქვს ხოლმე.

– უცნაურია.

– ბარმენები მუდამ მშვენიერი ხალხია.

– მართალი ხარ, იცი, – თქვა ბრეტმა, – ცხრამეტი წლისაა, მეტისა კი არა. გასაკვირი არ არის?

ჭიქები მივაჭახუნეთ. ისეთი ცივი იყო, რომ გარედან დაიორთქლა.

ფარდაჩამოშვებული ფანჯრების იქით მადრიდული ზაფხულის ხვატი იდგა.

– ზეთისხილიანი «მარტინი» მიყვარს, – ვუთხარი ბარმენს.

– მართალი ბრძანდებით, სერ, ინებეთ.

– გმადლობთ.

– მე თვითონ უნდა შემომეთავაზებინა.

ბარმენი მოშორებით დადგა დახლო, ჩვენს ლაპარაკს ვეღარ გაიგონებდა. ბრეტმა ისე მოსვა «მარტინი», რომ ჭიქა არც აუღია ხის დახლიდან. მერე ასწია. პირველი ყლუპის შემდეგ ხელი აღარ უკანკალებდა.

– რა კარგია. მართლაც მშვენიერი ბარია, ხომ?

– ბარი ყველა მშვენიერია.

– პირველად არც კი მჯეროდა, ხომ იცი. ათას ცხრაას ხუთში დაბადებულა. მაშინ მე სკოლაში ვსწავლობდი, პარიზში. წარმოგიდგენია?!

– მაინც რა გინდა წარმოვიდგინო?

– ნუ ტუტუცობ. კიდევ არ დააღვევინებ ქალბატონს?

– კიდევ ორი «მარტინი»!

– წელანდელივით, სერ?

– ძალიან კარგი იყო, – გაუღიმა ბრეტმა.

– გმადლობთ, ქალბატონო.

– შენ გაგიმარჯოს! – მითხრა ბრეტმა.

– გაგიმარჯოს!

– წარმოგიდგენია, – თქვა ბრეტმა, – ჩემამდე მხოლოდ ორ ქალთან ყოფილა. თავისი ხარების მეტი არაფერი ახსოვდა თურმე.

– წინ ბევრი დრო აქვს.

– რა ვიცი. ყველაფერი შენ იყავიო, ფიესტა რა სახსენებელიაო.

– თუნდაც ასე იყოს!

– ასეც იყო.

– მე მეგონა, მეტად აღარ გაიხსენებდი.

– თუკი არ შემიძლია?!

– სჯობია, ნაკლებად ახსენო – ამდენი ლაპარაკით შენ თვითონ არ მოგბეზრდეს ეს ყველაფერი.

– არც ვახსენებ – მე მხოლოდ შორიდან ვუტრიალებ ირგვლივ. მაგრამ იცი, ჯეიკ, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

– ასეც უნდა.

– რაღაც სასიამოვნო გრძნობაა, როცა გადაწყვეტ, კახპა არ ვიქნებიო.

– მართალია.

– ღმერთის მაგივრობასაც კი გაგიწევს ეს გრძნობა.

_ ზოგს ჰყავს ღმერთი, _ ვთქვი მე, _ ძალიან ბევრსაც.
 _ მე დიდი არაფერი სიკეთე მახსოვს ღმერთისგან.
 _ კიდეც დავლიოთ «მარტინი»?
 ბარმენმა ორი «მარტინი» კიდეც შეგვიზავა და სუფთა ჭიქებში დაგვისხა.
 _ სად ვისადილოთ? _ ვკითხე ბრეტს. ბარში გრილოდა. იგრძნობოდა, რომ ფანჯრის იქით, ქუჩაში, საშინელი ხვატი იდგა.
 _ აქა? _ მკითხა ბრეტმა.
 _ სასტუმროში არ ივარგებს. რესტორანი «ბოტენი» არ გაგიგონიათ? _ ვკითხე ბარმენს.
 _ როგორ არა, სერ. მისამართი მოგართვათ?
 _ მადლობელი ვარ.
 «ბოტენში» ვისადილეთ. ეს არის მთელ ქვეყანაზე ერთ-ერთი საუკეთესო რესტორანი. შემწვარი გოჭი მოვატანინეთ და «რიოხა ალტა» დავლიეთ. ბრეტმა ცოტა მოციცქნა. საერთოდ ცოტას ჭამდა ხოლმე. მე კარგად ვისადილე და სამი ბოთლი «რიოხა ალტა» დავლიე.
 _ თავს როგორ გრძნობ, ჯეიკ? _ მკითხა ბრეტმა, _ ღმერთო დიდებულო! რაც შენ ახლა ჭამე!
 _ დიდებულად ვარ. ტკბილი არაფერი დავაყოლოთ?
 _ კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს.
 ბრეტი თამბაქოს ეწეოდა.
 _ ჭამა გიყვარს, არა? _ მკითხა მან.
 _ ჰო, _ ვუთხარი მე, _ ბევრი რამე მიყვარს.
 _ მაინც რა?
 _ ეჰ, ბევრი რამე, _ ვუპასუხე მე, _ ტკბილი არაფერი დავაყოლოთ?
 _ აკი მკითხე.
 _ მართალია, _ ვუთხარი მე, _ უკვე გკითხე. კიდეც დავლიოთ ერთი ბოთლი «რიოხა ალტა».
 _ მშვენიერი სასმელია.
 _ შენ ბევრი არ დაგილევია.
 _ როგორ არა. შენ ვერ შენიშნე.
 _ ორი ბოთლი მოვატანინოთ, _ ვთქვი მე. მოგვიტანეს ბოთლები. ცოტა ჩავასხი ჩემს ჭიქაში და მერე ბრეტს შევუვსე, მერე ჩემი ჭიქაც გავავსე. ერთმანეთს მივუჭახუნეთ.
 _ შენ გაგიმარჯოს! _ თქვა ბრეტმა. დავცალე და კიდეც დავისხი. ბრეტმა მკლავზე დამადო ხელი.
 _ ნუ დათვრები, ჯეიკ, _ მითხრა მან, _ სულაც არა გჭირდება დათრობა.
 _ რატომ გგონია?
 _ არ მინდა. ყველაფერი მოგვარდება.
 _ მე არა ვთვრები, ცოტა ღვინოს ვსვამ. მიყვარს ღვინო.
 _ ნუ დათვრები, ჯეიკ, ნუ დათვრები.
 _ მანქანით გასეირნება არ გინდა? _ ვკითხე მე, _ ქალაქი შემოვიაროთ.
 _ კარგი იქნება, _ თქვა ბრეტმა, _ მადრიდი არც კი მინახავს. ვნახავ მაინც.
 _ ჯერ ეს დავლიო.
 მეორე სართულიდან დაბლა დავეშვით, სასადილო გავიარეთ და ქუჩაში გავედით. ოფიციანტი ტაქსის მოსაყვანად გაიქცა. ცხელოდა, მზე კაშკაშებდა. ტაქსების გაჩერება ქუჩის თავში იყო, ბალახით დაფარულ და ხეებით გადმოჩრდილულ პატარა მოედანზე. ტაქსი ჩამოდგა, ოფიციანტი საფეხურზე იყო ჩამოკიდებული. ფული

ვაჩუქე, შოფერს ვუთხარი, საით უნდა გაგვევლო და ბრეტს მივუჯექი გვერდით. წავედით. მე სავარძელს გადავაწექი. ბრეტმა ჩემკენ მოიწია. ერთმანეთთან ახლოს ვისხედით, ხელი მოვხვიე და ისიც მომესვენა. ცხელოდა, მზე კაშკაშებდა და სახლების სითეთრე თვალსა გვჭრიდა. გრან ვიასკენ შევუხვიეთ.

_ ო, ჯეიკ, _ თქვა ბრეტმა, _ რა კარგად ვიქნებოდით ჩვენ ერთად.

წინ ცხენზე წამოსკუპებული ხაკისხალათიანი პოლიციელი მოძრაობას აწესრიგებდა.

ჯოხი ასწია. მანქანა ერთბაშად შედგა და ბრეტი უფრო მჭიდროდ მომეხუტა.

_ ჰო, _ ვთქვი მე, _ კიდევ კარგი, ამის თქმა მაინც შეგვიძლია.